ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

შრომები

XI

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities

Institute of Georgian History

Proceedings

XI

თბილისი
Tbilisi
2016

უაკ(UDC)94(479.22)
ს–323

რედაქტორები:
თედო დუნდუა
ალექსანდრე ბოშიშვილი

სარედაქციო კოლეგია:
მარიამ ლორთქიფანიძე
გიული ალასანია
თეიმურაზ პაპასქირი
აპოლონ თაბუაშვილი
ქეთევან გოჩიტაშვილი
ლერი თავაძე
შალვა გლოველი
აკაკი ჩიქობავა
ემილ ავდალიანი
ეკა კვირკველია

Editors:
Tedo Dundua
Alexander Boshishvili

Editorial Board:
Mariam Lordkipanidze
Giuli Alasania
Teimuraz Papaskiri
Apolon Tabuashvili
Ketevan Gochitashvili
Leri Tavadze
Shalva Glovcli
Akaki Chikobava
Emil Avdaliani
Eka Kvirkvelia

http://geohistory.humanities.tsu.ge
E-mail: geohistory@tsu.ge

შეკრებულებით: თ. დუნდუა, ა. ბოშიშვილი
ავტორთა სტილი დაცულია

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016

ISSN 1987–9970



შოთა მესხია Shota Meskhia

შინაარსი

CONTENTS

ქეთევან ნადირაძე

შოთა მესხია – მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე 9

ლერი თავაძე

პროტოსტრატორი VIII-XII საუკუნეების ბიზანტიასა და საქართველოში 19

Leri Tavadze

Protostrator in Byzantium and Georgia from the 8th to the 12th Centuries (Summary) 43

ნესტან სულავა

წმ. ილარიონ ქართველი ძველ ქართულ მწერლობაში 45

Nestan Sulava

St. Ilarion Kartveli in Old Georgian Literature (Summary) 76

მიხეილ ბახტაძე

რამდენი ათასი ყივჩაღი გადმოასახლა დავით აღმაშენებელმა საქართველოში 77

Mikheil Bakhtadze

How Many Thousand Kipchaks (Russ. Polovtzi) Were Settled in Georgia by David the Builder (Summary) 92

თეიმურაზ დუნდუა, აკაკი ჩიქობავა

მონეტა, როგორც პროპაგანდის საშუალება (XII-XVIII საუკუნეების ქართული ნუმიზმატიკური ძეგლების მიხედვით) 93

Tedo Dundua, Akaki Chikobava

Coin as a Means of Propaganda (According to the 12th-18th cc. Georgian Money) (Summary) 113

მაია შაორშაძე

ქართლის მთავარეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი XII-XIII საუკუნეებში 115

Maia Shaorshadze

Chronological Sequence of Kartli Archbishops in the 12th-13th Centuries (Summary) 124

Михаил Чореф

К истории Шадибека: по данным нумизматики 125

Mikhail Choref

About Shadibek, According to Numismatics (Summary) 137

მაშუკა წურწუმია

ქართული ხანჯალი 139

Mamuka Tsurtsumia

Georgian Khanjali (Summary) 153

აპოლონ თაბუაშვილი

მასალები XVIII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის 155

Apolon Tabuashvili

Material for Economic History of the 18th Century Georgia (Summary) 165

როლანდ თოფჩიშვილი

ქართული მემკვიდრეობითი სახელები შავშეთ-იმერხევში: ეთნოისტორიული საკითხები 167

Roland Topchishvili

Georgian Surnames in Shavsheti-Imerkhevi: Ethno-Historical Issues (Summary) 179

ჯაბა სამუშია

სერგეი ტუჩკოვის ცნობები საქართველოს შესახებ 181

Jaba Samushia

Sergei Tuchkov's References About Georgia (Summary) 203

გიორგი სოსიაშვილი

ეპიტაფიები სოფელ დიციდან 205

Giorgi Sosiashvili

Epitaphs from the Village Ditsi (Summary) 220

დიმიტრი შველიძე

არჩილ ჯორჯაძე ქართველი ერის წარმოშობის შესახებ 221

Dimitri Shvelidze

Archil Jorjadze about the Origin of Georgian Nation (Summary) 232

Фархад Джаббаров

О деятельности князя И. Г. Амилахвари на посту бакинского генерал-губернатора (февраль-июнь 1905 г.) 233

Farhad Djabbarov

About the Activity of Prince I. G. Amilakhvari as a Governor-General of Baku (February-June 1905) (Summary) 243

თენგიზ სიმაშვილი

გიორგი გურჯიევი საქართველოში (1906 წელი) 244

Tengiz Simashvili

Giorgi Gurdjiev in Georgia (1906) 253

საერთაშორისო პრეზენტაცია
International Conferences

Николай Джавахишвили

Страницы из истории взаимоотношений грузин с карачаевцами и балкарцами (с XIX века до середины XX века) 254

Teimuraz Papaskiri

Russian Policy towards Georgia since 1991 266

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XI
თბილისი. 2016

ქეთევან ნადირაძე

შოთა მესხია – მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე

შოთა მესხია დაიბადა 1916 წლის 27 აპრილს, დღევანდელი წალენჯიხის რაიონის სოფელ ობუჯში. 1920 წლიდან მისი ოჯახი საცხოვრებლად ზუგდიდში გადადის. 1923-30 წლებში იგი სწავლობს ზუგდიდის არასრულ საშუალო სკოლაში, 1931-33 წლებში – ზუგდიდის სატყეო სასწავლებელში, ხოლო 1933 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტია.

შოთა მესხია სტუდენტობის წლებში დედის, ქალბატონ ლიდა შენგელაიას, ახლო ნათესავის, ცნობილი მწერლის, ლეო ქიაჩელის, ოჯახში ცხოვრობდა. მომავალი ისტორიკოსი თავის მოგონებებში წერს: „ლეო ქიაჩელი და მისი ოჯახი რომ არა, ალბათ, ვერ შევძლებდი სწავლის გაგრძელებას, ვერ ველირსებოდი სტუდენტობას, რომელიც ასე სანატრელი იყო ჩემთვის, ისე როგორც ყველა ახალგაზრდისთვის საერთოდ“. უდავოა, ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება მეცნიერებას დაუკავშირა, ნებისმიერ რთულ ვითარებაში შეძლებდა ცოდნის დაუნჯებას. ვფიქრობ, ასეთი შეფასება ლეო ქიაჩელის როლისა თავის ცხოვრებაში, როგორც ღირსების მატარებელი პიროვნებისთვის, დიდი მადლიერების გრძნობით არის განპირობებული.

უნივერსიტეტში შოთა მესხია ისმენდა ჩვენი დიდი მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების: ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, შალვა ნუცუბიძისა და სხვათა ლექციებს. განსაკუთრებული ადგილი უკავია ბატონი შოთას სამეცნიერო საზოგადოების ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენლად ჩამოყალიბებაში აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას, რომლის ამაგიც მან ასევე სათანადოდ დააფასა წიგნით – „სიმონ ჯანაშია“ (1950).

შოთა მესხიამ 1937 წელს წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტი და იმავე წლის 1 სექტემბერს გაგზავნეს წალენჯიხის რაიონის ერთ-ერთ სოფელში საშუალო სკოლის დირექტორად. 1938 წელს კი იგი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინ-

სტიტუტის საქართველოს ფილიალის ასპირანტურაში აბარებს. სიმონ ჯანაშიას ხელმძღვანელობით იწყებს ფეოდალური საქართველოს ისტორიის მეტად მნიშვნელოვანი პრობლემის – ხელოსნური წარმოების ისტორიის – შესწავლას. მართალია, მან ასპირანტურა 1941 წელს დაამთავრა და საკანდიდატო დისერტაციის დაცვისათვის ძირითადი მასალები მზად ჰქონდა, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დაწყების გამო იგი ჩრდილო კავკასიის ფრონტზე გაიწვიეს. მან აქაც პირნათლად შეასრულა მოქალაქეობრივი ვალი, რაც დასტურდება მისთვის მეორე ხარისხის ორდენისა და მედლის – „კავკასიის დაცვისათვის“ – მინიჭებით. იგი 1942 წელს ერთ-ერთ ბრძოლაში დაიჭრა, ფრონტი დატოვა, საქართველოში ჩამოვიდა და მეცნიერულ საქმიანობას დაუბრუნდა. მან მუშაობა დაიწყო ენიმიკის უმცროს-მეცნიერ თანამშრომლად. ოთხთვიანი დაძაბული შრომის შედეგად პროფესორების სიმონ ყაუხჩიშვილისა და ვარლამ დონდუას ოპონირებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ხელოსნობა ძველ საქართველოში (V-XII სს.)“. ეს გამოკვლევა თავისი მნიშვნელობით დღესაც აქტუალურია.

1943 წლიდან სიმონ ჯანაშიას მიწვევით ბატონი შოთა უნივერსიტეტში იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1945 წლიდან იგი საქართველოს ისტორიის კათედრის დოცენტია. 1951 წელს კი მიემგზავრება მოსკოვში, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის დოქტურანტურაში, სადაც აკადემიკოს მიხეილ ტიხომიროვის ხელმძღვანელობით მუშაობს ერთ-ერთ ურთულეს და პრაქტიკულად შეუსწავლელ, შუასაუკუნოვანი საქართველოს ისტორიის, პრობლემებზე და 1955 წელს წარმატებით იცავს სადოქტორო დისერტაციას თემაზე: „ფეოდალური საქართველოს ქალაქები და საქალაქო წყობილება“. ამ საკითხებით დაინტერესებული სპეციალისტისთვის აღნიშნული შრომა დღესაც სამაგიდო წიგნს წარმოადგენს. 1956 წელს მას აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის წარდგინებით საქართველოს ისტორიის კათედრის გამგედ ირჩევენ. ეს დიდი ნდობის გამოცხადება იყო, რადგან ამ კათედრას სხვადასხვა წლებში ხელმძღვანელობდნენ: ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია და თავად ნიკო ბერძენიშვილი. ბატონმა შოთამ, როგორც ისტორიოგრაფიაშია შეფასებული, ეს ნდობა სრულად გაამართლა. მისი ხელმძღვანელობით აღნიშნული კათედრა ისევ საუკეთესო სამეცნიერო ცენტრის სახელს ინარჩუნებს. მისი თაოსნობითა და რედაქტორობით ჩატარდა არაერთი სამეცნიერო კონფერენცია, გამოიცა მნიშვნელოვანი შრომა თუ შრომების კრებული. საერთოდ, უნდა ითქვას: როდესაც ამ პერიოდის საქართველოს ისტორიაში შეს-

რულებულ ნაშრომებს ეცნობი, უპირველეს ყოვლისა, თვალში საცემია პროფესიული კეთილსინდისიერება, რაც, ბუნებრივია, რედაქტორის დამსახურებაცაა, რადგან რედაქტორის ძირითადი მოვალეობა ხარისხზე პასუხისმგებლობაა.

შოთა მესხიამ აქტიური როლი ითამაშა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" გამოცემის საქმეში. იგი იყო ამ გამოცემის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი, II ტომის რედაქტორი და II-III ტომების თანაავტორი. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს: საქართველოს ისტორიის ნარკვევების რვატომეულის პირველი ოთხი ტომი დღესაც მნიშვნელოვანი მონაპოვარია ქართველოლოგიური მეცნიერებისათვის. გაწეული შრომისათვის ავტორთა ჯგუფს სახელმწიფო პრემია მიენიჭა. პარალელურად ბატონი შოთა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ფეოდალური პერიოდის საქართველოს ისტორიის განყოფილების გამგის მოვალეობასაც ასრულებს. მას 1957 წელს პროფესორის წოდებას ანიჭებენ, ხოლო 1961 წლიდან ისტორიის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობას იკავებს. ცნობილია, რომ ბატონი შოთას დროინდელი ისტორიის ფაკულტეტი სანიმუშო იყო, რაშიც არაკითარი წვლილი არ მიუძღოდა დასჯას, დაშინებას, მუქარას, რაც არცთუ იშვიათობას წარმოადგენდა იმდროინდელ ყოფაში. იგი იყო მოძღვარი, რომელსაც მიაჩნდა, რომ კარგი მაგალითი გაცილებით სასარგებლოა, ვიდრე კარგი წესდება. შესაბამისად, მან ისტორიკოსთა მთელი პლეადა აღზარდა, რომლებიც გამოირჩეოდნენ მაღალი პასუხისმგებლობით, პროფესიული კეთილსინდისიერებითა და სამშობლო ისტორიისადმი ერთგულებით. ზოგი მათგანი დღესაც წარმატებით მოღვაწეობს სამეცნიერო თუ საზოგადოებრივ ასპარეზზე. სამწუხაროდ, ამ პლეადის წარმომადგენელთა დიდი ნაწილი დღეს ცოცხალი აღარ არის.

1965 წლისთვის გადაწყდა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გამოცემაზე მუშაობა. შეიქმნა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია დარგობრივი საბჭოებით. ბატონი შოთა ხელმძღვანელობდა საქართველოს ისტორიის საბჭოს. მისი აქტიური მონაწილეობით შედგა საქართველოს ისტორიის სიტყვანი და პირველი ტომისათვის შეგროვდა მრავალფეროვანი მასალა. ეს უდავოდ საქვეყნო საქმე იყო. ენციკლოპედიის მნიშვნელობას კარგად გამოხატავს პირველი ფრანგული ენციკლოპედიის ფუძემდებელი დენი დიდრო. იგი წერს: „ენციკლოპედიის მიზანია მთელ მსოფლიოში მიმოფანტული ცოდნის მოგროვება, სისტემაში მოყვანა და მისი თანამედროვეობისათვის გადაცემა, რათა წინაპართა მიერ საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ცოდნა შემდგომი საუკუნეებისათვის არ დაიკარგოს და ჩვენი შთამომავლები მათთვის შემონახული ცოდნის საფუძველზე უფრო მეტი სიკეთითა და ბედნიერებით აღივსონ".

ჩემის აზრით, ეს ფუნქცია ენციკლოპედიამ ერს სრულყოფილად მხოლოდ მშობლიურ ენაზე შეიძლება შეუსრულოს. სწორედ ამიტომ, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ქაროული უნივერსალური ენციკლოპედიის შექმნაში მონაწილე ნებისმიერი ავტორის, სამეცნიერო რედაქციისა თუ ტექნიკური რედაქტორის მიერ გაწეული შრომა.

შოთა მესხიას 1967 წელს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდებას ანიჭებენ. ამავე წელს მას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად ირჩევენ, რაც თავისთავად ნიშნავდა საგზურს იმ მასშტაბურ სამეცნიერო სივრცეში, რომელიც მსოფლიოს ერთ-მეექვსედს მოიცავდა. ბატონი შოთა თავის სამეცნიერო დივიდენტებს, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ისტორიის პოპულარიზაციისა და ქართული ისტორიული მეცნიერების ავტორიტეტის დამკვიდრებისათვის იყენებდა.

1969 წლის 12 იანვარს გაზეთ „კომუნისტში“ შოთა მესხია მარიამ ლორთქიფანიძესთან ერთად ბეჭდავს წერილს „მრუდე სარკეში“. საქმე ის გახლავთ, რომ მოსკოვში გამოქვეყნდა ვერმიშევის წიგნი „ამირსპასალარი“, რომელშიც ავტორი თამარისეულ საქართველოს „ქართულ-სომხურ სახელმწიფოდ“ მოიხსენიებს. წერს, რომ ივანე მხარგრძელი და იმდროინდელი მთელი მმართველი ელიტა სომხები იყვნენ. წიგნი, რომელშიც ავტორს სასურველი რეალობად ეჩვენება, მეცნიერებმა არგუმენტირებულად, წყაროებზე დაყრდნობით მკაცრად გააკრიტიკეს, ხოლო გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილის, გურამ გოგიაშვილის, ინიციატივით, რომელმაც ისარგებლა, საქართველოს იმდროინდელი ცეკას მდივნის იდეოლოგიურ დარგში – დევი სტურუას – თბილისში არყოფნით, წერილი სასწრაფოდ გაზეთში დაიბეჭდა. ავტორებს ამ სტატიამ დიდი უსიამოვნება შეახვედრა, როგორც საკავშირო დონეზე (სომხებს უპირატესი მდგომარეობა ეკავათ რუსეთის იმპერიის კარზე), ასევე, დევი სტურუას მხრიდან. მათ „მოძმე ერთან“ ურთიერთობის გამწვავებას აბრალებდნენ. ასეთი ბრალდება კი შეიძლება სავალალოდ დამთავრებულიყო. ავტორები კი ბრალდებას „გულუპრყვილოთ“ პასუხობდნენ: თუ მათ შეუძლიათ ჩვენი ქვეყნის ისტორიის გაყალბება, ჩვენ რატომ არ შეგვიძლია ამ სიყალბის გაბათილება?! პასუხი იყო მხოლოდ ერთი: არა, არ შეგიძლიათ. სამწუხაროდ, მსგავსი შემთხვევები მხოლოდ წარსულის კუთვნილებას არ წარმოადგენს.

1971 წელს გერმანელ მეცნიერთა მიწვევით ბატონმა შოთამ ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიის ლექ-

ციების კურსი წაიკითხა, რომელიც შემდეგ წიგნად დაიბეჭდა. მას კარგად ესმოდა, რომ საქართველოს ისტორია არ უნდა ყოფილიყო მხოლოდ სამეცნიერო წრის ინტერესთა საგანი, აუცილებლობას წარმოადგენდა სამშობლო ისტორიის გაცნობა მოსახლეობისთვის. ამიტომ იგი საზოგადოება „ცოდნის" ეგიდით საქართველოს მასშტაბით ხშირად კითხულობდა ლექციებს. მეცნიერის განსაკუთრებული ზრუნვის საგანი იყო საქართველოს ისტორიის სწავლებისა და მისი მნიშვნელობის გაზრდის საკითხები. მართალია, იმ წლებში სკოლებში შეზღუდული ფორმატით, მაგრამ მაინც ისწავლებოდა საქართველოს ისტორია. თუმცა ატესტატში ამ საგნის ნიშანი არ აისახებოდა. რაც, ვფიქრობ, მაჩვენებელია იმისა, რომ მშობლიურ ისტორიას მეორეხარისხოვანი საგნის დატვირთვა ჰქონდა მინიჭებული. როგორც აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის მოგონებიდან ვიგებთ: ერთხელ ბატონ შოთას შემთხვევით ხელში ჩაუვარდა ერევნის ერთ-ერთი სკოლის ატესტატი, რომელშიც სომხეთის ისტორიის ნიშანი იყო შეტანილი. მან სასწრაფოდ დაწერა გამოკვლევა სათაურით – „საცნობელად თავისაო", რომელშიც საუბრობდა იმის შესახებ, რომ საჭირო იყო საქართველოს ისტორიის სწავლება, როგორც დამოუკიდებელი საგნისა VIII-X კლასებში და ამ საგნის შეფასების შეტანა საშუალო განათლების ატესტატში. მან წერილს დაურთო ერევნის სკოლის ატესტატის ფოტო და გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" დასაბეჭდად გააგზავნა. 1971 წლის 11 ივნისის გაზეთში სტატია უცვლელად დაიბეჭდა. ამ ფაქტს დიდი გამოხმაურება მოჰყვა ქართულ საზოგადოებაში. როგორც ჩანს, შექმნილი ვითარება მან კარგად გამოიყენა და მოიპოვა უფლება ქართულ და არაქართულ სკოლებში საქართველოს ისტორიის კათედრის წევრებს აქტიურად დაეწყოთ შემოწმება საქართველოს ისტორიის სწავლების დონის განსაზღვრისათვის. შემოწმების შემდეგ დაიწერა ანგარიში, სადაც აისახა სწავლების ნაკლოვანებები და ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ საათები საქართველოს ისტორიის სწავლებისათვის ძალიან მცირე იყო. ბატონმა შოთამ დაწერა საბოლოო დასკვნა და სათანადო ორგანოებში გააგზავნა. ამ მონდომებამ შედეგი გამოიღო. მიიღეს გადაწყვეტილება, დაწერილიყო ახალი, უფრო ფართო ფორმატის სახელმძღვანელო, რადგან უკვე არსებული, მესხია-გუჩუას ავტორობით, მეთოდოლოგიური მოთხოვნებიდან გამომდინარე სწავლების მოკლე კურსს ითვალისწინებდა. სახელმძღვანელოს ფორმატის გაზრდა კი თავისთავად საათების გაზრდასაც გულისხმობდა. სამწუხაროდ, ბატონი შოთა თავისი გარჯის შედეგს ვეღარ მოესწრო. იგი გარდაიცვალა 56 წლის ასაკში, 1972

წლის 15 მაისს. მისი სწორი და მართალი ცხოვრებისა თუ მოღვაწეობის დადასტურებაა ისიც, რომ იგი დაკრძალულია ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდების პანთეონში.[1]

ორმოცდათექვსმეტი წელი ხანმოკლე სიცოცხლეა, განსაკუთრებით სამეცნიერო შემოქმედების თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა, შოთა მესხიამ ისეთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო მემკვიდრეობა დაგვიტოვა, რომლის მეცნიერული ღირებულება დღეს უფრო ფასეულია, ვიდრე გუშინ.

ისტორიას, როგორც მეცნიერებას, ბევრი ფუნქცია აკისრია. მათ შორის, გააჩნია მსოფლმხედველობითი დატვირთვა, რადგან იგი ქმნის დოკუმენტურ მოთხრობებს წარსულის მნიშვნელოვან მოვლენებზე. საზოგადოებრივ განვითარებაში ისტორიული ფაქტები ობიექტური რეალობაა. ფაქტოლოგიური მხარე წარმოადგენს ფუნდამენტს, რომელზეც დგას მეცნიერება საზოგადოების შესახებ. ისტორიული ფაქტების დადგენა მეცნიერულ კეთილსინდისიერებას, ფართო ცოდნასა და ნებისყოფას მოითხოვს. მოძიებული ფაქტების ანალიზის საფუძველზე კი ხდება წარსულის რეკონსტრუქცია. ეს ძალიან დიდი და შრომატევადი საქმეა, მით უფრო, როდესაც ისტორიკოსი მედიევისტიკაში მუშაობს. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართულ ისტორიოგრაფიაში შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის შესწავლას, რომლის ფუძემდებელი აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილია, ხოლო ამ საქმის გამგრძელებლები აკადემიკოსები: სიმონ ჯანაშია და ნიკო ბერძენიშვილი. შოთა მესხიას სამეცნიერო მოღვაწეობის ძირითადი სფეროა ქართული შუა საუკუნეები. კვლევებში იგი ეხება ფეოდალური საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პრობლემებას: სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის საკითხებს, ქალაქების ისტორიასა და საქალაქო წყობას.

მეცნიერმა მნიშვნელოვანი შრომა გასწია შუასაუკუნეების ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების შესწავლის საქმეში. როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, მისი პირველი სადისერტაციო ნაშრომი ნაწილობრივ, ხოლო მეორე მთლიანად ამ რთულ და მნიშვნელოვან პრობლემას ეხება. ქალაქისა და საქალაქო ცხოვრების ისტორიის შესწავლა მნიშვნელოვანი ფაქტორია, ზოგადად,

[1] შოთა მესხიასა და მისი ნაშრომების შესახებ იხ.: შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. I-II-III, თბ. 1982, 1983, 1986; შ. მესხია. თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის (მსკი). ნაკვ. I. თბ., 1939; შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი. თბილისის ისტორია. თბ. 1956; შ. მესხია. სიმონ ჯანაშია. თბ. 1950; Ш. А. Месхия, Я. З. Цинцадзе. Из истории русско-грузинских взаимоотношений. Тб. 1958; რ. მეტრეველი. შოთა მესხია. თბ. 1976.

ისტორიის სწორად გააზრების საქმეში, რადგან ქალაქის წარმოშობასთან, მის განვითარებასთან და ყოფასთან მრავალი საკითხია დაკავშირებული: პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, სამართლებრივი და კულტურული.

ქალაქი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის განვითარებაში, ეს იქნება ანტიკური, შუასაუკუნოვანი, ახალი თუ უახლესი პერიოდი. ქალაქის წარმოქმნა უშუალოდ სახელმწიფოს წარმოშობასთანაა დაკავშირებული. განსაკუთრებით შუასაუკუნეების ქალაქს აქვს თავდაცვითი ფუნქცია, ამიტომ მასში წარმოდგენილია საერო და საკულტო ნაგებობათა მთელი კოპლექსი, რაც თავისთავად მშენებლობისა და არქიტექტურის განვითარებას უწყობს ხელს. ქალაქზე გადის მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები, რომელსაც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გარდა, აკისრია გარე სამყაროსთან კულტურული კავშირების ფუნქციაც, რაც, თავის მხრივ, ქალაქს კულტურისა და წარმოების ცენტრად აყალიბებს. ქალაქში ვითარდება ხელოსნობა, ვაჭრობა, იგი განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერეს. ფეოდალურ სამყაროში ქალაქი არის ერთადერთი ადგილი, სადაც ყალიბდება საზოგადოების თავისუფალი ფენა შესაბამისი ფინანსური საყრდენით. ქალაქისა და საქალაქო ცხოვრების შესწავლის გარეშე გაჭირდება მთელი რიგი პოლიტიკური მოვლენების გააზრება. ქალაქს აქვს თავისი ურთიერთობა სახელმწიფოსთან, გააჩნია საკუთარი სამართლებრივი ბაზა, თვითმმართველობა და ა.შ.

ამდენად, გასაგები ხდება, თუ რა პასუხისმგებლობა აკისრია და როგორ სირთულეებთან აქვს საქმე მკვლევარს, რომელიც კვლევის საგნად შუასაუკუნოვან ქალაქს ირჩევს.

შოთა მესხიამ მნიშვნელოვანი შრომა გასწია ხელოსნური წარმოების შესწავლისათვის V-XII სს. საქართველოში. ხელოსნობა ქალაქის ყოფაცხოვრების აუცილებელ შემადგენელ ნაწილსაც წარმოადგენს. მან გამოარკვია ხელობისა და ხელოსნობის აღმნიშვნელი ტერმინები, ხელოსანთა სამუშაო იარაღების სახეობები და ძველი სახელწოდებები, აღადგინა ცალკეულ ხელოსანთა მუშაობის პროცესი, მათი სოციალური მდგომარეობა და კატეგორიები, განიხილა ხელოსანთა მიერ შექმნილი პროდუქცია. დაადგინა, რომ ძველ საქართველოში საკმაოდ განვითარებული, შუასაუკუნეებისათვის დამახასიათებელი ყველა სახეობის ხელოსნური დარგი არსებობდა.

დიდი შრომის შედეგს წარმოადგენს გამოკვლევა ქალაქისა და საქალაქო ცხოვრების შესახებ, რომელშიც შესწავლილია ფეოდალური საქართველოს ქალაქების ადგილი და როლი ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და პო-

ლიტიკურ ცხოვრებაში, მათი წარმოშობისა და განვითარების ეტაპები, ეკონომიკური მდგომარეობა, სასაქონლო წარმოებისა და ვაჭრობის განვითარება. ქალაქების დამოკიდებულება სამეფო ხელისუფლებასთან და ბრძოლა ფეოდალურ არისტოკრატიასთან. შესწავლილია საქალაქო წყობა და მისი მმართველობის ხასიათი, ხელოსნური და სავაჭრო ორგანიზაციები, ქალაქის გარეგანი სახე და სხვ.

ისტორიოგრაფიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხის, საქალაქო კომუნის რაობის შესწავლას მიუძღვნა მეცნიერმა ნაშრომი „საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში" (1962). მან დავით გვრიტიშვილთან ერთად მონოგრაფიულად პირველად შეისწავლა „თბილისის ისტორია" (1952), რომელშიც განხილულია საქართველოს დედაქალაქის კარდინალური საკითხები.

შოთა მესხია ალნიშნული შრომებით იმ ყამირის ათვისებას შეუდგა, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში შუასაუკუნოვანი ქალაქების ისტორიის ირგვლივ არსებობდა. ვფიქრობ, ეს პრობლემა დღესაც დგას, რაც კიდევ უფრო მეტად აძლიერებს ინტერესს და დასაფასებელს ხდის მეცნიერის მიერ გაწეულ შრომას.

1965 წელს დაისტამბა შოთა მესხიას ნაშრომი „დიდგორის ბრძოლა", ხოლო 1972 წელს გადამუშავებული სახით ხელმეორედ გამოიცა სახელწოდებით – „ძლევაი საკვირველი". საყოველთაოდ ცნობილია დიდგორის ბრძოლის მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში. მკვლევარმა, რომელიც გაკვრით მაინც შეხებია XI-XII საუკუნეების საქართველოს ისტორიას, გვერდი ვერ აუარა ამ საკითხს. ამ თემაზე ბევრი იწერებოდა და იწერება, მაგრამ დიდგორის ბრძოლის მონოგრაფიულად შესწავლის უპირატესობა დღესაც შოთა მესხიას ეკუთვნის. მართალია, ეს მნიშვნელოვანია, მაგრამ არა გადამწყვეტი. მთავარია, მკვლევარმა მკაცრად განსაზღვროს, თუ რა არის მისი კვლევის საბოლოო მიზანი, თორემ კვლევის რუტინა ნებისმიერი მკვლევრისთვის ერთნაირია, განსხვავება მხოლოდ შესაძლებლობებშია. ჩემი აზრით, ეს ნაშრომი საუკეთესოდ გამოხატავს, თუ რაში მდგომარეობს ისტორიკოსის ხელობა და რა მნიშვნელობა აქვს ისტორიის შესწავლას. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ისტორიული კვლევის პროცესში უნდა ვხედავდეთ ისტორიული კატეგორიებით აზროვნებას, უნდა შეგვეძლოს საზოგადოების დანახვა განვითარებაში, უნდა ვახდენდეთ საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენების შეფასებას მის წარსულთან მიმართებით და მოვლენათა განვითარების შედეგების განსაზღვრას. ასეთი მიდგომა ბადებს მოთხოვნილებას – მოვლენე-

ბი გავიაზროთ არა სტატიკაში, არამედ ისტორიულ პროცესში. ისტორიის შინაარსს წარმოადგენს ისტორიული პროცესი, რომელიც გამოიხატება ერის ცხოვრებაში. მათ შესახებ ცნობები შემორჩენილია ისტორიულ ძეგლებსა და წყაროებში. იგი მრავალფეროვანია და მისი სრულყოფილად გათვალისწინება – აუცილებელი. ისტორია, უპირველეს ყოვლისა, წარსულის რეკონსტრუქციაა, რომლის პროცესშიც უნდა იქნეს გამოყენებული ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, სამოქალაქო, სამხედრო, სახელმწიფო, სამართლისა და რელიგიის ისტორიების მონაცემთა ბაზა.

ვფიქრობ, ყველა ეს მოთხოვნა თუ აუცილებლობა საუკეთესოდ არის გამოყენებული და გათვალისწინებული აღნიშნულ ნაშრომში, რაც ემსახურება საბოლოო მიზანს: წარმოჩინდეს დიდგორის ბრძოლის, როგორც მოვლენის მნიშვნელობა ქართული სახელმწიფოს ძირითადი არსის გააზრებაში.

შოთა მესხიამ იასე ციცაძესთან ერთად რუსულ ენაზე გამოსცა წიგნი „საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა ისტორიიდან (X-XVIII სს.)“. ამ ნაშრომში განხილულია რუსეთის ინტერესები კასპიისპირეთში; ამიერკავკასიაში პირველობისათვის ბრძოლა რუსეთს, ირანსა და თურქეთს შორის; შესაბამისად, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა საკითხები რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ურთიერთობათა ფონზე. ვფიქრობ, ზედმეტია იმის ხაზგასმა, რომ ეს საკითხები დღესაც აქტუალურია. სამწუხაროდ, თანამედროვეობა მეცნიერთა ნააზრევის გათალისწინების აუცილებლობას ველარ ხედავს. უმბერტო ეკო სწორედ ამ მოვლენის შესახებ გამოხატავს გულისტკივილს, როდესაც ერთ-ერთ თავის ინტერვიუში შემდეგი შინაარსის პასუხს იძლევა: „თუ ადრე ხელისუფლებები გარკვეული პოლიტიკური ამბიციების განხორციელებისათვის რჩევებს ცნობილი მეცნიერებისგან იღებდნენ, ვთქვათ, ამა თუ იმ ერის მენტალობის თავისებურების შესახებ, ახლა ამგვარი პრაქტიკა ალარ არსებობს. რამ გამოიწვია ასეთი უკულტურობა? ეპიდემიასავით გაურცელდა ისტორიის შეგრძნების დაკარგვა. ისტორია თავისთავად თაობებს შორის კავშირის შენარჩუნების საუკეთესო საშუალებაა. ვფიქრობ, სწორედ ამ კავშირის გაწყვეტის სურვილით არის გამოწვეული წარსულის გაუთვალისწინებლობა“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისტორიის შინაარსს წარმოადგენს ისტორიული პროცესი, რომელიც გამოიხატება კაცობრიობის ცხოვრებაში. ამის შესახებ ცნობები შემორჩენილია ისტორიულ ძეგლებსა და წყაროებში. ამდენად, ისტორიკოსის კვლევებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია წყაროების გამოვლენას, დამუშავებას, შესწავლას, თარგმნასა და გამოცემას.

შოთა მესხიას სახელთან არის დაკავშირებული ისეთი მნიშვნელოვანი საგვარეულო მატიანეს დედნის მიკვლევა, ყოველმხრივ შესწავლა და სამეცნიერო გამოცემის განხორციელება, როგორსაც წარმოადგენს „ძეგლი ერისთავთა“.

ისტორიოგრაფიის, როგორც მეცნიერების, სავალდებულო ნაწილია მკვლევრის მემკვიდრეობის შესწავლა, რაც საშუალებას იძლევა კარგად წარმოჩინდეს აზრის განვითარება. აზრის განვითარების წარმოჩენა აუცილებელია, რადგან მეცნიერული კვლევა მხოლოდ გამოცდილების გათვალისწინებით შეიძლება იყოს წარმატებული. კვლევის წარმატებულობა კი მეცნიერების წინსვლის გარანტიაა. ალბათ, ამ აზრის გათვალისწინებით შოთა მესხიამ საინტერესო კვლევები მიუძღვნა ისტორიკოსებს: თეიმურაზ ბატონიშვილსა და სიმონ ჯანაშიას. ამ ნაშრომებს დღესაც არა გააჩნიათ ალტერნატივა.

ზემოთ ნათქვამი, ბუნებრივია, არ გულისხმობს იმას, რომ შოთა მესხიას სამეცნიერო მემკვიდრეობის მიმართ კრიტიკა არ შეიძლება არსებობდეს. სადღაც წამიკითხავს: „ღირსეული მხოლოდ ის კი არ არის, რასაც ნაკლი არ გააჩნია, არამედ ისიც რაც ღირსებას ფლობს“. სწორედ ამ პრინციპის გათვალისწინებით დაიწერა ეს წერილი.

შოთა მესხიას გარდაცვალების შემდეგ ნაშრომს – „ძლევაჲ საკჳრველი“ – მისი მასწავლებლის, სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემია მიენიჭა, ხოლო ბატონი შოთას ერთ-ერთი მოწაფე, თავისი მასწავლებლის შესახებ წერდა: „ბატონი შოთა, როგორც პიროვნება, უპირველეს ყოვლისა, გამოირჩეოდა უპრეტენზიობის სიმშვენიერით, თვალში საცემი კარგი გარეგნობით, განუმეორებელი გულთბილობით, გადამდები სიმშვიდით. ადვილად მიუტევებდა მისატევებელს, მუდამ სჯეროდა კეთილი მომავლის, უყვარდა ნიჭიერი კაცი, იყო შესანიშნავი მეცნიერ-ხელმძღვანელი, მოვალეობის მტკიცე შეგნებით. ყოველთვის ახდენდა ზნეობრივ ზეგავლენას, შესანიშნავად ფლობდა წინამძღოლის ხელოვნებას... ბატონი შოთასთვის მეცნიერება, უპირველეს ყოვლისა, დაფარულის ხილვა იყო და არა უკვე ხილულისათვის მზარის დაჭერა ან პირიქით“.[2]

გადაეკვლეთ რა თვალი მეცნიერის საზოგადოებრივ მოღვაწეობასა და სამეცნიერო მემკვიდრეობას, დღევანდელი გადასახედიდან კიდევ უფრო დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, შოთა მესხია – ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის ღირსეული მემკვიდრეა.

[2] გ. ნადირაძე, წერილი – „ერის ღონე მოამაგე შვილია“. წგნ. „მე სტუმარი ვარ ღედამიწაზე“. თბ. 2005. გვ. 88.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XI
თბილისი. 2016

ლერი თავაძე

პროტოსტრატორი VIII-XII საუკუნეების ბიზანტიასა და საქართველოში

პროტოსტრატორი (πρωτοστράτωρ) ბერძნული ტერმინია და სიტყვა-სიტყვით ნიშნავს უპირველესს სტრატორთა შორის. იმისთვის, რომ უფრო ნათელი გახდეს პროტოსტრატორის მნიშვნელობა და ფუნქციური დატვირთვა, აუცილებლია განვიხილოთ როგორც პროტოსტრატორის თანამდებობის ჩამოყალიბების ისტორია, ასევე, სტრატორთა ინსტიტუტი ბიზანტიის იმპერიაში.[1]

სტრატორი ბერძნულად მეჯინიბეს ნიშნავს და წერილობით წყაროებში ხშირად გადმოიცემოდა იპოკომოსის ფორმით.[2] საიმპერატორო კარის გარდა, სტრატორები ჰყავდათ სხვადასხვა მაღალი ჩინის მქონე პროვინციის ადმინისტრატორებსაც. მათი მეთაური თავლის კომესი (κόμης τοῦ σταύλου) იყო,

[1] VIII-XI საუკუნეების სტრატორთა სხოლისა და პროტოსტრატორის შესახებ იხილეთ შემდეგი სპეციალური ლიტერატურა: J. B. Bury. Imperial Administrative System of the Ninth Century: With a Revised Text of the Kletorologion of Philotheos. London. 1911. გვ. 117-118; A. Hohlweg. Beiträge zur Verwaltungs-geschichte des Oströmischen Reiches unter den Komnenen. Munich. 1965, გვ. 111-117; R. Guilland. Recherches sur les institutions byzantines. I. Amsterdam. 1967, გვ. 478-497; N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle. Paris. 1972, გვ. 286, 292, 298-299, 307, 337-339; The Oxford Dictionary of Byzantium. Vol. III. Ed. by A. P. Kazhdan. Oxford. 1991, გვ. 1748-1749, 1967; ბიზანტიის იმპერიის სტრატორებისა და პროტოსტრატორის შესახებ ცნობებს ვაწყდებით არაერთ საისტორიო წყაროში, მათ შორის იხილეთ: The Chronicle of Theophanes Confessor: The Byzantine and Near Eastern History AD 284-813. Trans. with introd. and comm. by C. Mango and R. Scott. Clarendon Press: Oxford. 1997. გვ. 533, 560. 605, 621; N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle. გვ. 52-53, 60-61. 90-91, 102-103, 108-109, 120-121, 140-141, 144-145, 154-155, 192-193, 204-205, 226-229, 232-233, 248-249, 270-271; Genesios. On the Reigns of the Emperors. Trans. and comm. by A. Kaldellis. Canberra. 1998. გვ. 8, 98; Продолжатель Феофана. Жизнеописания византийских царей. Изд. подг. Я. Н. Любарский. 2-е изд. Испр. и доп. СПб. 2009. გვ. 151; John Skylitzes. A Synopsis of Byzantine History: 811–1057. Trans. by John Worthley. Cambridge University Press. 2010. გვ. 402; G. Schlumberger. Sigillographie de l'empire byzantin. Paris. 1884, გვ. 358, 696; Corpus of Byzantine Seals from Bulgaria. Vol. III. Part I: text. Edited by Ivan Jordanov. Sofia. 2009. გვ. 258-260, 299, 382, 399.

[2] The Oxford Dictionary of Byzantium. III. გვ. 1967.

ხოლო მოგვიანებით სტრატორთა დომესტიკოსი.[3] სტრატორი მეჯინიბის მოვალეობას ითავსებდა, მას ევალებოდა ცხენების მოვლა და მათი აღკაზმვა. ამბედრებული იმპერატორის ხლება და მომსახურეობა სტრატორთა ყველაზე საპატიო მოვალეობა იყო.[4]

ბიზანტიის იმპერატორის კარზე სტრატორები დამოუკიდებელ სხოლას ჰქმნიდნენ. როგორც ჩანს, იმისთვის, რომ მომხდარიყო საიმპერატორო კარის მომსახურე პერსონალის სხვებისგან გამორჩევა, მათ საიმპერატორო სტრატორიკიონის სტრატორებს უწოდებდნენ.[5] აღნიშნულ ჯგუფს პროტოსტრატორი მეთაურობდა. ეს უკანასკნელი თავდაპირველად გარკვეული სახელოს ხელმძღვანელის მოვალეობას ასრულებდა. ის, რომ თავდაპირველად პროტოსტრატორი ტიტული არ არის, იქიდანაც ჩანს, რომ 713 წელს გიორგი პატრიკიოსისა და ოფსიკიონის თემის კომესის ბრძანებით ვინმე რუფუსი, რომელიც ოფსიკიონის პროტოსტრატორად იწოდება, უეცრად შემოდის ქალაქ კონსტანტინოპოლში და დაამხობს იმპერატორ ვარდან-ფილიპიკის ხელისუფლებას.[6] აქედან ჩანს, რომ ოფსიკიონის პროტოსტრატორი რუფუსი ამავე თემის კომესის, გიორგი პატრიკიოსის, დაქვემდებარებაშია.

ზემოხსენებული ფუნქციიდან გამომდინარე, პროტოსტრატორის მოვალეობა დიდად არ განსხვავდებოდა თაელის კომესისა და სტრატორთა დომესტიკოსის ფუნქციებისგან. ყველა ეს თანამდებობის პირები მეჯინიბეთა სხვადასხვა უწყებებს ხელმძღვანელობდნენ. ამავე დროს, მეჯინიბეები, ანუ სტრატორები ჰყავდათ მრავალი სხვა უწყების წარმომადგენლებსაც.[7] პროტოსტრატორის დაქვემდებარებაში მოექცა სტრატორთა ის ნაწილი, რომელიც სტრატორიკიონის სტრატორებად იწოდებიან.

პროვინციის მეთაურის დაქვემდებარებაში მყოფი პროტოსტრატორთა საიმპერატორო კარის პროტოსტრატორებისგან გამორჩევის მიზნით ამ უკანასკნელებს – βασιλικός πρωτοστράτωρ – საიმპერატორო კარის პროტოსტრატორი ეწოდებათ. ამ თანამდებობაზე კონსტანტინე V კოპრონიმუსის (741-

[3] The Oxford Dictionary of Byzantium. III, გვ. 1967; The Chronicle of Theophanes Confessor, 539.

[4] R. Guilland. Recherches sur les institutions byzantines. I, გვ. 478; The Oxford Dictionary of Byzantium. III. გვ. 1967.

[5] The Oxford Dictionary of Byzantium. III, გვ. 1967.

[6] The Chronicle of Theophanes Confessor, გვ. 533; R. Guilland. Recherches sur les institutions byzantines. I, გვ. 478.

[7] Constantine Porphyrogennetos. The Book of Ceremonies. Trans. by Ann Moffati and Maxeme Tall with Greek edition of the CSHB (Bonn, 1829). Vols. I-II. Canberra. 2012, გვ. 736.

775 წწ.) დროს დანიშნული იყო კონსტანტინე სპათარიოსი, ვარდან პატრიკიოს ძე, რომელიც ხატთაყუანისმცემლების წინააღმდეგ განხორციელებულ რეპრესიებს შეეწირა.[8]

საიმპერატორო კარის პროტოსტრატორის გავლენა მოგვიანებით კიდევ უფრო იზრდება. აღნიშნული კარგად ჩანს მანუელ პროტოსტრატორის მაგალითზე, რომელიც ამ სახელოს მიქაელ I რანგაბეს (811-813 წწ.) მმართველობის დროს ფლობდა, ხოლო მოგვიანებით მნიშვნელოვნად დაწინაურდა.

ლეონ V არმენიელის (813-820 წწ.) მმართველობის დროს მანუელი ანატოლიკონის თემის სტრატეგოსი და პატრიკიოსია. თეოფილეს (829-842 წწ.) იმპერატორობის დროს სხოლათა დომესტიკოსის თანამდებობას ითავსებს და მისმა გმირობამ სიკვდილისგან იხსნა ბიზანტიის იმპერატორი, რის შედეგადაც მანუელი მაგისტროსის ტიტულით დააჯილდოვეს. მანუელის კარიერა კარგად აჩვენებს საიმპერატორო კარის პროტოსტრატორის თანამდებობის მქონე პირის დაწინაურებას ბიზანტიის იმპერიაში.[9]

პროტოსტრატორობის გაზრდილი მნიშვნელობის მაჩვენებელია იმპერატორ მიქაელ II ამორიელის (820-829 წწ.) კარიერა. ის პროტოსტრატორია მისი წინამორბედი იმპერატორის, ლეონ V არმენიელის კარზე.[10] გენესიოსის სიტყვებით, მიქაელს ჯერ კიდევ იმპერატორი ლეონის მმართველობის დროს, როდესაც იგი პროტოსტრატორი იყო, უწინასწარმეტყველებდნენ იმპერატორობას.[11]

რ. გიანის სიტყვებით რომ ვთქვათ, IX საუკუნეში პროტოსტრატორის სახელო სულ უფრო და უფრო მეტად საინტერესოა ხდება.[12] ამ კუთხით მნიშვნელოვანია კიდევ ერთი იმპერატორის, ბასილი I მაკედონელის (867-886 წწ.), კარიერა. ბასილმა, სანამ იმპერატორი გახდებოდა, სამსახური დაიწყო გაელენიან არისტოკრატ თეოფილიცესთან, რომელიც იმ დროს პროტოსტრატორი იყო. თეოფილიცემ იგი საიმპერატორო კარის სტრატორთა რიგებში ჩარიცხა, რასაც მოჰყვა ბასილის დაწინაურება ახალგაზრდა იმპერატორის მიქაელ III-ის მიერ.

ბასილი ხდება ჯერ პროტოსტრატორი, შემდეგ ერთიმეორეს მიყოლებით პატრიკიოსი, პარაკიმომენოსი, მაგისტროსი, კეისარი, თანაიმპერატორი და ბო-

[8] The Chronicle of Theophanes Confessor, გვ. 605; R. Guilland. Recherches sur les institutions byzantines. I, გვ. 478.

[9] The Chronicle of Theophanes Confessor, გვ. 605; R. Guilland. Recherches sur les institutions byzantines. I, გვ. 478.

[10] The Chronicle of Theophanes Confessor, გვ. 605; R. Guilland. Recherches sur les institutions byzantines. I, გვ. 478-479; Genesios. On the Reigns of the Emperors. გვ. 8.

[11] Genesios. On the Reigns of the Emperors. გვ. 8.

[12] R. Guilland. Recherches sur les institutions byzantines. I, გვ. 479

ლოს, იმპერატორის მკვლელობის შემდეგ, თავად გახდა ბიზანტიის იმპერატორი.[13]

ჩვენ ხელთ არსებული ყველაზე ადრეული ე.წ. „უსპენსკის ტაკტიკონი“ (842-843 წწ.) პირველი ტაკტიკონია, რომელიც გვაწვდის ცნობებს პროტოსტრატორის იერარქიული მდგომარეობის შესახებ.[14] „უსპენსკის ტაკტიკონის“ მიხედვით, პროტოსტრატორის ტიტული ხარტულარიოსების შემდეგ იკავებს საპატიო ადგილს. მასზე ზემოთ დგანან უმაღლესი რანგის საკარისკაცო ტიტულის მფლობელები (კეისარი, ნოველისიმოსი, კურაპალატი და ა.შ. მათი დიდი ნაწილი ამ პერიოდში, როგორც წესი, ვაკანტური იყო), პატრიკიოსები, პროტოსპათარიოსები, ოსტიარიოსები, ანთიპატოსები, ლოგოთეტები, დრუნგარიოსები, დომესტიკოსები, ხარტულარიოსები და სხვა.[15]

ამგვარი მოცემულობა გვიჩვენებს, რომ პროტოსტრატორის მდგომარეობა ბიზანტიის იმპერიაში არ იყო ძალიან მაღალი. მიუხედავად გარკვეული სამხედრო დატვირთვისა, პროტოსტრატორი შედარებით დაბალი რანგის მოხელეა, რომლის ზემოთაც იდგა ბიზანტიური თემის ყველა სტრატეგოსი. ისინი სტრატეგოსის თანამდებობასთან ერთად პატრიკიოსის ტიტულსაც ფლობდნენ, რაც მათ პროტოსტრატორზე ძალლა აყენებდა. აღნიშნულ პერიოდში პროტოსტრატორი თანამდებობა უფროა, ვიდრე რაიმე სახის ბიზანტიური საკარისკაცო ტიტული. აღნიშნული თანამდებობის მქონე პირის მდგომარეობა, თუ ის მხოლოდ პროტოსტრატორი გახლდათ, ბიზანტიურ იერარქიაში არ იყო მაღალი.

პროტოსტრატორის თანამდებობის მქონე პიროვნებას შეეძლო ეტარებინა კონკრეტული სენატორული ღირსება ტიტულის სახით, რაც, ბუნებრივია, მისი გავლენისა და მდგომარეობის ამაღლების წინაპირობა შეიძლებოდა გამხდარიყო. ამ თანამდებობის მეშვეობით, რომელიც საშუალებას იძლეობა იმპერატორთან ახლო ურთიერთობა ჰქონოდა კონკრეტულ პირს, იზრდებოდა შანსი იმისა, რომ ის იმპერატორის კარზე კიდევ უფრო მეტად დაწინაურებულიყო. ამგვარი სახით დაწინაურებულ პიროვნებებს შორის სულ მცირე ორი ისტორიული პირი ბიზანტიის იმპერატორიც გახდა.

სტრატორების მდგომარეობა, იმავე „უსპენსკის ტაკტიკონის“ მიხედვით, გაცილებით დაბალი იყო. პროტოსტრატორის დაქვემდებარებაში მყოფი საიმპერატორო კარის სტრატორები იერარქიაში შედარებით უფრო დაბალ

[13] R. Guilland. Recherches sur les institutions byzantines. I, გვ. 479.
[14] N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle, გვ. 52-53.
[15] N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle, გვ. 46-53.

საფეხურზე იდგენ.[16] მათზე დაწინაურებული მოჩანს ტუმარხები, სხვადასხვა მხარის არხონტები, კუბიკულარიოსები, სპათარიოსები, დემარხოსები, ასეკრეტისები და სხვა. თუმცა ამავე დროს ისინი პროტოსტრატორზე დაბალ საფეხურზე დგანან.[17] მიუხედავად აღნიშნულისა, სტრატორების სხოლა არ მიეკუთვნებოდა სასახლის ყველაზე დაბალი რანგის სხოლათა რიცხვს და იმავე ტაკტიკონის მიხედვით მისი მდგომარეობა უფრო მაღალი იყო, ვიდრე კანდიდატოსების, ვესტიტორების, სილენტიარიოსების, მანდატორების და ა.შ.[18]

899 წელს შედგენილ ფილოთეოსის „კლეტოროლოგიონში“ პროტოსტრატორის სახელოს მფლობელი იერარქიაში 48-ე ადგილზეა დასახელებული.[19] აქ ჩამოთვლილია ის ტიტულები და სახელოები, რომლებიც 899 წელს, იმპერატორ ლეონ VI ბრძენის დროს, ეკავა კონკრეტულ პიროვნებებს. თუმცა უშუალოდ მფლობელთა ვინაობა დასახელებული არ არის. ეს თანამდებობები თუ ტიტულები იმპერატორის ბრძანებით გაიცემოდა და განსხვავდებოდა იმ წოდებისგან, რომლებიც კონკრეტულ მფლობელს ინსიგნიასთან ერთად გადაეცემოდა.

ინსიგნიის მფლობელთა შორის იყვნენ სტრატორები.[20] ესენი ფორმალურად პროტოსტრატორის დაქვემდებარების ქვეშ იოვლებოდნენ, თუმცა ძალაუფლების ნიშანს იმპერატორის ხელით იღებდნენ[21] და არა პროტოსტრატორის განკარგულებით. სტრატორების ინსიგნიას ოქროს მათრახი წარმოადგენდა, რომელიც ძვირფასი ქვებით იყო შემკული.[22] სტრატორობა ამ დროს ტიტულის სახით გაიცემა და სრულებით არ არის სავალდებულო ის მეჯინიბის მოვალეობას ასრულებდეს. ბიზანტიური სფრაგისტიკის მასალების მონაცემებით, როგორც წესი, VIII-IX საუკუნეებში ის დაბალი რანგის სამხედრო ოფიცრებსა და პროვინციული ადმინისტრაციის წევრებს გადაეცემოდათ.[23]

ძირითადი განსხვაება ინსიგნიის მფლობელ 18 იერარქსა და საიმპერატორო ბრძანებით დამტკიცებულ 60 ტიტულისა და თანამდებობის მფლობელთა შორის ის არის, რომ პირველებს თავიანთი წოდება ძალაუფლების ნიშნებთან, ანუ ინსიგნიებთან ერთად გადაეცემოდათ, ხოლო მეორე ნაწილს –

[16] N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle. გვ. 60-61.
[17] N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle. გვ. 52-61.
[18] N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle. გვ. 60-63.
[19] N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle. გვ. 102-103.
[20] J. B. Bury. Imperial Administrative System of the Ninth Century. გვ. 22; N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle. გვ. 90-91.
[21] N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle. გვ. 90-91.
[22] J. B. Bury. Imperial Administrative System of the Ninth Century, გვ. 22; N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle. გვ. 90-91.
[23] The Oxford Dictionary of Byzantium. III. გვ. 1967.

მის გარეშე. ამასთანავე, როგორც ფილოთეოსთან არის მითითებული, ეს უკანასკნელი ხშირად სხვა მფლობელზე გადადიოდა და მათ უფრო თანამდებობის საზე ჰქონდათ, ვიდრე ზემოდასახელებულ ინსიგნიის მფლობელ 18 იერარქს. თანმდებობის პირები უფრო ხშირად იცვლებოდნენ, ხოლო ტიტულის მფლობელები იშვიათად. ამავე დროს უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ინსიგნიის მფლობელთა წოდებები უფრო გაელენიანი, პრესტიჟული და მაღალანაზღაურებადი იყო, ვიდრე თანამდებობის პირთა სახელოები. ამავე დროს, ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ერთიდაიგივე პიროვნება ორივეს ითავსებდა, ძალაუფლების ნიშნის მქონებელ ტიტულს და თანამდებობას. ამას განსაკუთრებით ხშირად ჰქონდა ადგილი სტრატეგოსის სახელოს გაცემის პერიოდში, როდესაც სტრატეგოსის თანამდებობასთან ერთად, როგორც წესი, პატრიკიოსის ან უფრო მაღალი სახის (მაგ. ანთიპატოს პატრიკიოსი) ტიტული გაიცემოდა.

ფილოთეოსის „კლეტოროლოგიონის" მიხედვით, პროტოსტრატორი დასახელებულია შვიდ გამორჩეულ იერარქთა შორის. თანმიმდევრობის მიხედვით, უფროს-უმცოსობის წესის დაცვით, ის ასახელებს შემდეგ იერარქებს:

„პასილეოპატორი; რეკტორი; სვინგელოზი; კანიკლეოსის ბარტულარიოსი; პროტოსტრატორი; კატასტასეოსი; საიმპერატორო ძალების დომესტიკოსი".[24]

პროტოსტრატორის თანამდებობის გამორჩეულთა შორის დასახელება, ერთი შეხედვით, გასაკვირია, ვინაიდან სხვა შემთხვევაში, როგორც ზემოთ ვიხილეთ, ის თანამდებობის პირთა შორის 48-ე საფეხურზეა დასახელებული.[25] მაგრამ აღნიშნულ 47 თანამდებობის პირთა შორის დიდი ნაწილი ოემის სტრატეგოსებია, რომლებიც, ამავე დროს, პატრიკიოსის ან ანთიპატოს-პატრიკოსის ტიტულებს ფლობს. უპირატესთა შორის არიან, ასევე, ბასილეოპატორი, რეკტორი და სვინგელოზი, რომელთა იერარქიული მდგომარეობა შედარებით უფრო მაღალი იყო, ვიდრე პროტოსტრატორის ან თუნდაც რომელიმე ცალკე აღებული სტრატეგოსის. ზემოხსენებული ტიტულებისა და თანამდებობების გარდა, პროტოსტრატორზე ზემოთ მხოლოდ ცალკეული გავლენიანი მოხელეები არიან დასახელებულნი.[26] იმავე ფილოთეოსის მიხედვით, პროტოსტრატორი დასახელებულია იმ თანამდებობის პირთა შორის, რომელთაც ენიჭება ანთიპატოს-პატრიკიოსის ტიტული.[27] ამ კუთხით პრო-

[24] N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle. გვ. 108-109.
[25] N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle, გვ. 102-103.
[26] N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle, გვ. 100-103.
[27] N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle. გვ. 140-141; Constantine Porphyrogennetos. The Book of Ceremonies. გვ. 729.

ტოსტრატორი გარკვეულწილად გათანაბრებულია ბიზანტიური თემების სტრატეგოსებთან, თუმცა რანგით მაინც მათზე დაბლა დგას. ფილოთეოსთან ანთიპატოს-პატრიკიოსის ტიტულის მფლობელი სტრატეგოსები პროტოსტრატორზე წინ არიან დასახელებულნი.[28]

„კლეტოროლოგიონის" ავტორის მიხედვით, პროტოსტრატორი შეიძლება, ასევე, იყოს პროტოსპათარიოსის ტიტულის მფლობელიც.[29] IX-X საუკუნეების ბიზანტიის იმპერიაში პროტოსპათარიოსის ტიტულის მქონე პროტოსტრატორები მრავლად იყვნენ, თუმცა, როგორც ზემოთ ვიხილეთ, ამ სახელოს მფლობელებს შეეძლოთ მიეღოთ უფრო მაღალი – ანთიპატოს-პატრიკიოსის – ტიტული.

ფილოთეოსის ტაქტიკონის მიხედვით, პროტოსტრატორის დაქვემდებარებაში სამი რანგის მოხელეები ჩანან, ესენია: 1. სტრატორები; 2. არმოფილაკები; 3. სტავლოკომეტები.[30]

სტრატორებში საიმპერატორო კარის სტრატორები, ანუ მეჯინიბეები იგულისხმება, რომლებიც, როგორც იმპერატორის მომსახურე პერსონალი, მისივე სასახლის კარზე მსახურობდნენ. მათ სწორედ იმპერატორის თავლაზე ზრუნვა ევალებოდათ. სტრატორები სხვადასხვა სახის იყვნენ, თუმცა პროტოსტრატორის დაქვემდებარებაში საიმპერატორო კარის სტრატორიკიონის სტრატორები იყვნენ.[31]

იმპერატორ კონსტანტინე VII პორფიროგენეტის (913-959 წწ.) „ცერემონიების წიგნის" მიხედვით, საიმპერატორო კარზე მრავალი სახის სტრატორები, ანუ მეჯინიბეები იყვნენ წარმოდგენილი. მათ შორის: ხრისოტრიკლინოსის, მანგლავიონის, ლაუსიაკოსის და ისინი, რომლებიც საიმპერატორო კარის ასეკრეტოსებია. ასევე, დასახელებულია საიმპერატორო კარის სტრატორიკიონის სტრატორები და სხვა.[32] ამათგან, როგორც აღვნიშნეთ, პროტოსტრატორი სტრატორიკიონის სტრატორებს მეთაურობს. მსგავსი ცნობებია მოყვანილი ფილოთეოსთანაც, სადაც ისინი პატივის მიხედვითაა დალაგებული, როგორც ეს შეეფერება ბიზანტიის იმპერიის მკაცრად იერარქიულ სიტემას.[33]

---

[28] N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle, გვ. 136-141; Constantine Porphyrogennetos. The Book of Ceremonies. გვ. 727-729.

[29] N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle, გვ. 144-145 ; Constantine Porphyrogennetos. The Book of Ceremonies. გვ. 731.

[30] N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle. გვ. 120-121.

[31] N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle. გვ. 338.

[32] Constantine Porphyrogennetos. The Book of Ceremonies, გვ. 736.

[33] N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle. გვ. 154-155.

არმოფილაკებთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. ჯ. ბ. ბიური ფიქრობს, რომ ისინი არმატის მეთაურები არიან, საუბარია საიმპერატორო კარის აღჭურვილობაზე.[34] ხოლო ნ. ოიკონომიდისის მიხედვით, არმოფილაკები მეეტლეები არიან, რომელთა მოვალეობა სამპერატორო კარის ეტლების მოვლა-პატრონობა იყო.[35] ნ. ოიკონომიდისის აზრით, პროტოსტრატორის თანამდებობისთვის უფრო შესაფერისი სწორედ მეეტლეების მეთაურობა იყო, შესაბამისად, მკვლევარი ბერძნული ტერმინის პირველი გრაფემის თავისებურ წაკითხვას გვთავაზობს, რაც უფრო ახლოს უნდა იყოს სიმათლესთან.

სტავლოკომეტები, ფილოთეოსის „კლეტოროლოგიონის" მიხედვით, პროტოსტრატორის დაქვემდებარებაში მყოფი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ჯგუფია. მათი მოვალეობა იყო ცხენებით მომარაგება, აქ შედიოდა, როგორც ქალაქური ცხენები (როგორც ჩანს, განკუთვნილი საზეიმო მსვლელობისთვის), ასევე სატვირთო დანიშნულების მქონე ცხოველები. არსებობდა, როგორც კონსტანტინოპოლის, ანუ ქალაქის სტავლოკომეტის თანამდებობა, ასევე, უბრალოდ, სტავლოკომეტების სახელოები.[36] ისინი, ვინც ფილოთეოსთან უბრალოდ სტავლოკომეტებად იხსენიებიან, პროვინციებში უნდა ყოფილიყვნენ განაწილებულნი. კონსტანტინე პორფიროგენეტის „ცერემონიების წიგნში" ასეთი ორი პირია დასახელებული, ხოლო ქალაქის სტავლოკომეტი, რომელიც ამათზე წინ არის მოხსენიებული და უპირატესი პატივით სარგებლობდა, ერთია.[37] ეს უკანასკნელი კონსტანტინოპოლის სტავლოკომეტი უნდა იყოს.

სტავლოკომეტების მოვალეობა იყო თვალყური ედევნებინათ სატვირთო ცხენებისა და მათი აღჭურვილობისათვის. როდესაც ბიზანტიის იმპერატორი საიმპერატორო კართან ან არმიასთან ერთად მიემგზავრებოდა შორეულ პროვინციებში, სტავლოკომეტები ვალდებულები იყვნენ სატვირთო ცხენებისა და აღჭურვილობისთვის მიეხედათ. ამ კუთხით კონსტანტინე პორფიროგენეტთან მოყვანილია იმპერატორის სირიაში გამგზავრების მაგალითი.[38]

როდოლფ გიანის აზრით, სტავლოკომეტები საჯინიბოს მომსახურე პერსონალს წარმოადგენდნენ, რომელთაგან პროვინციაში განწესებული ორი სტავლოკომეტი მალაგინის მსახურეულ ფენას წარმოადგენდა. აღნიშნული ცენტრი

[34] J. B. Bury. Imperial Administrative System of the Ninth Century: With a Revised Text of the Kletorologion of Philotheos. London. 1911, გვ. 118.
[35] N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle, გვ. 338 ; The Oxford Dictionary of Byzantium. III, გვ. 1749.
[36] Constantine Porphyrogennetos. The Book of Ceremonies, გვ. 478-479.
[37] Constantine Porphyrogennetos. The Book of Ceremonies, გვ. 478-479.
[38] Constantine Porphyrogennetos. The Book of Ceremonies, გვ. 490.

ბიზანტიის იმპერიის ერთ-ერთი უმთავრესი მომმარაგებელი იყო ცხენებით.[39] თავად მალაგინა ბითვინიაში მდებარეობდა მდინარე სანგარიოსის ველზე. ეს ოლქი ცხენების ერთ-ერთი უმთავრესი ექსპორტიორი იყო დედაქალაქში და, შესაბამისად, სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნდა.[40]

პროტოსტრატორის როლი საიმპერატორო კარის ცერემონიალების დროს საგულისხმო ჩანს. საისტორიო წყაროები დეტალურად აღწერენ ბიზანტიის იმპერატორის კარზე მიმდინარე ცერემონიებს. ამ კუთხით მრავალი მნიშვნელოვანი ინფორმაცია არის დაცული კონსტანტინე VII პორფიროგენეტის „ცერემონიების წიგნში".[41] განსაკუთრებით საგულისხმოა პროტოსტრატორის მონაწილეობა გამარჯვების აღსანიშნავად მოწყობილი ტრიუმფალური მსვლელობის დროს, რომელიც რელიგიური პროცესიის პარალელურად მიმდინარეობდა კონსტანტინეს ფორუმზე.[42] „ცერემონიების წიგნის" მიხედვით, აღნიშნულ მსვლელობაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა პროტოსტრატორს. იგი იმპერატორს კონსისტორიონის ცენტრში საიმპერატორო შუბით ხელში ხვდებოდა, რომლის თავზეც ალამი იყო დამაგრებული ჭეშმარიტი ჯვრით. ეს უკანასკნელი კონსტანტინე პორფიროგენეტთან ცხოვლისმყოფელ და გამარჯვების მომპოვებელ ჯვრად არის დასახელებული.[43] სწორედ საიმპერატორო შუბისა და მასზე დამაგრებული ჯვრის ტარების საპატიო უფლება პროტოსტრატორის პრივილეგია იყო. აქედან ჩანს, რომ ის იმპერატორის ერთ-ერთ ყველაზე დაახლოებულ თანამდებობის პირს წარმოადგენდა და საპატიო ადგილი ეკავა სასახლეში.

პროტოსტრატორის იერარქიული მდგომარეობა თითქმის უცვლელია 934-944 წლებში შედგენილი „ბენეშევიჩის ტაკტიკონის" ცნობით, რომლის მიხედვითაც მასზე უპირატესი მდგომარეობა უკავია თემის სტრატეგოსებს, ხარტულარიოსებსა და სხვა თანამდებობის პირებს.[44] ამ მხრივ განსხვავება ფილოთეოსის „კლეტოროლოგიონთან" პრაქტიკულად არ შეიმჩნევა. დაახლოებით ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს იოანე I ციმისხის (969-976 წწ.) იმპერატორობის დროს შედგენილ ე.წ. „ეკურიალის ტაკტიკონში" (971-975 წწ.), რომელშიც დაფიქსირებული ცვლილებები წინა ტაკტიკონთან შედარებით უმნიშვნელოა.[45]

[39] R. Guilland. Recherches sur les institutions byzantines. I, გვ. 480.
[40] The Oxford Dictionary of Byzantium. Vol. II. Ed. by A.P. Kazhdan. Oxford. 1991, გვ. 1274.
[41] R. Guilland. Recherches sur les institutions byzantines. I, გვ. 479-480; Constantine Porphyrogennetos. The Book of Ceremonies, გვ. 608-610.
[42] Constantine Porphyrogennetos. The Book of Ceremonies, გვ. 607-612.
[43] Constantine Porphyrogennetos. The Book of Ceremonies, გვ. 608.
[44] N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle, გვ. 244-249.
[45] N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle, გვ. 262-271.

XI საუკუნეში პროტოსტრატორის მნიშვნელობა ბიზანტიის სოციალურ გარემოში კიდევ უფრო გაზრდილია, აღნიშნული დგინდება იმ პიროვნებების მიერ მიღებული ტიტულებითა და სახელოებით, რომლებიც იმ დროს მნიშვნელოვან ადგილს იკავებდნენ იმპერიის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ერთ-ერთი მათგანი იყო რომანოზ სკლეროსი, ცნობილი ბარდა სკლეროსის შთამომავალი.[46]

რომანოზ სკლეროსი იყო კონსტანტინე IX მონომახის (1042-1055 წწ.) ფავორიტი ქალის ძმა და დიდი გავლენით სარგებლობდა იმპერატორის კარზე. იგი თავდაპირველად პროტოსპათარიოსი და სამოსის სტრატეგოსი იყო, ხოლო 1042 წელს, მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში კონსტანტინე IX მონომახი მოვიდა, იღებს მაგისტროსის ტიტულსა და პროტოსტრატორობას.[47] შემდეგ, დაახლ. 1050 წლისთვის, ხდება ანტიოქიის დუქსი და ინარჩუნებს მაგისტროსობას,[48] ხოლო 1054 წლის ზაფხულში – პროედროსი, კვლავ ინარჩუნებს ანტიოქიის დუქსის თანამდებობას და ინიშნება აღმოსავლეთის სტრატოპედარხად.[49]

პროტოსტრატორის ტიტულით მოიხსენიება XI საუკუნის ბიზანტიის სამხედრო არისტოკრატიის გავლენიანი ოჯახის წევრი, იოანე კომნენოსის შვილი და იმპერატორ ისაკ I კომნენოსის (1057-1059 წწ.) ძმიშვილი, მანუელ კომნენოსი.[50] პროტოსტრატორია კეისაროსის იოანე დუკას შვილი, იმპერატორ კონსტანტინე X დუკას (1059-1067 წწ.) ძმისშვილი, კონსტანტინე დუკა, რომელსაც ეს ტიტული მისი ბიძაშვილის, მიქაელ VII დუკასგან (1071-1078 წწ.) აქვს მიღებული.[51]

ნიკიფორე ვრიენოსი სწორედ ამ პერიოდის შესახებ წერს, რომ ამ სახელოს მფლობელი იმპერატორებთან ყველაზე ახლოს იყო და ის ეძლეოდა მხოლოდ ძალიან მაღალი სოციალური წრის წარმომადგენლებს.[52] ამას ეხმიანება ზონარას ცნობა, რომლის მიხედვით, ეს ტიტული ეძლეოდა იმას, ვინც

[46] R. Guilland. Recherches sur les institutions byzantines. I, გვ. 480.

[47] R. Guilland. Recherches sur les institutions byzantines. I, გვ. 480; W. Seibt. Die Skleroi. Eine prosopographisch-sigillographische Studie (Byzantina Vindobonensia 9). Wien. 1976. გვ. 78, შენ. 283.

[48] W. Seibt. Die Skleroi, გვ. 79. შენ. 290; Romanos Skleros. Boulloterion 514. Prosopography of the Byzantine World. M. Jeffreys et al. (2011). available at <http://pbw.kcl.ac.uk>

[49] R. Guilland. Recherches sur les institutions byzantines. I, გვ. 480; W. Seibt. Die Skleroi, გვ. 82. შენ. 299; Catalogue of Byzantine Seals At Dumbarton Oaks and in the Fogg Museum of Art. Vol. 5. Edited by E. McGeer, J. Nesbitt and N. Oikonomides. Washington. 2005, გვ. 25.

[50] R. Guilland. Recherches sur les institutions byzantines. I, გვ. 480-481.

[51] R. Guilland. Recherches sur les institutions byzantines. I, გვ. 481.

[52] R. Guilland. Recherches sur les institutions byzantines. I, გვ. 481.

გამორჩენილია და იმპერატორთან არის დაახლოებული. იოანე ზონარა ამას IX საუკუნესთან დაკავშირებით აღნიშნავს, [53] მაგრამ უფრო მიესადაგება სწორედ XI საუკუნეს.

ალექსი I კომნენოსის (1081-1118 წწ.) ბრძანებით, პროტოსტრატორად დაამტკიცეს თავისი ბიძაშვილი, მიქაელ დუკა, ანდრონიკე დუკას ვაჟი, დედოფალ ირინე დუკაინას ძმიშვილი. მიქაელი ხშირად ახლდა სამხედრო ლაშქრობებში იმპერატორ ალექსის და მის ერთ-ერთ უახლოეს პირად ითვლებოდა.[54] ამის შემდეგ კომნენოსთა დინასტიის ნათესავთაგან სხვა პიროვნებებიც ეუფლებიან პროტოსტრატორის ტიტულს,[55] რაც ნათელს ხდის იმ ფაქტს, რომ აღნიშნულ წოდებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კომნენოსების ხანის ბიზანტიის იმპერიაში, სხვა შემთხვევაში მათი გაცემა თვითმპყრობლის ნათესავებზე, ვისზე დაყრდნობითაც მართავდნენ კომნენოსი იმპერატორები ქვეყანას, არ მოხდებოდა.

ლიპარიტ IV ბაღვაში, ერისთავთ-ერისთავი

ლიპარიტ IV ბაღვაში საქართველოში ცნობილი ფეოდალური გვარის წარმომადგენელია, რომელიც, ფაქტობრივად, მემკვიდრეობით მართავდა კლდეკარის საერისთავოს. ბაღვაშთა გვარი წარმოშობით არგვეთიდან იყო და საგვარეულო მამულებს კაცხში ფლობდა. მათი აღზევება ქართულ პოლიტიკურ სარბიელზე IX საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება, როდესაც ამ დინასტიის ერთ-ერთი წარმომადგენელი და კლდეკარის პირველი ერისთავი დასავლეთ საქართველოდან ქართლში გადმოვიდა და კლდეკარის ციხეს დაეუფლა.[56]

ლიპარიტი ბაღვაშთა საგვარეულოს კლდეკარის ერისთავთა ყველაზე გამორჩეული წარმომადგენელია. იგი თავდაპირველად ერისთავთ-ერისთავად იწოდება, ხოლო შემდეგ ეუფლება სხვა მნიშვნელოვან ტიტულებს, როგორც საქართველოს, ასევე, ბიზანტიის პოლიტიკურ სარბიელზე.[57]

---

[53] R. Guilland. Recherches sur les institutions byzantines. I, გვ. 479.

[54] R. Guilland. Recherches sur les institutions byzantines. I. გვ. 481.

[55] R. Guilland. Recherches sur les institutions byzantines. I. გვ. 481.

[56] ე. კოპალიანი. ბაღვაშები. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 2. თბ. 1977, გვ. 247.

[57] ლიპარიტ IV ბაღვაშის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ იხილეთ: ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. პირველად გამოიცა 1914 წელს. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. II. თბ. 1983, გვ. 137-150; ე. კოპალიანი. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში. თბ. 1969, გვ. 133-134, 179-227, 232-273; მ. ლორთქიფანიძე. საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს. 80-იანი წლებიდან XI ს. 80-იან წლებამდე. საქართველოს ისტორიის

ვალერი სილოგავა ამ ტიტულების ჩამოთვლისას ასახელებს ლიპარიტის მიერ მიღებულ შემდეგ ქართულ და ბიზანტიურ სამოხელეო თუ ოფიციალურ ტიტულატურას: 1. ერისთავთ-ერისთავი; 2. მაგისტროსი; 3. ყოვლისა აღმოსავლეთისა წინამძღვარი; 4. პროედროსი; 5. პროტარხონი.[58] ვ. სილოგავა ასევე ასახელებს კიდევ ერთ, მისი თქმით, ბერძნულ ტიტულს, პროტატს. მისივე განცხადებით, პროტატი „ყოვლისა აღმოსავლეთისა წინამძღუარის" ბერძნულ-ბიზანტიური შესატყვისია.[59] აღნიშნული ტიტული ვ. სილოგავამ დარაჭოიში მდებარე ეკლესიის მის მიერ მიკვლეულ საამშენებლო წარწერაში ამოიკითხა.

მიუხედავად მკვლევრის ასეთი დამაჯერებელი განცხადებისა, ბიზანტიურ ტიტულატურაში არ გვხვდება პროტატოსის ტიტული, უფრო მეტიც, არც ბერძნულ ლექსიკონში მოიპოვება „ყოვლისა აღმოსავლეთისა წინამძღვარის" შესატყვისი ტერმინი „პროტატი". იგივე შეიძლება ითქვას სიტყვა „წინამძღუარზე", არც მისი შესატყვისია „პროტატი". სახელოვანი მკვლევარის შეცდომა, როგორც ჩანს, ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნში მოხსენიებულმა ტერმინმა გამოიწვია, რომელშიც მოხსენიებულია ვინმე ილარიონ პროტი.[60] თანამდებობა „პროტოსი"[61] აღნიშნავდა ათონის მთის ცენტრალური ადმინისტრაციის, პროტატონის, მეთაურს. ხოლო თავად „პროტატონი" ცენტრალური აპარატის სახელწოდებაა, რომელიც, ამჟამინდელი მონაცემებით, პირველად 1153 წელს არის დაფიქსირებული საისტორიო წყაროებში.[62] არც ერთ მათგანს არანაირი შეხება ბიზანტიურ საიმპერიო საკარისკაცო ტიტულთან არა აქვს.

წარწერაში დაფიქსირებული უნდა იყოს პროტოსტრატორის თანამდებობა, რომელიც 1052 წლისთვის ლიპარიტ IV ბაღვაშს ტიტულის სახით უნდა ეტარებინა. ვ. სილოგავას მოსაზრება, რომ ეპიგრაფიკულ ძეგლში ბიზანტიური ტიტული იყო აღნიშნული, გარკვეულწილად მართებულია. მაგრამ თავად ტი-

ნარკვევები. ტ. III, თბ. 1979, გვ. 184-191; რ. მეტრეველი. ლიპარიტ IV ბაღვაში. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 6. თბ. 1983, გვ. 247.

[58] ვ. სილოგავა. ბაღვაშთა ფეოდალური სახლის მემორიალური წიგნები და მათი ანდერძ-მოსახსენიებლები. Dedicatio: ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი. თბ. 2001, გვ. 251.

[59] ვ. სილოგავა. ბაღვაშთა ფეოდალური სახლის მემორიალური წიგნები, გვ. 255-256; ვ. სილოგავა. ქეცმო ქართლის წარწერები (მოკლე მიმოხილვა). დმანისი 2. თბ. 2000, გვ. 224.

[60] ე. მეტრეველი. ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი. თბ. 1998, გვ. 165, 246.

[61] სააღაპე წიგნში დაფიქსირებულია მისი გაქართულებული ვარიანტი, „პროტი". იხ.: ე. მეტრეველი. ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი, გვ. 68, 78, 165, 246.

[62] The Oxford Dictionary of Byzantium. III, გვ. 1742.

ტულის დასახელებისას მკვლევარი შეცდა. მოსაზრება წარწერაში პროტოსტრატორის წაკითხვასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 2012 წელს გამოვთქვით ჩვენს დისერტაციაში,[63] თუმცა მისი ფართო განხილვისგან თავი შევიკავეთ.

ეპიგრაფიკულ ძეგლში ხსენებული „პროტატი" დაქარაგმებული ბიზანტიური სახელია, რომელიც ტიტულის სახითაც გაიცემოდა. აუცილებელია მისი გაშლა „პროტ(ოსტრ)ატ(ორ)ის" სახით. გავეცნოთ ვ. სილოგავას მიერ გამოქვეყნებულ წარწერას. მისი შინაარსი ამგვარია:

„† სახელითა ღ(მრ)თი(ს)ათა, მამისა, ძისა და სულისა წ(მიდ)ისაჲთა. მადლითა და შეწევნითა წ(მიდ)ისა ღ(მრ)თისმშობლის(ა)ჲთა აღაშე(ნე)ს ათორმეტი ფუძე და წ(მინდა)ჲ ესე ეკლესიაჲ სალოცველად სულდიდებულ[ი]სა, დიდ[ი]სა, ე(რისთავთა) ე(რისთავი)სა ლ(ი)პ(არი)ტ(ისა)თჳს, [მამისა მათ]ისა და სულკურთხეულთა ე(რისთავთა) ე(რისთავ)თ[ა შვი]ლთა და [მომავა]ლთა მათთათჳს; საუკუნო[დმ-ცა არს ჴსენება სულ]თაჲ მათი. აღ[ეშე]ნა, ზე[ობასა] ძისა მათისა, დიდისა და ყ(ოვ)ლისა აღმოსავლეთისა წინამძღურისა, ე(რისთავთა) ე(რისთა)ვისა ლ(ი)პ(არი)ტ პროტატისასა".[64]

ვალერი სილოგავას აღნიშვნით, ტექსტის დასაწყისში, პირველ სტრიქონად, მას დართული აქვს თარიღის აღმნიშვნელი წარწერა, „ქრონიკონი იყო ს ო ბ (1052 წ.)",[65] ეს ათარიღებს წარწერასა და, ზოგადად, ეკლესიისა და თორმეტფუძიანი სოფლის მშენებლობას, რომელიც ქვემო ქართლში ლიპარიტ IV ბაღვაშის ბრძანებით მიმდინარეობდა. აღნიშნულ წარწერაში ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ძირითადი ტექსტის ბოლო ნაწილი, სადაც ლიპარიტ IV ბაღვაში „ყოვლისა აღმოსავლეთისა წინამძღურად" და „პროტატოსად" არის ხსენებული. ასევე წარწერის თარიღი – 1052 წელი.

სოფელ დარაქოის ეკლესიის საამშენებლო წარწერაში მოხსენიებული სიტყვა „პროტატისასა", ჩვენი აზრით, უნდა გაიშალოს როგორც, „პროტ(ოსტრ)ატ(ორ)ისასა". დაახლოებით ანალოგიური სახით არის წაკითხული ბიზანტიური პროტოსტრატორის მოხსენიებით გაკეთებული კიდევ ერთი წარწერა. ეს არის სოფელ ლაბეჭინის ღვთისმშობლის ეკლესიის კუთვნილ წმინდა გიორგის ხატზე შესრულებული სვანეთის ერისთავ ივანე ვარდანის ძის წარწერა. ამ წარწერაში დაფიქსირებული ბიზანტიური ტიტული გამომცემ-

[63] ლ. თავაძე. ბიზანტიური საიმპერიო ტიტულატურა საქართველოში. ისტორიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. ხელნაწერის უფლებით. თბ. 2012. გვ. 106-107; ლ. თავაძე. მაგისტროსი საქართველოში და ქართველი მაგისტროსები ბიზანტიის იმპერიაში. თბ. 2016, გვ. 143.

[64] ვ. სილოგავა. ქვემო ქართლის წარწერები, გვ. 243.

[65] ვ. სილოგავა. ქვემო ქართლის წარწერები, გვ. 224.

ლების მიერ გაშლილია როგორც „პრ(ოტ)ოსტ(რატ)ო(რმა)ნ".[66] თუმცა, ვფიქრობთ, აქაც მცირე კორექტურაა. უნდა იყოს „პრო(ტო)სტ(რატ)ო(რმა)ნ". ქარაგმის ამგვარი გახსნა შედარებით უფრო ახლოსაა დარაჭოის ეკლესიის სამშენებლო წარწერასთან. ბუნებრივია, აღნიშნული კორექტურა უმნიშვნელოა და მართებულად წაკითხული წარწერის შინაარსს ვერ ცვლის.

ჩვენი აზრით, პროტოსტრატორობა არ იყო საქართველოში იმდენად გავრცელებული ბიზანტიური პატივი, რომ მისი დაქარაგმების ერთნაირი წესი ყოფილიყო შემუშავებული ქვეყნის მასშტაბით, ამდენად გარკვეული ნაირსხვაობებით იგი ამ ორივე წარწერაშია დაფიქსირებული. ამასთან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტიტული ან თუნდაც ტერმინი „პროტატოსი" ჩვენს ხელთ არსებულ ბიზანტიურ ლექსიკონებში არ გვხვდება, ამდენად მისი არსებობა თავიდანვე უნდა გამოირიცხოს.

ლიპარიტ IV ბაღვაში, როგორც ეს ანდერძ-მინაწერებიდან ჩანს, მაგისტროსის ტიტულს სულ მცირე 1047 წლიდან ატარებდა, ამავე ტიტულით იხსენიება 1048 წლის კოლოფონშიც.[67] აღნიშნული კი იმისი მაჩვენებელია, რომ ლიპარიტი 1047-1048 წლებში ნამდვილად მაგისტროსია.[68] 1048-1050 წლებში იგი თოღრულ-ბეგთან იმყოფება ტყვეობაში და განთავისუფლდა 1050 წელს ბიზანტიის იმპერატორის აქტიური ძალისხმევით.[69]

სელჩუკთა ტყვეობიდან თავისუფალი ლიპარიტი, „მატიანე ქართლისაის" უცნობი ავტორის ცნობით, ანისში ჩადის, სადაც მის წინააღმდეგ მეფე ბაგრატი გამოდის და არ აძლევს საშუალებას საკუთარ სამფლობელოებში დაბრუნდეს.[70] ამის შემდეგ გარკვეული ხნის განმავლობაში ლიპარიტი კონსტანტინოპოლში იმყოფება, სადაც იმპერატორ კონსტანტინე IX მონომახს თოღრულ-ბეგის საჩუქრები ჩაუტანა.[71] მოგვიანებით, 1051 წელს, ბიზანტიის იმ-

---

[66] მ. ახალაშვილი. X-XV სს. წარწერები სვანეთის ქედური ხელოვნების ძეგლებზე. თბ. 1987, გვ. 32.

[67] ვ. სილოგავა. ბაღვაშოა ფეოდალური სახლის მემორიალური წიგნები. გვ. 265, 272.

[68] მას მაგისტროსის ტიტული 1046 წელს უნდა მიეღო, იხ.: ლ. თავაძე. მაგისტროსი საქართველოში და ქართველი მაგისტროსები ბიზანტიის იმპერიაში. გვ. 143-149.

[69] გ. ჯაფარიძე. ლიპარიტ IV ბაღვაში ბიზანტიისა და თურქ-სელჩუკთა დიპლომატიურ ურთიერთობებში. ქართული დიპლომატია (წელიწდეული). ტ. 5. თბ. 1998, გვ. 324-330.

[70] მატიანე ქართლისაი. ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. მეტრეველი. თბ. 2008. გვ. 286.

[71] John Skylitzes. A Synopsis of Byzantine History. გვ. 421; ზონარა. გეორგიკა. ტ. VI. გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა. თბ. 1966, გვ. 238; მატიანე ქართლისაი, გვ. 286; გ. ჯაფარიძე. ლიპარიტ IV ბაღვაში ბიზანტიისა და თურქ-სელჩუკთა დიპლომატიურ ურთიერთობებში, გვ. 327.

პერატორის დახმარებით კვლავ საქართველოში ბრუნდება.[72] ლიპარიტის დაბრუნებას დაპირისპირების განახლება და ბაგრატის საქართველოდან ბიზანტიაში გაქცევა მოჰყვა შედეგად.[73] აქედან მოყოლებული, ვიდრე ბაგრატის IV-ის დაბრუნებამდე, ლიპარიტ ბაღვაში საქართველოს ფაქტობრივ მმართველად გვევლინება.[74]

1050 წელს განთავისუფლებული და კონსტანტინოპოლში ჩასული ლიპარიტ ბაღვაში იმპერატორთან დიდი პატივით უნდა მიეღოთ. აღმოსავლეთში ის ბიზანტიის იმპერიის მთავარი მოკავშირე და დამხმარე ძალა იყო. საისტორიო წყაროებში არ ჩანს, მიიღო თუ არა მან 1050 წელს რაიმე ბიზანტიური ტიტული ან თანამდებობა იმპერატორისგან, თუმცა ამისი გამორიცხვა არ შეიძლება. მაგისტროსის გარდა, ლიპარიტ IV ბაღვაშის სხვა ტიტულები სწორედ ამ მოვლენის შემდგომი პერიოდით თარიღდება.

ლიპარიტ IV ბაღვაშის მოხსენიებით შედგენილი სოფელ დარაქოის ეკლესიის 1052 წლის საამშენებლო წარწერა, როგორც ზემოთ დავინახეთ, მას პროტოსტრატორის ტიტულით მოიხსენიებს. ხოლო ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის №21 ხელნაწერის 1053 წლის ანდერძ-მინაწერებში მხოლოდ ერისთავთ-ერისთავია.[75] ბერად აღკვეცის შემდეგ შედგენილ ერთ-ერთ ანდერძ-მინაწერში (1059 წ.) ლიპარიტ-ყოფილი ანტონი როგორც პროედროსი და პროტარჩონი, ისე მოიხსენიება.[76]

ზემოხსენებული საისტორიო წყაროების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავუშვათ რამდენიმე მოცემულობა: 1. მაგისტროსის ტიტულის ფლობის შემდეგ ლიპარიტი დააღგინეს პროტოსტრატორად 1052 წლისთვის (სავარაუდოდ 1050 წელს), ხოლო 1053 წელს მოუხსნეს ყველა ტიტული თურქსელჩუკთა წინააღმდეგ ბიზანტიის ინტერესების უგულვებელყოფისთვის; 2.

---

[72] პატიანე ქართლისაი, გვ. 286; ივ. ჯავახიშვილი. სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. თბ. 1947. გვ. 105; გ. ჯაფარიძე. ლიპარიტ IV ბაღვაში ბიზანტიისა და თურქ-სელჩუკთა დიპლომატიურ ურთიერთობებში, გვ. 330.

[73] პატიანე ქართლისაი, გვ. 286-287; John Skylitzes. A Synopsis of Byzantine History, გვ. 421; ჯ. სამუშია. ბაგრატ IV-ის კონსტანტინოპოლში სამწლიანი ტყეობა და საქართველო-ბიზანტიის 1055 წლის ზავი. თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. II. თბ. 2011. გვ. 125-153.

[74] ერცლად ბოლო დროს გამოქვეყნებული გამოკვლევებიდან აღნიშნული მოვლენების შესახებ იხ.: ჯ. სამუშია. ნარკვევები შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. წგნ. I. თბ. 1999; ჯ. სამუშია. ბაგრატ IV-ის კონსტანტინოპოლში სამწლიანი ტყეობა და საქართველო-ბიზანტიის 1055 წლის ზავი, გვ. 125-153.

[75] ვ. სილოგავა. ბაღვაშთა ფეოდალური სახლის მემორიალური წიგნები, გვ. 273-277.

[76] ქართული ხელნაწერთა აღწერილობა. A კოლექცია, ტ. II (I). თბ. 1986. გვ. 214; ვ. სილოგავა. ბაღვაშთა ფეოდალური სახლის მემორიალური წიგნები, გვ. 283.

1050-1052 წლებში მიანიჭეს პროტოსტრატორობა მაგისტროსობის სანაცვლოდ, რაც უბრალოდ მწერალმა არ დააფიქსირა 1053 წლის ანდერძ-მინაწერებში; 3. 1050-1052 წლებში მიიღო პროტოსტრატორობა მაგისტროსის ტიტულთან ერთად და 1053 წლის კოლოფონებში ავტორმა აღნიშნული ფაქტი არ დააფიქსირა, რასაც საკმაოდ ხშირად ჰქონდა ადგილი.[77]

მიუხედავად იმისა, რომ პირველი მოცემულობა საკმაოდ კარგად მიუყვება საისტორიო წყაროებს, ასევე, ეხმიანება იმ ფაქტს, რომ ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ ლიპარიტი დადებული ფიცის საფუძველზე აღარ ეხმარება ბიზანტიას თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ,[78] მაინც ვფიქრობთ, რომ მსგავსი ვითარება არ შეიძლებოდა შექმნილიყო. ლიპარიტ IV ბაღვაში ბიზანტიის იმპერატორის შუამავლობით 1054 წელს ურიგდება მეფე ბაგრატ IV-ს, რომელიც მეფედ სცნო, ხოლო თავად ქართლი და მესხეთი მიიღო სამართავად.[79] უფრო მეტიც, „ქართლის ცხოვრების“ სომხური თარგმანის მიხედვით, ლიპარიტი ამ დროს უკვე კურაპალატია. ეს ტიტული მას 1054 წლის ზავის შესაბამისად უნდა მიეღო.[80]

ჩვენი აზრით, უფრო შესაწყნარებელია მისაზრება იმის შესახებ, რომ ლიპარიტი მაგისტროსის ტიტულსა და პროტოსტრატორის თანამდებობას

---

[77] ვ. სილოგავას მიერ გამოქვეყნებული კოლოფონების დიდი ნაწილი ლიპარიტს არ იხსენიებს ბიზანტიური ტიტულით, იხ.: ვ. სილოგავა. ბაღვაშთა ფეოდალური სახლის შემორიალური წიგნები, გვ. 259-278.

[78] ამ მოსაზრებას გ. ჯაფარიძე გამოთქვამს, იხ.: გ. ჯაფარიძე. ლიპარიტ IV ბაღვაში ბიზანტიისა და თურქ-სელჩუკთა დიპლომატიურ ურთიერთობებში, გვ. 330-333.

[79] John Skylitzes. A Synopsis of Byzantine History. გვ. 421; გიორგი კედრენე. ჰეორგიკა. ტ. V. გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა. თბ. 1963, გვ. 68; ჯ. სამუშია. XI საუკუნის საქართველოს ისტორიის რამდენიმე მოვლენის დათარიღებისთვის. ქართული დიპლომატია (წელიწდეული). ტ. 4. თბ. 1997, გვ. 242-249; ჯ. სამუშია. ბაგრატ IV-ის კონსტანტინოპოლში სამწლიანი ტყვეობა და საქართველო-ბიზანტიის 1055 წლის ზავი, გვ. 125-153.

[80] ადრე ვფიქრობდით, რომ ლიპარიტს კურაპალატის პატივი შეიძლებოდა 1051-1052 წლებში მიეღო, თუმცა დარაქოის წარწერის ანალიზი ამის საფუძველს არ იძლევა. ეს მოვლენა, თუ „ქართლის ცხოვრების“ სომხური თარგმანის ცნობა მართებულია, უნდა დათარიღდეს 1054 წლით, როდესაც ზავი დაიდო ბაგრატ IV-სა და ლიპარიტს შორის კონსტანტინე IX მონომახის შუამავლობით. ეს მოსაზრება უკვე ჩვენ მონოგრაფიაში გვაქვს გატარებული, რომელიც მაგისტროსობას მიეუძღვნით, იხ.: ქართლის ცხოვრება. ძველი სომხური თარგმანი. ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ი. აბულაძემ. თბ. 1953, გვ. 227-228; ლ. თაყაიშვილი. ბიზანტიური საიმპერიო ტიტულატურა საქართველოში. გვ. 106; ლ. თაყაიშვილი. მაგისტროსი საქართველოში და ქართველი მაგისტროსები ბიზანტიის იმპერიაში, გვ. 148-149, შენ. 272. 1054 წლის ზავისა და მის მახლობელ ხანებში განვითარებულ პროცესებზე იხ.: ჯ. სამუშია. ბაგრატ IV-ის კონსტანტინოპოლში სამწლიანი ტყვეობა და საქართველო-ბიზანტიის 1055 წლის ზავი, გვ. 125-153.

ერთდროულად ფლობდა, ვიდრე ის, რომ ისინი ცალ-ცალკე მიეღო. აღნიშნულთან დაკავშირებით საკმაოდ კარგი ანალოგია გვაქვს რომანოზ სკლეროსის სახით, რომელიც, ასევე, ითავსებდა ორივე წოდებას, სანამ უფრო მაღალ, პროედროსის ღირსებას არ დაეუფლა.

იმპერატორ კონსტანტინე IX მონომახის (1042-1055 წწ.) მმართველობის პერიოდში პროტოსტრატორის თანამდებობა მაგისტროსის ტიტულთან ერთად დაფიქსირებულია რომანოზ სკლეროსზე. 1042 წელს რომანოზმა ეს ორივე წოდება კონსტანტინე მონომახისგან მიიღო. რომანოზი 1050 წლისთვის იღებს ანტიოქიის დუქსის თანამდებობას და ინარჩუნებს მაგისტროსის ტიტულს, ხოლო 1054 წლისთვის, როგორც ზემოთ მივუთითეთ, რომანოზი უკვე პროედროსი, სტრატოპედარხი და ანტიოქიის დუქსია. 1050 წელს ის აღარ ჩანს პროტოსტრატორის სახელოს მფლობლად. ამ დროისთვის მოჭრილ რკინის საბეჭდავზე ის იწოდება, როგორც მაგისტროსი და ანტიოქიის დუქსი.[81]

თუ 1050 წლისთვის რომანოზ სკლეროსი უკვე აღარაა პროტოსტრატორი, მაშინ ვინ მიიღო ეს მნიშვნელოვანი თანამდებობა? ჩვენი აზრით, ეს უნდა ყოფილიყო სელჩუკთა ტყვეობიდან განთავისუფლებული ლიპარიტ IV ბაღვაში. ლიპარიტი სწორედ 1050 წელს განთავისუფლდა სულთან თოღრულ-ბეგის პატიმრობიდან კონსტანტინე IX მონომახის აქტიური მეცადინეობით და ამავე წელს ეახლა იმპერატორს კონსტანტინოპოლში.

ლიპარიტ ბაღვაშის კონსტანტინოპოლში იმპერატორთან სტუმრობა არ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული მხოლოდ ბიზანტიური თანამდებობისა და პატივის მიღებასთან. მას, ასევე, ეხმარებიან მეფე ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ სამხედრო ძალების მობილიზაციაშიც. როგორც ჩანს, უნარჩუნებენ მაგისტროსის ტიტულსაც.[82]

სამხედრო მხარდაჭერის გარდა, ლიპარიტი იღებს ფინანსურ დახმარებასაც, რომელიც ტიტულზე მიღებულ სარგოშიც გამოიხატება. ლიპარიტი მაგისტროსზე დაწესებული როგის სახით წელიწადში 16 ან 24 ბიზანტიურ ლიტრ ოქროს იღებდა,[83] ხოლო ამაზე შედარებით მეტს, როგორც მაგის-

[81] Romanos Skleros. Boulloterion 514. Prosopography of the Byzantine World. M. Jeffreys et al. (2011). available at <http://pbw.kcl.ac.uk>.

[82] ლ. თაბაძე. მაგისტროსი საქართველოში და ქართველი მაგისტროსები ბიზანტიის იმპერიაში, გვ. 143-150.

[83] მაგისტროსის ტიტულზე დაწესებული სარგო 24 ლიტრი ოქრო იყო, ვიდრე XI საუკუნის 40-60-იან წლებამდე, როდესაც მაგისტროსის სარგო 16 ლიტრი ოქროთი განისაზღვრა. იხ.: ლ. თაბაძე. მაგისტროსი საქართველოში და ქართველი მაგისტროსები ბიზანტიის იმპერიაში, გვ. 243-260.

ტროსი და პროტოსტრატორი. ორივე პატივზე მიღებული საერთო ჯამაგირი კურაპალატის როგაზე (32 ბიზანტიური ლიტრი) და პროედროსის სარგოზე (28 ბიზანტიური ლიტრი)[84] ნაკლები უნდა ყოფილიყო, თუმცა რიგითი მაგისტროსის როგაზე შედარებით მაღალი. რომანოზ სკლეროსის მაგალითი გვიჩვენებს, რომ პროედროსის ტიტული უპირატესია, ვიდრე მაგისტროსისა და პროტოსტრატორის ერთად აღებული. შესაბამისად, ლიპარიტის როგა ორივე ტიტულზე უნდა ყოფილიყო არაუმეტეს 26 ლიტრსა (პროედროსის და მაგისტროსის შუალედი) და არანაკლებ 16 ბიზანტიური ოქროს ლიტრისა.

ამგვარად, გარკვეული დროის განმავლობაში ლიპარტს მაგისტროსისა და პროტოსტრატორის ტიტულები ერთდროულად უნდა ეტარებინა მსგავსად რომანოზ სკლეროსისა, რომელიც მათ ანტიოქიის დუქსის თანამდებობის მიღებამდე ერთდროულად ფლობდა. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ პროტოსტრატორობის სანაცვლოდ რომანოზს ანტიოქიის დუქსის თანამდებობა უბოძეს. ანტიოქიის სამხედრო ძალების ხელმძღვანელობა პროტოსტრატორობაზე უფრო მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო გაელენიანი სამხედრო-არისტოკრატიული ოჯახის წარმომადგენლისთვის, რომანოზ სკლეროსისთვის. ხოლო ამის შემდეგ რომანოზი იღებს პროედროსის პატივის, რაც მას მაგისტროსობის სანაცვლოდ უნდა მიელო. ამგვარად, ლიპარიტი 1050 წლის ახლო ხანებში სწორედ რომანოზ სკლეროსს ცვლის პროტოსტრატორის თანამდებობაზე.

ანდერძ-მინაწერების ცნობები მიუხედავად მათი სანდოობის მაღალი ხარისხისა, არ შეიძლება ჩაითვალოს ტიტულატურის კუთხით სრულყოფილად, ვინაიდან არაერთ კოლოფონში ლიპარიტ IV ბაღვაში მოხსენიებულია მხოლოდ ერისთავთ-ერისთავად. უფრო მეტიც, ერთსა და იმავე ხელნაწერზე დართულ კოლოფონებში ლიპარიტის ტიტულატურა განსხვავებულია, დიდი ნაწილი მას მხოლოდ ერისთავთ-ერისთავად მოიხსენიებს, ხოლო მცირე ნაწილი ამ სახელის გარდა, ასახელებს ტიტულებს, რომლებსაც იგი ერისთავთ-ერისთავობის პარალელურად ფლობდა.[85] ამრიგად, კოლოფონების ცნობები ლიპარიტის პოლიტიკური სტატუსის შესახებ გარკვეულწილად ნაკლულია.

ამ კუთხით, ვფიქრობ, არც ეპიგრაფიკული ძეგლები არ უნდა იყოს სრულყოფილი ინფორმაციის შემცველი ქართველ ფეოდალთა ბიზანტიური ტიტულატურის შესახებ.

---

[84] P. Lemerle. «Roga» et rente d'État aux Xe-XIe siècles. Revue des Études Byzantines. 25. Paris. 1967. გვ. 92-94: ლ. თაყაძე. მაგისტროსი საქართველოში და ქართველი მაგისტროსები ბიზანტიის იმპერიაში, გვ. 253-257.

[85] ვ. სილოგავა. ბაღვაშთა ფეოდალური სახლის მემორიალური წიგნები. გვ. 259-277.

სოფელ დარაქოის ეკლესიის 1052 წლის სააშშენებლო წარწერის მიხედვით, ლიპარიტ IV ბაღვაში ერისთავთ-ერისთაი, „სრულიად აღმოსავლეთის წინამძღუარი", პროტოსტრატორი და „დიდის" საპატიო ეპიოეტის მფლობელია. მიუხედავად წამოდგენილი წოდებულების მრავალფეროვნებისა, რაც სამართლიანად აჩენს საფუძველს, რომ ის მეტ-ნაკლებად სრულყოფილად ჩავთვალოთ, დარაქოის ეკლესიის წარწერაში არ ფიქსირდება ეპითეტი „ძლიერი", რომელიც მეფეთა საპატიო ეპითეტი იყო, მაგრამ მითვისებული ჰქონდა ლიპარიტსაც და, შესაბამისად, დაფიქსირებულია 1047, 1048 და 1053 წლის ანდერძ-მინაწერებში;[86] არ ესმევა ხაზი ლიპარიტის მფლობელობას ქართლის და მესხეთის მხარეებზე, ანუ არ ჩანს, თუ რა სტატუსით მოიაზრებდა ის ამ ტერიტორიების მმართველად საკუთარ თავს; არ ჩანს არც მაგისტროსის ტიტული, რომელიც, ჩვენი აზრით, ლიპარიტს შენარჩუნებული უნდა ჰქონოდა კურაპალატობის მიღებამდე.

ლიპარიტს პროტოსტრატორის პარალელურად მაგისტროსობაც რომ უნდა ჰქონოდა შენარჩუნებული, ამას ისიც ადასტურებს, რომ მაგისტროსის ტიტული ამ პერიოდში უფრო მაღალი იყო, ვიდრე პროტოსტრატორის. რომანოზ სკლეროსი, რომელიც იმავე კონსტანტინე IX მონომახის დროს იხსენიება ამ ღირსებებით, როგორც ლიპარიტი, უპირველესად, სწორედ მაგისტროსის პატივით არის მოხსენიებული, ხოლო შემდეგ პროტოსტრატორის. რომანოზ სკლეროსის მაგალითი და ლაპიდარული წარწერების არასრული ცნობები წოდებულებასთან დაკავშირებით, ვფიქრობ, საკმარისი არგუმენტია იმისთვის, რომ 1052 წლისათვის ლიპარიტ IV ბაღვაშის მიერ ამ ორივე წოდების შეთავსებით ფლობა ვივარაუდოთ.

პროტოსტრატორობის მიღების ყველაზე ხელსაყრელი მომენტი, ვფიქრობ, ლიპარიტ IV ბაღვაშის კონსტანტინოპოლში ვიზიტი უნდა ყოფილიყო 1050 წელს. როგორც წყაროებშია მითითებული, განთავისუფლების შემდეგ ლიპარიტი კონსტანტინოპოლში ჩავიდა, სადაც მას ბიზანტიის იმპერატორმა, კონსტანტინე IX მონომახმა, დიდი პატივი მიაგო და საჩუქრების ბოძების შემდეგ სამშობლოში დააბრუნა.[87] მასვე გაატანეს დახმარება ფინანსური და სამხედროს რესურსის სახით მეფე ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ.[88]

---

[86] ვ. სილოგავა. ბაღვაშთა ფეოდალური სასლის მემორიალური წიგნები, გვ. 259-261, 272-273.

[87] გ. ჯაფარიძე. ლიპარიტ IV ბაღვაში ბიზანტიისა და თურქ-სელჩუკთა დიპლომატიურ ურთიერთობებში, გვ. 329-330.

[88] მატიანე ქართლისაჲ, გვ. 286.

კონსტანტინოპოლში ჩასული ლიპარიტ ბაღვაში არც დამატებითი წყალობის გარეშე უნდა დარჩენილიყო. ბიზანტიური ტიტული მაგისტროსი მასზე მანამდეც ფიქსირდება,[89] თუმცა ამ შემთხვევაში ლიპარიტის პატივი კიდევ უფრო უნდა ამაღლებულიყო. ჩვენი აზრით, სწორედ ამ დროს უნდა მიეღო მას პროტოსტრატორის პატივი კონსტანტინე IX მონომახისგან და, შესაძლოა, ასრულებდა კიდეც იმპერატორის მთავარი საჯინიბოს მეთაურის მოვალეობას. კონსტანტინოპოლში მყოფი, თუ მართლაც ამ დროს მიიღო მან პროტოსტრატორობა, თავისუფლად შეძლებდა, ყოფილიყო იმპერატორის მთავარი მეჯინიბე და საიმპერატორო ამალის საპატიო წევრი.

ამგვარად, ჩვენ ვერც იმას გამოვრიცხავთ, რომ ლიპარიტს პროტოსტრატორობა მიეღო არა როგორც ტიტული, არამედ როგორც თანამდებობა, თუმცა საქართველოში ჩასვლის შემდეგ უნდა შეენარჩუნებინა როგორც ტიტული, ვინაიდან ვეღარ შეძლებდა თავისი მოვალეობის კონსტანტინოპოლში შესრულებას. მაგისტროსობა და პროტოსტრატორობა მას კურაპალატობის მიღებამდე უნდა შეენარჩუნებინა, ანუ 1054 წლამდე.

ამრიგად, ჩვენი ვარაუდით, ლიპარიტ IV ბაღვაში 1050-1054 წლებში პროტოსტრატორია და, სავარაუდოდ, ინარჩუნებს ამ ღირსებას მაგისტროსობის პარალელურად.

ივანე ვარდანისძე, სვანეთის ერისთავი და მეჭურჭლეთუხუცესი

საქართველოში პროტოსტრატორის ტიტულის შესწავლის თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია სვანთა ერისთავის ივანე ვარდანის ძის, ტიტულატურა. ივანე ვარდანისძეთა ცნობილ საგვარეულოს ეკუთვნოდა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში სვანეთის ერისთავის სახელოს იკავებდა.[90]

ივანე ცნობილი ვარდან სვანთა ერისთავის ძე და მემკვიდრეა. ამ უკანასკნელმა ნიანია ქუაბულის ძესთან და ივანე ლიპარიტის ძესთან ერთად ქვეყანა აუშალა საქართველოს მეფე გიორგი II-ს, რომელმაც აჯანყებულები 1073 წელსვე მხოლოდ იმით დააწყნარა, რომ მათ სამფლობელოდ მნიშვნელოვანი ქალაქები და ციხე-სიმაგრეები გადასცა.[91] ნიანია ქუაბულის ძემ, რო-

[89] ლ. თაქაძე. მაგისტროსი საქართველოში და ქართველი მაგისტროსები ბიზანტიის იმპერიაში, გვ. 144-146.

[90] ვარდანისძეების შესახებ იხილეთ შემდეგი ლიტერატურა: ნ. შოშიაშვილი. ვარდანისძეები. ტ. 4. თბ. 1979, გვ. 299; მ. ბასტაძე. ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში. თბ. 2003, გვ. 213-224.

[91] შატიანე ქართლისაჲ, გვ. 297; რ. შეტრეველი, ჯ. სამუშია. მეფეთ მეფე გიორგი II. თბ. 2003, გვ. 66-69.

გორც ჩვენ ვფიქრობთ, ამ დროს ნოველისიმოსის ტიტულიც მიიღო ბიზანტიის იმპერატორისგან, რომელიც ვითარების საქმის ყურში უნდა ყოფილიყო.[92] ივანე ლიპარიტის ძე ბაღვაში ამ დროისთვის უკვე ატარებდა პროედროსის ბიზანტიურ ტიტულს,[93] მაგრამ მიიღო თუ არა რაიმე ბიზანტიური პატივი ვარდან სვანთა ერისთავმა, ჩვენთვის ცნობილი არ არის. სამაგიეროდ, ცნობილია მისი შვილის, ივანე ვარდანის ძის, ბიზანტიური წოდება.

დავით IV აღმაშენებლის პერიოდში ივანე ვარდანის ძეს რამდენიმე წამყვანი სამოხელეო თანამდებობა ეკავა. ის იყო სვანეთის ერისთავი და საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი. ზემოთქმული ივანეს ერისთავობის დროს მოჭედილ სოფელ ლაბეჭინის ღვთისმშობლის ეკლესიის წმინდა გიორგის ხატზე გაკეთებული წარწერიდან დგინდება. ტექსტის მიხედვით, ხატი მან მოაჭედინა და შესწირა სოჩმისის საყდარს. აღნიშნულ ტექსტს დიდი მნიშვნელობა აქვს პროტოსტრატორის ტიტულის დაფიქსირების თვალსაზრისით, რის გამოც მას სრულად მოვიყვანთ:

„მე ი(ვან)ე ვ(არდ)ან(ი)ს ძე(მა)ნ, ს(ვან)თ(ა) ე(რისთავმა)ნ მ(ე)ჯ(ურჭ)ლე)თუ(ხუცესმა)ნ და პრ(ოტ)ოსტ(რატ)ო(რმა)ნ მოვჭედე ხ(ა)ტი ესე წ(მიდ)ისა გ(იორგ)ის მთ(ა)ვ(არ)მ(ო)წამისა და დავ(ა)ს(უე)ნე ს(ა)ყდ(ა)რსა შინა სოჩ-მ(ი)ს(ი)სა საჯს(ე)ნ(ე)ბ(ე)ლ(ა)დ ს(უ)ლისა ჩ(ე)მ(ი)სა, მშ(ო)ბ(ე)ლთა ჩ(ე)მთა და შვილთა ჩ(ე)მთ(ა)თ(ჳ)ს. [რაითა] ამით ხ(ა)ტ[ითა] მიგუ(ე)ნდნეს მე [და] შვ(ი)ლნ[ი ჩ(ე)]მნი და [მ]ოგუ(ე)ც ო(ა)ვსმდებლ[ად] [...]ლითა გლ[...]რ[...]ს ჩ(უე)ნის(ა)თ(ჳ)ის შ(ე)ნ [ქ(ჳ(ე)ლმ(ა)]ნ და მჴნემ(ა)ნ“.[94]

აღნიშნულ ტექსტს არ უზის თარიღი, რის გამოც ძნელდება ზუსტად იმისი განსაზღვრა, თუ კონკრეტულად რომელ პერიოდს მიემართება ივანე ვარდანის ძის ეს წარწერა. ივანეს ორივე თანამდებობა, სვანეთის ერისთავისა და საქართველოს მეჭურჭლეოუხუცესისა, დაფიქსირებულია სხვა წარწერაშიც, კერძოდ, მესტიის მთავარანგელოზთა ეკლესიის ხატის წარწერაში, სადაც ივანე ვარდანის ძე ამ ორივე სახელოთი არის მოხსენიებული, ოღონდ ბიზანტიური ტიტულის, პროტოსტრატორის, გარეშე.[95] ორივე ეს წარწერა პალეოგრაფიული ნიშნებით XII საუკუნით არის დათარიღებული.[96] წარწერებიდან მტკიცდება, რომ ივანე ვარდანის ძე საქართველოში ასრულებს თავის ძირითად სამოხელეო

[92] ლ. თაქაძე. ბიზანტიური საიმპერიო ტიტულატურა საქართველოში, გვ. 120-124.
[93] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. A კოლექცია. ტ. II (I). გვ. 214; ვ. სილოგავა. ბაღვაშთა ფეოდალური სახლის მემორიალური წიგნები. გვ. 283.
[94] მ. ახალაშვილი. X-XV სს. წარწერები.., გვ. 32.
[95] მ. ახალაშვილი. X-XV სს. წარწერები.., გვ. 33-34.
[96] მ. ახალაშვილი. X-XV სს. წარწერები.., გვ. 31-34.

მოვალეობას, როგორც სვანეთის ერისთავი და საქართველოს სამეფოს მეჭურჭლეთუხუცესი. ამდენად, ივანეს პროტოსტრატორის ტიტული, უპირატესად, ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულის სახით უნდა ეტარებინა საქართველოში.

ივანე ვარდანის ძის მიერ პროტოსტრატორობის მიღებას ქართველ მკვლევართა ერთი ნაწილიც შეეხო. ექვთიმე თაყაიშვილის მიხედვით, პროტოსტრატორი ქართულ მეჯინიბეთუხუცესს უდრის,[97] ხოლო შოთა მესხიას აზრით, საქართველოს სამოხელეო წყობაში არსებული ამირახორის თანამდებობა, იგივე პროტოსტრატორია.[98] მიხეილ ბახტაძის აზრით, ივანე ვარდანის ძეზე დაფიქსირებული ეს წოდება ბიზანტიური ტიტულია, ხოლო თავად ივანე XI-XII საუკუნეების მიჯნის მოღვაწეა.[99] ექვთიმე თაყაიშვილისა და შოთა მესხიასგან განსხვავებით, მიხეილ ბახტაძის მსჯელობა ივანეს ბიზანტიური ტიტულის შესახებ მართებულია. მიუხედავად იმისა, რომ პროტოსტრატორი თანამდებობაა, ივანე ვარდანის ძეს XI-XII საუკუნეების მიჯნაზე იგი ტიტულის სახით უნდა ჰქონოდა მიღებული. საქართველოს სამეფოში გავრცელებული თანამდებობების, მეჯინიბეთუხუცესის ან თუნდაც ამირახორის დაფიქსირების შემთხვევაში ისინი ქართული ფორმით იქნებოდა გადმოცემული და არა ბიზანტიურით. ამდენად, წარწერაში ბიზანტიურ პროტოსტრატორზეა საუბარი და არა ქართულ სამოხელეო თანადებობაზე.

ზემოხსენებული ორი წარწერის ანალიზის შედეგად ორი ჰიპოთეზა შეიძლება გამოიკვეთოს: 1. ივანე ვარდანისძემ პროტოსტრატორის ტიტული მიიღო სვანეთის ერისთავისა და საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობების დაუფლების შემდეგ; 2. მანვე პროტოსტრატორის ტიტული მიიღო ზემოაღნიშნული სახელოების ფლობის პარალელურად და, შესაძლოა, მათზე ადრეც, ხოლო დაკარგა ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც ფლობდა ზემოხსენებულ ორივე თანამდებობას საქართველოს მეფის კარზე.

პირველი მოსაზრების მიხედვით, პირველი წარწერა მეორეზე უფრო გვიანდელი უნდა იყოს, ხოლო მეორეს მიხედვით, პირიქით. აქედან თითქოს უფრო ლოგიკური ჩანს ივანეს მიერ პროტოსტრატორის ტიტულის მიღება მას შემდეგ, რაც ის უკვე სვანეთის ერისთავი და საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესია. მაგრამ დავით IV-ის მიერ ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულებ-

97 ექვ. თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს. პარიზი. 1937, გვ. 26.

98 შ. მესხია. საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში. თბ. 1979, გვ. 124-125.

99 მ. ბახტაძე. ერისთაობის ინსტიტუტი საქართველოში, გვ. 218.

ზე უარის თქმა და საკუთარი თავის თვითმპყრობლად გამოცხადება გარკვეულ წინააღმდეგობაში მოდის ამ თვალსაზრისთან. თუ დავუშვებთ იმას, რომ დავითმა მართლაც აკრძალა ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულატურის გაცემა, ეს აკრძალვა უნდა შეხებოდა არა მხოლოდ მას, არამედ, უპირველესყოველისა, მის ქვეშევრდომებს. ხოლო ვინაიდან 1103-1104 წლებში, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, დავითი თვითმპყრობლად, ანუ ავტოკრატორად აცხადებს თავს, საგულისხმოა, რომ აქედან მოყოლებული მის ვასალებს უნდა შეეწყვიტათ მეფის ბრძანებით ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულატურის მიღება.[100]

დავითის დროს რომ ბიზანტიური საიმპერიო-საკარისკაცო ტიტულატურა ქრება, ამისი დამადასტურებელია ის წარწერები, რომლებშიც პრაქტიკულად არცერთი საერო პირი ბიზანტიური ტიტულატურით აღარ მოიხსენიება. ივანე ვარდანის ძე ამ კუთხით თითქოს გამონაკლისია, მაგრამ ვფიქრობთ, რომ მისი პროტოსტრატორობა 1104 წლამდელ პერიოდს ეხება, ვინაიდან მას შემდეგ მას, როგორც საქართველოს თვითმპყრობლის ყმას, არ ექნებოდა ლეგიტიმური უფლება დაქვემდებარებოდა მეორე თვითმპყრობელს ბიზანტიაში.

ივანე ვარდანის ძის მიერ პროტოსტრატორობის მიღება, სავარაუდოდ, მისი მამის, ვარდანის, გარდაცვალების შემდეგ სვანეთის ერისთავის თანამდებობის მიღების ახლო ხანებით უნდა განისაზღვროს. ბიზანტიის ხელისუფლებას 1073 წლის სამი აჯანყებულიდან ორი, ნიანია ქუაბულის ძე და ივანე ბაღვაში, დაჯილდოებული ჰყავდა მაღალი საიმპერიო-საკარისკაცო ტიტულებით, რაც არ უნდა გამორიცხავდეს მაღალი პატივის გაცემას ამბოხებულთა მესამე მოთაყვანისთვისაც. თუმცა ვარდან სვანთა ერისთავის ბიზანტიური ტიტული, თუ ასეთი მას საეროდ ჰქონდა მიღებული, ცნობილი არ არის.

ივანე ვარდანის ძის აქტიური გამოსვლა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე მამის გარდაცვალების შემდეგ ხდება. შესაბამისად, ბიზანტიის იმპერატორის მიერ მისი აღზევება პროტოსტრატორის პატივში ამავე პერიოდში უნდა მომხდარიყო, დაახ. XI საუკუნის მიწურულს.

ამრიგად, სვანეთის ერისთავი ივანე ვარდანის ძე პროტოსტრატორი XI საუკუნის ბოლოდან 1104 წლამდე უნდა ყოფილიყო. ამ წლისთვის დავით IV აღმაშენებელი თვითმპყრობელი ხდება და კრძალავს ბიზანტიური საიმპერიო-საკარისკაცო ტიტულების გაცემას, რასაც საქართველოს ფეოდალური ელიტაც უბამს მხარს.[101] აღნიშნული უნდა ყოფილიყო იმის ძირითადი მიზეზი,

---

100 ლ. თავაძე. ბიზანტიური საიმპერიო ტიტულატურა საქართველოში. გვ. 185-199.
101 ლ. თავაძე. მაგისტროსი საქართველოში და ქართველი მაგისტროსები ბიზანტიის იმპერიაში. გვ. 269.

რომ საერო პირების დიდი ნაწილი ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულებით პრაქტიკულად აღარ იხსენიებია. ხოლო ისინი, ვინც იხსენიებიან, მათ ეს ბიზანტიური წოდებები ან ქართველი მეფისგან უნდა მიეღოთ, ანდა ეს მხოლოდ საპატიო ეპითეტია და არა ოფიციალური ბიზანტიური ტიტული.[102]

[102] ლ. თაქაძე. კეისრის ტიტული შუა საუკუნეების ქართულ პოლიტიკურ რეალობაში. თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. V. თბ. 2012, გვ. 119-122; ლ. თაქაძე. ბიზანტიური საიმპერიო ტიტულატურა საქართველოში, გვ. 166-170.

Leri Tavadze

PROTOSTRATOR IN BYZANTIUM AND GEORGIA FROM THE 8TH TO THE 12TH CENTURIES

Summary

Protostrator is a Greek term and means "the first among the strators". Strator in Greek means a groom. Besides the imperial court, the strators served to the various members of the official administration of Byzantine Empire. Strators formed the independent scholae at the court of the Byzantine emperor. Probably to distinguish them from the other strators, they were referred as strators of the imperial stratorikion. This group was lead by the protostrator. The latter was named as basilikos protostrator, or protostrator of the imperial court.

Influence of the protostrators in Byzantium was especially increased in the 11th century. This could be certified by the activities of persons who held the office of protostrator and other important offices and court titles in Byzantine Empire. Among them was Romanos Skleros, scion of famous Bardas Skleros. He became magistros and protostrator in 1042, but later by 1050 Romanos received office of doux of Antioch instead of protostrator. The latter was given to someone, probably to the famous Georgian feudal *eristavt-eristavi* Liparit IV Baghvashi, who was the most trusted ally of Constantine IX Monomachos. Liparit was ransomed from Seljuk captivity by the Byzantine Emperor in 1050, hence at that time he was ready to accept this office.

Liparit IV Baghvashi was the first Georgian protostrator according to the Georgian inscriptions. In the Georgian inscription of the church in the village named as Darakoy (Kvemo Kartli region) the term "protatisasa" appears, which must be read as "prot(ostr)at(or)isasa", hence the term "protostrator" appears at the first time in the Georgian inscriptions. The analogical reading we find on the St. George's icon that belongs to the Holy Virgin church at Labetchini (Svaneti region). Inscription was made by the order of Ivane Vardanisdze. Also, the term "protatos" is not found in the Byzantine dictionary, hence the presence of this type of Byzantine title must to be rejected.

This inscription from St. George's icon is important for the study of the title of protostrator in Georgia. Ivane, son of Vardan, is named as protostrator in

this inscription. Ivane had belonged to the famous Vardanisdze noble family, the members of this family had the office of *eristavi* of Svaneti for many years.

During the rule of David IV the Restorer Ivane Vardanisdze had several leading offices in Georgia including, the office of *eristavi* of Svaneti (governor of Svaneti province) and *metchurtchletukhutsesi* (the master of treasury) as well. From the inscription of St. George's icon that belongs to the Holy Virgin church at Labetchini we learn that he also had the Byzantine title of protostrator.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XI
თბილისი. 2016

ნესტან სულავა

წმ. ილარიონ ქართველი ძველ ქართულ მწერლობაში

წმ. ილარიონ ქართველი ქართული კულტურის ისტორიაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს, რადგან, უწინარეს ყოვლისა, პეტრე იბერის შემდეგ ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში ჩვენთვის ცნობილ ქართველ ბერმონაზონთაგან პირველი წმ. ილარიონია, რომელმაც უცხოეთს, კერძოდ დასავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებს მიაშურა და სამონასტრო ცხოვრებას ჩაუყარა საფუძველი. მან თავისი საღვთისმეტყველო-პრაქტიკული მოღვაწეობით სასულიერო და საერო წრეებში უდიდესი ავტორიტეტი მოიხვეჭა და გარდაცვალების შემდეგაც ბიზანტიის იმპერატორმა განსაკუთრებული პატივი მიაგო. IX საუკუნეში წმ. ილარიონ ქართველმა პირველმა გაკვალა გზა დასავლეთისაკენ, რამაც X საუკუნიდან ინტენსიური ხასიათი შეიძინა და, ფაქტობრივად, ათონის ქართველთა და შავი მთის მონასტრების დაარსებით დასრულდა. წმ. ილარიონ ქართველი წმინდანად მალევე შეირაცხა და მის შესახებ დაიწერა ჰაგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული თხზულებები. „წმ. ილარიონ ქაროველის ცხოვრების“ რამდენიმე რედაქციაა ცნობილი: კიმენური, მეტაფრასული და სვინაქსარული; წმ. ილარიონის სახელზე რამდენიმე საგალობელი შეიქმნა, რომელთა ავტორები არიან XI საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფები ეზრა და ზოსიმე მთაწმინდელები. წინამდებარე სტატიის მიზანია წმ. ილარიონ ქართველის ხატ-სახის წარმოჩენა ჩვენამდე მოღწეული ჰაგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული თხზულებების მიხედვით. აგრეთვე, ნაშრომში გათვალისწინებულია საეკლესიო კალენდრის მონაცემებიც.

საუბარს დავიწყებთ ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა განხილვით.

ხელნაწერები, რედაქციები, გამოცემები, ავტორი. „წმ. ილარიონ ქართველის ცხოვრება“ რამდენიმე რედაქციითაა ცნობილი. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება თხზულების ოთხი რედაქციის არსებობის შესახებ: 1. მოკლე ათონური, 2. გავრცობილი კიმენური ათონური, 3. მეტაფრ-

რასული და 4. სვინაქსარული რედაქციები. „წმ. ილარიონ ქართველის ცხოვრების" კიმენური რედაქცია მხოლოდ ერთი ხელნაწერითაა მოღწეული, ესაა ათონური ხელნაწერი A-558, რომელიც XI საუკუნის მეორე ნახევარშია შედგენილი. მანანა დოლაქიძის მიერ კიმენური რედაქციის მეცნიერულად დადგენილი ტექსტი გამოქვეყნებულია „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების" მეორე ტომში 1967 წელს[1]. მეტაფრასულმა რედაქციამ რამდენიმე ხელნაწერით მოაღწია, რომლის მეცნიერულად დადგენილი ტექსტი „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების" მესამე ტომში დაიბეჭდა 1971 წელს.[2] გვაქვს სვინაქსარული რედაქციის რამდენიმე ხელნაწერიც, იგი ენრიკო გაბიძაშვილმა გამოსცა ამავე სერიის IV ტომში.[3] პოპულარულ გამოცემებში ძირითადად კიმენური რედაქციის ტექსტი იბეჭდება.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა დროს „წმ. ილარიონ ქართველის ცხოვრების" რედაქციებს, მათს ურთიერთმიმართებებს, ატრიბუციის, კოდიკოლოგიურ-ფილოლოგიურ საკითხებს იკვლევდნენ ქართველი და უცხოელი მეცნიერები: ნიკო მარი, ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, პაულ პეეტერსი, მანანა დოლაქიძე, ივანე ლოლაშვილი, ბეჟან კილანავა, გივი წულაია, სოსო მახარაშვილი; ზოგიერთი კონკრეტული საკითხი სხვა მეცნიერთა შრომებშიცაა დასმული და გამოკვლეული. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მანანა დოლაქიძის მიერ 1974 წელს გამოცემული მონოგრაფია „ილარიონ ქართველის ცხოვრების" რედაქციები".[4]

ათონური რედაქციის მიხედვით ჩანს, რომ წმ. ილარიონის სახელზე დაწერილი ყოფილა „საჭსენებელი", „ცხორება" და „შესხმა", რომელთა ავტორებისა და დაწერის თარიღის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული. მიუხედავად აღნიშნული საკითხის სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის განხილვისა, თავდაპირველი ტექსტის, მისი წარმომავლობისა და ავტორის საკითხი ბოლომდე გარკვეული არ

[1] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II. გამოსაცემად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, შ. დოლაქიძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ქანკიევმა და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბ. 1967.

[2] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. III (მეტაფრასული რედაქციები XI-XIII სს.). დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ე. გაბიძაშვილმა, ნ. გოგუაძემ, შ. დოლაქიძემ, გ. კიკნაძემ და ც. ქურციკიძემ, ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბ. 1971.

[3] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. IV (სვინაქსარული რედაქციები XI-XVIII სს.), გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ე. გაბიძაშვილმა, ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბ. 1968.

[4] შ. დოლაქიძე. „ილარიონ ქართველის ცხოვრების" რედაქციები. თბ. 1974.

იყო, სანამ ათონის ქართველთა მონასტრის ხელნაწერთა კოლექციაში არ აღმოჩნდა „წმ. ილარიონ ქართველის ცხოვრების“ ტექსტი, რომელმაც პრობლემის გადასაწყვეტად განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. „წმ. ილარიონ ქართველის ცხოვრების“ რედაქციების შესახებ მეცნიერთა შორის კამათი კომენურ რედაქციათა ისტორიას, ავტორისა და დაწერის თარიღის გარკვევას მოჰყვა. ამ პრობლემათა შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები შეიძლება ასე შეჯერდეს და ჩამოყალიბდეს:

1. სამეცნიერო წრეებში ერთხანს ფიქრობდნენ, რომ წმ. ილარიონის შესახებ ჰაგიოგრაფიული თხზულება თავდაპირველად ენკომიის სახით ბერძნულად უნდა დაწერილიყო და მისი ავტორი უნდა ყოფილიყო ბასილი მონაზონი, ასიკრიტი თუ პროტოასიკრიტი, რომელიც ფილოსოფოსად და ღირსეულ მონაზვნად იხსენიება; შემდეგში წმ. ეფთვიმე მთაწმინდელს ეს თხზულება ქართულად უნდა ეთარგმნა. კერძოდ, კ. კეკელიძე წერდა: „ექვთიმეს ქართულ აგიოგრაფიაშიც უნდა ემუშავნოს... ექვთიმეს უთარგმნია 991 წელს ბასილი ასიკრიტის მიერ ბერძნულად აღწერილი და ჩვენამდე შენახული ენკომია ილარიონ ქართველისა, რომელიც მთარგმნელს გადაუკეთებია თავისებურად და ახალი მასალის შეტანით შეუვსია“.[5] მოკლე ათონური რედაქციის მიხედვით, ბიზანტიის იმპერატორის ბასილი I მაკედონელის ბრძანებით წმ. ილარიონ ქართველის წმინდა ნაწილების გადასვენებისას ბასილი პროტოასიკრიტმა წარმოთქვა ენკომია-შესხმა; მას ეს შესხმა წმ. ილარიონის მოწაფეებისა და თანამოაზრეების მონათხრობის საფუძველზე შეუქმნია. ვარაუდობენ, რომ ბერძნულ ენკომიას ჩვენამდე არ მოუღწევია; მაგრამ მის საფუძველზე დაიწერა მოკლე რედაქცია. ბასილი პროტოასიკრიტი ყოფილა განათლებული პიროვნება, რომელიც საიმპერატორო კარზე ნოტარიუსის//მდივნის მოვალეობას ასრულებდა. შემდგომ იგი გამხდარა სასულიერო პირი, მაგრამ ამის შემდეგაც პროტოასიკრიტის საერო თანამდებობა შეუნარჩუნებია. „ცხოვრების“ მოკლე ათონური ტექსტი ბიზანტიური ჰაგიოგრაფიული სახისმეტყველებითი პრინციპების შესაბამისად უკვე ხატთაყვანისცემის ეპოქაშია შექმნილი; ავტორმა შესანიშნავად იცის ბიბლიურ-ევანგელური წიგნები და უმდიდრესი სალვთისმეტყველო ლიტერატურა. თხზულებაში არ შეინიშნება თარგმნილი ტექსტისათვის დამახასიათებელი სტილური ნიშნები, რაც მკვლევარებს აფიქრებინებს, რომ ავტორი ქართველი უნდა იყოს. გავრცობილი კომენური რედაქციის მიხედვით ჩანს, რომ წმ. ილარიონ ქართველის ცხოვრება

[5] კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I. თბ. 1960. გვ. 208.

და მოღვაწეობა თავდაპირველად ბასილი პროტოასიკრიტს აღუწერია. ნ. მარმა, ი. ჯავახიშვილმა და კ. კეკელიძემ აღნიშნეს, რომ თხზულებაში არ ჩანს ეროვნული ტენდენციები, რასაც ჩვენამდე მოულწეველი ბერძნული ენკომიის ტექსტის გავლენით ხსნიდნენ.

2. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნა, ბასილი პროტოასიკრიტის თხზულება დაედო საფუძვლად „ცხორების" ძველ ათონურ რედაქციას, რომლის ავტორად წმ. ეფთვიმე მთაწმინდელს, ხოლო თხზულების დაწერის თარიღად 991 წელს მიიჩნევენ. ძველი ათონური რედაქციის ტექსტში შემდეგი სახის წარწერაა: „დაიწერა წმიდა ესე წიგნი მთასა ათონას, საყოფელსა წმიდისა ღმროისმშობელისასა, და განსრულდა გლახაკისა ეთიმის მიერ მეფობასა ბასილისსა და კონსტანტინესსა, პატრიაქობასა ნიკოლაოსისა, ინდიკტიონსა დ, დასაბამითგან წელთა ხუჟთ (6499 წელს)"... ესაა დაწერის თარიღი, 991 წელი, იქვე კ. კეკელიძემ აღნიშნა, რომ ეს თარიღი უშეცდომოა. მანვე მიუთითა, რომ ეს ხელნაწერი — A-558 — უდიდესი მნიშვნელობისაა, რადგან უტყუარ საბუთს გვაწვდის, რომ ძველი ათონური რედაქცია შექმნილია წმ. ეფთვიმე მთაწმინდელის მიერ. ამას ადასტურებს კიდევ სხვა გარემოებაც, კერძოდ, თხზულების შემცველი ათონური ხელნაწერი წმ. ეფთვიმეს ხელითაა შესრულებული, რაც იმას მოწმობს, რომ თხზულება მისი დაწერილია ან გადმოკეთებული, რადგან მთარგმნელობითი და პრაქტიკული საქმიანობით უაღრესად დატვირთული წმ. ეფთვიმე მთაწმინდელი გადასაწერად ვერ მოიცლიდა; კ. კეკელიძემ ტექსტები პირველმა შეუდარა ერთმანეთს და დაასკვნა, რომ ბიზანტიელ ავტორს არ ექნებოდა ისეთი ამომწურავი ცნობები IX საუკუნის საქართველოს მდგომარეობის, საეკლესიო ცხოვრების შესახებ და, შესაბამისად, ვერ იქნებოდა ავტორი თხზულებისა. ამავე დროს, აღნიშნა, რომ წმ. ეფთვიმე მთაწმინდელი თავისი მოღვაწეობით წმ. ილარიონ ქაროველის მოღვაწეობას ბაძავს.[6] გ. წულაია ფიქრობს, რომ წმ. ეფთვიმე ამ რედაქციის ავტორი არ უნდა იყოს.

3. „ცხორების" მეტაფრასული რედაქცია 1074-1100 წლებში საქართველოს მეფის გიორგი მეორის დაკვეთით ათონური კიმენური რედაქციების საფუძველზე თეოფილე ხუცესმონაზონმა შექმნა. თეოფილე ხუცესმონაზონი მეტაფრასული თხზულებების ქართულად მთარგმნელია და შესანიშნავად იცოდა მეტაფრასტიკისათვის დამახასიათებელი სახისმეტყველებითი პრინციპები,

[6] კ. კეკელიძე. ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან (ცხოერება ილარიონ ქაროველისა). ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. IV. თბ. 1957, გვ. 142-143.

სტრუქტურა, კომპოზიცია და, საზოგადოდ, თვისებები. მან ცვლილებები შეიტანა კიმენური რედაქციის ტექსტში, გაზარდა დასაწყისი, შეცვალა მთავარი პერსონაჟის მიმოსვლის მარშრუტი, ცალკეული ეპიზოდის სოციალური არსი. თეოფილეს თხზულება ასახავს და ზედმიწევნით მისდევს „წმ. ილარიონ ქართველის ცხოვრების“ კიმენური რედაქციის ტექსტს შინაარსობრივი და მსოფლმხედველობრივ-იდეოლოგიური თვალსაზრისით.[7]

4. რაც შეეხება სვინაქსარულ რედაქციას, იგი XII საუკუნის დამდეგსაა შედგენილი კიმენური და მეტაფრასული რედაქციების საფუძველზე და წმ. გიორგი მთაწმინდელისეულ „დიდ სვინაქსარშია“ შეტანილი.[8]

მრწამსი და სახისმეტყველება. „წმ. ილარიონ ქაროველის ცხოვრების“ მნიშვნელობა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში იმანაც განსაზღვრა, რომ მასში პირველადაა დასმული საკითხი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრილად საქართველოს მიჩნევის შესახებ. ულუმბოს მთაზე მყოფი წმ. ილარიონისა და მისი სულიერი ძმების განდევნის სურვილით შეპყრობილმა მამასახლისმა ჩვენება იხილა, რომელშიც ყოვლადწმინდა ქალწულმა რისხვით მიმართა: „ჰოი, უბადრუკო, რაჲსა ინებე განძებაჲ უცხოთაჲ მათ, რომელნი მოსრულ არიან სიყუარულისათჳს ძისა და ღმრთისა ჩემისა და დაუტეობია ქუეყანაჲ მათი, და არა დაიმარხე მცნებაჲ იგი უცხოთა და გლახაკთა შეწყნარებისათჳს, ვითარ-ეგე ეტყჳს მდიდარსა მას უფალი ჩემი და ძჱ ჩემი. ანუ არა უწყია, ვითარმედ მრავალნი დამკუდრებად არიან მოასა ამას მათისა ენისა მეტყუელნი და ცხოვნებად არიან ღმრთისა მიერ? და რომელნი მათ არა შეიწყნარებენ, მტერ ჩემდა არიან, რამეთუ ჩემდა მონიჭებულ არს ძისა მიერ ჩემისა ნათესავი იგი შეურყეველად მართლმადიდებლობისათჳს მათისა, ვინაჲთგან ჰრწმენა სახელი ძისა ჩემისაჲ და ნათელ იღეს“.[9] თხზულების სწორედ ამ მრავალმხრივ მნიშვნელოვან ეპიზოდში აისახა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი საქართველოს წილხვედრილობის იდეოლოგიური ღირებულების მქონე მესიანური იდეა, რომელსაც მომდევნო ხანის ქართულ მწერლობაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მისია დაეკისრა.[10] უნდა ვივარა-

[7] თეოფილეს ავტორობა ივარაუდა კ. კეკელიძემ. ახალი ცნობებით შეავსო და დაასაბუთა ს. მახარაშვილმა. იხ. კეკელიძე. ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან (ცხოვრება ილარიონ ქართველისა), გვ. 147-148; ს. მახარაშვილი. თეოფილე ხუცესმონაზონი. თბ. 2002.

[8] ე. გაბიძაშვილი. XI-XIV საუკუნეების სვინაქსარული ცხოვრებანი. წიგნში: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. IV, გვ. 47.

[9] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 20.

[10] კ. კეკელიძე. ნაწყვეტი ქართული პაგიოგრაფიის ისტორიიდან (ცხოვრება ილარიონ ქართველისა), გვ. 138.

უდროო, რომ ამ იდეის არსებობას წინ წერილობითი ან, შესაძლოა, ზეპირი ტრადიცია უძღოდა. წმ. ილარიონ ქართველის შესახებ შექმნილი ჰაგიოგრაფიული თხზულების კიმენური და მეტაფრასული რედაქციები ქრისტიანული სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობითა და მესიანური იდეოლოგიური თვალთახედვით გამოირჩევა. ორივე რედაქციაში გამოთქმულია თვალსაზრისი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი საქართველოს წილხვედრილობის შესახებ, რომ იგი მისი მფარველობის ქვეშ იმყოფება: „ერი რომელი მონიჭებულ არს ჩემდა“. თვით წმ. ილარიონ ქართველი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის თანადგომასა და წყალობას მუდმივად გრძნობდა: „მზრდის ჩუენ მოღუაწე ჩუენი, წმიდაი ღმრთისმშობელი, და არა დამაკლებს ჯორციელსა საზრდელსა“.[11]

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ზემოთ დამოწმებულ სიტყვაში წმ. ილარიონისა და მის თანამოაზრე-თანამგზავრთა ენის პრობლემაზეცაა ყურადღება გამახვილებული, რომლის მიხედვით იესო ქრისტესა და ღვთისმშობლის მადლით ულუმბოზე ქართველები იღვაწებენ და ამ მთაზე ქართველთა ენა გავრცელდება; ქართული ენა ბერძნულის თანატოლადაა აღიარებული და უფლის მიერ შეწყნარებულ ენათა რიგს განეკუთვნება. ღმერთმა ქართველი ერი ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს ყოველმხრივ არწმუნა. ქართული ენის სულიერ მისიაზე სხვა სასულიერო პირებიც ამახვილებენ ყურადღებას, რასაც საბაწმინდის ლავრასა და სინას მთის წმ. ეკატერინეს სახელობის ქართული მონასტრის X საუკუნის ქართველი ბერმონაზვნის იოანე-ზოსიმეს ღვაწლი მოწმობს.

„წმ. ილარიონ ქართველის ცხოვრების“ მეტაფრასულ რედაქციაში, რომელიც თეოფილე ხუცესმონაზონს ეკუთვნის, საგანგებოდაა აღნიშნული, რომ საქართველოს, როგორც მაროლმადიდებელ ქვეყანას, არასოდეს გადაუხვევია ჭეშმარიტი რწმენისაგან და მწვალებლობა არასოდეს გავრცელებულა. ქართველთა სარწმუნოებას ერესი არასოდეს შერევია, ქართველები ყოველთვის იყვნენ შეურყეველი მართლმადიდებლები. თუ დავაკვირდებით, ადვილად შევნიშნავთ ამ თხზულების მსოფლმხედველობის სიახლოვეს გიორგი მცირის ჰაგიოგრაფიულ თხზულებასთან — „წმ. გიორგი მთაწმინდლის ცხოვრებასთან“, რაც წმ. გიორგი მთაწმინდელთან თეოფილე ხუცესმონაზვნის, მეტაფრასული რედაქციის ავტორის, სიახლოვითაც შეიძლება აიხსნას. უაღრესად მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ წმ. ილარიონ ქართველი ღვთის ნებით წმინდანად არა მხოლოდ საქართველოს ეკლესიის, არამედ ბიზანტიის საპატრიარქოს მიერაც არის აღიარებული და მსოფლიო წმინდანად მოიაზრება. წმ.

[11] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 21.

ილარიონის მოგზაურობა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანულ სამყაროში იმის მოწმობაა, რომ იერუსალიმი, კონსტანტინეპოლი და რომი ერთმანეთთან ორგანულადაა დაკავშირებული; ამ გზამ მთელი ქრისტიანული სამყარო უნდა შეკრას და გააერთიანოს. ყოველივე ამის მოთავე არის საქართველო, სადაც დაიბადა წმ. ილარიონ ქართველი, რომელსაც განსაკუთრებული პატივი ათონის ქართველთა მონასტერში ხვდა წილად.

ყოველი საკითხი, რომელიც ყოველადწმინდა ღვთისმშობლის ზემოთ დამოწმებულ სიტყვაშია დასმული, ქართველი ერისათვის ყველა ეპოქაში კონცეპტუალური იყო, რადგან ქართული სახელმწიფოებრივი იდეოლოგია და პოლიტიკური თეოლოგიური აზროვნება, სხვა მახასიათებლებთან ერთად, ამ ნიშნებსაც ემყარებოდა. ამიტომ საკითხი „წმ. ილარიონ ქართველის ცხოვრების“ თაობაზე, რას მოგვითხრობს, რა მიზანდასახულობითაა დაწერილი, როგორია მწერლის ქრისტიანული თვალთახედვა, მსოფლმხედველობრივი სამყარო და ეროვნული მრწამსი, მხოლოდ ქართული მწერლობისათვის არაა მნიშვნელოვანი, არამედ მთელი ქრისტიანული სამყაროსათვის, რასაკვირველია, ბიზანტიური ქრისტიანული საღვთისმეტყველო მწერლობისათვის. სწორედ წმ. ილარიონ ქართველის მსოფლმხედველობრივი მრწამსი და სულიერი ცხოვრება გახდა მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ მსოფლიო წმინდანთა რიგში მისი მოხსენიების საფუძველი.

„წმ. ილარიონ ქართველის ცხოვრება“, მისი ყველა რედაქცია, მოგვითხრობს წმ. ილარიონის მოღვაწეობის შესახებ საქართველოსა და ბიზანტიაში. შესაბამისად, თხზულების დროსივრცული არეალი ვრცელია, იგი დასავლეთსა და აღმოსავლეთს თანაბრად სწვდება. კ. კეკელიძემ დაადგინა, რომ წმ. ილარიონ ქართველი IX საუკუნეში, კერძოდ, 822-875 წლებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა;[12] წმინდანის სრულყოფილი სახის გასააზრებლად და წარმოსასახავად საჭიროა მისი ხატ-სახის განვითარების, მისი სულიერი მოღვაწეობის ეტაპების გამოყოფა და განსაზღვრა, რაც მკითხველს წმინდანის ღვაწლსა და დამსახურებას უკეთ აღაქმევინებს. წმ. ილარიონი წარმომავლობით წარჩინებული არისტოკრატიული ფენის წარმომადგენელი, კახელი დიდებულის შვილი იყო, მეცნიერთა ვარაუდით, დონაურთა საგვარეულოდან. თხზულებიდან ცნობილია, რომ წმ. ილარიონის მშობლებს სხვა შვილებიც ჰყავდათ, მაგრამ ღმერთს მხოლოდ წმ. ილარიონის სასულიერო პირად აღ-

[12] კ. კეკელიძე. ნაწყვეტი ქართული პაგიოგრაფიის ისტორიიდან (ცხოვრება ილარიონ ქართველისა), გვ. 134-158.

ზრდა აღუთქვეს, როგორც ბიბლიურმა ანნამ სამოელი, მომავალი წინასწარმეტყველი, ღმერთს აღუთქვა. ბიბლიური პერსონაჟების პარადიგმული სახისმეტყველებით წმ. ილარიონის წარმოჩენა მისი დაბადებითა და ბავშვობით იწყება. ექვსი წლისა სასწავლებლად და აღსაზრდელად ღირსეულ ღვთისმოსავ ბერს იქვე, თავიანთ სახლთან ახლოს, მიაბარეს. იგი ბავშვობიდანვე განსაკუთრებული ნიჭიერებით გამოირჩეოდა და, შესაბამისად, ღმრთივსულიერი წიგნებით ღრმად განისწავლა. წმინდანის სწავლისადმი დამოკიდებულებასა და ინტერესს ავტორი მეტაფორულად ხსნის: „და ირწყვებოდა იგი, ვითარცა ხმ დანერგული ღმრთისა მიერ თანა-წარსადინელსა წყალთა მათ სულისა წმიდისა".[13] როდესაც მამამ შვილს ღვთისადმი სიყვარული და გულმოდგინება შენიშნა, იქვე, თავისსავე სოფელში, მონასტერი საგანგებოდ ააშენა. ფიქრობდა, რომ შვილი ამ მონასტერში იღვაწებდა. თექვსმეტი ბერი შეიკრიბა ტაძარში, სადაც ილარიონის მამა ხშირად დადიოდა, ყურადღებას აქცევდა და შვილის ხშირი ნახვის საშუალებაც ჰქონდა. მაგრამ სახარებისეული სწავლებით აღჭურვილმა – „რომელმან არა დაუტეოს მამაჲ თჳსი და ღედაჲ თჳსი და არა აღიღოს ჯუარი თჳსი და შემომიდგეს მე, იგი არა არს ღირსი ჩემდა" (მათე, 10, 38) – თხუთმეტი წლის ილარიონმა გადაწყვიტა, მამის ზედმეტ ყურადღებას, ოჯახურ გარემოს განრიდებოდა, რის გამოც მამის მიერ დაარსებული მონასტერი დატოვა, გარეჯის უდაბნოს მიაშურა და იქ ერთ პატარა გამოქვაბულში დაეყუდა. წმ. ილარიონი საღვთო გზას, „უშინაგანესსა უდაბნოსა", დაადგა და სასულიერო მოღვაწეობას შეუდგა: „მარხვითა და მღვძარებითა ჰასაკსა მას სიჭაბუკისასა დააჭკნობდა, ლოცვითა და მარადის ღმრთისა ხედვითა უჴორცოთა მიემსგაკსებოდა, ვიდრეღა წარემატებოდა და მოღუაწებითა ყოველთავე მყოფთა მის ადგილისათა უდაბნოსა მას შინა, რამეოუ ყოველთავე უკჱრდა ეგეოდენი შრომაჲ მისი და მოთჳნებაჲ".[14]

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ, ყმაწვილმა წმ. ილარიონმა გარეჯის უდაბნოს მონასტრის მეუდაბნოე მოღვაწეთა საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. სულიერი ცხოვრებითა და განსწავლულობით მისივე მსგავსი მამები სულიერ ღვაწლში მასთან ერთად იმყოფებოდნენ. „და აღეშენებოდეს ყოველნი იგი ძმანი სწავლითა მისითა და შეუვრდებოდეს მას, რაჲთა იყოფოდინ მის თანა".[15] ასე დაემკვიდრნენ ღირს ილარიონთან „ათერთმეტნი ძმანი მოღუაწენი მშჳდნი და მდაბალნი". უნდა საგანგებოდ აღინიშ-

[13] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 10.
[14] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 11.
[15] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 11.

ნოს, რომ ჰაგიოგრაფიაში, საზოგადოდ, საღვთისმეტყველო ლიტერატურაში, ხშირია თორმეტზე მინიშნება, რასაც ევანგელური სწავლება უდევს საფუძვლად, რადგან მასში მაცხოვრის თორმეტი მოწაფე მოიაზრება. ასევეა „წმ. ილარიონ ქართველის ცხოვრებაში", რომელშიც თორმეტი ბერმონაზვნის ერთად დამკვიდრება გარეჯის უდაბნოში სიმბოლურად წარმოიდგინება, იგი მაცხოვრის 12 მოწაფის ჰიპოდიგმური სახითაა მოტივირებული და მას თავად მაცხოვარი წინამძღვრობს.

ჰაგიოგრაფმა წმ. ილარიონს წმინდანური ცხოვრებისა და ღვაწლის კვალობაზე უწოდა „მუშაკი კეთილი", „მიმავალი ნაყოფსა მას ზედა სათნოებათა თუსთასა", „მკედარი ძლევამოსილი", „მენავეთ-მოძღუარი ჴელოვანი წიაღ-მყვანებელი მრავალთა სულთაჲ დაულტობელად ღელვათა შინა სოფლისათა ამის ზღუსათა და ღმრთისა შემწირველი".[16] ანგელოზს მიმსგავსებული, მმარხველი და დაუცხრომლად მლოცველი ბერის ამბავი მთელმა ქართლ-კახეთმა გაიგო, რაც თხზულების ავტორმა სახარებისეული სანთლისა და ხეიმირის იგავით წარმოაჩინა: „ვითარ შესაძლებელ არს სანთელი დაფარვად ჴუმრისა ჭუეშე გინა ცხედარსა (შდრ. მარკ. 4, 21)".[17] სანთლისაგან ირგვლივ ყოველივეს განათების ამ ეპიზოდით „წმ. ილარიონ ქართველის ცხოვრება" იოვანე საბანისძისა და გიორგი მერჩულის თხზულებებს ეხმიანება, როდესაც წმ. აბო და წმ. გრიგოლ ხანცთელი ამავე იგავური მეტყველებით, სიმბოლური ხატმეტყველებით წარმოჩნდებიან.[18] ყოველივე ამას ადამიანის გონება ღვთის უსასრულო მადლთან და ღვთაებრივ ნათელთან თანაზიარების იდეის ერთიანობის შეგრძნებით შეიძლება ჩასწვდეს, რადგან ღმერთმა ადამიანის ბუნება სიკეთის დასამკვიდრებლად შექმნა. წმინდანთა ნაღვაწი არ უნდა დაიფაროს, იგი უნდა განცხადდეს, რაოა რწმენით აღსავსე ადამიანებს მსგავსებისა და ბაძვის სურვილი აღეძრას.

„წმ. ილარიონ ქართველის ცხოვრება" და „წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება" კომპოზიციურად და სახისმეტყველებითად ერთმანეთს უახლოვდებიან, რადგან ორივე ერთი და იმავე ეპოქის ლიტერატურულ-საღვთისმეტყველო ტრადიციების კუთვნილებაა, ორივე „ცხორებათა" ჟანრის თხზულებაა და ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის სპეციფიკის საფუძველზე შეიქმნა. გარე-

[16] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II. გვ. 27.
[17] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 11.
[18] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I (V-X სს). დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ჩ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ. ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ. ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და და რედაქციით. თბ. 1963, გვ. 62, 252.

ჯის უდაბნოში წმ. ილარიონისა და მისი თანამოღვაწეების სანახავად, მისგან ლოცვა-კურთხევისა და რჩევა-დარიგების მისაღებად უამრავი ხალხი მიდიოდა. მასთან მისულმა რუსთველმა ეპისკოპოსმა ფერმკრთალ, თავმდაბალ, შეურაცხ სამოსელში ჩაცმულ ბერს მოწიწებით სთხოვა, მღვდლად კურთხეულიყო და მღვდლობის პატივი მისი ხელიდან მიეღო. ამქვეყნიური დიდების უარმყოფელი წმ. ილარიონი მღვდელთმთავარს ევედრებოდა, იგი მღვდლობის პატივით არ დაემძიმებინა; მიაჩნდა, რომ ეს მისთვის დიდი ტვირთი და უღელი იქნებოდა. მაგრამ ეპისკოპოსის ვედრებამ და მისგან იძულებამ ბოლოს მაინც თანხმობა ათქმევინა, რადგან ღვთისმეტყველების ღრმად მცოდნემ იცოდა, რომ მღვდელთმოძღვრის ურჩობა ბიბლიურ მოძღვრებას ეწინააღდეგებოდა: „შვილი ურჩი წარსაწყმედელსა მიეცესო“ (იგავ. 13, 1). წმ. ილარიონ ქართველის ცხოვრების ეს ეპიზოდი გიორგი მერჩულის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში ასახულ წმ. გრიგოლ ხანცთელის მღვდლად კურთხევის ეპიზოდს მოგვაგონებს, როდესაც წმ. გრიგოლმა მღვდლობა უდიდეს პატივად მიიჩნია და განაცხადა: „და აწ პატივსა ვხედავ და პატიჟისაგან მეშინის!“.[19] ცხადია, ეს ჰაგიოგრაფიისათვის დამახასიათებელი ჟანრული სპეციფიკაა, რომელიც „ცხორებათა“ ტიპის ორივე ნაწარმოებში სახისმეტყველებითი ფუნქციითაა დატვირთული და განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ენიჭება იმას, რომელი ნაწარმოები უფრო ადრეა დაწერილი. მთავარი ისაა, რომ წმინდა მამები ხორციელ დიდებას, წუთისოფლისეულ პატივს გაურბიან, შესაბამისად, მომავალი სულიერი ცხოვრება მხოლოდ განდეგილობაში ან სამონასტრო ყოფაში ეგულებათ.

წმ. ილარიონ ქართველი მღვდლად კურთხევის შემდეგ ახალი სულიერი დიდებით შეიმოსა და ღირსი მამის სახელით აღიჭურვა. როგორც გიორგი მერჩულემ წმ. გრიგოლ ხანცთელის შესახებ აღნიშნა, რომ მას „მოხუცებულებაი გონებისაი აქუნდა“, ასევე წერს წმ. ილარიონ ქართველის ცხოვრების ავტორიც: „და ჰასაკისავე სიჭაბუკისასა მოხუცებულებრი სული მოიპოვა, ვითარცა დიდმან მოსე, და მსაჯულ იქმნა შორის სულისა და ჴორცთა“[20]. წმ. ილარიონის მოსე წინასწარმეტყველთან შედარება, რასაც თხზულებაში რამდენიმეგზის ვხვდებით, სიმბოლურია, რადგან მის სასულიერო მოღვაწეობას მოსეს ჰიპოდიგმა წარმართავს. როგორც მოსე განერიდა ეგვიპტელებს და ამაღლდა „მთასა მას სათნოებასა“, სადაც შეუწველი მაყვალი იხილა, როგორც ყოველადწმინდა ღვთისმშობლისაგან მაცხოვრის მოვლინების წინამოს-

[19] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 251.
[20] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 11.

წავება, ასევე წმ. ილარიონმა სამშობლოსაგან განრიდება გადაწყვიტა, რადგან „მოუკდა სურვილი უცხოებისად და სიძულილი ცუდად-დიდებისაჲ“;[21] ამიერიდან წმ. ილარიონი გაურბის თეთრი სამღვდელოების პატივს, ადამიანებს განერიდება და მიზნად ისახავს, რომ მხოლოდ სულიერი ცხოვრებით იღვაწოს. ამას ემატებოდა წმინდა და ცხოველმყოფელი ადგილების, მაცხოვრის კაცობრივი ხორცით ცხოვრების ადგილთა, ჯვარცმის ადგილის მოხილვისა და თაყვანისცემის დაუცხრომელი სურვილი.

წმ. ილარიონი ზრუნავს მონასტერზე, მის მომავალზე, საქმიანობაზე, რის გამოც მონასტრის წინამძღვრად თავისი თვისებებით, სათნოებითა და სიკეთის ქმნის სურვილით აღსავსე, წინამძღვრობის შემძლე და სულიერთა მწყემსად შესაფერისი ერთი ძმათაგანი თვითონ გამოარჩია და მონასტერი ჩააბარა, თავად კი თავის ერთ სულიერ ძმასთან ერთად იერუსალიმს მიაშურა წმინდა ადგილების მოსალოცად.

ცნობილია, რომ ჰაგიოგრაფიაში გვხვდება წმინდანის საპირისპირო სახე, მტრის ხატი, რომელიც ბოროტი ზრახვით წმინდანს ებრძვის, ან თავს ესხმის. ღმერთი წმინდანის ხილვით მას სასწაულს მოუელენს და მის გონებას ცვლის, წმინდანის გავლენით ბოროტი კაცის სახე და მსოფლხედვა იცვლება, კაცთმოყვარედ და მორწმუნედ გარდაისახება. ეს ქრისტიანული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხია, რომლითაც ადამიანის სულიერ სამყაროში მიმდინარე ცვლილებებზე, ადამიანის ფსიქოლოგიური მიმოხერის ფაქტებზე დაკვირვების საშუალება გვეძლევა. „წმ. ილარიონის ცხოვრებაში“ ამგვარი ფაქტის ამსახველი ორი ეპიზოდი იქცევს ყურადღებას. გზად მიმავალ წმ. ილარიონსა და მასთან ერთად მყოფ ბერს ავაზაკები მხეცებივით დაესხნენ თავს და მათ მოსაკვდინებლად მახვილები იშიშვლეს. მაგრამ სასწაული მოხდა და ავაზაკებს მოულოდნელად ხელები გაუშეშდათ. შეშინებული და გაოცებული მკვლელები მიხვდნენ, რომ თავს ღვთის სასჯელი დაატყდათ, წმინდანს ფეხებში ჩაუვარდნენ და შენდობა სთხოვეს. წმინდა მამამ მათ ეს ავი განზრახვა მიუტევა, ჯვარი გარდასახა, განკურნა და მშვიდობით განუტევა. განკურნებულებმა ღირსი მამისაგან კვლავ შენდობა ითხოვეს, საკვები მიართვეს. ეს ეპიზოდიც გიორგი მერჩულის ოხზულების სახისმეტყველებას თანხვდება, როდესაც ცქირის მიგზავნილ კაცს ხელი გაუხმა და წმ. გრიგოლის ლოცვისა და შენდობის შემდეგ განიკურნა. მათი მასაზრდოებელი წყარო ევანგელურ-აპოსტო-

[21] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II. გვ. 11.

ლური მოძღვრებაა: „ნუ მიაგებთ ბოროტსა ბოროტისა წილ“ (I პეტრე, 3, 9). ერთმა ავაზაკთაგანმა კი წმ. ილარიონი თავის თანამოაზრესთან ერთად თაბორის მთამდე მიაცილა, რასაც სიმბოლური ფუნქცია ეკისრება, რადგან ავაზაკის მიერ წმ. ილარიონის თაბორის მთამდე მიცილება თაბორის მთაზე მაცხოვრის სულიერი გარდასახვის ალუზიითაა შთაგონებული, რაც ავტორმა, ჩანს, ავაზაკის სულში მიმდინარე ცვლილებად, სულიერ გარდასახვად, სიკეთის მოპოვებად აღიქვა.

როგორც ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა სხვა მთავარ პერსონაჟებს ებრძვიან მტრები, ასევე, სამშობლოში დაბრუნებულ წმ. ილარიონს წინ გადაეღობა უკეთური ძალა, რომელსაც ჰაგიოგრაფი შურსა და ბოროტებას უწოდებს. კეთილისმოძულე ეშმაკმა წმ. ილარიონის ნათესავს მონასტრის დაწვა და მოძღვრის მოკვლა შთააგონა. ილარიონის ნათესავს ეგონა, რომ სასულიერო პირის, წმ. ილარიონის ქონება, როგორც ნათესავს, მას დარჩებოდა, ხოლო წმ. ილარიონის მიერ ქონების ამგვარმა განაწილებამ იგი გააბოროტა. წმ. ილარიონმა განსაცდელი ლოცვით აირიდა თავიდან. მას ძილში გამოეცხადა ბრწყინვალე კაცი, რომელმაც გაამხნევა იგი და შეცთომილის სულიერი გარდასახვის მოწმე გახადა. გათენებისას წმ. ილარიონის ნათესავი მიწაზე დაეცა, გორავდა და გოდებდა. წმ. ილარიონმა მას ჯვარი გარდასახა და განკურნა. გაბოროტებული კაცი გონს მოეგო, სინანულით ატირდა, აღსარება თქვა, მთელი ქონება მონასტერს შესწირა და თვითონაც წმ. ილარიონის ხელით მონაზვნად აღიკვეცა. წმ. ილარიონის სულიერი მხნეობა და სიძლიერე მისივე შემნდობი ბუნებითა და ლმობიერებით გამოვლინდა, ხოლო მონასტერში დამკვიდრებული მისი ნათესავი კეთილ მონაზვნად ჩამოყალიბდა, კეთილი მოქალაქობით, სიმდაბლით, მორჩილებით, ძმათა მოუწყინებლად მსახურებით, საკუთარი თავის უდარესად შერაცხვით გამოირჩა ღვთისაგან. მეტაფრასულ რედაქციაში ეს ნათესავი წმ. ილარიონის დედის ძმად, ანუ ბიძად, იხსენიება „ეწია მძლავრსა მას დედის ძმასა სასჯელი ღმრთისაჲ და მეყსეულად სულმან არაწმიდამან შეიპყრა უსამართლოჲ იგი და აჭირვებდა მას და გუემდა უწყალოებით წარსაწყმედელად ჴორცთა, რაჲთა სული ცხოვნდეს სიტყჳსაებრ წმიდისა მოციქულისა“.[22]

წმ. ილარიონი მიელტვის „უცხოობას“, „უცხო“ სხვას ნიშნავს. ქართულ ჰაგიოგრაფიაში ამ მხრივ ყურადღებას იქცევს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, რომელშიც „უცხოდ“ წმ. ნინო მოიხსენიება. წმ. ნინოს „უცხოობა“ ორგვარი

[22] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. III, გვ. 223.

კონოტაციით წარმოჩნდება: ერთი მხრივ, იგი მისი ქრისტიანობის მაუწყებელია და ამიტომაა ჯერ კიდევ წარმართი ქართველებისათვის „უცხო“; მეორე მხრივ, იგი ქართველი არაა, სხვაა და ამიტომაცაა ხაზგასმული მისი „უცხოობა“. წმ. ილარიონის „უცხოობა“ სხვას, სხვა ქვეყნიდან მოსულს უნდა ნიშნავდეს, რადგან მისი მოღვაწეობის პერიოდში ქრისტიანობის ასე მკვეთრი ხაზგასმა აუცილებელი აღარაა.

წმ. ილარიონმა მოილოცა იერუსალიმი, მოიხილა წმინდა ადგილები, „ყოველივე სახჱ განგებულებისა სიტყჳსა ღმრთისაჲ და თაყუანის-სცა წმიდასა და დიდებულსა გოლგოთასა და ცხოველს-მყოფელსა საფლავსა. და მიერ წარვიდა ბეთლემად და იხილა ქუაბი იგი ცათა მობაძავი“.[23] საღვთისმეტყველო ლიტერატურაში მაცხოვრის შობის ადგილი, გამოქვაბული ცათა მობაძავად იწოდება. ღვთის ადგილი არის ცა, საყდარი ანუ ტაძარი, და ქალწული. საყდარი, ეკლესია, ტაძარი „ცათა მობაძავია“, რადგან იგი არის ადგილი, სადაც ადამიანი ღმერთს სულიერად შეიძლება დაუკავშირდეს, ე. ი. ღმერთის სამყოფელია, თუმცა ღმერთის ადგილი არაა შემოსაზღვრული, იგი თვითონ მოიცავს ყოველივეს, მისი დამტევი არც ცაა, არც საყდარი, არც ქალწული. წმ. ანდრია კრიტელის „საკითხავში“ განმარტებულია: „ამას ზედა იხარებდ, ცაო, რამეთუ შენმან მიმსგავსებულმან შენ შორის დაუტევნელი შეუიწრებლად დაიტია. ამას ზედა გალობდ, ქუეყანაო, რომელმან მუცლად-ღებისა თჳსითა მიგამსგავსა შენ სიმაღლესა ცათასა. რაჟამს ზეცისა ყენა ქუეყანისანი...“.[24] აქ ყოველადწმინდა ღვთისმშობელი ცათა მიმსგავსებულად არის წარმოჩენილი. წმ. ეფრემ მცირემ ღვთის ადგილი განმარტა და, შესაბამისად, ქალწული ღვთისმშობლის ხატ-სახის ინტერპრეტაციაც შემოგვთავაზა: „ადგილ ღმრთისა ოდესმე ცაჲ ითქუმის და ოდესმე ეკლესიაჲ და ოდესმე ქალწული, რამეთუ ამათ ყოველთა მიერ ცხად არს, ვითარმედ არც ერთსა ადგილსა მიერ გარეშემოცულ არს იგი, არამედ ყოველივე მას მხოლოსა შეუცაას“.[25] საგალობლებში ჩვეულებრივია ღვთის სიმბოლური განმარტება-მოხსენიება და ქალწულის მიერ მისი მუცლადღება შემდეგი ლექსიკური ერთეულებით: „გარეშეუწერელი, დაუტევნელი დაიტია ქალწულმა“. ცამ უფალი ვერ დაიტია, მაგრამ ქვაბმა მაცხოვარი დაიტია, რითაც გახდა ბეთლემის გა-

[23] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II. გვ. 13.
[24] ძველი მეტაფრასული კრებულები. გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო ნარგიზა გოგუაძემ. თბ. 1986, გვ. 155.
[25] ეფრემ მცირე. თარგმანებაჲ ფსალმუნოჲ. გამოსცა და შესავალი დაურთო ზვიად ქალა შანიძემ. ძველი ქართული ენის კათედრის შრომები. ტ. II. თბ. 1969. გვ. 83.

მოქცაბული ცათა მობაძავი. ეს სიმბოლო საღვთისმეტყველო ლიტერატურაში ძალზე გავრცელებულია და უმეტესად ყოლადწმინდა ღვთისმშობლის სახეხატად, სიმბოლურ სახელად გაიაზრება. წმ. ილარიონმა მდინარე იორდანეს მიაშურა და წმინდა წყლით განიბანა, რითაც მაცხოვრის წმინდა ადგილებს ზიარებულმა სულიერ სისრულეს მიაღწია. იგი შვიდი წლის განმავლობაში წმ. საბა განწმენდილის ლავრაში მოღვაწეობდა, შრომობდა და სულიერად განიღმრთობოდა, რადგან სოფლის ნივთთა და ზრუნვათაგან თავისუფალი იყო, რაც დავითის ფსალმუნის სწავლებით ჰქონდა შეთვისებული: „მოიცალეთ და გულისჴმა-ყავთ, რამეთუ მე ვარ ღმერთი“ (ფს. 45, 11). წმ. ილარიონი უცხოებით, გლახაკთმოყვარებით, უპოვარებით, სიბრძნით, მოღვაწებით, სიმხნით, უხილავ მტერთა ახოვნად შებრძოლებით, თავისი ხორციელი სამოსლის უწყალოდ განკაფვით წმინდანებს სიცოცხლეშივე გაუთანასწორდა; ღვთისათვის დამდაბლებულთ და უცხოქმნულთ მიემსგავსა. საღმრთო ხილვის ნიჭით აღსავსე წმ. ილარიონი ღვთის სულიერი ხილვის ღირსი გახდა, რადგან ღვთის მიმართ მისი შიში იყო „ღმრთივ-გონიერი მომატყუებელი უშიშოებისაო“.[26] ის, რასაც წმ. ილარიონი მიელტვოდა და რისთვისაც იღვწოდა, მოუსყიდველი იყო, რის გამოც ღმერთმა იგი სისრულის მესამე ხარისხზე აღიყვანა და ყველანი, მის გარშემო მყოფნი თუ მისი თუნდაც ერთხელ მხილველნი, მას, როგორც „სასურველსა მას უმაღლეს პირველისა ხედვიდეს“.[27] საბაწმინდელი წმინდა მამები მისი ღვაწლით გაკვირვებულნი იყვნენ და მის მიბაძვას ცდილობდნენ.

ქრისტიანულ ლიტერატურაში წინამოსწავებით ჩვენებას უდიდესი სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭება, რადგან იგი პერსონაჟის მომავალი ქმედების საწინდრად გვევლინება, ჩვენებით წმინდანის მომავალი განისაზღვრება. იორდანეს უდაბნოში გამოქვაბულში დაყუდებულმა წმ. ილარიონმა ერთ ღამეს ლოცვის კანონის აღსრულების შემდეგ ჩვენება ნახა, რომ იგი ზეთისხილის მთაზე, უფლის დიდებით ამაღლების ადგილას, თორმეტი კაცის თანხლებით მდგარი ყოლადწმინდა ღვთისმშობლის წინაშე წარდგა და მარადის ქალწულმა მას უთხრა: „ჰოი, ილარიონ, წარვედ და მიიწვრაფე სახედ შენდა და უმზადე სერი უფალსა და ძესა ჩემსა“.[28] სიმბოლურია ყოლადწმინდა ღვთისმშობლის გამოცხადება თორმეტი კაცის თანხლებით, რადგან აქ ღვთისმშო-

[26] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 14.
[27] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 14.
[28] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 15.

ბელთან ერთად თორმეტი მოციქული მოიაზრება. გამოღვიძებულმა წმ. ილარიონმა ჩვენების კვალზე სელა განიზრახა, მადლობა შესწირა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს და სამშობლოსაკენ გაეშურა. წმ. ილარიონ ქართველი ავტორმა აქაც მოსე წინასწარმეტყველის პარადიგმითა და სიმბოლური სახით წარმოგვიდგინა, რომელმაც თავისი თანამოძმენი ეგვიპტელთა მონობიდან გამოიყვანა და იხსნა. წმ. ილარიონმა ბრძანება და კურთხევა სამშობლოში დასაბრუნებლად ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისაგან მიიღო, რადგან სამშობლოში მისი დაბრუნება აუცილებლობით იყო განსაზღვრული.

საღვთისმეტყველო ლიტერატურაში მშობლისა და შვილის ჰიპოდიგმურ-პარადგიმული ურთიერთმიმართება უმნიშვნელოვანეს სიმბოლურ ღირებულებას ატარებს, რადგან შვილის ვალდებულება, რა სულიერ სიმაღლესაც არ უნდა მიაღწიოს, ღვთის ნებითაა განსაზღვრული და მოტივირებული და მას, ძირითადად, ჰიპოსტასურად მამა ღმერთისა და ძე ღმერთის ჰიპოდიგმა წარმართავს. ბიბლიურ-ევანგელური სწავლების კვალობაზე, წმ. ილარიონი თხზულებაში ღირსეულ შვილად წარმოჩნდება. საქაროველოში დაბრუნებულ ღირს ილარიონს მამა და ძმები ცოცხალნი აღარ დახვედრიან, გარდაცვლილყვნენ. ღირსეულმა შვილმა და ძმამ, წმ. ილარიონმა ისინი „ბუნებითი" ტკივილით იგლოვა, ღმერთს შეავედრა მათი სულები და მათი ნეტარებისათვის ილოცა. დედამ მამის დანატოვარი მთელი საგანძური შვილს გადასცა და უთხრა: „წარაგე ესე, შვილო, ვითარცა სათნო გიჩნს".[29] ნეტარმა ილარიონმა, უწინარეს ყოვლისა, მშობლების პატივისცემის მცნების შესახებ ძველი და ახალი აღთქმის წიგნების მოძღვრების თანახმად, დედის სულიერ მომავალზე იზრუნა, დედათა მონასტერი ააშენა, სადაც დედა შეიყვანა და შვილებრივი მოღვაწეობით იღვაწა, რითაც წმ. გრიგოლ ხანცთელის ხატ-სახის მსგავსად წარმოჩნდა. ორივე თხზულებაში საკუთარი ოჯახის, სახლის წევრებზე ზრუნვა ბიბლიური ჰიპოდიგმურ-პარადიგმული სახისმეტყველებით აისახება: „უკუეთუ ვინმე თჳსთა და უფროჲს სახლეულთა არა იღუწიდეს, ეგევითარსა მას სარწმუნოებაჲ უვარ-უყოფიეს და არს იგი ურწმუნოთა უძჳრეს" (I ტიმ. 5,8). ხორციელი შვილი დედის სულიერი მოძღვარი გახდა, რაც მაცხოვრისა და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ჰიპოდიგმური სახისმეტყველებით წარმოისახება. წმ. გრიგოლ ხანცთელისა და დედამისის ურთიერთობას ამგვარივე სახისმეტყველება წარმართავს. წმ. ილარიონმა მონასტერს შესწირა სოფლები, რათა ეარსება, და განუჩინა წესი და კანონი, რაც მონას-

[29] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II. გვ. 15.

ტერს შეეფერებოდა. მცირე ხნის შემდეგ წმ. ილარიონმა მამათა მონასტერიც დააარსა, სამოცდათექვსმეტი ღირსი მამა და საღვაწად გამზადებული ბერი შეკრიბა, მაოი სიმხნის შესაფერისი და შემსგავსებული წეს-კანონი განუწესა, მონასტრისათვის აუცილებელი საზმარით უზრუნველყო, წიგნები მოუგო, სოფლები შესწირა, რომლებიც მამაპაპეული მამულისაგან კიდევ დარჩენოდა, ხოლო მთელი დარჩენილი ქონება კი გლახაკებსა და უპოვრებს გაუნაწილა. მატერიალური ქონების განაწილების შემდეგ ყოველი არსებულის სრულმყოფელ ღმერთს მადლი შესწირა.

წმ. ილარიონის სახელი მთელს საქართველოში გავრცელდა, ბევრს უნდოდა, ეხილა წმინდა მამა და მისი რჩევა-დარიგება მიეღო. მთავარმა და ხალხმა მალე მისი ეპისკოპოსად კურთხევაც მოიწადინა. მყუდროებისმოყვარე და თავმდაბალმა ღირსმა მამამ გაიფიქრა: „დიდებაჲ ესე ამის სოფლისა მომატყუებელ არს საუკუნოჲსა მის შეურაცხებისა“,[30] ამიტომ მონასტრის ძმათაგან ერთი სიბრძნითა და სიწმინდით გამორჩეული ბერი დაადგინა საკანის წინამძღვრად, ყველანი უფალს შეავედრა და ორ სულიერ ძმასთან ერთად კონსტანტინეპოლისაკენ, სამეუფო ქალაქისაკენ, გაეშურა. ავტორმა იგი კვლავ მოსე წინასწარმეტყველის ჰიპოდიგმით წარმოაჩინა და როგორც მოსემ ებრაელები სამშვიდობოს ზღვაში დაუნთქმელად გაიყვანა, ხოლო მდევარნი დაანთქა, რაც ღვთის ძალის გამოვლინება იყო, მოსემ სამადლობელი გალობა აღავლინა, ასევე, წმ. ილარიონმა ღვთის წინაშე მადლიერება გამოხატა და კვლავ უცხოებაში წასვლა განიზრახა. თხზულების ავტორმა წმ. ილარიონი აქაც მოსეს ჰიპოდიგმითა და გიორგი მერჩულის წარმოსახული წმ. გრიგოლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სახისმეტყველებით წარმოაჩინა.

ჰაგიოგრაფი მწერალი ადამიანთმცოდნეობის, ადამიანის სულიერ სამყაროში წვდომის იშვიათი უნარით წარმოაჩენს წმ. ილარიონს, რომელიც შეუცდომლად არჩევს მომავალ წინამძღვრებს, მამებს, მოწესე დედებს. ამიტომაც მნიშვნელოვანია ის ეპიზოდი, როდესაც წმ. ილარიონმა მონასტრიდან ერთი წმინდა მამა, „სავსჱ ყოვლითა სიბრძნითა და შემძლებელ მწყსად პირმეტყუელთა ცხოვართა“,[31] გამოირჩია, ხელი დაასხა და ღმერთს შეავედრა. მისი ეს დალოცვა, მოსეს ლოცვის მსგავსად, სამადლობელი ლოცვაცაა, რომელშიც წმ. ილარიონის ღმრთიესულიერი სახე და მარტოდმყოფობის სურვილი იკვეთება. სულიერი ძმა დაარიგა, სახარებისეული ტალანტის გამრავლების

[30] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 17.
[31] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 18.

იგავით დამოძღვრა, ხოლო თავად მონასტერს განშორდა. ავტორმა დარჩენილები „ობოლქმნულებად“ მოიხსენია, რადგან ისინი ტირილითა და ცრემლთა ღვრით განშორდნენ ერთმანეთს. მან ის დედათა მონასტერი მოინახულა, სადაც დედა ეგულებოდა, მაგრამ იგი უკვე გარდაცვლილიყო. წმ. ილარიონმა ღმერთს შეავედრა მონასტრის დედათა სულები და სამშობლო სამუდამოდ დატოვა. წმ. ილარიონი კონსტანტინეპოლისაკენ მიეშურებოდა, სადაც იმპერატორი მიხეილი//მიქაელი იყო, რომელიც მამის, თეოფილეს შემდეგ გამეფდა და რომელმაც დედასთან ერთად, თეოდორა დედოფალთან ერთად, ხატთაყვანისმცემლობა საბოლოოდ აღადგინა. წმ. ილარიონის პილიგრიმობისა და მოგზაურობის დასათარიღებლად ეს ფაქტი უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან ხატმებრძოლობით გამორჩეული ბიზანტიის იმპერატორი თეოფილე 842 წელს გარდაიცვალა, ხოლო ხატების თაყვანისცემა 843 წლის ადგილობრივმა საეკლესიო კრებამ აღადგინა, როდესაც დედოფალი იყო თეოდორა, რომელიც თაყისი შვილის მიხეილის სრულწლოვანებამდე ბიზანტიის იმპერიას განაგებდა. თეოდორა კი 856 წელს გარდაიცვალა.

მატერიალურად შეჭირვებულმა წმ. ილარიონმა და მისმა თანამგზავრმა წმინდა მამებმა ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ ულუმბოს მთას მიაღწიეს, ერთი მცირე მიტოვებული ეკლესია იპოვეს და დაბინავდნენ. ყველიერის შაბათის მწუხრზე დიდი ლავრიდან კანდელის ასანთებად ეროი ბერი მივიდა, რომელმაც ეკლესიას შეხიზნული მშიერი ძმები ნახა და მცირეოდენი საკვები მიუტანა. წმ. ილარიონმა მას უსისხლო მსხვერპლისათვის საჭირო სეფისკვერი და ზელაშე სთხოვა, რათა ზიარების საშუალება მისცემოდა. ბერმა ყოველივე მოართვა, ხოლო მონასტერში დაბრუნებულმა ნანახის შესახებ დიდი ლავრის მამასახლისს უამბო. მამასახლისი აღშფოთდა, გულისწყრომით აღივსო, იკონომოსსა და რამდენიმე ძმას უბრძანა, უცხო მამები მონასტრის ტერიტორიიდან გაეძევებინათ. ეკლესიაში მისულებს წმ. ილარიონი, რომელმაც ჩინებულად იცოდა ბერძნული, ბერძნულად გამოელაპარაკა და ღამის გათენების ნებართვა სთხოვა და აღუთქვა, რომ მეორე დღესვე დატოვებდნენ ეკლესიას. ცხადია, მამასახლისის ამგვარი ქმედება და „უმშვიდესი“ ბრძანება სასულიერო პირისათვის სრულიად შეუფერებელი და შეუწყნარებელი იყო. თვით წმ. ილარიონი კი თავის სულიერ ძმებთან ერთად მეორე დღესვე წასელას დაჰპირდა და აპირებდა კიდეც. ყოველივე ეს მიზანდასახულად არის თხზულებაში მოთხრობილი, რათა წმ. ილარიონისა და მისი თანმხლები პირების სიწმინდე უკეთ წარმოჩნდეს, ყველამ დაინახოს და დარწმუნდეს მათ განსა-

კუთრებულ მისიაში, უპოვარებაში, გლახაკთმოწყალებაში, რითაც ბერმონაზვნები გამოირჩევიან. დამოწმებული ეპიზოდი იმისთვისაც არის საჭირო და აუცილებელი, რომ ის იდეოლოგია დაისახოს, რომლითაც მთელი მომდევნო ხანის ქართული მწერლობაა გაჟღენთილი. ესაა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი საქართველოს წილხვედრილობის იდეა, რაზეც ზემოთ უკვე იყო საუბარი.

მნიშვნელობა ენიჭება მამასახლისის ჩვენებას, რომელშიც ყოვლადწმინდა ქალწული რისხვით დაადგა თავს და უცხოთა განძევების მცდელობის შესახებ უსაყვედურა. შეძრწუნებული, შეშინებული მამასახლისი დილაადრიან მივიდა მონასტერში, წმ. ილარიონს ფეხთ ჩაუვარდა, კადნიერებისათვის შენდობა სთხოვა და შეევედრა, მონასტერში დარჩენილიყო და მისთვის ზეციური დედოფლის, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის რისხვა აერიდებინა.

ყოველგვარ კაცებრივ საზრუნავს განშორებული წმ. ილარიონი ულუმბოს მთაზე ანგელოზებრივი ცხოვრებით ხუთი წელი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა; ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში ანგელოზებრივი ცხოვრების არსი განსაზღვრულია და იგი განდეგილური ცხოვრების გამოხატულებად აღიქმება. მასთან სამი ქართველი ბერი მივიდა, რომელთაგან ერთმა სრულყოფილად იცოდა ბერძნული ენა. ისინი, წუთისოფლის საზრუნავს განრიდებულნი, უშფოთველად და მყუდროდ მყოფობდნენ. წმ. ილარიონის წმინდა საქმეები და სახელი სამეუფო ქალაქში, კონსტანტინეპოლშიც, შეიტყეს: „და ესმა მკჳდრთაცა სამეუფოსა ქალაქისათა სათნოებათათჳს წმიდისა ილარიონისთა და ანგელოზებრისა მოქალაქობისა მისისათჳს“.[32] ბიზანტიის იმპერატორი, საიმპერატორო კარი, უმაღლესი არისტოკრატიული ფენის წარმომადგენლები სთხოვდნენ, მათგან შესაწირი მიეღო. მაგრამ წმ. ილარიონს არაფერი უნდოდა, განაცხადა, რომ რაც მას სჭირდებოდა, ყველაფერს ღმერთი აძლევდა, ღვთის ნებით თვითონ უპოვარებას მიელტვოდა. ყოველივე ამას კი ბიბლიურ-ევანგელური სიბრძნითა და მოძღვრებით ხსნიდა: „ჴელნი ჩემნი მმსახურებდეს მე“ (საქმე, 20, 34).

წმ. ილარიონს ბევრი ჰბაძავდა, მისი უბიწო ცხოვრება ყველას იზიდავდა. ამითაც ჰგვანან „წმ. ილარიონ ქართველის ცხოვრება“ და „წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“ ერთმანეთს. წმ. ილარიონთან ბევრნი მიდიოდნენ, თვითონ წმ. ილარიონს კი მარტოდმყოფობა ეწადა. ამიტომ კვლავ „სიჳლტოლაჲ“ განიზრახა, რადგან ცუდმედიდობას, მზეაობრობას, ამპარტავნებას, ვერცხლისმოყვარეობას, დიდებისმოყვარეობას, გეშთომოყვარეობას ბავშვობიდანვე გაურ-

[32] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გე. 21.

ბოდა. წმ. ილარიონმა თავის მოწაფეებს ამცნო, რომ ხუთი წლის განმავლობაში ძელი-ცხოველისათვის თაყვანის საცემად სამეუფო ქალაქში შესვლის შესაძლებლობა არ მიეცა, იმ ძელიცხოველისა, რომელიც ყოველ ქრისტიანს სულიერ ცხოვრებასა და ძალას ანიჭებს; გაუმხილა, რომ კონსტანტინეპოლში გამგზავრებას აპირებდა, ხოლო მის მოსვლამდე მათ ქვაყორისაგან მცირე სენაკის აგება დაუბარა და ასწავლა, როგორ უნდა აეგოთ. წმინდა მამა ერთი მოწაფის თანხლებით კონსტანტინეპოლისაკენ გაეშურა, სადაც წმინდა ადგილები მოილოცა, ძელი ცხოველს თაყვანი სცა, წმინდა ნაწილებს ემთხვია, ხოლო შემდეგ ღვთის ნებით წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა საფლავების თაყვანსაცემად და მოსალოცად რომისაკენ გაეშურა.

წმ. ილარიონის მიახლება წმინდა მოციქულთა ტაძართან ფსალმუნური მოტივითაა ასახული, რის გამოც წმ. ილარიონს ეს ეპიზოდი პარადიგმულად წარმოაჩენს. წმინდანი, როგორც წყაროს წყლის მსურველი ირემი („ვითარცა სახედ სურინ ირემსა წყაროსა მიმართ წყალთასა, ეგრე სურის სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო!“ – ფს. 41, 2), სიხარულით მიეშთხვია წმინდა მოციქულთა ტაძარს, თაყვანი სცა, მათ საფლავებსა და წმინდანთა ნაწილებს ემთხვია, რის შემდეგაც კიდევ ორი წელი ცხოვრობდა და იღვწოდა რომში ანგელოზებრივი ცხოვრებითა და საკვირველი მოქალაქობით. იქაც უამრავი სასწაული ჩაიდინა, რაც წმ. ილარიონის მოწაფემ ისაკმა მისი მიცვალების შემდეგ ყველას უამბო. მთელ რომში განითქვა მისი საღმრთო მოქალაქობა, მასთან თაყვანსაცემად მიდიოდნენ. ასეთივე სასწაულმოქმედებით აღავსო თესალონიკეც. წმ. მოწამე დიმიტრი თესალონიკელის ქალაქი, სადაც კონსტანტინეპოლისაკენ მიმავალი შეჩერდა და მის სამარტვილეს თაყვანი სცა.

ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში მოწამისა და მოღვაწის აღსასრულისათვის საგანგებო სახისმეტყველებითი პრინციპებია შემუშავებული და იგი ევანგელური სიმბოლურობით აღიწერება. ჰაგიოგრაფი-მწერლები მოწამის გარდაცვალებას უფრო მეტი სიმწვავით ასახავენ, რადგან ეს ბუნებრივი სიკვდილი არაა, ესაა რწმენისათვის სიცოცხლის მსხვერპლად გაღება, მსხვერპლშეწირვა; მოღვაწეები კი ბუნებრივი სიკვდილით აღესრულებიან; მათი ღვაწლი ჰრომაელთა მიმართ პავლეს ეპისტოლეში ყოველდღიურ წამებასთანაა შედარებული: „მარადღე ქრისტჱსთჳს მოვკუდები“ (ჰრომ. 8, 36), რომელიც, თავის მხრივ, ფსალმუნთა სიტყვებითაა ნაკვები: „შენთჳს მოვსწყდებით ჩუენ მარადღე“ (ფს. 43, 22). ისინი, ორივენი, წამებულნიცა და მოღვაწენიც, სასუფეველში მართალთა თანა იმკვიდრებენ ადგილს. წინასწარმეტყველების ნი-

ჭით დაჯილდოებული ჰაგიოგრაფიის გმირი სიკვდილს წინასწარვე გრძნობს. წმ. ილარიონს თავისი აღსასრული უფლისაგან წინასწარ ეუწყა, ქალაქის მთავარი დაიბარა, ყველაფრისათვის მადლობა გადაუხადა და ანდერძად გლახაკთა და მონაზონთა სიყვარული, სამართლიანობა და მოწყალება დაუბარა. ასევე, თავის მოწაფეებს უკანასკნელი სწავლა-დარიგება მისცა და იოანე ღვთისმეტყველის სიტყვებით დალოცა: „იყუარებოდით ურთიერთას და მშუდობამან ღმრთისამან, რომელი ჰმატს ყოველთა გონებათა, დაგიცვენინ საფარველსა ქუეშე დიდებისა თჳსისა, და მადლი და წყალობაჲ მისი იყავნ სულისა თქუენისა თანა, ამენ".[33] მაცხოვრის სისხლთან და ხორცთან ზიარების შემდეგ მშვიდად, ტკივილისა და ლმობის გარეშე მიაბარა სული უფალს.

თხზულებაში მოთხრობილია წმ. ილარიონის გარდაცვალებით გამოწვეული მორწმუნეთა განცდები, რაც ჰაგიოგრაფიისათვის დამახასიათებელი მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხებითა და სიმძაფრითაა ასახული. დამწუხრებულმა მთავარმა წმინდანის ნეშტისათვის მარმარილოს ლუსკუმა გაამზადებინა. წმ. ილარიონის სამარხთან რწმენით მისულნი ყოველგვარი სენისგან იკურნებოდნენ. ამ სასწაულების შესახებ ბიზანტიის კეისარს, ბასილი მაკედონელს (867-886 წწ.) აცნობეს თესალონიკის მთავარმა და მთავარეპისკოპოსმა. კეისარმა ულუმბოდან მასთან ჩამოსულ მამებს თესალონიკის ამბები მოუთხრო. მამათა შორის ის მამასახლისიც აღმოჩნდა, რომელმაც წმ. ილარიონს ულუმბოს მთიდან განდევნა დაუპირა, მან დაწვრილებით უამბო კეისარს ნანახისა და გაგონილის შესახებ. ბასილი დაინტერესდა წმ. ილარიონის თანამემამულე მოწაფეებით. მას სამი მოხუცებული ბერი მიჰგვარეს. მამების სიწმიდით გაკვირვებულმა კეისარმა ისინი ლოცვა-კურთხევისათვის კონსტანტინეპოლის პატრიარქთან გაგზავნა. პატრიარქმა ღმრთისმიერი სიყვარულით მოიკითხა სტუმრები, აკურთხა და მათი ლოცვაც მიიღო. ის მიხვდა, რომ ამ სამ მოხუცში დიდი ღვთაებრივი მადლი ტრიალებდა და კეისარს ურჩია, მათთვის პატივი მიეგო. კეისარმა წმ. ილარიონის მოწაფეებს შესთავაზა: „გამოირჩიენ ღირსებამან თქუენმან მონასტერი, სადაცა გენებოს, თქუენთჳს და ნათესავისა თქუენისათჳს".[34] მამებმა უარი შეჰკადრეს, რადგან სხვის აშენებულში შესახლება არ სურდათ. მათივე თხოვნით ბასილი კეისარმა მამებს სამონასტრე ადგილი უდაბნოში შეარჩევინა და მალე დიდი ტაძარი ააშენა, რომელიც რომანა-წმინდის მონასტრის სახელით არის ცნობილი. კეისარმა იქვე თავისთვისაც მოიწყო ერთი სენაკი: „ესე იყოს საყოფელი ჩემი მახლობელად ღირსთა ამათ

[33] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 28.
[34] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 32.

მამათა, რაჲთა ლოცვითა მათითა ინებოს ღმერთმან ჴსნაჲ ჩემი მოსაგებელისაგან ცოდვათა ჩემთაჲსა".[35] ბიზანტიის კეისარმა თავისი შვილები, ლეონი და ალექსანდრე, აღსაზრდელად ღირს მამებს მიჰგვარა და სთხოვა, მათთვის ესწავლებინა წმინდა წერილი, საღვთისმეტყველო წიგნები, თავიანთი ენა, ე. ი. ქართული ენა, და საღვთო ცოდნით აღეჭურვათ და გაეწვრთნათ ისინი. ბასილი კეისარმა წმ. ილარიონის ნაწილების გადასვენება სატახტო ქალაქში ინება, თესალონიკში თავისი ხალხი გაგზავნა და თან წერილიც გაატანა.

„წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების" მსგავსად, საზოგადოდ, ჰაგიოგრაფიული ჟანრისათვის ჩვეული სახისმეტყველების კვალობაზე, აქაც ეხვდებით ორი სივრცის, ზესთასოფლისა და სოფლის ერთიანობას, როგორც სამყაროს მთლიანობის გამოხატულებას. როგორც წმ. გრიგოლმა მისწერა გარდაცვლილ დედებს წერილი და ცოდვილი დედაკაცისათვის შენდობა გამოსთხოვა, ასევე, კეისარმა წმ. ილარიონის სულს სთხოვა სამეუფო ქალაქში დავანება და წერილი მისწერა: „ბასილი მეფჱ, ცოდვილი მონაჲ ცათა მეუფისაჲ. გევედრები, წმიდაო მამაო ილარიონ, აღმოვედ ქალაქად სამეუფოდ, დაღაცათუ არა ღირს ვიქმენ პირისპირ ხილვად შენდა, გარნა აწ ღირს მყავ ამბორისყოფად წმიდათა ნაწილთა შენთა და იხაროს ქალაქმან ამან სამეუფომან შემთხუევითა მათითა და მადლი შენი იყავნ ჩუენ თანა, ამინ".[36] თესალონიკელები არ დათანხმდნენ წმ. ილარიონის ნაწილების კონსტანტინეპოლში გადასვენებას. კეისრის კარისკაცები იძულებულნი გახდნენ, ლუსკუმა ღამით მალულად გაეხსნათ და წმინდანის ნაწილები ჩუმად წაესვენებინათ. წმ. ილარიონის ნაწილები კეისარმა, პატრიარქმა, მოელმა ერმა გალობით, ლიტანიობით, საკმეველის კმევით მიიღეს. კეისარმა ის დროებით თავისი სასახლის ეკვდერში დაასვენებინა, სანამ მისთვის განკუთვნილ საძვალეს ააშენებდა. მესამე ღამეს მეფე კეთილსურნელებამ გამოაღვიძა. როცა მეფემ თვალები კლავ მილულა, სამღვდელო სამოსში ჩაცმული წმ. ილარიონი გამოეცხადა და უთხრა: „კეთილად ჰყავ შეწყნარებაჲ ჩემი, მ მეფე, უცხოჲსა ამის და გლახაკისაჲ, გარნა სულნელებაჲ ესე, რომელ იყნოსე, არა მომიგიეს მე იგი ქალაქთა შინა, არამედ უდაბნოთა. აწ უკუეთუ გნებავს, რაჲთა სრულებით მადლი გაჭუნდეს, წარმიყვანე მე უდაბნოსავე ადგილსა".[37] კეისარმა ყოველივე პატრიარქს და მოავრებს აუწყა, რის შემდეგაც წმ. ილარიონის ნაწილები რომანა წმინდის მონასტერში დიდი პატივით წაასვენა და მის მოწაფეებს ჩააბარა.

[35] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 32-33.
[36] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 34.
[37] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 36.

სასწაულები და მათი ღვთივსულიერი მნიშვნელობა. წმინდანები ღვთისაგან სასწაულთმოქმედების უნარით არიან დაჯილდოებულნი, რითაც ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში მაცხოვარს მიმსგავსებულად წარმოიდგინებიან. წმ. ილარიონმა უამრავი სასწაული ჩაიდინა, ულუმბოს მთაზე მოღვაწეობისას იგი სნეულებს კურნავდა, ვისაც რა სჭირდებოდა, მისი ლოცვით, მოციქულთა ლოცვის მსგავსად, მიეშველებოდა, რამაც მას მთელი აღმოსავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებში, ქრისტიანულ ეკლესიებში სახელი გაუთქვა. ულუმბოს მთაზე მისული წმინდა მამები „აღივსებოდეს სწავლითა მისითა და ადიდებდეს ღმერთსა, რომელმან მოსცა ესევითარი მნათობი".[38]

რომს მიახლოებულმა წმ. ილარიონმა ვენახის ძირთან მჯდარი დავრდომილი ნახა და ერთი მტევანი ყურძენი სთხოვა. დავრდომილმა უთხრა: „აჰა, მამაო, სამოთხჱ ესე წინაშე შენსა, და რაჲცა გნებავს, მიიღე, რამეთუ ვერ შემძლებელ ვარ აღდგომად ცოდვათა ჩემთაგან".[39] წმ. ილარიონს შეეცოდა დავრდომილი, იღოცა და ავადმყოფს უთხრა: „აღდეგ, ძმაო, უფალსა უბრძანებიეს და ჴელითა შენითა მომართუ ნაყოფისაგან სამოთხისა მაგის".[40] განკურნებული კაცი მყისვე წამოდგა, ვენახში შევიდა და მტევნით გამოვიდა, მაგრამ წმ. ილარიონი იქ აღარ დაჰვედრია. ვენახის პატრონი ქალაქისაკენ გაეშურა თავისი კეთილისმყოფლის მოსაძებნად, თან ყველას უყვებოდა თავს გადამხდარ სასწაულს. წმ. ილარიონი კი ღვთის ნებით თვალს მიეფარა. თხზულებაში აღწერილია წმ. ილარიონის მიერ ჩადენილი მრავალი სასწაული.

ერთ-ერთი სასწაულის აღწერისას ავტორს წმ. ილარიონი თხზულებაში ევანგელური ლაზარეს აღდგინების პარადიგმით შემოჰყავს, როდესაც სამრო განგებით დედამ ოთხი წლის დამბლადაცემული ძე სახლიდან გამოიყვანა და მზის გულზე დააწვინა. წმ. ილარიონმა ქალს წყლის მოტანა სთხოვა. როცა ქალი წავიდა, წმ. ილარიონმა ჯვარი გარდასახა და ყრმას მიმართა: „სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა შენ გეტყჳ, ყრმაო, აღდეგ ცოცხლებით!".[41] ყრმა სასწრაფოდ წამოხტა ფეხზე და დედასთან გაიქცა. წმ. ილარიონი იქაურობას მსწრაფლ განერიდა, რათა არავის ეხილა. წმ. ილარიონის სასწაულთქმედებებით აღტაცებულმა ჰაგიოგრაფმა საგანგებოდ აღნიშნა წმინდანის სამრთოობა და იგი მოციქულთა, წმ. პეტრესა და წმ. იოანეს, მიმსგავსებულად წარმოაჩინა, რისთვისაც რიტორიკული ხერხი გამოიყენა: „იხილეთ-ღა,

[38] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 21.
[39] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 22.
[40] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 23.
[41] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 24.

მ საყუარელნო, თუ ვითარსა მადლსა ღირს იქმნა წმიდაჲ ესე მამაჲ ჩუენი!".[42] როცა ქალაქის მთავარმა ამ სასწაულის შესახებ გაიგო, კარების ჩაკეტვა და სასწაულთმოქმედის მოძებნა ბრძანა, რათა მისთვის თაყვანი ეცათ. წმ. ილარიონის პოვნა სანთლის იგავის პარადიგმითაა ასახული, როგორც ანთებული სანთელი არ დაიდგმება ხვიმრის ქვეშ, რათა ნათელი არ დაიფაროს: „არავინ აღანთის სანთელი და შედგის იგი ქვეშე ხუმრისა, არამედ ზედა სასახთლესა გადგიან, რაჲთა ჰნათობდეს ყოველთა; ეგრე ბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა" (მათე, 5, 15-16), ღვთის ნებით უნდა განცხადებულიყო სასწაულთმოქმედის ვინაობა. წმ. ილარიონი იპოვეს, ფეხებში ჩაუვარდნენ და ლოცვა-კურთხევა გამოსთხოვეს. შემდეგ მთავარი წმინდანს შეეკედრა, თესალონიკში დარჩენილიყო და სამოღვაწეო ადგილიც თვითონ აერჩია. წმ. ილარიონმა მთავრის ღვთისმოყვარეობა რომ იხილა, თხოვნა შეუსრულა და სამოღვაწეოდ გამოირჩია მყუდრო ადგილი, სადაც მთავარმა ეკლესია ააშენა. მთელმა თესალონიკმა გაიგო წმ. ილარიონის მოღვაწეობის ამბავი, მრავალი მოდიოდა მასთან ლოცვა-კურთხევის მისაღებად და ღვთივსულიერი საუბრის მოსასმენად. მისმა სათნო ცხოვრებამ, საღმრთო მოქალაქობამ ბევრს გაუღვიძა საღვთო შური, ბევრმა ღირსი მამის ხელით მონაზვნობა მიიღო და ანგელოზებრივ ქცევასა და მოღვაწეობას მიემატნენ.

აგრეთვე, ოხზულებაში ასახულია დიაკვნის საინტერესო ეპიზოდი, რომელიც წმ. ილარიონის სულიერ სიძლიერეს და მის სასწაულთმოქმედებას აჩვენებს. წარმართებმა ერთი თესალონიკელი დიაკონი შეიპყრეს. ტყვექმნილი ღვთისმსახური წმინდანს შეწევნას ლოცვით შეეკედრა. იმავე ღამეს დიაკონს ძილში წმ. ილარიონი ეჩვენა და უთხრა: „აღდეგ, ჲ, დიაკონ, და ნუ გეშინინ, რამეთუ მე ვარ, რომელსა იგი მეკედრებოდე".[43] გამოღვიძებულმა დიაკონმა იხილა, რომ ბორკილებისგან განთავისუფლებულიყო, შეუმჩნეველად გაიარა წარმართთა შორის და თესალონიკში ჩავიდა. ქალაქში ჩასვლისთანავე წმინდანი მოინახულა და მადლიერების ნიშნად ფეხებში ჩაუვარდა. წმ. ილარიონმა თავმდაბლად განუცხადა, რომ ეს სასწაული ღმერთმა ჩაიდინა: „შვილო! ენება ღმერთსა ჴსნაჲ შენი. ამისთჳსცა ანგელოზი თჳსი მოავლინა ხატითა ჩემითა, ვინაჲთგან შენ სარწმუნოებით ჩემ ცოდვილისა სახელსა ხადოდე და გამოგჴსნა მწარისა ტყუეობისაგან. ამისთჳსცა ჰმადლობდი ღმერთსა მოქმედსა საკჳრველებათასა".[44] ჰაგიოგრაფიაში ასახული სასწაულები წინასწარმეტყველთა საქმიანობის გაგრძელებად აღიქმება.

[42] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 25.
[43] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 26.
[44] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 26-27.

„წმ. ილარიონ ქართველის ცხოვრების“ კიმენური და მეტაფრასული რედაქციების ტექსტები სახისმეტყველებითად ღრმად დატვირთული თხზულებებია, რომლებშიც მწერლის სათქმელი ბიბლიური ალუზიების, გამომსახველობითი საშუალებების, მხატვრული ხერხებით გამოიხატა და მათი გამოყენების საფუძველზე შეიქმნა თხზულების მხატვრული ქსოვილი. მწერალი ჰაგიოგრაფიაში შემუშავებულ ლიტერატურულ-ესთეტიკურ ტრადიციულ პრინციპებს მიჰყვება, რის გამოც თხზულებაში წინა ჰაგიოგრაფიულ-ლიტერატურული ტრადიციებიდან ბევრი რამ გვეცნობა.

წმ. ილარიონ ქართველისადმი მიძღვნილი საგალობლები. წმ. ილარიონ ქაროველს რამდენიმე საგალობელი, კერძოდ სამი ჰიმნოგრაფიული კანონი, მიეძღვნა: 1. ანონიმი ავტორისა, რომელიც მ. დოლაქიძეს IX-X საუკუნეთა მიჯნაზე შექმნილად მიაჩნია; 2. ზოსიმე მთაწმინდელის ჰიმნოგრაფიული კანონი, რომელიც მ. დოლაქიძეს XI საუკუნის 70-იან წლებში, კერძოდ 1072-1074 წლებში შექმნილად მიაჩნია; 3. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ანტონ კათალიკოსმა შექმნა ჰიმნოგრაფიული კანონი, რომელიც თაეის „სადღესასწაულოში“ შეიტანა.[45]

როდის დაიწერა წმ. ილარიონ ქართველისადმი მიძღვნილი ანონიმი ავტორისა და ზოსიმეს საგალობლები?

მ. დოლაქიძე ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა სხვადასხვა რედაქციების, ანონიმი ავტორისა და ზოსიმე მთაწმინდელის საგალობლების შედარების შედეგად იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ანონიმური საგალობელი რედაქციულად და შინაარსობრივად ცალკე დგას, ხოლო ზოსიმეს საგალობელი, „წმ. ილარიონ ქართველის ცხოვრების“ ყველა რედაქცია – ვრცელი ათონური, მოკლე ათონური, მეტაფრასული და სვინაქსარული რედაქციები – ცალკე, ერთ წყაროდ შეიძლება იყოს მიჩნეული. უცნობი ავტორის საგალობლის შესახებ მკვლევარი წერს: „1. უცნობი ავტორის საგალობელი ტექსტობრივად განკერძოებით დგას ილარიონის ირგვლივ შექმნილი ნაწარმოებების ციკლში. ის არ უნდა იცნობდეს „ცხორებათა“ ტექსტებს და დაწერილი უნდა იყოს კერძო სამონასტრო მოსახსენებლის საფუძველზე. 2. ამ საგალობლის შემცველი უძველესი ხელნაწერი არის საგალობელთა კრებული (Jer.71), რომელიც გიორგი მთაწმიდლის რედაქციის „თევნზე“ ადრინდელია და „თევნის“ პირველი რედაქციიდან გამოკრებილ ჰიმნოგრაფიულ კრებულს წარმოადგენს. 3. გიორგი მთა-

[45] მ. დოლაქიძე. ილარიონ ქართველის სახელზე დაწერილი საგალობლები. მრავალთავი. ტ. I. თბ. 1971, გვ. 159.

წმიდელს ეს საგალობელი უმნიშვნელო ცვლილებებით შეუტანია „თვენში“ (Jer.124). 4. საგალობლის ავტორი უცნობია. ვარაუდით უნდა იყოს ილარიონ ქაროველის მოწაფე, ილარიონის სახელთან დაკავშირებული რომელიმე მონასტრის ბერი. 5. საგალობლის შექმნის დროდ სავარაუდებელია IX-X სს. მიჯნა“.[46]

ზოსიმე მთაწმინდელის მიერ წმ. ილარიონისადმი მიძღვნილი საგალობლის შექმნის საკითხი უფრო ნათელია, რადგან მისი მოღვაწეობის პერიოდი ცნობილია და საგალობლის მიხედვით შესაძლებელი ხდება მისი დაწერის თარიღის გარკვევა.

ზოსიმე მთაწმინდელის ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობის საკითხის განხილვისას გასათვალისწინებელია „ათონის კრებულის“ მეორე რედაქციის ჩამოყალიბების თარიღი, ვინაიდან წმ. ილარიონ ქართველისა და წმ. ეფთვიმე მთაწმინდელისადმი მიძღვნილი საგალობლები ერთდროულად არ შექმნილა. საგალობლები წმ. ილარიონ ქართველის სახელზე უფრო გვიან შეიქმნა, კერძოდ მაშინ, როდესაც ათონის კრებულის მიზანდასახულობა პირველი რედაქციის შექმნის შემდეგ შეიცვალა და იგი უნდა ყოფილიყო არა მხოლოდ წმ. იოანესა და წმ. ეფთვიმე მთაწმინდელის სამახსოვრო კრებული, არამედ საზოგადოდ უცხოეთში, ძირითადად საბერძნეთში, მღებარე ქართულ საკანეებში მოღვაწე ქართველთა სამახსოვრო წიგნი. კ. კეკელიძე ზოსიმეს ორივე საგალობელს 1072-1074 წლებში შექმნილად მიიჩნევდა,[47] ლ. მენაბდე – 1074 წლამდე დაწერილად.[48] მ. დოლაქიძემ საგანგებოდ იკვლია წმ. ილარიონ ქართველისადმი მიძღვნილ საგალობელთა ფილოლოგიური საკითხები, კ. კეკელიძის მიერ გამოთქმული თვალსაზრისი გაიზიარა და ზოსიმეს საგალობელი 1072-1074 წლებში დაწერილად მიიჩნია. იგი იმ ფაქტს ემყარება, რომ საგალობლის შექმნის ინიციატორი იაკობი, რომელიც მოიხსენიება ანდერძში, დეკანოზად იყო 1072 წლიდან.

წმ. ეფთვიმე მთაწმინდელისადმი მიძღვნილ ზოსიმეს საგალობელზე დართულ ანდერძში ნათლად იყო მითითებული, რომ ეს საგალობელი იაკობ მღვდლის იძულებით დაწერა ზოსიმემ. წმ. ილარიონ ქართველისადმი მიძღვნილ საგალობელზე დართული ანდერძი, მართალია, ახსენებს იაკობ მღვდელს, მაგრამ საგალობლის შეთხზვის ინიციატორებად მიიჩნევს ქრისტეს მოყვარე პატიოსან ძმებს. მოგვყავს ანდერძის ტექსტი: „ლოცვა ყავთ, წმიდანო მამანო, ქრისტეს მოყვარეთა პატიოსანთა ძმათათვის, რომელთა სიტყვითა ვიიძულე გალო-

[46] მ. დოლაქიძე. ილარიონ ქართველის სახელზე დაწერილი საგალობლები, გვ. 170.
[47] კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I. გვ. 236.
[48] ლ. მენაბდე. ძველი ქართული მწერლობის კერები. ტ. II. თბ. 1980. გვ. 218.

ბად მამისა ჩუენისა ილარიონისა მე უღირსი ზოსიმე, რომელი ესე არცათუ სახელის დებად მისა ღირს ვიყავ, თუ კეთილ იყვნენ, სასყიდელი მათი არს, ხოლო ნაკლულევანებაჲ ჩემისა უსწავლელობისა მიერ არს. წმიდაო ილარიონ, შეიწყალე მონაჲ შენი იაკობ მღდელი ქრისტესი, და მწერალიცა შეიწყალე".[49] ანდერძის შინაარსი გვავარაუდებინებს, რომ ეს საგალობელი ზოსიმეს იაკობ მღვდლისა და სხვა წმინდა მამათა იძულებით შეუთხზავს.

ე. მეტრეველმა მცირეოდენი ცვლილებები შეიტანა წმ. ილარიონ ქართველისადმი მიძღვნილი ზოსიმეს საგალობლის დათარიღებაში. მისი აზრით, საგალობლის დაწერის თარიღის დასადგენად აუცილებელია „ათონის კრებულის" მეორე რედაქციის ჩამოყალიბების ხანგრძლივი პროცესის გათვალისწინება[50]. მაგრამ წმ. ილარიონისადმი მიძღვნილი ზოსიმეს საგალობელი გაცილებით ადრეა დაწერილი, ვიდრე „ათონის კრებულის" მეორე, იოანე თაფლაისძისეული რედაქცია ჩამოყალიბდებოდა. ე. მეტრეველმა შენიშნა, რომ კრებულის მეორე რედაქციაზე მუშაობა პირველი რედაქციის დამთავრებიდან მალევე უნდა დაწყებულიყო, რაც განპირობებული იყო „ათონის კრებულის" მიზანდასახულობისა და დანიშნულების გაფართოებული გააზრებით. მეორე რედაქცია მიზნად ისახავდა წმ. ეფთვიმესა და წმ. ილარიონ ქართველის სამახსოვრო წიგნის შექმნას, რათა ათონზე მოღვაწე ქართველ და უცხოელ ბერებს კარგად გაეცნობიერებინათ და გაეთვალისწინებინათ საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწე ქართველი ბერების მოღვაწეობის არსი და თვით მონასტრების მნიშვნელობა.[51] სწორედ ამან გამოიწვია XI საუკუნის 70-იან წლებშივე „ათონის კრებულის" მიქაელ დაღალისონელისეული რედაქციის წმ. ეფთვიმე მთაწმინდელის სამახსოვრო წიგნის გადაქცევა საბერძნეთში მოღვაწე პირველ ქართველ მამათა მოსახსენებელ კრებულად. სწორედ ამ მიზნით დაიწერა ზოსიმე მთაწმინდელის წმ. ილარიონ ქართველისადმი მიძღვნილი საგალობელი. ე. მეტრეველის დაკვირვებით, ზოსიმეს ანდერძის მიხედვით შეიძლება განისაზღვროს, თუ რა დრო შეიძლებოდა გასულიყო ათონის კრებულის პირველი რედაქციიდან მეორე რედაქციის შექმნამდე. მიქაელ დაღალისონელის ანდერძის მიხედვით, პირველი რედაქცია 1074 წელს ჩამოყალიბდა, გიორგი ოლთისარის მამობის დროს, იაკობ დეკანოზის ინიციატივითა და მონაწილეობით. წმ. ილარიონისადმი მიძღვნილი საგალობლის ანდერ-

[49] ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი აღაპებით. მ. ჯანაშვილის გამოც. ტფ. 1901, გვ. 186.
[50] ე. მეტრეველი. ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი. თბ. 1998, გვ. 35.
[51] ე. მეტრეველი. ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან. თბ. 1996, გვ. 114.

ძში გიორგი ოლთისარი აღარ იხსენიება. საფიქრებელია, ის ამ დროისათვის ან გარდაცვლილია, ან გადამდგარი.[52]

ამრიგად, ზოსიმე მთაწმინდელს წმ. ეფთვიმე მთაწმინდელისადმი მიძღვნილი საგალობელი იაკობ დეკანოზის თხოვნითა და ინიციატივით დაუწერია „ათონის კრებულის" პირველი რედაქციისათვის, ე.ი. 1072-1074 წლებში. წმ. ილარიონ ქართველისადმი მიძღვნილი საგალობელი ქრისტესმოყვარე პატიოსან ძმათა იძულებით დაუწერია კრებულის მეორე რედაქციისათვის, რომელზე მუშაობა და ზრუნვა პირველი რედაქციის დაწერიდან მალევე უნდა დაწყებულიყო. ისიც სავარაუდოა, რომ ზოსიმეს ორივე საგალობელზე, წმ. ეფთვიმე მთაწმინდელისა და წმ. ილარიონ ქართველისადმი მიძღვნილ საგალობლებზე, ერთდროულად ემუშავა. საგალობელი ზოსიმეს დაეწერა 1072-1074 წლებში, როდესაც გაჩნდა მოთხოვნილება საბერძნეთში მოღვაწე ქართველ მამათა მოსახსენებელი კრებულის შექმნისა, რომლისთვისაც საფუძველი უკვე მომზადებული იყო „ათონის კრებულის" პირველი რედაქციის სახით.

„წმ. ილარიონ ქართველის ცხოვრების" რედაქციებისა და წმ. ილარიონისადმი მიძღვნილი საგალობლების კვლევისას მ. დოლაქიძემ ყურადღება გაამახვილა ზოსიმეს საგალობლის მიმართებაზე როგორც წმ. ილარიონ ქართველის ცხოვრების ათონურ, მეტაფრასულ, სვინაქსარულ და მოკლე ათონურ რედაქციებთან, ისე მისადმი მიძღვნილ სხვა საგალობლებზე. შედარების შედეგად გაირკვა: „1. ზოსიმეს საგალობელი შედგენილია ათონური და მეტაფრასული რედაქციების მიხედვით. 2. სავარაუდოა, რომ ზოსიმე სარგებლობდა აგრეთვე ანონიმური საგალობლით. 3. ზოსიმეს საგალობელი მოღწეულია ჩვენამდე ათონის 1074 წლის ხელნაწერით (A – 558) და დაწერილია 1072-74 წლებში. 4. ზოსიმეს საგალობელი შექმნილია ათონის ჰიმნოგრაფიულ წრეში".[53] მკვლევარმა ყურადღება გაამახვილა ზოსიმეს საგალობელთა გავრცელების გეოგრაფიულ და დროით არეალზე. საქართველოში გადაწერილ ხელნაწერებში ზოსიმეს საგალობლები XVIII საუკუნემდე არ ჩანს. „ათონის კრებულის" შემდეგ წმ. ილარიონისადმი მიძღვნილი ზოსიმეს საგალობელი გვხვდება დომენტი კათალიკოსის ინიციატივითა და მზრუნველობით 1743 წელს შედგენილ ქართველ წმინდანთა ცხოვრება-წამების კრებულში A-176.

მ. დოლაქიძემ საგალობლის საქართველოში გაუვრცელებლობის ფაქტს ორგვარი ახსნა მოუძებნა: „1. საქართველოში არ მოუღწევია ცნობას ათონზე ილარიონის სახელზე დაწერილი ცხოვრებისა და საგალობლის შესახებ, რაც

[52] ე. მეტრეველი. ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი, გვ. 44-45.
[53] მ. დოლაქიძე. ილარიონ ქართველის სახელზე დაწერილი საგალობლები, გვ. 176.

თითქოს დაუჯერებელია. 2. საქართველოში არ ყოფილა საჭიროება ათონური ცხოვრებისა და ზოსიმეს საგალობლის გავრცელებისა, ვინაიდან საეკლესიო პრაქტიკაში გავრცელებული იყო უფრო ადრე შექმნილი უცნობი ავტორის საგალობელი და მეტაფრასული ცხოვრება".[54] მისივე ვარაუდით, ზოსიმეს საგალობელი, ათონური წარმოშობისა, ენათესაება „წმ. ილარიონ ქართველის ცხოვრების" ვრცელ ათონურ რედაქციას და მათი გავრცელების არეალი მათი შექმნის ადგილით — ათონის ქართველთა მონასტრით შემოიფარგლა.

ე. მეტრეველმა წმ. ილარიონ ქართველის საგალობელზე დართული ანდერძის მიხედვით გაარკვია, რომ 1736 წელს დომენტი კათოლიკოსმა საბერძნეთში, ტენედოსზე ყოფნისას იპოვა წმ. ეფთვიმე მთაწმინდელისა და წმ. ილარიონ ქართველისადმი მიძღვნილი ზოსიმეს საგალობლები, გადაწერა ისინი და საქართველოში დაბრუნების შემდეგ შეიტანა ზემოხსენებულ კრებულში A-176, დამატების სახით.[55] ზოსიმეს საგალობლები კრებულში მოთავსებულია დამატებით მასალად უცნობი ავტორის საგალობლების შემდეგ (242v – 245r). იგი სხვა ხელითაა გადაწერილი სხვა ზომის ფურცლებზე (A-176, 245r-250r). მ. დოლაქიძე A-176-ის ტიპის კრებულების, სადღესასწაულოების, ადრეულ ნუსხებზე (A-130, A-170, H-1672, H-2077) დაკვირვებით იმ დასკვნამდე მივიდა, რომ წმ. ილარიონ ქართველისა და წმ. ეფთვიმე მთაწმინდელის სახელზე შეთხზული ზოსიმეს საგალობლები მათში არ შესულა. აქედან გამომდინარე, საქართველოში გადაწერილი ხელნაწერებიდან A-176 პირველია, რომელშიც შეტანილია ზოსიმეს საგალობელი, მიძღვნილი წმ. ილარიონ ქართველისადმი.[56]

ზოსიმე მთაწმინდელის საგალობლები პირველად მოსე ჯანაშვილმა გამოაქვეყნა 1901 წელს.[57] შემდეგ ს. ყუბანეიშვილმა დაბეჭდა თავის შედგენილ „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიაში".[58] წმ. ილარიონ ქართველისადმი მიძღვნილი საგალობლების მეცნიერულად დადგენილი ტექსტები გამოაქვეყნა მ. დოლაქიძემ,[59] ხოლო წმ. ეფთვიმე მთაწმინდელისადმი მიძღვნილი ზოსიმეს საგალობლები — ი. ლოლაშვილმა.[60]

---

54 მ. დოლაქიძე. ილარიონ ქართველის სახელზე დაწერილი საგალობლები, გვ. 168.
55 ე. მეტრეველი. ქართული აგიოგრაფიის კრებული და მისი შემდგენელი. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. ტ. VIII. თბ. 1950, გვ. 419-420.
56 მ. დოლაქიძე. ილარიონ ქართველის სახელზე დაწერილი საგალობლები, გვ. 176.
57 ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი აღაპებით, გვ. 177-186.
58 ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია. შედგენილია ს. ყუბანეიშვილის მიერ. თბ. 1946.
59 მ. დოლაქიძე. ილარიონ ქართველის სახელზე დაწერილი საგალობლები, გვ. 177-185.
60 ძველი ქართული მწერლობის ძეგლები. გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა. თბ. 1978, გვ. 507-515.

კ. კეკელიძის შეხედულებით, ზოსიმეს თავის საგალობელთა თხზვისას უსარგებლია წმ. ილარიონ ქართველის „ცხოვრების" ძველი, ათონური რედაქციითა და წმ. ეფთვიმესადმი მიძღვნილი წმ. გიორგი მთაწმინდელის ჰაგიოგრაფიული თხზულებით.[61] წყაროების დადგენის მიზნით, მ. დოლაქიძემ ზოსიმეს საგალობელი შეუდარა წმ. ილარიონ ქართველის „ცხოვრებათა" ტექსტებს, მან უარყო კ. კეკელიძის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ზოსიმეს საგალობელსა და „წმ. ილარიონ ქართველის ცხოვრების" მეტაფრასულ რედაქციას შორის არავითარი მსგავსება არ შეინიშნება. შედარების საფუძველზე დაასკვნა, რომ ზოსიმე საგალობლის შექმნისას სარგებლობდა ათონური რედაქციითაც და მეტაფრასული ტექსტითაც. აგრეთვე, ზოსიმეს საგალობელი სიახლოვეს ამჟღავნებს წმ. ილარიონისადმი მიძღვნილი ანონიმი ავტორის მიერ IX-X საუკუნეთა მიჯნაზე შექმნილ ჰიმნოგრაფიულ თხზულებასთანაც. მ. დოლაქიძის დაკვირვებით, „ზოსიმე მოღვაწეობდა ათონზე და, ბუნებრივია, იგი იცნობდა გიორგი მთაწმიდელის „თუენს", რომელშიც შეტანილია ილარიონის საგალობლის გიორგისეული ვარიანტი (Jer.-124)".[62]

ამრიგად, ზოსიმე მთაწმინდელმა შეთხზა წმ. ილარიონ ქართველისა და წმ. ეფთვიმე მთაწმინდელისადმი მიძღვნილი საგალობლები, რომლებიც მოთავსებულია „ათონის კრებულში" (A-558), საბერძნეთში მოღვაწე პირველ ქართველ მამათა მოსახსენებელ კრებულში, რომელსაც საგანგებო დანიშნულება და მიზანდასახულობა ჰქონდა: ათონზე მოღვაწე ქართველ და უცხოელ ბერებს უნდა სცოდნოდათ და გაეცნობიერებინათ საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწე ქართველი ბერების საეკლესიო და კულტურული საქმიანობის არსი და თვით ამ მონასტრების მნიშვნელობა. ზოსიმეს საგალობელი, წმ. ილარიონ ქართველისადმი მიძღვნილი, ბიბლიური სახისმეტყველებითა და წმინდანისადმი მიძღვნილი ჰაგიოგრაფიული თხზულებით სარგებლობს. ისიც ერთი ჰიმნოგრაფიული კანონისა, რომელსაც აკლია მეორე – „მოიხილესა", და ხუთი მცირე ფორმის საგალობლისაგან – სტიქარონებისაგან შედგება. მთელი განგება მერვე ხმის საგალობელთა რიგს განეკუთვნება. როგორც ზემოთ აღინიშნა, ზოსიმეს საგალობლის მიმართება წმ. ილარიონის „ცხორებათა" რედაქციებთან საგანგებოდ იკვლია მანანა დოლაქიძემ და ტექსტობრივი შედარების საფუძველზე დაადგინა, რომ საგალობელი შექმნილია „ცხოვრებათა" ათონური და მეტაფრასული რედაქციების მიხედვით, აგრეთვე, სავარაუდოა ანონიმური საგალობლით სარგებლობაც.[63]

---

[61] კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I, გვ. 236.
[62] მ. დოლაქიძე. ილარიონ ქართველის სახელზე დაწერილი საგალობლები, გვ. 174.
[63] მ. დოლაქიძე. ილარიონ ქართველის სახელზე დაწერილი საგალობლები, გვ. 171-176.

საგალობლის სამეტყველო ენასა და გამომსახველობით საშუალებებზე დაკვირვება აჩვენებს, რა მაღალი დონის ჰიმნოგრაფი ყოფილა ზოსიმე მთაწმინდელი. წმ. ეფთვიმე მთაწმინდელის მსგავსად, წმ. ილარიონსაც ამკობს ეპითეტით „ახალი“: „ელვად ნათლისა საღუთოჲსა მოგვეფინა დღეს ხსენებაჲ ყოვლად დიდებულისა მოღუაწისა ილარიონ ახლისა მნათობისა“, რომელიც აგრეთვე, „ღმერთშემოსილია“, რომელიც, სამოელის მსგავსად, ღვთის წინასწარი აღთქმით მოევლინა ქართველ ერს, უარყო ყოველი მატერიალური, „სოფლისა მონაგებნი“, განშორდა ხორციელ ნათესავებს, „თვისთა“, რათა „დიდებით დიდებული“ მოეპოვებინა. „სიჩჩოჲთგან“ ეძიებდა „მარგალიტსა მრავალსასყიდლისასა“, რომელიც ზესთასოფლის სიმბოლური და სახისმეტყველებითი ღირებულება აკისრია.

ზოსიმე წმ. ილარიონს ბიბლიურ აბრაამს ადარებს: „ემსგავსე შენ, ღმერთშემოსილო მამაო, დიდსა აბრაჰამს და დაუტევე ქვეყანაჲ შენი და უცხო იქმენ მისთვის, რომელიც ჩვენთვის უცხო იქმნა, რაჲთამცა უცხო ქმნულნი მამისა წყალობით დამაგნა“. ტროპარი ევფონიურიცაა, მასში აქცენტირებულია სიტყვა „უცხო“, რომელსაც სიმბოლური დატვირთვა ენიჭება. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ემსგავსება „ცხოვრებასა პირველთა მათ მამათასა“, რაც უთუოდ გაგვახსენებს პავლე მოციქულის სიტყვებს: „იყვენით უკუე მობაძავ ღმრთისა, ვითარცა შვილნი“ (ეფ. 5, 1). სწორედ ღვთის ბაძვა სრულყოფს ადამიანს: „და განვიცდიდეთ ურთიერთარს აღბაძვებად სიყვარულსა და კეთილთა საქმეთა“ (ებრ. 10, 24). წმ. ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ ყველა რედაქცია გვამცნობს, რომ მან დატოვა საქართველო და დასავლეთს, კერძოდ საბერძნეთს, მიაშურა: „ნათლად ღუთივ მოცემულად გიცნობს დასავალი, ნეტარო მამაო, და მხიარულ არს ჰრომი და უფროჲსად განსცხრების თესალონიკე, რამეთუ მას შინა განჯუედ სოფლით და მიჯუედ წინაშე ღმრთისა, მამაო ილარიონ“. ტროპარი საღვთო სივრცის იმ სიფართოვეს მიუთითებს, სადაც წმ. ილარიონი იღვწოდა.

წმ. ილარიონი საღმრთო ხილვით შემკული სრულყოფილი პიროვნებაა, რომელმაც ადგილი ზესთასოფელში დაიმკვიდრა, რითაც იგი მიემსგავსა ელია წინასწარმეტყველს, მოსე და დავით, იერემია წინასწარმეტყველებს, პავლეს. „ყოველთა წმიდათა, საღმრთოთა მოციქულთა, ნეტართა მღდელთმოძღუართა, მამათა და მარტვილთა“ შორის „თანა აღრაცხილ“ იქმნა და ქართულ ეკლესიას ახალ მნათობად გამოუჩნდა. ღმერთმა „გვირგვინი ძლევისაჲ ბრწყინვალე დაგადგა, ვითარცა მოღვაწესა თჳსსა, ღმერთშემოსილო“.

წმ. ილარიონ ქართველის სრულყოფილი სახე საგალობელში ვლინდება ღმერთისადმი სიყვარულით, მოყვასისადმი თანადგომით, აბსოლუტური ღირებულებისადმი ჭეშმარიტი რწმენითი დამოკიდებულებით. საგალობლის სამებისა და ღმრთისმშობლისადმი მიძღვნილ ტროპარებში ნათლად იკვეთება ღვთის დიდების წმ. ილარიონისეული ჭვრეტა.

ამრიგად, ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის წმ. ილარიონ ქართველის, როგორც წმინდანისა და ადამიანის, მნიშვნელობას რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს: 1. პეტრე იბერის შემდეგ ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში ცნობილ ქართველ ბერმონაზონთაგან პირველი წმ. ილარიონია, რომელმაც უცხოეთს, კერძოდ დასავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებს მიაშურა და სამონასტრო ცხოვრებას ჩაუყარა საფუძველი. მან თავისი პრაქტიკული საღვთისმეტყველო მოღვაწეობით სასულიერო და საერო წრეებში უდიდესი ავტორიტეტი მოიხვეჭა, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ კი ბიზანტიის იმპერატორმა განსაკუთრებული პატივი მიაგო. IX საუკუნეში წმ. ილარიონ ქართველმა პირველმა გაკვალა გზა დასავლეთისაკენ, რაც X საუკუნიდან ინტენსიური გახდა და, ფაქტობრივად, ქართველთა მიერ ათონის და შავი მთის მონასტრების დაარსებით დასრულდა. 2. „წმ. ილარიონ ქართველის ცხოვრებაში“ პირველადაა დასმული საკითხი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრილად საქართველოს მიჩნევის შესახებ. „წმ. ილარიონ ქართველის ცხოვრება“ და მისადმი მიძღვნილი საგალობლები კომპოზიციური და სახისმეტყველებითი თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა, რადგან, ერთი მხრივ, ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში ადამიანის სულიერ სამყაროში წვდომის იშვიათი უნარითაა წარმოჩენილი წმ. ილარიონის ანგელოზებრივი ცხოვრება და მოღვაწე წმინდანის სახე; მეორე მხრივ, ჰიმნოგრაფიული ლიტერატურულ-სახისმეტყველებითი პრინციპების კვალობაზე საგალობლებში წმ. ილარიონის ხატ-სახე სტატიკური ფორმით აისახება. ორივე ჟანრის თხზულებებში ავტორები თავიანთ სათქმელს იმ ბიბლიური ალუზიების, გამომსახველობითი და მხატვრული ხერხების გამოყენებით გამოხატავენ, რითაც ესოდენ მდიდარია ქრისტიანული საღვთისმეტყველო ლიტერატურა.

Nestan Sulava

ST. ILARION KARTVELI IN OLD GEORGIAN LITERATURE

Summary

The importance of "The Life of St. Ilarion Kartveli" for the history of the Georgian literature is defined by several factors: a) St. Ilarioni is the first monk after Petre Iberi out of those well-known Georgian monks in the history of Christian church who moved abroad to Western Christian countries and laid the foundation for monastic life there. He has gained great reputation among religious community and wider society due to his intensive theological practice that was marked with great honor by the Byzantine emperor after his death. In the 9th century St. Ilarion Kartveli was the first monk who pioneered going West that became more intensive from the 10th century and in fact ended by establishing Georgian monasteries at Mountain of Athos and Black Mountain; b) "The Life of St. Ilarion Kartveli" is the first religious work, where Georgia is mentioned as being under special protection of Holly Mother.

Compositional and typological aspects of different editions of "The Life of St. Ilarion Kartveli" and the hymns dedicated to the Saint are discussed in the article. The study aims at depicting the image of St. Ilarion by hagiographic writer, at the exepctional skill of the latter to grasp the details of the spiritual life of the Saint, on the one hand, and literary and typologocial principles, on the other hand. When telling his story, the author uses biblical allusions, and figurative and expressive language.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XI
თბილისი. 2016

მიხეილ ბახტაძე

რამდენი ათასი ყივჩაღი გადმოასახლა დავით აღმაშენებელმა საქართველოში

1118 წელს დავით აღმაშენებელმა საქართველოში ყივჩაღები გადმოასახლა. ერთადერთი ცნობა ამის შესახებ დაცულია დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაში, „ხოლო ყივჩაყნი დააყენნა ადგილთა სამათოდ მარჯუეთა დედაწულითა მათითა, რომელთა თანა იყო წყობად განმავალი რჩეული ორმეოცი ათასი, ესენი განასრულნა ცხენებითა და საჭურველითა; და კუალად მონანი, რომელნი ჰყვნეს რჩეულნი და განსწავლულნი ღუაწლსა, ვითარ ხუთ ათას კაც, ყოველნი ქრისტეანე-ქმნილნი, მისანდონი და გამოცდილნი სიმჴნითა; და თჳთ ყივჩაყნიცა უმრავლესნი ქრისტეანე იქმნებოდეს დღითი-დღე და სიმრავლე რიცხჳსა მძლე შეეძინებოდა ქრისტესა. ესენი რაი ესრეთ შემოიკრიბნა და დააწყუნა გუარად-გუარად, და დაუდგინნა სპასალარნი და მმართებელნი[1].“ მეფის მემატიანე წერს, რომ ყივჩაღთაგან 40 ათასი მოლაშქრე გამოდიოდა. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ მეფემ ყივჩაღთა 40 ათასი ოჯახი გადმოასახლა და ოითო ოჯახს თითო მეომარი უნდა გამოეყვანა. თუ ყივჩაღთა ოჯახში საშუალოდ 4-5 სულს ვიგულისხმებთ, მაშინ გამოდის, რომ საქართველოში დაახლოებით 160-200 ათასი ყივჩაღი გადმოსახლებულა. ზოგი თვლის, რომ 200-225 ათასი ადამიანის გადმოსახლებაზეც კი უნდა ვისაუბროთ.[2]

ერთ-ერთი პირველი, ვინც ყივჩაღთა გადმოსახლების საკითხს შეეხო, ივანე ჯავახიშვილი იყო. მეცნიერი წერდა, „დავით აღმაშენებელმა ოავდაპირველად სულ 40000 „წყობად განმავალი რჩეული“ მხედარი გადმოიყვანა „დედაწულითა მათითა“ ოჯახობით. ამას გარდა 5000 კაცი მონა-სპაში იყო,

[1] „ცხოერებაი მეფეთ-მეფისა დავითისი“. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო შუქია შანიძემ. თბ. გვ. 184.
[2] ს. მარგიშვილი. მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ (ომი სელჯუკთა სამყაროს წინააღმდეგ). თბ. 2006, გვ. 94.

„ყოველნი ქრისტიანე ქმნულნი მისანდონი და გამოცდილნი სიმჭნითა“. მეფემ გადმოყვანილი ყივჩაყნი ყველანი „განასრულნა ცხენებითა და საჭურველითა“. მისცა მათ დასახელებული ადგილი, „დააყენნა ადგილთა სამათოდ მარჯუეთა დედაწულითა მათითა“ და მათთვის განსაკუთრებული მართვა-გამგეობის წესი დასდვა... ამიერითგან მას ჰყავდა 45.000 მუდამ მზად მყოფი, გაწვრთნილი ცხენოსანი ჯარი“.[3] „დავით აღმაშენებლის გეგმა რთული გეგმა იყო. მას დიდი ჯარის შექმნა ჰქონდა განზრახული: 40 ათასი მარტო ცხენოსანი ჯარის კაცი უნდა ჰყოლოდა და 5 ათასი მონასპად წოდებული პირადი მცველი. 40 ათასი მხედარი რომ მარტოდ-მარტო გადმოსულიყო, მათ საქართველოში ცხოვრება, რასაკვირველია, გაუძნელდებოდათ და ისინი მკვიდრ მოსახლეობადაც ვერ იქცეოდნენ, ამიტომაც დავით აღმაშენებელმა ყივჩაყნი თავიანთი ოჯახებითურთ გადმოასახლა. ამრიგად დავით აღმაშენებელს ისეთი რთული ამოცანა ჰქონდა განსახორციელებელი, როგორიც იმ დროისათვის 45 ათასი ოჯახის სხვა ქვეყნითგან გადმოყვანა, დასახლება, მიწითა და სხვა ყველა საჭირო სახმარით უზრუნველყოფა უნდა იყოს მიჩნეული“.[4]

მართალია, ივანე ჯავახიშვილი პირდაპირ არ წერს, მაგრამ აშკარაა, რომ მეცნიერის მოსაზრებით ყივჩაღთა თითო ოჯახიდან თითო მეომარი უნდა გამოსულიყო. ეს მოსაზრება შემდგომი ხანის მეცნიერებმაც გაიზიარეს და დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებულია თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც თითო ოჯახიდა თითო მეომარი გამოდიოდა.

ნ. ბერძენიშვილი წერდა, „ამის შემდეგ 45 ათასი ყივჩაყთა ოჯახი საქართველოში გადმოვიდა ყივჩაყთაგან დვითს 40 ათასი ცხენოსნისაგან შემდგარი ლაშქარი მოუდიოდა. ამის გარდა მეფემ გაიმრავლა საკუთარი მცველთა ჯარი, რომელშიც ეხლა უკვე ხუთი ათასი მეომრისგან შემდგებოდა. ამ ჯარს „მონა-სპა“ ეწოდებოდა“.[5] სხვაგან მეცნიერი აღნიშნავდა, რომ დავითის დროს საუბარია 45 ათასი ყივჩაყი მეომრის შესახებ.[6]

45 ათასი ყივჩაღი მეომრის შესახებაა საუბარი ნ. ბერძენიშვილის, ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას ავტორობით გამოსულ საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოშიც. „მეფემ 45 000 ყივჩაყის ოჯახი გადმოასახლა საქართველოში, მიუჩინა მათ მიწა და ყველაფერი, რაც სამხედრო სამსახურისთვის სჭირდებოდათ, მისცა. დავითმა ახალი ორგანიზაცია მისცა

[3] ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ. II. თხზ. ტ. II. თბ. 1983, გვ. 200.
[4] ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ. II, გვ. 353
[5] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. VI. თბ. 1973, გვ. 41.
[6] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. IX. თბ. 1979, გვ. 93.

ყივჩაყებს და ორი წლის გაძლიერებული წვრთნის შემდეგ საქართველოს უკვე ყავდა 40 000 საუკეთესო ცხენოსნისაგან შემდგარი ლაშქარი. გარდა ამისა, დავითმა შეადგინა კიდევ ერთი ცალკე რაზმი 5 000 კაცისაგან, რომელსაც „მონა-სპას" ეძახდნენ და რომელსაც თვით მეფის დაცვა ევალებოდა".[7]

ა. კიკვიძე წერდა, რომ 1118-1120 წლებში „სულ 45 000 მხედარი გადმოასახლა დავით აღმაშენებელმა ჩრდილო კავკასიიდან. ყივჩაყები ოჯახებით გადმოვიდნენ და დასახლდნენ საქართველოში. თუ ოჯახზე საშუალოდ ხუთ სულს ვიანგარიშებთ, გამოდის, რომ 225 000 კაცს მოუპოვებია ბინა საქართველოში. თითოეულ ჯარისკაცს მიეცა ცხენი და საომარი იარაღი".[8]

ჯ. სტეფნაძე აღნიშნავდა, რომ დავით მეფის დროს „საქმე ეხება ყივჩაყთა ვეებერთელა მასის 45 ათასი ოჯახის საქართველოში გადმოსახლებას", რომლის შედეგადაც 1118-1120 წლებში მეფემ 45 ათასიანი ლაშქარი შეიძინა.[9] აშკარაა, რომ ჯ. სტეფნაძე თითო ოჯახიდან თითო მეომრის გამოსვლას ვარაუდობდა.

მ. დუმბაძეც იზიარებდა მოსაზრებას საქართველოში 45 000 ყივჩაღური ოჯახის გადმოსახლების შესახებ.[10]

ზ. ანჩაბაძე და მ. ცინცაძე მიიჩნევდნენ, რომ დავით აღმაშენებელმა 45 000 ყივჩაღი მეომარი ოჯახებიანად გადმოასახლა. „საქართველოს მეფემ ამით ორი დიდი საქმე გააკეთა: ჯერ ერთი, გაამრავლა შეთხელებული მოსახლეობის რიცხვი და რაც მთავარია, შექმნა საიმედო დასაყრდენი ძალა 45 000 მხედრის რაოდენობით, რომელიც ყოველთვის მზად იყო საომრად".[11]

საინტერესოა სარგის კაკაბაძის მოსაზრება, „საჭიროა გარკვეულ იქნეს, თუ რა უნდა იგულისხმებოდეს დავითის მემატიანის არსენის (ასე უწოდებდა მეცნიერი მეფის ანონიმ ისტორიკოსს – მ. ბ.) ამ ცნობაში, 40 ათასი ყივჩაღის გადმოყვანის შესახებ საქართველოში ცნობაში 40 და 50 ათასი ყივჩაღის შესახებ უნდა იგულისხმებოდეს მამრობითი სქესის პირნი 10 წლიდან 60 წლამდის (ასევე ანგარიშობდნენ უფრო გვიან, როდესაც მონღოლ-თურქთა მიერ 1254 წელს საქართველოში და მთელ წინა აზიაში ჩატარდა საყოველ-

---

7 ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია. ნაწ. I. თბ. 1950, გვ. 183.

8 ა. კიკვიძე. დავით აღმაშენებელი. თბ. 1942, გვ. 11.

9 ჯ. სტეფნაძე. საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან XII საუკუნეში. თბ. 1974, გვ. 124, 127.

10 მ. დუმბაძე. საქართველოს ისტორიული სინამდვილე და შოთა რუსთაველი. კრებ.: საქართველო რუსთაველის ხანაში. თბ. 1966, გვ. 8.

11 ზ. ანჩაბაძე, მ. ცინცაძე. საქართველო და ჩრდილოეთ კავკასია XII საუკუნესა და XIII საუკუნის I ნახევარში. კრებ.: საქართველო რუსთაველის ხანაში. თბ. 1966, გვ. 154.

თაო აღწერა). ამის მიხედვით, საქართველოში დავითის დროს იქნებოდა თავდაპირველად 110 ათასი ყივჩაღი, ხოლო შემდეგ, 1123 წელს – 135 ათასი".[12]

ამჟამად ქართულ ისტორიოგრაფიაში უფრო გავრცელებულია მოსაზრება ყივჩაღთა 40 ათაის ოჯახის გადმოსახლების შესახებ. სავარაუდოდ, ამ მოსაზრების მხარდამჭერები მონა-სპის შემადგენლობაში მყოფ 5 ათას მეომარს ყივჩაღად არ მიიჩნევენ.

არის საპირისპირო თვალსაზრისიც, რომ დავით აღმაშენებელს ყივჩაღთა 50 ათასიანი ჯარი ყავდა. ამ რიცხვს ასახელებს გ. ანჩაბაძე, რომელიც თელის, რომ 1118 წელს ყივჩაღთა გადმოსახლება პირველი ეტაპი იყო და მოგვიანებით, ორ-სამ წელიწადში კიდევ მოხდა ყივჩაღთა გარკვეული რაოდენობის გადმოსახლება. საბოლოოდ 1123 წლისთვის მათმა რაოდენობამ 50 ათასს მიაღწია.[13]

თურქი ისტორიკოსი ფ. კირზიოღლუც იზიარებს მოსაზრებას ყივჩაღთა 50 ათასიანი ლაშქრის შესახებ. ამავე დროს ის თვლის, რომ ერთ ყივჩაღურ ოჯახში საშუალოდ 6 სული უნდა ვიგულისხმოთ. შედეგად გამოდის, რომ დავით მეფეს საქართველოში 300 ათასი ყივჩაღი გადმოუსახლებია. ანალოგიური თვალსაზრისი აქვს ა. იუნუსოვსაც.[14] 50 ათას ყივჩაღზე საუბრობენ მურღულია და შუშარინიც.[15]

ყივჩაღთა 50 ათასიან ჯარზე საუბრისას მკვლევარები ეყრდნობიან დავით აღმაშენებლის ცნობას, რომ 1123 წელს შირვანში სულთნის შემოჭრის შემდეგ, „ესმა რაჲ ესე მეფესა, მსწრაფლ ჴმა-უყო ყოველთა სპათა თჳსთა და უმყის სიტყჳსა მოვიდეს წინაშე მისსა ყოველნი სამეფოჲსა მისისანი. და წარემართა სულტანსა ზედა; ყივჩაყნი ოდენ აღთუალულ იყვნეს მაშინ და იპოვა შემბმელი კაცი ორმეოცდაათი ათასი".[16] ამ ცნობასთან დაკავშირებით ჩვენ გეთანხმებით გ. ალასანიას, რომ 50 ათასი არის დავით აღმაშენებლის მიერ შეკრებილი მთელი ჯარის რაოდენობა და არა მხოლოდ ყივჩაღთა.[17] ამიტომ ამ ცნობაზე აღარ შევჩერდებით.

როგორც აღვნიშნეთ მეცნიერ-მკვლევართა უმეტესობა საუბრობს ყივჩაღთა 40 ათასიან ჯარზე და შესაბამისად 40 ათას ოჯახზე.

---

[12] ს. კაკაბაძე. დიდგორის ომი. თბ. 1982, გვ. 95.
[13] Г. Анчабадзе. Источниковедческие проблемы военной истории Грузии. Тб. 1990, გვ. 111.
[14] გ. ალასანია. ქართველები და ისლამამდელი თურქები. თბ. 2008, გვ. 178.
[15] М. Мургулия, В. Шушарин. Половцы, Грузия, Русь и Венгрия в XII-XIII веках. М. 1998, გვ. 123.
[16] „ცხოვრებაჲ მეფეთ-მეფისა დაჳითისი", გვ. 194.
[17] გ. ალასანია. ქართველები და ისლამამდელი თურქები, გვ. 179.

საქართველოს ისტორიის ნარკვევების III ტომში ვკითხულობთ, „1118 წელს დავითმა ჩრდილო კავკასიიდან 40 000 ყივჩაყის ოჯახი გადმოასახლა საქართველოში. გადმოსახლებულ ყივჩაყებს მისცეს მიწის ნაკვეთები, მიუჩინეს საზაფხულო და საზამთრო საძოვრები, უზრუნველყვეს ეკონომიკურად, რის სამაგიეროდ ყოველ ოჯახს ერთი შეიარაღებული მოლაშქრის გამოყვანა დაევალა. ყივჩაყთა 40 000 მოლაშქრე მთლიანად მეფეზე იყო დამოკიდებული და არ იყო დაკავშირებული ფეოდალთა კლასთან. ეს დიდ უპირატესობას ანიჭებდა მეფეს. ამიერიდან საქართველოს მეფე ნაკლებად იყო დამოკიდებული ფეოდალურ ლაშქარზე".[18]

ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში წერია, რომ დავით აღმაშენებელმა „ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოიყვანა და საქართველოში (ვარაუდით ქართლში) დაასახლა ყივჩაყთა 40 000 ოჯახი. მათგან მეფემ შექმნა მუდმივი ჯარი – ორმოციათასიანი ლაშქარი. ერთგულ მოლაშქრეთაგან კი შეადგინა ხუთიათასიანი პირადი გვარდია – მონა-სპა".[19]

შ. მესხია, თავის ნაშრომში „ძლევაჲ საკვირველი" აღნიშნავდა, „კიევის რუსეთი ყივჩაყთა 40 000 ოჯახის საქართველოში გადმოსახლებით თავიდან იშორებდა დაუძინებელი მტრის ერთ დიდ ნაწილს".[20]

ქ. ჩხატარაიშვილისა და ივ. შაიშმელაშვილის წიგნში, „დიდგორის ბრძოლა" ვკითხულობთ, „დავით აღმაშენებელმა მოუწოდა ყივჩაყთა და აი მათი 40 ათასი ოჯახი დარიალზე გადმოატარა ქართლში დააბინავა".[21] ქ. ჩხატარაიშვილი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ მონასპა საქართველოში ყივჩაღთა გადმოსახლებამდეც არსებობდა.[22]

რ. მეტრეველის აზრით, გადმოსახლებული იყო 40 ათასი ოჯახი. „დავით აღმაშენებელმა, მისივე ისტორიკოსის ცნობით, „ყივჩაყნი დააყენა ადგილთა მათ მარჯუათა დადაწულითა მათითა, რომელთა თანა იყო წყობად განმავალი რჩეული ოროცი ათასი". ე.ი. დავით აღმაშენებელმა საქართველოში გადმოიყვანა ყივჩაყთა 40 ათასი ოჯახი".[23]

---

18 საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. თბ. 1973, გვ. 165

19 დავით IV აღმაშენებელი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (ქსე). ტ. III. თბ. 1978, გვ. 334

20 შ. მესხია, ძლევაჲ საკვირველი". თბ. 1972, გვ. 64.

21 ქ. ჩხატარაიშვილი, ივ. შაიშმელაშვილი. დიდგორის ბრძოლა. თბ. 1973, გვ. 76.

22 ქ. ჩხატარაიშვილი. უცხოელები XII საუკუნის საქართველოში. კრებ.: საქართველო რუსთაველის ხანაში. თბ. 1966, გვ. 163.

23 რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი. საქართველოს ისტორია ოთხ ტომად. ტ. II. თბ. 2012, გვ. 388.

ა. გოგოლაძეც ეთანხმება თვალსაზრისს 40 ათასი ოჯახის გადმოსახლების შესახებ. „დავითმა საქართველოში 40 ათასი ყივჩაღის ოჯახი ჩამოასახლა და ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში დაასახლა. ეს უზარმაზარი მასა ბინადარ ცხოვრებაზე გადაიყვანა. თითოეულ ოჯახს თითო მეომრის გამოყვანა დაავალა, ასე შეიძინა საქართველომ 40 000 რეგულარული სამხედრო ძალა".[24] მოგვიანებით გამოქვეყნებულ ნაშრომში, სპეციალურად ყივჩაღთა ლაშქართან დაკავშირებით მსჯელობისას მეცნიერმა თავი შეიკავა გადმოსახლებულთა ზუსტი რაოდენობის დასახელებისგან და მხოლოდ დავით მეფის მემატიანის ცნობა მოიყვანა, თუმცა ლაშქრის რაოდენობა კვლავ 40 ათასი მეომრით განსაზღვრა.[25]

უკანასკნელ წლებში განსხვავებული მოსაზრებაც გამოითქვა. მკვლევართა ნაწილი, 160-200 ათასიანი ურდოს არსებობას არარეალურად მიიჩნევს და თვლის, რომ ჩამოსახლებულ ყივჩაღთა რაოდენობა გაცილებით ნაკლები იყო. ს. მარგიშვილი თვლიდა, რომ „ალბათ უფრო რეალური იქნება, თუ საქართველოში წამოსულ ყივჩაღ მეომართა რაოდენობას 5 ათასის, ხოლო ოჯახებიანად, სადღაც 25 ათასით ვივარაუდებთ, რაც საკმაოდ შესატყვისი ციფრი იქნებოდა ეპოქის მასშტაბებთან".[26]

ძალიან საინტერესოა პ. ტოლოჩკოს მოსაზრება, რომ 40 ათასი იყო არა ყივჩაღთაგან გამომავალი ჯარის რაოდენობა, არამედ საქართველოში გადმოსახლებულ ყივჩაღთა სრული რაოდენობა. ყივჩაღთა ლაშქარს კი ის მხოლოდ 5 ათასი კაცით განსაზღვრავს. საუბრობს რა ყივჩაღთა ურდოს რიცხოვნების შესახებ ის წერს, «О размерах отдельных половецких орд можно судить на основании письменных свидетельств. Так, согласно грузинской летописи, из южнорусских степей в Грузию откочевала половецкая орда хана Атрака (Отрока – в русских летописях) в количестве 40 тыс. человек, в том числе 5 тыс. воинов».[27] ამ საინტერესო მოსაზრებასთან დაკავშირებით ს. მარგიშვილი წერს, „მიუხედავად იმისა, რომ ავტორს არ მოჰყავს ამ მოსაზრების პირდაპირი არგუმენტაცია (თუმცა მიუთითებს ყივჩაღთა სხვადასხ-

[24] ა. გოგოლაძე. დავით აღმაშენებელი. წიგნ.: საქართველოს მეფეები. თბ. 2000, გვ. 106.

[25] შუა საუკუნეების ქართული სამხედრო ხელოვნების ისტორიის საკითხები. წიგნი შეადგინა ანდრო გოგოლაძემ. თბ. 2015, გვ. 51-55, 77.

[26] ს. მარგიშვილი. მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ, გვ. 98.

[27] П. П. Толочко. Кочевые народы степей и Киевская Русь. СПб. 2003. გვ. 92-93 (http://coollib.com/b/237495/read).

ვა ტომების საშუალო სიდიდეებს), მის მიერ დასახელებული ციფრების საკვსებით რეალურად გამოიყურებიან".[28]

პ. ტოლოჩკო თავის მხრივ ეყრდნობა სხვა მეცნიერის გამოკვლევას. ეს არის ს. პლეტნიოვას გამოკვლევა «Половцы». მეცნიერი წერს: «Однако южнее, в степях на правых притоках Донца (Тор, Сухой Торец и др.), обосновалась, по-видимому, орда, возглавленная сыном Шарукана Сырчаном. Брат Сырчана Атрак (Отрок, как называет его русский летописец) со значительной частью некогда громадного объединения ушел с берегов среднего Донца в более южные области. Не исключено, что именно его воины разбили у Белой Вежи соединенные силы печенегов и торков в 1117 г. Во всяком случае, в 1118 г. несколько половецких орд, находившихся под властью Атрака, расселились в предкавказских степях. Именно в этом году к ним направил послов грузинский царь Давид Строитель, предложивший Атраку переселение его самого и части подчиненных ему подразделений в Грузию. Согласно данным грузинской летописи, с ханом Атраком пришло 40 тыс. половцев, в том числе 5 тыс. отборных бойцов. Грузинские ученые полагают, что в летописи указано только число половецких воинов, вместе же с семьями их было около 230-240 тыс. Цифра эта вполне реальна для всей предкавказской группировки. Там, на обширных кубанских пастбищах, она могла разместиться со всеми своими стадами. В то же время в Грузии на тех землях, которые им предоставил царь Давид, это было бы невозможно без нанесения непоправимых бедствий стране. Поэтому представляется более вероятным, что Атрак перевел в Грузию через Дарьял (согласно русской летописи – в «Обезы, через Железные ворота») не все 40 тыс. подвластных ему воинов с семьями, а всего 5 тыс. (тех самых – «отборных», наличие которых специально подчеркивает грузинская летопись), т. е. примерно 25-30 тыс. человек. Естественно, что оставшиеся в Предкавказье 35 тыс. воинов, стоявшие «под рукой» Атрака, были неисчерпаемым резервом для грузинского царя во все время пребывания при его дворе Атрака. Перешедших через Дарьял половцев Давид расселил по южному и восточному пограничью и в Картлии, население которой было почти поголовно уничтожено во время нашествий сельджуков. Как и все умные и деятельные правители, Давид использовал вассальных кочевников в борьбе как с внешними врагами – сельджуками, так и с внут-

[28] ს. მარგიშვილი. მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ, გვ. 254.

ренними – грузинскими феодалами, стремившимися к самостоятельности. Половцы выполняли в Грузии те же обязанности, что и черные клобуки при киевском князе. Атрак стал придворным фаворитом. Его влияние опиралось не только на силу воинов, но и на родственные отношения с царем: он выдал за него свою дочь Гурандухт. Атрак откочевал с Донца еще при жизни Владимира; когда же этот страшный для степняков князь умер, Сырчан послал об этом весть брату в Грузию. Летопись сохранила поэтический рассказ об этом и последующими затем событиями. Сырчан отправил Атраку своего любимого певца Орева и просил брата вернуться в родные степи: «Воротися, брате, поиде в земле свою». Предполагая, что Атрак может и не захотеть «своей земли», находящейся в непосредственном соседстве с сильным и опасным противником, Сырчан приказал Ореву: «Пои же ему песни половецкие... дай ему поухати зелья именем евшан». Песни должны были напомнить Атраку о воинской славе, а евшан (вид степной полыни) – запах детства и юности, прошедших в богатых степных донецких просторах. Действительно, Атраку, несмотря на прослушанные песни, не хотелось уезжать от сытой и роскошной жизни при грузинском дворе. Он колебался и отказывался. Тогда только передал ему Орев и траву евшан, понюхав которую Атрак воскликнул: «Луче есть на своей земле костью лечи, нали на чюже славну бьтти!» Так случилось, что в конце 20-х годов XII в. Атрак вновь подкочевал к берегам Донца. Думается, что он привел назад только свой «курень» – род и некоторое число воинов, не пожелавших расстаться с энергичным и воинственным ханом, способным возглавить грабительский пабег как на соседнее русское княжество, так и на близлежащую орду. Тот же факт, что много половцев не последовало за Атраком и осталось в Грузии, подтверждается, в частности, сообщением грузинской летописи о брате «кипчакского царя», находившемся на службе у дочери Давида – царицы Тамары, Это был, несомненно, один из членов семьи (аила) Атрака, скорее всего (судя по возрасту) его сын».[29]

ზოგადად ყივჩაღთა ურდოების რიცხოვნებაზე საუბრისას პლეტნიოვა აღნიშნავს, «Несмотря на несомненное существование в степях самых различных по величине и политической значимости подразделений, представляется весьма вероятным, что размеры орд колебались от 20 до 40 тыс., причем преобладали 40-тысячные орды. Вместе с окружающими вежи

[29] С. А. Плетнева. Половцы. М. 1990, გვ. 115 (http://annales.info/step/pletneva/#_Toc265180278).

стадами это были весьма представительные объединения, и недаром Аммиан Марцеллин писал о том, что гуннские становища напоминают ему города на колесах. Всего в восточноевропейских степях кочевало, как мы видели в предыдущей главе, в первой половине XII в. не менее 12-15 орд, а это значит, что общее количество населения равнялось примерно 500-600 тыс. человек. Если учесть, что в среднем малая семья в пять человек, чтобы вести кочевое хозяйство, должна была иметь стадо, соответствующее по поголовью 25 лошадям (1 лошадь = 5 голов рогатого скота + 6 овец), то можно представить себе размеры передвигавшихся по степям соединенных кочевий-веж».[30]

პლეტნიოვას აზრით, ათრაქა შარაღანის-ძეს ნამდვილად ექვემდებარებოდა 40 ათასი მეომარი. თუმცა მათი დიდი ნაწილი ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინეთში დარჩა და საქართველოში მხოლოდ 5 ათასი მეომარი გადაიყვანა. ოჯახის წევრებთან ერთად სულ 25-30 ათასი ადამიანის გადასახლებაზეა საუბარი. დარჩენილი 35 ათასი მეომარი კი დავით მეფის უშრეტ რეზერვს წარმოადგენდა. თავის დროზე პლეტნიოვას მოსაზრება არ გაიზიარა და მართებულად უარყო ზ. პაპასქირმა.[31] ჩვენი მხრივ კი ერთსაც დავამატებთ, პლეტნიოვას მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით, რადგან ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინეთში დარჩენილ 35 ათას მეომარს რეზერვი შეიძლება მხოლოდ პირობითად ვუწოდოთ. საჭიროების შემთხვევაში მათი გადმოყვანა სწრაფად შეუძლებელი იყო. კავკასიონის ქედის გადმოლახვა დიდი ჯარის მიერ თავისთავად რთული პროცესია. ამავე დროს გასათვალისწინებელია, რომ გვიან შემოდგომიდან ადრეულ გაზაფხულამდე ამ გზით დიდი ჯარის გადმოყვანა პრაქტიკულად გამორიცხულია. გამოდის, რომ თუ დავით მეფემ ათრაქას ურდოს უდიდესი ნაწილი იმიერკავკასიის მთისწინეთში დატოვა, ამით მან დაკარგა ყივჩაღთა სწრაფი გადმოყვანისა და საჭიროების შემთხვევაში გამოყენების ყოველგვარი შესაძლებლობა. მაშინ რა აზრი ქონდა ასეთი რეზერვის ყოლას? ცხადია, არანაირი. ამიტომ ქართველთა სახელოვანი მეფე ასეთ გადაწყვეტილებას არ მიიღებდა.

საქართველოში გადმოსახლებულ ყივჩაღთა რაოდენობაზე მსჯელობისას, როგორც ვხედავთ, ყველა მეცნიერი ეყრდნობა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობას და ახდენს მის ინტერპრეტაციას.

[30] С. А. Плетнева. Половцы. М. 1990, გვ. 115.

[31] З. Папаскири. У истоков грузино-русских политических взаимоотношений. Тб. 1982, გვ. 97.

კიდევ ერთხელ მოვიტანთ ამ ფრაგმენტს. მეფის მემატიანე წერს, „ხოლო ყივჩაყნი დააყენნა ადგილთა სამათოდ მარჯუეთა დედაწულითა მათითა, რომელთა თანა იყო წყობად განმავალი რჩეული ორმეოცი ათასი, ესენი განასრულნა ცხენებითა და საჭურველითა; და კუალად მონანი, რომელნი ჰყვნეს რჩეულნი და განსწავლულნი ღუაწლსა, ვითარ ხუთ ათას კაც, ყოველნი ქრისტეანე-ქმნილნი, მისანდონი და გამოცდილნი სიმჭნითა; და თჳთ ყივჩაყნიცა უმრაველესნი ქრისტეანე იქმნებოდეს დღითი-დღე და სიმრავლე რიცხჳსა მძლე შეეძინებოდა ქრისტესა. ესენი რაჲ ესრეთ შემოიკრიბნა და დააწყუნა გუარად-გუარად, და დაუდგინნა სპასალარნი და მმართებელნი“.[32] თითქმის ასევეა მოცემული ეს ფრაგმენტი ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით გამოცემულ „ქართლის ცხოვრებაშიც“, „ხოლო ყივჩაყი დააყენნა ადგილთა მათ მარჯუეთა დედა-წულითა მათითა, რომელთა თანა იყო წყობად განმავალი რჩეული ორმოცი ათასი. ესენი განასრულნა ცხენებითა და საჭურველითა; და კუალად მონანი რომელ ჰყვეს რჩეულნი და განსწავლულნი ღუაწლსა, ვითარ ხუთიათასი კაცი, ყოველნი ქრისტიანე ქმნულნი, მისანდონი და გამოცდილნი სიმჭნითა. და თჳთ ყივჩაყნიცა უმრაველესნი ქრისტიანე იქმნებოდეს დღითი-დღე, და სიმრავლე ურიცხჳ შეეძინებოდა ქრისტესა. ესენი რა ესრეთ შემოიკრიბნა, და დააწყუნა გუარად-გუარად და დაუდგინნა სპასალარნი და მმართებელნი“.[33]

რიცხვ 40 ათასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება აქვს გ. ალასანიას. „ყივჩაყებთან, ისევე როგორც თურქულ სამყაროსთან დაკავშირებით რიცხვი 400, 40.000, 400.000 ტრადიციულია 40.000-იან ჯარზე საუბრისას ითვალისწინებენ საკუთრივ ყივჩაყების წარმოდგენას თავის ძალებზე“.[34] შესაძლოა ასეც იყოს. თუმცა ჩვენ არ გვგონია, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, რომელიც ყოველივე აღწერილის თანამედროვე და ხშირ შემთხვევაში თვითმხილველიცაა, მხოლოდ თავად ყივჩალთა ინფორმაციას დასჯერებოდა. მეფესთან საკმაოდ დაახლოებული მემატიანე ალბათ უფრო სამეფო კარზე არსებულ ცნობებს იყენებდა. დავით მეფე კი საჭარაუდოდ თავისიენ მოხელეებს დაავალებდა ყივჩალთა აღნუსხვას. თავად გ. ალასანია არ აკონკრეტებს საკუთარ მოსაზრებას გადმოსახლებულ ყივჩალთა რაოდენობის შესახებ, მხოლოდ აღნიშნავს, „მებრძოლ ყივჩაყთა და საერთოდ ქართული ჯარის რაოდენობაზე უფრო სწორ წარმოდგენას გვიქმნის მათეოს ურჰაეცის ცნობა“.

32 „ცხოერებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი“, გვ. 184.

33 ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 337.

34 გ. ალასანია. ქართველები და ისლამამდელი თურქები. თბ. 2008, გვ. 177.

მეცნიერის აზრით, ნაკლებად სანდოა სმბატ სპარაპეტის ინფორმაცია.[35]

სმბატ სპარაპეტის თანახმად დიდგორის ბრძოლის წინ, დავით მეფემ შეკრიბა თავისი ჯარი და დასახმარებლად იხმო 40 ათასი ყივჩაღი, 18 ათასი ალანი, 10 ათასი სომეხი, 500 ფრანკი.[36] ბრძოლაში მონაწილე ალანთა რიცხვი ძალიან გაზრდილია, ჯვაროსანთა – ნაკლებად. სომეხთა მონაწილეობა საერთოდ არაა სავარაუდო. ამიტომ ცხადია ამ ცნობისადმი ნდობა მცირეა, მაგრამ საინტერესოა ყივჩაღთა რაოდენობა – 40 ათასი. ეგებ სმბატ სპარაპეტმა ზოგადად იცოდა რომ საქართველოს ჰყავდა ყივჩაღთა 40 ათასიანი ლაშქარი და ამიტომ დაწერა ეს რაოდენობა.

გ. ალასანიას მოსაზრებას ემთხვევა ი. პილიპჩუკის თვალსაზრისი, რომ «40 тыс. кыпчакских воинов» – это штамп европейской исторической традиции, описывающей войска варваров». შემდეგ მეცნიერი აღნიშნავს, «От 150 до 200 тыс. человек должно было насчитывать население наибольших вождеств – ханства Шаруканидов, канглов, йемсков. Естественно, что вовсе не обязательно, чтобы число было круглым. Количество населения варьировало в каждом отдельном вождестве. Все кочевое население Дешти Кыпчак от Иртыша до Дуная должно было, по нашему мнению, составлять порядка 1 млн. человек».[37] თუ ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე, ირტიშიდან დუნაიმდე ცხოვრობდა 1 მილიონი ყივჩაღი, საქართველოში მთელი ამ მასის მეოთხედის, ანუ 200-250 ათასი ყივჩაღის გადმოსახლება ნაკლებად სარწმუნო ჩანს.

კონკრეტულად საქართველოში გადმოსახლებული ყივჩაღების რაოდენობის შესახებ კი ი. პილიპჩუკი წერს, «Относительно владений Шаруканидов, то в них должно было состоять четыре орды, известных по археологическим источникам, а также неучтенное С. Плетневой объединение кыпчаков-ельтукове. При этом во владениях Шаруканидов должно было находиться несколько племен, как минимум, шесть-семь. При переселении в Грузию должна была мигрировать только часть кыпчаков-токсоба, которые были главными в вождестве Шаруканидов. Представляется возможным, что 15 тыс. кыпчаков, упомянутых у Маттеоса Урхаэци, – это общее

[35] გ. ალასანია. ქართველები და ისლამამდელი თურქები. გვ. 179.

[36] Смбат Спарапет, *Летопись* (Ереван, 1974), გვ. 84-85 http://www.vostlit.info/Texts/rus9/Smbat_Sparapet/frametext3.htm.

[37] Я. Пилипчук. Сколько было кыпчаков? (К вопросу о достоверности сведений источников о количестве населения западноевразийских степей). Stratum plus. № 5 2014 გვ. 265 (სტატიის მოწოდებისთვის მადლობას ვუხდით პროფესორ ზ. პაპასქირს).

количество кыпчаков, мигрировавших в Грузию. Воинов из их числа должно было быть не более 3 тыс. Представляется возможным, что в битве при Дидгори принимало участие несколько сот кыпчаков (по аналогии с битвой на Вягре), которые составляли элиту кыпчакского воинства. Кыпчаков должны были рассслить на опустошенных сельджуками территориях, которые, впрочем, не были такими уж большими. Таким образом, 40 тыс. чел., упомянутых в грузинской летописи, – это общее количество воинов с владений Шаруканидов в XI-XII вв., а 200 тыс. насчитывало население всей орды под руководством Шаруканидов».[38] საინტერესო მოსაზრებაა, მაგრამ მას ეწინააღმდეგება დავით ალმაშენებლის ისტორიკოსის ცნობა, რომ „იყო წყობად განმაყალი რჩეული ორმოცი ათასი“. მემატიანე, რომელიც მეფესთან დაახლოებული პირი იყო, ბევრი რამის თვითმხილველიც გახლდათ და კარგად უწყოდა დავითის დროს მომხდარი ამბების შესახებ, პირდაპირ წერს – საქართველოში გადმოსახლებულ ყივჩაღთაგან 40 ათასი იყო მეომარი.

სანამ საქართველოში გადმოსახლებული ყივჩაღების რაოდენობაზე ვისაუბრებთ, გვინდა ერთი რამ აღვნიშნოთ. ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს მოსაზრება, რომ გადმოსახლებული ყივჩაღები მიწათმოქმედებით დაკავდნენ.[39] არ გვგონია, რომ გადმოსახლებულ ყივჩაღებს ან თუნდაც მათ ნაწილს მიწათმოქმედება დაეწყო. გახდე მიწათმოქმედი, როცა ამ სფეროში არაფერი იცი, და ყივჩაღებმა არ იცოდნენ მიწათმოქმედება, ერთობ ძნელი საქმეა. ვფიქრობთ, რომ ისინი კვლავ მომთაბარეებად დარჩნენ. შესაძლოა დასახლდნენ საზღვრისპირა რაიონებში, უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოში. მათთვის რომ მიწები გადაეცათ, ამას მეფის ისტორიკოსი ალბათ აღნიშნავდა. ის კი მხოლოდ იმას იუწყება, რომ ყივჩაღებს მიეცათ ცხენები და საჭურველი.

დავითის ისტორიკოსი წერს, რომ მეფემ ყივჩაღებს გამოუყო საცხოვრებელი ადგილი და მათგან გამოდიოდა 40 ათასი მეომარი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მათ მიეცათ ცხენები და საჭურველი. მომთაბარე ცხენების გარეშე წარმოუდგენელია. ამიტომ „განასრულა ცხენებით“, ალბათ გულისხმობს გზაში დახოცილი ცხენების ნაცვლად ახლების მიცემას. რაც შეეხება საჭურველს, აქაც ალბათ ყივჩაღთა იმ ნაწილზეა საუბარი, რომელსაც ძველი იარაღი ახლით შეუცვალეს. ნაკლებ სავარაუდოდ მიგვაჩნია თვალსაზრისი, რომ

[38] Я. Пилипчук. Сколько было кыпчаков? გვ. 264.

[39] ქ. ჩხატარაიშვილის აზრით, მეფემ გადმოსახლებულთა ნაწილი სომხეთში დაასახლა, სადაც ისინი მიწათმოქმედებას შეეკიდნენ (იხ. ქ. ჩხატარაიშვილი. უცხოელები XII საუკუნის საქართველოში, გვ. 175).

ყივჩაღთათვის ცხენებისა და საჭურველის მიცემის მიზეზი რუსთა მიერ მათი დამარცხება იყო. ქ. ჩხატარაიშვილის მოსაზრებით, „საქართველოში გადმოყვანილი ყივჩაყები, რუსთაგან მათი დამარცხების გამო „უპოვარნი“ იყვნენ, მათ იმ დროს ცხენები და საჭურველი აკლდათ, რის გამოც მეფეს მათი ცხენებითა სდა საჭურველით „გასრულება“ მოუხდა“.[40] თუ გავიზიარებთ მოსაზრებას, რომ ყივჩაღთა ერთი ოჯახიდან ერთ მეომარი გამოდიოდა და თუ თითოეულ ოჯახში საშუალოდ 4-5 სულს ვიგულისხმებთ გადმოსახლებულთა რაოდენობა დაახლოებით 160-200 ათას ადამიანს მიაღწევს. ჩვენ ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ 160-200 ათასიანი ურდოს ყოფნა საქართველოში ძნელი წარმოსადგენია. ასეთი რაოდენობა ალბათ არც იყო გადმოსახლებული.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ნამდვილად ასახელებს ყივჩართაგან გამომავალი ლაშქრის რაოდენობას – „რომელთა თანა იყო წყობად განმავალი რჩეული ორმოცი ათასი“, მაგრამ არ წერს, თუ რა პრინციპით ხდებოდა ჯარის შეკრება. თითო ოჯახიდან თითო მეომარი – ეს მოსაზრება ივანე ჯავახიშვილს ეკუთვნის. ამდენად, უცნობია თუ რა პრინციპით იკრიბებოდა ყივჩაღთა ჯარი.

აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყივჩაღთა მთავარი მოვალეობა ჯარის გამოყვანა და ბრძოლაში მონაწილეობა იყო, სხვა ვალდებულება მათ დაკისრებული არ ჭონდათ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სამხედრო ვალდებული იყო ყველა ზრდასრული ყივჩაღი მამაკაცი (და არა 10 წლიდან, როგორც ს. კაკაბაძე თვლიდა). ამიტომ თითო ოჯახიდან გამოდიოდა არა თითო მეომარი, არამედ ორი და სამიც კი. 40 ათასი მეომარი კი ალბათ ყველა ზრდასრული მამაკაცის მობილიზაციის შემთხვევაში იკრიბებოდა. ასეთი რამ კი რეალურად ალბათ არც მომხდარა. თუ 40 ათასი სრული მობილიზაციისას გამომავალი ჯარის რაოდენობა იყო და თუ ჩავთვლით, რომ თითო ოჯახიდან 2-3 მეომარი გამოდიოდა, ასეთ შემთხვევაში გადმოსახლებული გამოდის დაახლოებით 13-15 ათასი ოჯახი. ეს კი დაახლოებით 65-75 ათასი კაცი უნდა იყოს.

შესაძლოა, ისიც გვეცარაუდა, რომ სულ 40 ათასი ყივჩაღი იყო გადმოსახლებული და მაშინ მათგან 13-15 ათასი მეომრი გამოვიდოდა სრული მობილიზაციის შემთხვევაში. თუმცა ამგვარი ვარაუდის გამოთქმას დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობა ეწინააღმდეგება, რომ „იყო წყობად განმავალი რჩეული ორმოცი ათასი“.

[40] ქ. ჩხატარაიშვილი. უცხოელები XII საუკუნის საქართველოში, გვ. 167.

თუმცა აქ არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, ვისგან შედგებოდა „მონა-სპა“? როგორც ვნახეთ, მეცნიერთა ნაწილი თვლის რომ „მონა-სპა“ ყივჩაღთაგან შედგებოდა და ეს 5 ათასი მეომარიც ყივჩაღთა საერთო რაოდენობაში უნდა შევიყვანოთ. უკანასკნელ ხანს ასეთი მოსაზრება გამოთქვა მ. წურწუმიამ.[41]

დავით აღმაშენებლის მემატიანე წერს, „და კუალად მონანი რომელ ჰყვეს რჩეულნი და განსწავლულნი ღუაწლსა, ვითარ ხუთიათასი კაცი, ყოველნი ქრისტიანე ქმნულნი, მისანდონი და გამოცდილნი სიმჴნითა.“ სიტყვები – „ყოველნი ქრისტიანე ქმნულნი“ ალბათ უფრო იმაზე მიგვანიშნებს, რომ საქმე გვაქვს ახლად გაქრისტიანებულ მეომრებთან. ამიტომ „მონა-სპის“ წევრებად ქართველ მეომართა წარმოდგენა ცოტა გვიჭირს. თუ ქართველები არ არიან, მაშინ საქმე სხვა ეთნოსის წარმომადგენლებთან გვაქვს, ეს ცხადია, მაგრამ ვისთან?[42] აქ ყველაფერი უკვე წყაროში დაცული ცნობის ინტერპრეტაციაზეა დამოკიდებული. მართებულად შენიშნავს ზ. პაპასქირი, რომ „მონა-სპის“ წევრების მიჩნევა ყივჩაღებად, დავით მეფის ისტორიკოსის ცნობის არასწორი ინტერპრეტაციის შედეგია.[43] კიდევ ერთხელ მოვიტანთ დავით მეფის ისტორიკოსის ცნობას – „ხოლო ყივჩაყი დააყენნა ადგილთა მათ მარჯუეთა დედა-წულითა მათითა, რომელთა თანა იყო წყობად განმავალი რჩეული ორმოცი ათასი. ესენი განასრულნა ცხენებითა და საჭურველითა; და კუალად მონანი რომელ ჰყვეს რჩეულნი და განსწავლულნი ღუაწლსა, ვითარ ხუთიათასი კაცი, ყოველნი ქრისტიანე ქმნულნი, მისანდონი და გამოცდილნი სიმჴნითა. და თუთ ყივჩაყნიცა უმრავლესნი ქრისტიანე იქმნებოდეს დღითიდღე, და სიმრავლე ურიცხჳ შეეძინებოდა ქრისტესა. ესენი რა ესრეთ შემოიკრიბნა, და დააწყუნა გუარად-გუარად და დაუდგინნა სპასალარნი და მმარ-

[41] მ. წურწუმია. „შუა საუკუნეების ქართული ლა'შქარი (900-1700). ორგანიზაცია, ტაქტიკა, შეიარაღება“. დისერტაცია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბ. 2015, გვ. 42-43.

[42] სარგის კაკაბაძე წერდა, „ხელმწიფის კარის გარიგებიდან“ ირკვევა, რომ პირადად მეფის განკარგულებაში იყო „მესაწოლე“, ე.ი. მეფის საწოლთან (იგივე კაბინეტთან, როგორც ახლა ვიტყვით) მიმაგრებული 700 შუბოსანი, რომელთაგან მხოლოდ რეა იყო გლეხი (იგულისხმება შეძლებულ გლეხთაგან გამოსული მსახური), დანარჩენი კი აზნაურები იყვნენ. იმავე დროს, მატიანედან ცნობილია, რომ დავითს 1119-1120 წლების ახლოს ხუთი ათასი მონა-სპა ჰყავდა. თითქმის დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ შეიდასი შუბოსანი და 5 ათასი შინა მსახურ-მეომარი ერთძანეთს ფარაედნენ: შეიდასი შუბოსანი აზნაურ-მოყმენი არიან, ხოლო 5 ათასი კაცი – ამ შუბოსან აზნაურ-მოყმე მეომართა და მათ მეაბჯრე-მსახურთა მთელი რაოდენობის მაჩვენებელია.“ (იხ. ს. კაკაბაძე. დიდგორის ომი. თბ. 1982, გვ. 63).

[43] З. Папаскири. У Истоков грузино-русских политических взаимоотношений, გვ. 94.

თებელნი". როგორც ვხედავთ, ცნობა 5 ათას კაციანი რაზმის შექმნის შესახებ, რომელსაც მეცნიერებმა „მონა-სპა" უწოდეს, ჩართულია თხრობაში ყივჩაღთა შესახებ. ეს თითქოს უფრო იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ამ 5 ათას მეომართან დაკავშირებითაც საქმე ყივჩაღებთან უნდა გვქონდეს. მაგრამ ფრაზა – „და თჳთ ყივჩაყნიცა უმრავლესნი ქრისტიანე იქმნებოდეს დღითი-დღე" თითქოს ამ მოსაზრებას ეჭვქვეშ აყენებს.

დავით აღმაშენებლის ანონიმი ისტორიკოსის ცნობა ჩვენ ასე გვესმის, მეფემ ყივჩაღები ოჯახებითურთ დაასახლა მათთვის (ე.ი. ყივჩაღთათვის) მისაღებ ადგილებზე (ისეთ ადგილებზე სადაც დიდი საძოვრები არსებობდა). მათგან გამოდიოდა 40 ათასი მებრძოლი. მეფემ მისცა მათ ცხენები და საჭურველი. მეფეს კიდევ ყავდა რჩეული და ბრძოლის საქმეში განსწავლული 5 ათასი მეომარი, გაქრისტიანებულები და სანდონი. თვითონ ყივჩაღებიც მრავალნი ხდებოდნენ ქრისტიანები ყოველდღიურად და მრავალი ადამიანი ემატებოდა ქრისტიანობას. დააჯგუფა გვარებად და დაუდგინა სპასალარები (სამხედრო ხელმძღვანელები) და მმართველები (ყველა მმართველობითი ფუნქციის მფლობელნი, გარდა სამხედროსი).

ცალკე, საგანგებოდ გამოყოფა იმისა, რომ თვით ყივჩაღებიც („თჳთ ყივჩაყნიცა") ქრისტიანობას იღებდნენ, ჩვენი აზრით, უფრო იმაზე მიუთითებს, რომ მათ წინ დასახლებული 5 ათასი მეომარი მათსავე ეთნოსს არ ეკუთვნოდა. თუმცა ეს მხოლოდ ჩვენეული ინტერპრეტაციაა მატიანეში დაცული ცნობისა.

საბოლოოდ აღვნიშნავთ, რომ ჩვენი აზრით, დავით აღმაშენებელმა საქართველოში გადმოასახლა ყივჩაღთა დაახლოებით 13-15 ათასი ოჯახი, საერთო რაოდენობით დაახლოებით 65-75 ათასი ადამიანი. ყველა ზრდასრული ყივჩაღი მამაკაცის სრული მობილიზაციის შემთხვევაში და ეს თითო ოჯახიდან 2-3 მეომრის გაწვევას გულისხმობდა, საკარაუდოდ იკრიბებოდა 40 ათასიანი ყივჩაღური მსუბუქი კავალერია. თუმცა ალბათ მეფეს ყივჩაღთა ასეთი რაოდენობა ერთდროულად არასდროს გამოუყვანია. საკარაუდოდ, 15 ათასი იყო ყივჩაღთა ის რაოდენობა რაც რეალურად იკრიბებობდა გადმოსახლებულთაგან.

Mikheil Bakhtadze

HOW MANY THOUSAND KIPCHAKS (RUSS. POLOVTZI) WERE SETTLED IN GEORGIA BY DAVID THE BUILDER

Summary

In 1118 David the Builder settled Kipchaks (Cumans) in Georgia. According to David the Builder's historian, more than 40 000 Kipchaks were used at a battlefield. Based on this information, it is widely believed in the Georgian historiography that David the Builder resettled in Georgia 40 000 Kipchak families and each family had to send a warrior to the army. Supposing that each Kipchak family consisted of about 4-5 members, it turns out that approximately 160 000-200 000 Kipchaks were moved to Georgia. Some scholars believes that about 45 000 Kipchak families were settled by David IV.

In recent years, a different opinion was expressed. There is a part of the scholars, who think that it is unlikely that the horde settled on Georgian soil contained 160 000-200 000 Kipchaks and that their real number was much lesser. We also think that it is unrealistic to talk about 160 000-200 000 Kipchaks

David the Builder's historian actually mentioned Kipchaks' number in the army – "Among them was a pile of forty thousand brilliant warriors", but he had not written what was the principle of gathering troops. Per warrior from per family – this view belongs to Ivane Javakhishvili.

The main duty of Kipchaks was to deliver the troops and to take a part in the battle; they had no other obligations. We think that each adult Kipchak man was military responsible. Therefore, from each family was coming out not only one warrior, but two or even three. In this case, we think that there were about 13-15 000 Kipchak families resettled in Georgia by David the Builder.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XI
თბილისი. 2016

თედო დუნდუა, აკაკი ჩიქობავა

მონეტა, როგორც პროპაგანდის საშუალება (XII-XVIII საუკუნეების ქართული ნუმიზმატიკური ძეგლების მიხედვით)

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომების X ტომში გამოქვეყნდა სტატია – მონეტა, როგორც პროპაგანდის საშუალება (ქართული ნუმიზმატიკური ძეგლების მიხედვით) (თ. დუნდუა, ა. ჩიქობავა).[1] აქ გთავაზობთ კონკრეტული ნარატივის გაგრძელებას.

გაერთიანებული საქართველოს ძლიერი მეფეები, დემეტრე I (1125-1156 წწ.) და გიორგი III (1156-1184 წწ.), თავიანთ მონეტებზე არაბულ ზედწერილებს, სულთნის და ხალიფას სახელს ათავსებენ. ზოგიერთი მკვლევარი ამას იმით ხსნის, რომ საქართველოს მეფე რაღაც ფორმით მუსლიმ მფლობელზე იყო დამოკიდებული. მაგრამ ასეთი მოსაზრება ყოვლად უსაფუძვლოა. დემეტრე I-ის და გიორგი III-ის კონკრეტული ჟესტი ნაკარნახევი იყო წმინდა ეკონომიკური მოტივებით – ქართულ მონეტებს გზა უნდა გაეკვლია მახლობელი აღმოსავლეთის ბაზრებისკენ, ამას კი არაბული ლეგენდა და ხალიფას სახელის მოხსენიება უთუოდ ხელს უწყობდა. ამავე დროს წარწერის შინაარსი იმასაც ატყობინებდა მუსლიმურ სამყაროს, რომ, ვთქვათ, გიორგი III „მეფეთა მეფე“ და „მესიის მახვილი“ იყო. ე.ი. საქმე გვაქვს საქართველოს სამეფოს სიძლიერის საერთაშორისო პროპაგანდასთან. თამარიც (1184-1210 წწ.) „მესიის მიმდევარი“ და „დედოფალი დედოფალთაა“, „დიდება ქვეყნისა და სარწმუნოებისა“, არაბულად. გიორგი IV ლაშა (1210-1222 წწ.) „მეფეთა მეფე“ და „მესიის მახვილია“. რუსუდანის ტიტულებიც თამარის ანალოგიურია.

[1] თ. დუნდუა, ა. ჩიქობავა. მონეტა, როგორც პროპაგანდის საშუალება (ქართული ნუმიზმატიკური ძეგლების მიხედვით). ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. X ტ. თბ. 2016, გვ. 72-98.

დემეტრე I-ის სპილენძის მონეტები.

შუბლი: ცენტრში მოთავსებული ასომთავრული Ⴃ, რომელიც დემეტრეს სახელის ინიციალს წარმოადგენს. ზემოთ და ქვემოთ არაბული ზედწერილი: მეფეთა მეფე. ირგელივ რკალი და გაურკვეველი არაბული წარწერა.

ზურგი: ორსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: მაჰმუდ იბნ მუჰამმადი (1118-1131 წწ.). გარშემო ასევე არაბული ლეგენდა, რომელიც ძნელად იკითხება (ტაბ. I №1).[2]

შუბლი: რვაკუთხედ ფიგურიანი ჩარჩოს ცენტრში ასომთავრული Ⴃ. ჩარჩოს გარეთ არაბული წარწერა: მეფეთა მეფე, მესიის მახვილი – სტილიზებულია და ჩარჩოს ნაწილს წარმოადგენს.

ზურგი: ხუთღერძიანი ვარდულის შინაგან ბუდეებში მოთავსებული არაბული წარწერა გვამცნობს არაბთა ხალიფას ალ-მუქთაფი ლი-ამრ ალლაჰის (1136-1160 წწ.) სახელს, ხოლო გარეგან ბუდეებში არაბულივე ზედწერილი – სელჩუკთა სულთნის ღიას ედ-დინ მასუდის (1133-1152 წწ.) სახელს (ტაბ. I №2).[3]

დავით V-ის (1155 წ.) სპილენძის მონეტა.

შუბლი: სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი, რომლის შემდეგი ფრაგმენტებია შემორჩენილი: მეფეთა მეფე, მესიის მახვილი დავით მარჯვნივ ვერტიკალურად მოთავსებული გაურკვეველი ნიშანი. წრიულ ხაზოვანი რკალის ფრაგმენტი და წრიული ლეგენდის ნაშთი.

ზურგი: სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: მუჰამმადი სულტანი [უდიდესი] ძე მაჰ[მუდისა] (1153-1159 წწ.) (ტაბ. I №3).[4]

---

[2] გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. I ნაწილი. თბ. 2006, გვ. 201-202, ტაბ. X №62; თ. დუნდუა, გ. დუნდუა და სხვ. ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. III ნაწილი. თბ. 2015, გვ. 39-40; თ. დუნდუა და სხვ. ქართული საკრედიტო ფული (XII საუკუნე-XIII საუკუნის ოციანი წლები)/დემეტრე I-ის ემისიები/ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი http://geonumismatics.tsu.ge.

[3] გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. I ნაწილი, გვ. 202, ტაბ. X №63; თ. დუნდუა, გ. დუნდუა და სხვ. ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. III ნაწილი, გვ. 39-40; თ. დუნდუა და სხვ. ქართული საკრედიტო ფული (XII საუკუნე-XIII საუკუნის ოციანი წლები)/დემეტრე I-ის ემისიები/ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი http://geonumismatics.tsu.ge.

[4] გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. I ნაწილი, გვ. 202-203, ტაბ. X №65; თ. დუნდუა, გ. დუნდუა და სხვ. ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. III ნაწილი, გვ. 40-41; თ. დუნდუა და სხვ. ქართული საკრედიტო ფული (XII საუკუნე-XIII საუკუნის ოციანი წლები)/დავით V-ის ემისია/ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი http://geonumismatics.tsu.ge.

გიორგი III-ის (1156-1184 წწ.) „უწესოდ" მოჭრილი სპილენძის მონეტები.
შუბლი: ხვეული ხაზებისგან შემდგარი ვარდულის ცენტრში მოთავსებული გიორგის სახელის აღმნიშვნელი ასომთავრული ინიციალი Ⴗ, ვარდულის ბუდეებში არაბულად – მეფეთა მეფე გიორგი, მესიის მახვილი.
ზურგი: ხვეული ვარდულის ბუდეებში არაბული ზედწერილი: ალ-მუქთაფი ლი-ამრ ალლაჰი, მართლმორწმუნეთა მბრძანებელი (ტაბ. II №4).[5]

გიორგი III „უწესოდ" მოჭრილი მონეტების პარალელურად იწყებს აგრეთვე მრგვალი მოყვანილობის სპილენძის მონეტების ემისიას.
შუბლი: აზიურ-ბიზანტიურ სამოსელში გამოწყობილი გიორგი III მარცხენა (ზოგჯერ მარჯვენა) ხელით დოინჯშემოყრილი ფეხმორთხმით ზის პირდაპირ. მას მეორე გაწვდილ ხელზე შეევარდენი უზის. თავს საიმპერატორო სტემა უმშვენებს. მონეტის არეზე გაფანტულია ქართული მხედრული წარწერა, რომელიც იუწყება მეფის სახელს (შემოკლებულად – გი, ზოგან ამას ემატება Ⴗ-ს მონოგრამა) და ასომთავრული წარწერა ⴕⴑⴓⴔⴖⴑ ქორონიკონსა 394 (=1174 წ.).
ზურგი: სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: მეფეთა მეფე გიორგი, ძე დემეტრესი, მესიის მახვილი (ტაბ. II №5).[6]

თამარის (1184-1210 წწ.) „უწესოდ" მოჭრილი სპილენძის მონეტები.
შუბლი: წნული ორნამენტული ჩარჩოს ცენტრში თამარის ხელრთვა. ორნამენტის გარშემო დაქარაგმებულია ასომთავრული ზედწერილი: ⴕⵙⵒⴆⴄⵗⵔⵐⵓ ⵛⵗⴕⵖⵔⵙⵚⵛⵔⵗⵒⵒⵔⵒⵒⴆⵙⴕⴑⵖⵔⵖⴆ სახელითა ღვთისაითა იქნა ჭედაი ეერცხლისი ამის ქორონიკონსა 407 (=1187 წ.).
ზურგი: ხუთსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: დედოფალი დიდებული, დიდება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, თამარ, ასული გიორგისა, მესიის მიმდევარი,

[5] გ. დ'უნდ'უა, თ. დ'უნდუა. ქართ'ული ნ'უმიზმატიკა. I ნაწ'ილი, გვ. 203, ტაბ. X №67; თ. დ'უნდ'უა, გ. დ'უნდ'უა და სხვ. ქართ'ული ნ'უმიზმატიკის კატალოგი. III ნაწ'ილი, გვ. 41-42; თ. დუნდ'უა და სხვ. ქართ'ული საკრედიტო ფ'ული (XII ს'აუკ'უნე-XIII ს'აუკ'უნის ოციანი წ'ლები)/გიორგი III-ის ემისიები მთავრ'ული ნიშნით/ქართ'ული ნ'უმიზმატიკის ინგლის'ურ-ქართ'ული ონლაინ-კატალოგი http://geonumismatics.tsu.ge.

[6] გ. დ'უნდ'უა, თ. დ'უნდ'უა. ქართ'ული ნ'უმიზმატიკა. I ნაწ'ილი, გვ. 204, ტაბ. X №№68-69; თ. დ'უნდ'უა, გ. დ'უნდ'უა და სხვ. ქართ'ული ნ'უმიზმატიკის კატალოგი. III ნაწ'ილი, გვ. 42-43; თ. დ'უნდ'უა და სხვ. ქართ'ული საკრედიტო ფ'ული (XII ს'აუკ'უნე-XIII ს'აუკ'უნის ოციანი წ'ლები)/გიორგი III-ის მონეტები – მეფე შეევარდენით ხელ'ში/ქართ'ული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი http://geonumismatics.tsu.ge.

განადიდოს ღმერთმან ძლევანი მისნი. ირგელივ რკალი და არაბულადვე გარშემოვლებული მეორე ზედწერილი: განადიდოს ღმერთმან დიდება მისი, განაგრძოს ჩრდილი მისი და განამტკიცოს კეთილდღეობა მისი (ტაბ. II №6).[7]

თამარის „წესიერი" ფორმის სპილენძის მონეტები.

შუბლი: მონეტის ცენტრში მოთავსებულია რთული აგებულების ნახაზი – ნიშანი, რომელსაც ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშნად მიიჩნევენ. მარცხნივ და მარჯვნივ ასომთავრულით დაქარაგმებულია თამარისა და დავითის სახელები – ⵜⵉⵔ და ⵙⵔ.

ზემოთ და ქვემოთ ასომთავრულითვე ⵑⵖⵅⵖ ქორონიკონსა 420 (=1200 წ.).

ზურგი: ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: დედოფალი დედოფალთა, დიდება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, თამარ, ასული გიორგისა, მესიის მიმდევარი (ტაბ III №7).[8]

გიორგი IV ლაშას (1210-1222 წწ.) „უწესოდ" მოჭრილი სპილენძის ფული.

შუბლი: წნული ორნამენტული ჩარჩოს ცენტრში მოთავსებული ასომთავრული ზედწერილი: ⵍⵍⵊⵗ/ⵔⵊⵙⵔ გიორგი, ძე თამარისა. ჩარჩოს შემოვლებული აქვს ასომთავრული ზედწერილი, ⵜⵙⵑⵍⵄⵃⵔⵎⵔⵔⵍⵜⵜⵔⵗⵜⵔⵛⵍⵑⵃⵙⵛⵎⵙⵜⵖⵙⵅⵄ სახელითა ღვთისაითა იქნა ჭედაი ვერცხლისი ამის ქორონიკონსა 430 (=1210 წ.).

ზურგი: ცენტრში მოთავსებული ოთხსტრიქონიანი არაბული ლეგენდა: მეფეთა მეფე, დიდება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, გიორგი, ძე თამარისა, მესიის მახვილი. გარშემო რკალი. რკალს გარეთ სპარსული ზედწერილი: უწმინდესი ღმერთის სახელით იჭედა ეს ვერცხლი 430 წელს (ტაბ III №8).[9]

---

[7] გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. I ნაწილი, გვ. 205-206, ტაბ. XI №№71-72; თ. დუნდუა, გ. დუნდუა და სხვ. ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. III ნაწილი, გვ. 44-45; თ. დუნდუა და სხვ. ქართული საკრედიტო ფული (XII საუკუნე-XIII საუკუნის ოციანი წლები)/თამარ მეფის მონეტები მისი სელრთვით/ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი http://geonumismatics.tsu.ge.

[8] გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. I ნაწილი, გვ. 206-207, ტაბ. XI №74; თ. დუნდუა, გ. დუნდუა და სხვ. ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. III ნაწილი, გვ. 46-47; თ. დუნდუა და სხვ. ქართული საკრედიტო ფული (XII საუკუნე-XIII საუკუნის ოციანი წლები)/თამარის და დავითის მონეტები „ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშნით/ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი http://geonumismatics.tsu.ge.

[9] გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. I ნაწილი, გვ. 208-209, ტაბ. XII №№78-79; თ. დუნდუა, გ. დუნდუა და სხვ. ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. III ნაწილი, გვ. 47-48; თ. დუნდუა და სხვ. ქართული საკრედიტო ფული (XII საუკუნე-

გიორგი IV ლაშას „წესიერად" მოჭრილი სპილენძის მონეტები.

შუბლი: ოთხსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა: ⴑⵂⵗⵛ/ⴝⵔⵆⵛⵗⵀⵑⵔ/ⵔⵆⵔⵛⵅⵆⵛⵗ/ⵒⵛⵁⵗⵂⵛ გიორგი მეფისა, თამარის ძისასა, ჯავახთუფლისა.

ზურგი: ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: მეფე უმაღლესი, დიდება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, გიორგი, ძე თამარისა, მესიის მახვილი (ტაბ. III №9).[10]

გიორგი IV ლაშას სპილენძის უნიკალური მონეტა.

შუბლი: მთელი ტანით პირდაპირ მდგარი მეფის გამოსახულება საიმპერატორო გვირგვინით (სტემა), ლაბარუმით მარჯვენა ხელში და ე.წ. ანექსიკაკიით – მტვრიანი პერგამენტის შეკვრა, მოკვდავის სიმბოლო – მარცხენაში. გამოსახულების მარცხნივ და მარჯვნივ შემორჩენილია ასომთავრული ლეგენდის ფრაგმენტები, რომელიც ასე იკითხება: ⴑⵂⵗⵛ/ⵛⵗⵛ/ⵔ../../...ⵆ გიორგი, ძე თამარისი 30 ე.ი. ქორონიკონსა 430 (=1210 წ.).

ზურგი: ვარდულის ოთხ ფურცელში მოთავსებული არაბული წარწერა: 606 წელს (=1209/1210 წწ.). ფურცლებს შორის სეგმენტებში მეორე არაბული ზედწერილი: მეფეთა მეფე გიორგი, ძე თამარისა, მესიის მახვილი. ირგვლივ რკალი (ტაბ. IV №10).[11]

რუსუდანის (1222-1245 წწ.) „წესიერად" მოჭრილი სპილენძის მონეტები.

შუბლი: რთული ორნამენტული ჩარჩოს ცენტრში მოთავსებულია რუსუდანის ასომთავრულით დაქარაგმებული სახელი – ⵛⵔⵔ. მის ზემოთ ამოკვეთილი მცირე ზომის ხვეული ასევე რუსუდანის მონოგრამაა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასევე

XIII საუკუნის ოციანი წლები)/გიორგი IV ლაშას მონეტები წარწერით „გიორგი ძე თამარისა"/ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი http://geonumismatics.tsu.ge.

[10] გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. I ნაწილი, გვ. 209, ტაბ. XI №77; თ. დუნდუა, გ. დუნდუა და სხვ. ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. III ნაწილი, გვ. 49; თ. დუნდუა და სხვ. ქართული საკრედიტო ფული (XII საუკუნე-XIII საუკუნის ოციანი წლები)/გიორგი IV ლაშას მონეტები წარწერით „გიორგი მეფისა ჯავახთუფლისა"/ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი http://geonumismatics.tsu.ge.

[11] გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. I ნაწილი, გვ. 209-210, ტაბ. XII №80; თ. დუნდუა, გ. დუნდუა და სხვ. ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. III ნაწილი, გვ. 50; თ. დუნდუა და სხვ. ქართული საკრედიტო ფული (XII საუკუნე-XIII საუკუნის ოციანი წლები)/გიორგი IV ლაშას მონეტები – მეფე საიმპერატორო სამოსელში/ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი http://geonumismatics.tsu.ge.

რუსუდანის მონოგრამას წარმოადგენს მონეტაზე მოთავსებული რთული ორნამენტული ჩარჩო, რომლის გარე ხვეულების გახსნა გვაძლევს შემდეგ ასოებს: ᲐᲥᲡᲗ ე.ი. რუსუდან. ორნამენტის ბუდეებში შემოკლებით თარიღია: ᲩᲙᲩᲐᲑ ქორონიკონსა 447 (=1227 წ.).

ზურგი: ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: დედოფალი მეფეთა და დედოფალთა, დიდება ქვეყნისა, სამეფოსი და სარწმუნოებისა, რუსუდან, ასული თამარისა, მესიის მიმდევარი, განადიდოს ღმერთმან ძლევანი მისნი. გარშემო რკალი (ტაბ. IV №11).[12]

რუსუდანის ვერცხლის მონეტები კომპოზიციით ახლოს დგას ბიზანტიურ ნუმიზმატიკურ ძეგლებთან.

შუბლი: ქრისტეს წელზევითი გამოსახულება პირდაპირ, მოსასხამით, თავზე შარაგანდედით. მარჯვენა ხელით ლოცავს, მარცხენა ხელში ბიბლია უჭირავს, რომლის ყდაზე სამი ბურთულაა. IC XC მონეტის არეში. ირგვლივ ხაზოვანი რკალი და ასომთავრული გარშემოწერილი: ᲡᲔᲛᲫᲮᲠᲘᲗᲨᲔᲠᲩᲔᲡᲗᲕᲘᲡ, ე.ი. სახელითა ღვთისაითა იჭედა ქორონიკონსა 450 (=1230 წ.).

ზურგი: რთული ორნამენტული ჩარჩოს ცენტრში, რომელიც მოგვაგონებს თამარ მეფის 1200 წლით დათარიღებულ მონეტაზე ამოკვეთილ ნიშანს, ჩაწერილია ასომთავრული ᲐᲡᲗ, ე.ი. რუსუდან. ირგვლივ გარშემოვლებულია არაბული ზედწერილი: დედოფალი დედოფალთა, დიდება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, რუსუდან, ასული თამარისა, მესიის მიმდევარი (ტაბ. IV №12).[13]

შემდგომ საქმე გვაქვს უკვე საქართველოს სამეფოს სისუსტის საერთაშორისო პროპაგანდასთან.

---

[12] გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. I ნაწილი, გვ. 223-224, ტაბ. XIII №86; თ. დუნდუა, გ. დუნდუა და სხვ. ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. III ნაწილი, გვ. 51-52; თ. დუნდუა და სხვ. ქართული საკრედიტო ფული (XII საუკუნე-XIII საუკუნის ოციანი წლები)/რუსუდანის „წესიერად" მოჭრილი სპილენძის მონეტები/ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი http://geonumismatics.tsu.ge.

[13] გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. I ნაწილი, გვ. 224-225, ტაბ. XIII №№87-88; თ. დუნდუა, გ. დუნდუა და სხვ. ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. III ნაწილი, გვ. 66-67; თ. დუნდუა და სხვ. ქართველ მეფეთა მონეტები XIII-XIV საუკუნეებში/რუსუდანის ვერცხლის მონეტები იესო ქრისტეს გამოსახულებით/ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი http://geonumismatics.tsu.ge.

1244/45 წლებში დმანისის ზარაფხანა უშვებს სპილენძის მონეტებს დავით ნარინის (1245-1293 წწ.) სახელით.

შუბლი: ცენტრში შეწიაღებული მთავრული Ბ და Ი დავითის სახელს აღნიშნავს. ირგვლივ სპარსული ზედწერილი: მსოფლიოს მფლობელის, ყაენის მონა, დავით მეფე.

ზურგი: არაბული ოთხსტრიქონიანი წარწერა: ქალაქსა დმანისს, სანგრძლივ ჰყოს იგი ღმერთმან, (წელსა) 642 (=1244/45 წწ.) (ტაბ. V №13).[14]

1247 წელს თბილისის ზარაფხანაში დავით ნარინის სახელით მოჭრილი ვერცხლის მონეტები.

შუბლი: მარჯვნივ მიმართული გვირგვინოსანი მეფე-მხედრის გამოსახულება, რომელსაც მარჯვენა ხელში მათრახი უჭირავს. გამოსახულების წინ მონოგრამა, რომელიც დავითის სახელს აღნიშნავს. აქვეა თარიღი ͱϬϤϿϬ, ე.ი. ქრონიკონი 467 (=1247 წ.). მხედრის უკან ექვსქიმიანი ვარსკვლავი.

ზურგი: ოთხსტრიქონიანი სპარსული ზედწერილი: ძალითა ღვთისათა, მონა გუიუკ-ყაენის მთავრობისა. მეფე დავითი. ზედწერილის გვერდით მარჯვენა მხარეს სპარსულადეა მოჭრის ადგილი: იჭედა თბილისს (ტაბ. V №14).[15]

იგივე დავითი მონღოლთა კონტროლს მიღმა, დასავლეთ საქართველოში, სულ სხვანაირად იქცევა. ორი დავითის (დავით ნარინი და დავით ულუ (1247-1270 წწ.)) მონეტების პროტოტიპი ბიზანტიური ნუმიზმატიკური ძეგლებია. ეს მონეტები ქართველთა პროდასავლური სიმპათიების პროპაგანდაა, ისევე როგორც დასავლეთ საქართველოში XIII-XV საუკუნეებში მოჭრილი კირმანეული თეთრი, ტრაპიზონის ასპრების ქართული მინაბაძები.

შუბლი: ორი მეფის გამოსახულება მთელი ტანით პირდაპირ. ორივეს თავზე გვირგვინები (სტემა) ადგას და თვლებით შემკული საიმპერატორო სამოსი

[14] გ. დ'უნდ'უა, თ. დ'უნდ'უა. ქართ'ული ნ'უმიზმატიკა. I ნაწილი, გვ. 228, ტაბ. XIV №93; თ. დ'უნდ'უა, გ. დ'უნდ'უა და სხვ. ქართ'ული ნ'უმიზმატიკის კატალოგი. III ნაწილი, გვ. 67-68; თ. დ'უნდ'უა და სხვ. ქართველ მეფეთა მონეტები XIII-XIV ს'აუკ'უნეებში/დავით ნარინის სპილენძის მონეტები შეწ'იაღებ'ული ასოებით/ქართ'ული ნ'უმიზმატიკის ინგლის'ურ-ქართ'ული ონლაინ-კატალოგი http://geonumismatics.tsu.ge.

[15] გ. დ'უნდ'უა, თ. დ'უნდ'უა. ქართ'ული ნ'უმიზმატიკა. I ნაწილი, გვ. 230, ტაბ. XIV №95; თ. დ'უნდ'უა, გ. დ'უნდ'უა და სხვ. ქართული ნ'უმიზმატიკის კატალოგი. III ნაწილი, გვ. 68-69; თ. დ'უნდ'უა და სხვ. ქართველ მეფეთა მონეტები XIII-XIV ს'აუკ'უნეებში/დავით ნარინის ვერცხლის მონეტები მხედრის გამოსახ'ულებით/ქართ'ული ნ'უმიზმატიკის ინგლისურ-ქართ'ული ონლაინ-კატალოგი http://geonumismatics.tsu.ge.

აცვია. მარცხნივ მდგომ წვერულვაშებიან მეფეს მარცხენა ხელში ლაბარუმი უჭირავს, ხოლო მარჯვენა ხელი დოინჯშემოყრილი აქვს. იგივე ლაბარუმი მარჯვნივ მდგომ უწვერო მეფესაც უჭირავს მარჯვენა ხელში, ხოლო მარცხენა ხელი მასაც დოინჯშემოყრილი აქვს. მონეტის მარცხენა და მარჯვენა კიდეებზე ვერტიკალურად განლაგებულია ქართული მთავრული ასოებით შესრულებული ზედწერილი: ᲒᲨᲤ და ᲨᲨᲒ, რომელიც ასე იშიფრება: დავით მეფე, მეფეთა მეფე დავით.

ზურგი: ტახტზე მჯდომი ღვთისმშობლის გამოსახულება პირდაპირ, რომელსაც თავს წერტილოვანი შარავანდედი ადგას და ნაკეცებიანი სამოსი აცვია. ტახტის სახელურზე დაყრდნობილი მარჯვენა ხელი მკერდზე აქვს მიდებული, მარცხენა ხელით ასევე ტახტის სახელურს უნდა ეყრდნობოდეს. გამოსახულების მარცხნივ, ერთ სტრიქონად, ქარაგმით შესრულებული ასომთავრული ზედწერილია: Ꮾ¯Ꮾ – ე.ი. დედა(ი). მარჯვნივ, მთავრულივე ასოებით, აგრეთვე ქარაგმით, ორ სტრიქონად – Ⴈ¯Ⴜ ᲡᲒ ღუთისა(ი) (ტაბ. V №15).[16]

რაც შეეხება ტრაპიზონის ასპრების ქართულ მინაბაძებს, კირმანეულებს, ისინი ძირითადად ორი იმპერატორის მონეტების მიხედვით იჭრება: მანუილ I-ის (1238-1263 წწ.) და იოანე II-ის (1280-1297 წწ.). ქვემოთ ვიძლევით მათ აღწერილობას.

კირმანეული თეთრი, მანუილის სახელიანი ემისიები.

შუბლი: ფეხზე მდგომი წმ. ევგენიოსის გამოსახულება მთელი ტანით პირდაპირ, შარავანდედით და გრძელნაკეცებიანი წამოსასხამით. მარჯვენა ხელში მას გრძელბუნიანი ჯვარი უპყრია, მარცხენაში – სამოსის ნაკეცები. წმ. ევგენიოსის მარცხნივ და მარჯვნივ ვერტიკალურად განლაგებულია ბერძნული ზედწერილი: O-A-ΓΙ/ΕΥ-ΓΕ-ΝΙ-O, ე.ი. წმინდა ევგენიოსი.

ზურგი: ფეხზე მდგომი იმპერატორის გამოსახულება მთელი ტანით პირდაპირ, რომელსაც თავზე სტემა (საკიდრებიანი საიმპერატორო გვირგვინი) ახურავს და თვლებით მოოჭვილი საიმპერატორო სამოსელი აცვია. მარჯვენა ხელში მას გრძელბუნიანი ლაბარუმი უჭირავს, მარცხენაში – ანექსიკაკია. მარჯვნივ ზემოთ – ღვთაების მაკურთხებელი ხელი. გამოსახულების მარ-

[16] გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. II ნაწილი. თბ. 2011, გვ. 4-5, ტაბ. I №1; თ. დუნდუა, გ. დუნდუა და სხვ. ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. III ნაწილი, გვ. 123-124; თ. დუნდუა და სხვ. XIII-XV საუკუნეების დასავლურქართული ფული/მონეტები ორი დავითის გამოსახულებით/ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი http://gconumismatics.tsu.ge.

ცხნივ და მარჯვნივ ვერტიკალურად განლაგებულია ბერძნული ზედწერილი: M-N-Λ/O-K-MN – მანუილ კომნენოსი (ტაბ. VI №16).[17]

კირმანეული თეთრი, იოანეს სახელიანი ემისიები.

შუბლი: წმინდა ევგენიოსის გამოსახულება მთელი ტანით პირდაპირ, თავზე შარავანდედით და გულმკერდის არეში თვლებით შემკული წამოსასხამით. მარჯვენა ხელში მას გრძელბუნიანი ჯვარი უპყრია, მარცხენაში – წამოსასხამის ნაკეცები, რომლებიც წელის არეში აქვს მოკრეფილი. ბერძნული ზედწერილი ვერტიკალურად არის განლაგებული: Ⓐ-E-Y/ΓE-NI. გარშემო გაცვეთილი წერტილოვანი რკალის ფრაგმენტები.

ზურგი: ფეხზე მდგომი კეისრის გამოსახულება პირდაპირ, თვლებით მოოჭვილი საიმპერატორო სამოსით და სტემით. მარჯვენა ხელში მას მოკლებუნიანი ლაბარუმი უჭირავს. მარჯვენა ზედა კუთხეში – ღვთაების მაკურთხებელი ხელი, ქვემოთ – სოლომონის ბეჭედი, ბერძნული ზედწერილი ვერტიკალურად არის განლაგებული: Ω-O K/N-O. შემორჩენილია წერტილოვანი რკალის ფრაგმენტები (ტაბ. VI №17).[18]

კირმანეული თეთრი, ემისიები „კეისარი სამრკალიან სტემაში".

შუბლი: ფეხზე მდგომი წმინდა ევგენიოსის გამოსახულება პირდაპირ, მას თავზე შარავანდედი ადგას და წმინდანის სამოსი აცვია. მარჯვენა ხელში ჯვარი უპყრია, მარცხენა – დოინჯშემოყრილი აქვს. ბერძნული ზედწერილი: O-Y/Γ-E-N-O. შემორჩენილია წერტილოვანი რკალის ფრაგმენტი.

ზურგი: კეისრის გამოსახულება მთელი ტანით პირდაპირ, თავზე სამრკალიანი გვირგვინი ადგას, რომლის აქეთ და იქით საკიდრებია დაშვებული. კეისარი შემოსილია გრძელი და განიერი სამოსით. მარცხენა ხელი დოინჯშემოყრილი აქვს, ნახევარრკალისებურად მოხრილ მარჯვენა ხელში მოკლებუნიანი ლაბარუმი უპყრია. მარჯვენა ზედა კუთხეში ღვთაების მაკურთხებელი ხელია, ამაეე მხარეს ქვემოთ –

[17] გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. II ნაწილი, გვ. 17-18, ტაბ. I №2; თ. დუნდუა, გ. დუნდუა და სხვ. ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. III ნაწილი, გვ. 124-125; თ. დუნდუა და სხვ. XIII-XV საუკუნეების დასავლურქართული ფული/კირმანეული თეთრი, მანუილის სახელიანი ემისიები/ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი http://geonumismatics.tsu.ge.

[18] გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. II ნაწილი, გვ. 18, ტაბ. I №3; თ. დუნდუა, გ. დუნდუა და სხვ. ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. III ნაწილი, გვ. 126-128; თ. დუნდუა და სხვ. XIII-XV საუკუნეების დასავლურქართული ფული/კირმანეული თეთრი, იოანეს სახელიანი ემისიები/ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი http://geonumismatics.tsu.ge.

სოლომონის ბეჭედი. ბერძნული ზედწერილი: IѠ-O-KO/H-O (ტაბ. VI №18).[19]

კირმანეული თეთრი, ემისიები კეისრის წელზევითი გამოსახულებით.

შუბლი: წმინდა ევგენიოსის გამოსახულება წელზევით პირდაპირ. თავზე მას შარავანდედი ადგას და ნაკეცებიანი სამოსი აცვია. მარჯვენა ხელში ლაბარუმი უპყრია, მარცხენაში – ჯვარი, შეიმჩნევა ლეგენდების კვალი.

ზურგი: კეისრის წელზევითი გამოსახულება პირდაპირ სტემაში, შემოსილია სწორი და ირიბნაკეცებიანი კეისრის სამოსით. მარჯვენა ხელში მას უპყრია მოკლებუნიანი ლაბარუმი, მარცხენაში – გრძელბუნიანი ჯვარი. მარჯვენა იღლიის ქვეშ ორი წერტილია, ამავე მხარეს – ფარი, ლეგენდა გადასულია, თუ საერთოდ არ არის ამოკვეთილი?! შეიმჩნევა წერტილოვანი რკალი (ტაბ. VII №19).[20]

კირმანეული თეთრი, ემისია ასომთავრული ნიშნებით.

შუბლი: წმინდა ევგენიოსი ჩვეულებრივ პოზაში, შარავანდედით და გრძელნაკეცებიანი სამოსით. მარცხნივ გაურკვეველი ნიშნებია. მარჯვნივ – ზემოთ ორი ქართული მთავრული ასოა: ⵂⵂ, ხოლო ქვემოთ ორ სტრიქონად სამი ბერძნული ასოა: ΓE-O.

ზურგი: კეისრის (მეფის) გამოსახულება მთელი ტანით პირდაპირ, თავზე სამრკალიანი გვირგვინი ადგას, რომლის ორივე მხრიდან სამთვლიანი საკიდია დაშვებული (სტემა). კეისარი საიმპერატორო ტანსაცმლითაა შემოსილი. წინ თვლებით შემოსილი ლოროსი აქვს ჩამოშვებული. დოინჯშემოყრილ მარცხენა ხელში მოკლებუნიანი ლაბარუმი უჭირავს, მარჯვენა ხელი თავისუფალი აქვს. მარცხნივ ვერტიკალურად და ორ სტრიქონად ორი ქართული მთავრული ასოთი შესრულებული ზედწერილი: Ⴔ-Ⴘ (ტაბ. VII №20).[21]

---

[19] გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. II ნაწილი, გვ. 18-20, ტაბ. I №№4, 6; თ. დუნდუა, გ. დუნდუა და სხვ. ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. III ნაწილი, გვ. 128-130; თ. დუნდუა და სხვ. XIII-XV საუკუნეების დასავლურქართული ფული/ კირმანეული თეთრი, ემისიები „კეისარი სამრკალიან სტემაში"/ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი http://geonumismatics.tsu.ge.

[20] გ. დუნდუა. თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. II ნაწილი, გვ. 19, ტაბ. I №5; თ. დუნდუა. გ. დუნდუა და სხვ. ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. III ნაწილი, გვ. 130-131; თ. დუნდუა და სხვ. XIII-XV საუკუნეების დასავლურქართული ფული/კირმანეული თეთრი, ემისიები კეისრის წელზევითი გამოსახულებით/ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი http://geonumismatics.tsu.ge.

[21] გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. II ნაწილი, გვ. 20-22, ტაბ. I №7; თ. დუნდუა, გ. დუნდუა და სხვ. ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. III ნაწილი. გვ. 131-132; თ. დუნდუა და სხვ. XIII-XV საუკუნეების დასავლურქართული ფული/კირმანეული თეთრი, ემისია ასომთავრული ნიშნებით/ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი http://geonumismatics.tsu.ge.

კირმანეული თეთრი, ვამეყის I დადიანის (1384-1396 წწ.) ფული წმინდა ევგენიოსის გამოსახულებით.

შუბლი: ორნამენტულ ჩარჩოში შებრუნებით მოთავსებული მხედრული წარწერა – ვამეყ.

ზურგი: ადამიანის სქემატური გამოსახულება მთელი ტანით პირდაპირ, როგორც ჩანს, ტრაპიზონის მფარველი წმინდანის, ევგენიოსის, რადგან მის მარცხნივ და მარჯვნივ შემორჩენილია ბერძნული ზედწერილი: O-E/ΓE-IN. გამოსახულებას თაჯზე გვირგვინი უნდა ედგას, რომლის ორივე მხრიდან თითო თვლიანი თითო საკიდია დაშვებული. მარცხნივ გაწვდილ და რკალისებურად მოხრილ მარჯვენა ხელში ბუნი უჭირავს. ის, შესაძლოა, ლაბარუმი ან ჯვარი იყოს (ტაბ. VII №21).[22]

საიმპერიო სიმბოლიკა და აღმოსავლეთ ევროპის ჰეგემონობა შემდგომ რუსეთს ხვდა წილად. რუსეთის მოკავშირეობის მაძიებელი ერეკლე II (1745-1798 წწ.) თავის სპილენძის ფულებზე ორთავიანი არწივის გამოსახულებას ათავსებს.

შუბლი: ასომთავრული შრიფტით გადმოცემული ერეკლეს სახელი: ⵂⵑⵅⵆⵀⵇ. ქვემოთ სპარსულად: იჭედა თბილისს და სხვადასხვა თარიღი ჰიჯრით.

ზურგი: ორთავიანი არწივის გამოსახულება. მის ქვემოთ სხვადასხვა თარიღი, მაგ., 1781, 1787, 1789 და სხვ. (ტაბ. VIII №22).[23]

ირანულ-ქართული დაპირისპირებისას რუსეთის პასიურობით უკმაყოფილო ერეკლე 1796 წელს თბილისის ზარაფხანაში უკვე ერთთავიანი არწივის გამოსახულებიან სპილენძის მონეტებს ჭრის.

შუბლი: ასომთავრულით გადმოცემული ერეკლეს სახელი: ⵂⵑⵅⵆⵀⵇ. ქვემოთ სპარსულად: იჭედა თბილისს და თარიღი 1210 (წელი) (=1795/1796 წწ.). ხშირად 1210-ის ნაცვლად ამოკვეთილია 1201 წელი.

---

[22] გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. II ნაწილი, გვ. 24-25, ტაბ. I №8; თ. დუნდუა, გ. დუნდუა და სხვ. ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. III ნაწილი, გვ. 132-133; თ. დუნდუა და სხვ. XIII-XV საუკუნეების დასავლურქართული ფული/კირმანეული თეთრი, ვამეყის ფული წმინდა ევგენიოსის გამოსახულებით/ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი http://geonumismatics.tsu.ge.

[23] გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმისმატიკა. II ნაწილი, გვ. 131, ტაბ. IX №51; თ. დუნდუა, გ. დუნდუა და სხვ. ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. IV ნაწილი. თბ. 2015, გვ. 33-35; თ. დუნდუა და სხვ. ქართველ მეფეთა მონეტები XVIII საუკუნეში/ერეკლე II-ის სპილენძის მონეტები ორთავიანი არწივის გამოსახულებით/ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი http://geonumismatics.tsu.ge.

ზურგი: ერთთავიანი არწივის გამოსახულება. ქვემოთ თარიღი – 1796 წელი (ტაბ. VIII №23).[24]

ამრიგად, ყველგან, მათ შორის საქართველოშიც, მონეტა პროპაგანდის საშუალებაც იყო.

[24] გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. II ნაწილი, გვ. 132-133, ტაბ. IX №52; თ. დუნდუა, გ. დუნდუა და სხვ. ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი, გვ. 35-36; თ. დუნდუა და სხვ. ქართველ მეფეთა მონეტები XVIII საუკუნეში/ერეკლე II-ის სპილენძის მონეტები ერთთავიანი არწივის გამოსახულებით/ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი http://geonumismatics.tsu.ge.


ტაბ. I.



1.




2.



3.


ტაბ. II.



4.



5.



6.

ტაბ. III.



7.



8.



9.

ტაბ. IV



10.




11.



12.


ტაბ. V.



13.



14.



15.


ტაბ. VI.



16.



17.



18.

ტაბ. VII.



19.



20.



21.

ტაბ. VIII.



22.



23.

Tedo Dundua, Akaki Chikobava

COIN AS A MEANS OF PROPAGANDA
(According to the 12th-18th cc. Georgian Money)

Summary

10th volume of Proceedings. Institute of Georgian History, Faculty of Humanities, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, shows "Coin as a Means of Propaganda (According to Georgian Numismatics)" (in Georg. with Engl. Summary) by Tedo Dundua and Akaki Chikobava. Now the story is prolonged.

It might be a bit surprising that Demetre I (1125-1156) and Giorgi III (1156-1184), the mighty kings of the united Georgia, placed Arabic legends, the name of a sultan and Caliph on their coins. Some scholars think this should point to some sort of dependence on a part of the Georgian king towards the Muslim ruler. However, this argument is largely flawed. Such actions of Demetre I and Giorgi III were dictated mainly by economic factors, since the Georgian money had to reach the Middle Eastern markets, and Arabic legends and name of a sultan and Caliph on them would undoubtedly help in it. Simultaneously the contents of the legend conveyed to the Muslim world that both were the "King of the Kings" and the "sword of the Messiah", i.e. we deal with international propaganda of Georgia's might. Tamar (1184-1210) also figures as "champion of the Messiah" and "Queen of the Queens", "glory of the world and faith", in Arabic. Giorgi IV Lasha (1210-1222) is "King of the Kings" and the "sword of the Messiah". Queen Rusudan (1222-1245) is styled like her mother, Tamar.

Then we deal with international propaganda of Georgia's weakness.

David Narin's (1245-1293) copper coins show him as "slave of Qa'an", in Persian.

When in Western Georgia, David Narin acted differently. Coins with the effigy of two Davids (David Narin and David Ulugh (1247-1270)) are patterned on the issues of the Byzantine Emperors, John Comnenos (1118-1143) and Michael Palaeologus (1258-1282), showing Georgians' Occidental aspirations, like Kirmaneuli tetri, the Georgian imitations to the aspers of Trebizond, patterned

mostly on the coins of the two Emperors of Trebizond, Manuel I (1238-1263) and John II (1280-1297).

Gradually, Russia started to dominate Eastern Europe, and Georgian king Erekle II (1745-1798), searching for her support, placed double-headed eagle, already coat of arms of Russia, on his copper coins.

In 1795 Persians captured Tbilisi, the capital. Russians gave no help to Erekle II. Obviously irritated, he substituted double-headed eagle by single-headed eagle on his copper coins.

So, like everywhere, in Georgia coin served also as a means of propaganda.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XI
თბილისი. 2016

მარია შორიშაძე

ქართლის მთავარეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი XII-XIII საუკუნეებში

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის სრულყოფილად შესწავლა წარმოუდგენელია საეპისკოპოსოების შესწავლისა და მღვდელმთავართა ქრონოლოგიური რიგის დადგენის გარეშე. ბოლო დროს ამ მხრივ განსაკუთრებული დაინტერესება შეინიშნება და აღნიშნულ საკითხებს არაერთი ნაშრომი ეძღვნება. როგორც ცნობილია, თავის დროზე ამ მიმართულებით კვლევაში გამორჩეული წვლილი შეიტანა წმ. მღ. პ. კარბელაშვილმა და მისი ქრონოლოგიური რიგები, მართალია, საჭიროებს მეტ დაზუსტებას და გამართვას, მაგრამ ეს ნაშრომები თავისი დანიშნულებით აქამდე რჩება ერთ-ერთ გამოკვეთილ და გასათვალისწინებელ სახელმძღვანელოდ.

რაც შეეხება ქართლის მთავარეპისკოპოსთა ქრონოლოგიურ რიგს XII-XIII საუკუნეებში, საბედნიეროდ, დღემდე შემორჩენილია ამ საუკუნეების საისტორიო დოკუმენტები, სადაც მოხსენიებული არიან ქართლის მთავარეპისკოპოსები და მათი ვინაობის გაგება საქართველოს „ოქროს ხანად“ აღიარებულ პერიოდში კიდევ უფრო მეტ ინტერესსა და მნიშვნელობას იძენს. აღსანიშნავია ისიც, რომ სიგელებს კათალიკოსის შემდეგ ამტკიცებს და ხელს აწერს სწორედ ქართლის მთავარეპისკოპოსი, ხოლო შემდეგ – სხვა ეპისკოპოსები, ვინაიდან ის მღვდელმთავართა შორის უპირატესია.

დაახლოებით 1189/1200 წლებითაა დათარიღებული[1] „დაწერილი შიომღვიმის კრებულისა ტოხაძეებისადმი,“ რომელსაც ამტკიცებს ქართლის კათალიკოსი თეოდორე II (1188-1204/1205 წწ.) და ქართლის მთავარეპისკოპოსი გიორგი:

[1] ი. დოლიძესთან 1190-1204 წწ. იხ. ქართული სამართლის ძეგლები. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტ. III. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1970, გვ. 130.

„ქ. ესე დაწერილი ჩუენ, ქ(რის)ტეს მიერ ქ(ართლი)სა მ(თავარეპისკო-პო)სსა გ(იორგ)ის ჩუენითა ჴელითა დაგუიმტკიცებია და, ვინცა ჴელყოს შლად და ქცევად, და მცა იქცევის დათანეთ-თანა, ყოვლითურთ ტომით მისი-თურთ და კრულია ღ(მრ)თისა პირითა, აქა ამა სა[უ]კუნესა, ცათა /შინა/ და ქუეყანასა ზ(ედ)ა... და დამამტკიცებელნი ღ(მერთმა)ნ აკურთხნეს!“.[2]

1195/1196 წლების „სიგელი თამარ მეფისა მღვიმისადმი“, დამამტკიცებლებში კვლავ მოიხსენიებს ქართლის მთავარეპისკოპოსს. მართალია, დოკუმენტში მისი სახელი არ მოჩანს, მაგრამ, სავარაუდოდ, იგი გიორგი ქართლის მთავარეპისკოპოსს უნდა გულისხმობდეს. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მეფე თამართან ერთად ანტონ ჭყონდიდელიც მოიხსენიება. იგი იწოდება, როგორც ჭყონდიდელ-მთავარეპისკოპოსი, მწიგნობართუხუცესი და პროტო ოპერტიმოსი.

„ქ. ამ(ა)ს ბ(რძანე)ბასა და სიგ(ე)ლსა ღ(მრთი)სა სწორისა მეფეთ-მეფ(ი)სა თამარისასა და ანტონი ჭ(ყონ)დ(ი)დ(ე)ლ(ი)ს და წმიდათა მამათა მღ{უი}მელთა, რ(ომე)ლ წყაროსათ(ჳ)ს გაჩ(ენ)ით გლ(ე)ხნი გაუჩ(ე)ნ(ი)ან და მეწყაროეთათ(ჳ)ს ვენაჴი და ეკლოგ(ი)აი მიუც{ე}მიან, მეცა, ქ(რისტე)ს მ(ი)ერ ქ(ართლი)სა მ(თავარებისკოპო)სი, მოწ(ა)მე და დამამტკიც(ე)ბ(ე)ლი ვარ ბ(რძანე)ბისა მათისაი...“ (Ad-81).[3]

დაახლოებით 1200 წლის ახლოსაა შედგენილი სიგელი „დაწერილი მღვიმის კრებულისა ზოსიმესადმი“, სადაც კიდევ ერთხელ მოჩანს, რომ ქართლის კათალიკოსის შემდეგ დოკუმენტებს ყოველთჳის ქართლის მთავარეპისკოპოსი აწერს ხელს და ამ დროისათვის იგი ეპისკოპოსთა შორის პირველი მღვდელმთავარია. „...და აწ ვინცა-ვინ ესე დაწერილი და გაგებული ჩ(უენ)ი შეცვალოს და აქციოს, რაჲსაცა მიზეზითა: ...კრ(უ)ლმცა არს პ(ირვე)ლ ღ(მრ)თისა დაუს(ა)ბ(ა)მ(ო)ჲსა პირითა (12 მოციქულის, 6 კრების და 5 პატრიარქის ჯუარით – მ. შ.), ქართლისა კათალიკოზთა ჯ(უა)რითა, და ქართლისა მთ(ა)ვ(ა)რებისკოპოსთა ჯუარითა და ყ(ოველ)თა მღდ(ე)ლთმ(ო)ძღ(უა)რთა ჯ(უარ)ითა აქა და ს(აუ)კ(უ)ნესა, ა(მე)ნ!“.[4]

შემდეგი ქართლის მთავარეპისკოპოსი, რომელიც დოკუმენტებში მოჩანს, არის იოანე. სიგელში „ბრძანება გიორგი მეფისა მღვიმისადმი“ (Ad-477), რომელსაც ზოგი მკვლევარი 1211/1212 წლებით ათარიღებს, ზოგიერთი – 1222 წლით,[5]

[2] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I. (IX-XIII სს.). შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს ს. ენუქიძემ, ე. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. თბ. 1984, გვ. 85. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 131.

[3] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 103-104.

[4] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 91.

[5] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II. საერო-საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.) ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1965.

იოანე ქართლის მთავარეპისკოპოსი მეფეს სთხოვს, რომ შიომღვიმის კუთვნილი სოფლის — აგარის — მიწაზე „ზროხისა შებმაი“ აკრძალოს. მეფე ლაშა-გიორგის (1213-1223 წწ.) დაუკმაყოფილებია მთავარეპისკოპოსის თხოვნა და „ზროხისა შებმაი გაუშვია“ აგარას.[6]

„...[მო]გუაჴსენა ქ(რისტე)ს გამორჩეულმან სასომან და მეფემან ჩ(უე)ნმან, წ(მიდამა)ნ მამამთავარმან ი(ოვა)ნე, ქ(ართლისა) მ(თავარ)ე(ბისკო-პო)სმან, უდაბნოისა მღუიმისა სოფლისა აგარისა საქმე და გუეჰაჴა, რ(ომე)ლ ჩუენისა ზროხისა შებმაი ზედ ედვა ფუძესა ზ(ედ)ა, რა(ითა)მცა იგი გაუშუით, სალოცველად მეფობისა ჩუენისად.

ჩ(უე)ნ ვისმინეთ მოჴსენებაი და ჰაჯაი მისი ი(ოვა)ნე ქ(ართლისა) მ(თავარ)ე(ბისკოპო)სისაი და გაგუიშუია ზროხისა შებმაი, რ(ომე)ლი ზედა ედვა უდაბნოისა მღუიმისა სოფელსა აგარასა, რაიცა მღუიმისაი არს საკუირაოისა გლეხითურთ“ (ხაზგასმა ჩვენია).[7]

დაახლოებით 1230-იანი წლების I ნახევრითაა დათარიღებული „დაწერილი დემეტრე წილკნელისა საბასადმი,“ რომლის მიხედვითაც, დემეტრე წილკნელმა, მამამისმა ნიკოლოზმა და ძმებმა — იოვანემ და გიორგიმ — სიგელი მისცეს საბას და მღვიმის მონასტერში მწირველად დააყენეს. დემეტრე წილკნელმა მას თავისი გამზრდელის, იოვანე მთავარეპისკოპოსისა, და თავისი მოგებული მამულები უწყალობა, რომელთა შორის იყო იოვანეს მიერ აშენებული ნათლისმცემლის ეკლესია და უშენი, რომელიც ხუარაზმელთა შემოსევის დროს მოიშალა. „...ჩ(უე)ნისა გამზრდელისა ი(ოვა)ნე მთავარებისკოპოზისა სამწირველო პ[ური]თა ჰქონებოდა დაწერით და მათი აღარ-ვინ იყო უკაცურობ[ითა] და ჟამთა შეშლითა სახლი და საქონებელი ყუელაი დაშავებულ იყო.“ სამუდამო მოსახმარებლად სწირავენ ისინი მკვიდრ მამულს და პურს, აგარაში ორ ვენახს მიწით, სხალტბაში ვენახს და წყლისპირში ვაზს მღვიმის კრებულის ნებართვით. საბას ევალებოდა წირვის გადახდა შაბათ-კვირას და დღესასწაულებზე თავისთვის და იოვანე მთავარეპისკოპოსისათვის: „ესე ყუელა [გამზრდე]ლისა ჩ[უე]ნისა მისგან აშენებულისა ნათლისმცემლისა ეკლესია და უშენი <და> ხუარაზმელთა მორბევასა შიგა ყუელაი მოიშალა და მას ჟამსა ესე გამოვარჩიეთ, რომელ მღუიმეს გჭონდეს ჩ(უე)ნსა [სამწი]რველოსა [სახლსა]. და [შაბათ]-კუირეთა და დღესასწაულთა ჩუენსა ეკლესიასა შიგან წირ[ვაი გარდაიჴდებოდეს], იოვანე მთავარებისკოპოსისა და ჩუენთჳს.“

[6] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 35-36.
[7] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 109-110.

შემდეგ სწირავენ სხვა მამულებსაც. სიგელში ნათქვამია, რომ ვინც რაიმე მიზეზით ამას შეცვლიდა: „[კრულმცა არს პირითა ღმრთისაითა]... და მის მთავარ [ეპისკოპოზის] იოვანეს ჯუარითა და მადლითა. და ვინ დაამტკიცოს, ღ(მერთმა)ნ აკ(უ)რთხენ და ყ(ოველ)თა წ(მი)დათა მისთა!“ (ხელრთვები არ იკითხება).[8]

როგორც ჩანს, დოკუმენტი შედგენილია ჯალალ ედ-დინის 1225 წლის შემოსევის შემდეგ და ხვარაზმელების რბევის შედეგად ქართლის მთავარეპისკოპოსის სამწყსოს განსაკუთრებულად დაზარალების შესახებ ამბავს გვატყობინებს. იოანე ქართლის მთავარეპისკოპოსი სწორედ ხვარაზმელებისა და მონღოლების შემოსევების მომსწრე მთავარეპისკოპოსია და ზემოთ აღნიშნული სიგელის „ბრძანება გიორგი მეფისა მღვიმისადმი“, (Ad-477) დასათარიღებლად, რომელსაც ზოგი მკვლევარი 1211/1212 წლებით განსაზღვრავს, შესაძლოა, უფრო მართებულად 1222 წელი მიეიჩნიოთ.

ცნობილი სიგელით – „შეუვალობის განახლების დაწერილი ქართლის ერისთავ გრიგოლ სურამელისა შიომღვიმისადმი“ (1245-1250 წწ.) [ზოგან 1247/1250 წწ.][9] – შემდეგ ამბავს ვგებულობთ: როგორც სულკურთხეულ ქართლის ერისთავ გრიგოლს დაუწერია და მღვიმისთვის მისი ნასყიდი სოფელი გავაზელნი, კოტმანთან ერთად, უსამართლოდ დადებული ბეგარისაგან გაუთავისუფლებია და როგორც ეს ქართლის კათოლიკოსს არსენს დაუმტკიცებია, ასევე, ამტკიცებს ამ სიგელს ქართლის მთავარეპისკოპოსი გიორგი.[10]

„ქ. ესე ვითა სულკურთხეულსა გ(რი)გ(ო)ლს ქ(ართლისა) ე(რისთა)ვსა დაუწერია და მღ{უ}იმისთ{უი}ს მათი ნასყიდი სოფელი გავაზელნი უსამართლოისა ზედა დადებულისა ბეგრისაგან გაუთავისუფლებიან, კოტმნისა თანა, და წმიდასა მეუფესა და მოძღუ{ა}რსა ჩ{უ}ენსა არსენი ქ(ართლი)სა კ(ათალიკო)ზსა კანონითა მათითა დაუმტკიცებია, მეცა ქ(რისტ)ეს მიერ ქ(ართლი)სა მ(თავარ)ებისკ(ოპო)სი გ(იორ)გი დავამტკიცებ კანონითა წ(მიდი)სა ეკლესიისაითა.“

ვინც ეს მოშალოს: „...პ(ეტრ)ე მოციქულთა თავისა ჯუარითა და ჰრისხავ{ს} მცა ხატი ქ(რისტ)ესა ღ(მრთ)ისა, რ(ომე)ლი მდგომარე არს ტაძარსა შინა დიდებისა თუისისასა სამთაეროს. და ჩუენ, გლახაკისამცა ჯუარითა კრულია ცოცხალი და მკუდარი გაუჴსნელად. დამამტკიცებელნი ღ(მერთმა)ნ აკურთხნეს!“.[11]

სიგელს, ასევე, ამტკიცებს იოანე ალავერდელი, შემდეგ კი – არსენ მანგლელი: „ესე, ვითა... წ(მი)დათა მეუფეთა ქრისტეს მიერ ქ(ართლისა) კ(ათა-

[8] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 112-113.
[9] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 126.
[10] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 41.
[11] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ, გვ. 125-126.

ლიკო)ზს არსენის და ქ(ართლი)სა მ(თავარების)სკ<კ>(ოპო)ზსა გ(იორგ)ის უჯუარობითა და კანონითა დაუმტკიცებია, მეცა, უნდოი არსენი მანგლელი ჩემითა ჴელითა ვამტკიცებ."

„ნასყიდობის დაწერილს შიომღვიმის კრებულისა მსახურთუხუცეს გრიგოლ სურამელისადმი" (1247-1250 წწ.) [ზოგან 1249/1260 წწ.][12] ამტკიცებს, აგრეთვე, ქართლისა მთავარეპისკოპოსი გიორგი: „ქ. ესე, ვითა სურამელსა გრიგოლს მსახურთ-უხუცესსა მათისა სულისათუის მღუიმელთა წისქუილნი აუშენნა და მღუიმელთაგანვე გლეხი იყიდა მეწისქუილედ და მათვე მღუიმელთა შესწირა საბელდებით ქავთარელი, მე ქრისტეს მიერ ქართლისა მთავარეპისკოპოსი გიორგი მოწამე და დამამტკიცებელი ვარ."[13]

ძალზედ საინტერესო ცნობებს შეიცავს „შეწირულების დაწერილი ძაგან აბულეთის ძისა შიომღვიმისათვის" (1260 წ) [ზოგან 1259 წ.].[14]

კერძოდ, ძაგან აბულეთის ძე, ერისთავთ-ერისთავ ივანეს ძე, მისი მოძღვრისა და სულიერი მამის — ქართლის მთავარეპისკოპოსის, გიორგის, ბრძანებითა და „გამოზრახვითა" შიომღვიმის მონასტერს სწირავს სოფელ ანგროინს. ძაგან აბულეთის ძე აღნიშნავს, რომ სოფელი ბაღდადში ნაშოვნი ოქროთი შეუძენია.

„...ბრძანებითა სულიერისა მამისა და მოძღურისა ჩემისა გ(იორგ)ი ქ(ართლი)ს მ(თავარების)კ(ოპო)ზისაითა, მოვაჴსენე და შევსწირე წ(მი)დასა მამასა შიოს და მუნ შინა დამკუიდრებულთა ძმათა და მამათა სოფელი ანგროინი, ჩემგან ნასყიდი, რომელი ჩემსა ბიძაის ძესა გ(იორგ)ის შვილსა ივანეს გაეყიდა და მე ზევე უკმოვიყიდე ბაღდადს ნაშოებითა ოქროითა. იცოდეს ღ(მერთ)მან: მუნ ჩემითა ჴრმლითა ნაშოებისგან კიდე არაი ვისი ყოფილა ამის ადგილისა სყიდასა შიგა, არ მამულისაი და არ სოფელთაგან ანაღები."[15]

კიდევ უფრო მნიშვნელოვან ცნობებს გვაძლევს „შეწირულების დაწერილი მეჭურჭლეთუხუცეს კახა თორელისა რკონის მონასტრისადმი" (1259-1260 წწ.) [ზოგან 1260 წ.].[16]

ამ ცნობილი სიგელიდან ვგებულობთ, რომ კახა თორელმა და მისმა მეულლემ, ხათუთამ, სოფელი ხოვლე რკონის მონასტერს შესწირეს. კახამ ეს მამული აღბულასაგან იყიდა, რომელსაც თავის დროზე ეს სოფელი ორტაღებისაგან (ანუ ვაჭრებისაგან) შეუსყიდია, რადგან მაშინ ოქრო ძვირი იყო და სოფელი იაფი.

[12] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 132.
[13] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 46.
[14] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 140.
[15] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 140.
[16] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 157-158.

კახა თორელი მეფე დავით ულუს ბაღდადში გაუგზავნია, რომელიც მაშინ თათრებს აულიათ. ბაღდადური ალაფი ამის გამო იაფი იყო. ხოვლეს ფასიც კახა მეჭურჭლეთუხუცესმა აქედან მოიგო. თავის დროზე 65 ათას თეთრად აღბულასაგან ნაყიდი სოფელი ხოვლე ახლა მან გამოისყიდა და სრული ფასი გადაიხადა, შემდეგ კი იგი რკონის მონასტერს შესწირა. საბუთს მეფის, კათალიკოს ნიკოლოზის, კახა თორელისა და მრავალი პირის ხელრთვა ახლავს, მათ შორისაა ქართლის მთავარეპისკოპოსი გიორგიც.

ხელრთვები: [15]. „ქ. ესე, ვითა ერისთავთ-ერისთავს კახოს მათის სამკუიდრებელისათჳს რკონისა ხოვლე შეუწირავს, მათგან ნასყიდი, მათდა სამლოცველოდ, მე, უფლისა მიერ ქართლისა მთავარეპისკოპოსი გიორგი დავამტკიცებ. შემცვალებელნი ამისნი შესცვალენ ღ(მერთ)ო სჯულისაგან შენისა და დამამტკიცებელნი ღმერთმან აკურთხნეს მადლითა მისითა!“.[17]

გვიანდელი მინაწერები: [1]. მეფე ალექსანდრე, მისი ძენი და ძმანი წერენ, რომ „...ჩუენგან და ჩუენისა სიტყჳისა მომსმინოთა კაცთაგან არა ეთხოვებოდეს და არა ეწერებოდეს არასთანა სათხოვარი და გამოსაღები, დიდის სათათროს ულუფისაგან მეტი, არა დიდი და არა ცოტა, არა გორიდაღმან და არა ატენით, არაოდეს და არას ჟამსა შიგან არა. ესე ესრე სამე შემოგვიწირავს, რომე ყოველთა წელიწადთა ღ(მრთ)ისმშობლობას დღესა კარგაღებული აღაპი ჩემთუის გარდაიქცებოდეს ყოველითურთ უნაკლულოდ...“.[18]

შემდეგი დროის ქართლის მთავარეპისკოპოსი, რომელიც XIII ს. 40-იანი წლების სიგელში ჩანს, არის საბა. „განჩინება საეკლესიო კრებისა შიომღვიმის შეუვალობის შესახებ“ მიღებულია არსენ ქართლის კათალიკოსის დროს (არსენ IV ბულმაისიმისძე – 1241/42-1249/50 წწ.). კრება ადგენს და ამტკიცებს მეფე დავითის ძველ შეწირულობებს მღვიმისადმი. ასევე, ჩამოთვლილია ქართლის კათალიკოსები: იოვანე, ოქროპირი, გაბრიელ, მელქისედეკ, რომელთა შეწირულობები შიომღვიმისადმი არავისგან არ უნდა შეცვლილიყო.

არსენ ქართლის კათოლიკოსის დაწერილს სხვა ხელით ამტკიცებს ქართლის მთავარეპისკოპოსი საბა: „[ესე], ვითა წმიდასა კრებასა და წმიდასა მამათმთავარსა ჩუენსა არსენის ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზსა განუჩენია ბჭობითა და დიდთა მამათმთავართა და მოძღუართა ჩუენთა ჴელით-წერილნი... დაუმტკიცებიან, მეცა გლახაკი: ქართლის მთავარეპისკოპოზი საბა ჴელის-წერით დავამტკიცებ“...[19]

---

17 ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 66-67; ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 156.

18 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 157-158.

19 ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 160-161.

ამ სიგელს („ნაწყვეტი არსენი კათალიკოზის სიგელისა“) თ. ჟორდანია ათარიღებს 1218-1227 წლებით და, როგორც ჩანს, არსენ კათალიკოსს არსენ III-ედ (XIII ს-ის 20-30-იანი წწ.) მიიჩნევს. როგორც ცნობილია, არსენმა, რომელსაც ამავე დროს მწიგნობართუხუცესის თანამდებობაც ეჭირა, დატოვა კათალიკოსობა და სიცოცხლის ბოლო წლები შიომღვიმის მონასტერში უბრალო ბერის ცხოვრებით გაატარა. იგი მოიხსენიება გრიგოლ სურამელის 1247/49 წლების შიომღვიმისადმი დაწერილში. მოხსენიებულია 1270 წლის შიომღვიმის ხელნაწერის კათალიკოს-პატრიარქთა სიაშიც.

თ. ჟორდანიას მიხედვით, ეტრატზე ნაწერი ეს სიგელი დაკარგულა და ხუცური ტექსტისაგან დარჩენილა მხოლოდ ერთი ნაწილი წყევა-კრულვისა, რომელიც მეტად დაზიანებული ყოფილა.

სიგელს ახლავს არსენ კათალიკოსის ხელროვა, რომელიც 1227 წლის ცოტა ადრე გადამდგარა კათალიკოსობიდან და შიო-მღვიმეში შემდგარა უბრალო ბერად. მის ნაცვლად კათალიკოსად დაუყენებიათ გიორგი. რადგან თეოდორე კათალიკოსის შემდეგ, რომელიც იყო თანამედროვე თამარ მეფისა, 1190-1200 წლებში არსენამდე, კათალიკოსად მჯდარან: ბასილი, იოანე და ეპიფანე, ამის გამო, თ. ჟორდანიას აზრით, არსენის კათალიკოსობას ერგება დაახლოებით 1218-1227 წლები და ამ დროებშია დაწერილი ეს სიგელიც.

ამასთანავე მკვლევარი მიიჩნევს, რომ სიგელს ახლავს მეფე ლაშა-გიორგის ან რუსუდანის მტკიცებითი ნაწილი.[20] საბუთი შეიცავს არსენ კათალიკოსის თხრობით ნაწილს შიო-მღვიმესთან დაკავშირებით. ასევე, საუბარია სამღვდელო კრების დადგენილებაზე, სადაც განსაზღვრული ყოფილა შიომღვიმის მონასტრის უფლებები. ამ კონტექსტში მოიხსენიება კათალიკოსების: ოქროპირის, მელქისედეკის, იოანესა და გაბრიელის განჩინებანი.

რაც შეეხება საბა ქართლის მთავარეპისკოპოსს, თ. ჟორდანიას აზრით, ეს მთავარეპისკოპოსი საბა უცნობია ისტორიაში. იგი თანამედროვეა არსენისა. „საბა კარის ეპისკოპოსი და სუნგელოსი, მწერალი, თანამედროვე არსენ კათალიკოსისა“, – წერს იგი.“[21]

ჩვენი აზრით, ზემოთ მოხმობილი სიგელი XIII საუკუნის 40-იან წლებს უნდა ეკუთვნოდეს და კათალიკოს არსენ IV-ის დროინდელად უნდა მივიჩნიოთ, რადგან XIII საუკუნის 30-იან წლებში, დოკუმენტების მიხედვით, ქართლის

[20] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. (1213 წ-დან 1700 წ-მდე). შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თედო ჟორდანიას მიერ. ტ. II. ტფ. 1897, გვ. 94.
[21] ქრონიკები. ტ. II, გვ. 96.

მთავარეპისკოპოსი არის იოანე, ხოლო აღნიშნულ სიგელში ქართლის მთავარეპისკოპოსის კათედრა უჭირავს საბას. რაც შეეხება 1245-50 წლების გრიგოლ სურამელის დაწერილს მღვიმისადმი, ამ სიგელს არსენ III კათალიკოსის დამტკიცების საფუძველზე ახლავს გვიანდელი დამტკიცება გიორგი ქართლის მთავარეპისკოპოსისა. ეს საკმარისი არგუმენტი უნდა იყოს იმის გასაანალიზებლად, თუ რომელი არსენის კათალიკოსობის დროს მოღვაწეობდა იოანე, რომლის დროს – საბა და გიორგი ქართლის მთავარეპისკოპოსები. რაც შეეხება არსენ კათალიკოსის მოღვაწეობის ქრონოლოგიასეულ დათარიღებას, 1218-1227 წლებს, ამ პერიოდში ქართლის კათალიკოსი არის ეპიფანე (ეტიფანე) (1210-1220 წლები), თამარისა და ლაშა-გიორგის თანამედროვე. ხოლო შემდეგ, დაახლოებით 1220-1222 წლებში, ექვთიმე, შემდეგ კი – არსენ III (XIII ს-ის 20-30-იანი წწ.), რომლის საკათალიკოსოდან წასვლის შემდეგ კათალიკოსად, როგორც ჩანს, აკურთხეს ქართლის მთავარეპისკოპოსი გიორგი. ხოლო მისი ადგილი დაიკავა საბამ, რომელიც XIII საუკუნის 40-იანი წლების სიგელში მოიხსენიება. კათალიკოს გიორგი IV-ის (XIII ს. 30-იანი წლები) დამტკიცებულია „ვაჰანის ქვაბთა განგება."

პირთა ანოტირებული ლექსიკონის I წიგნში „ვაჰანის ქვაბთა განგების" დამამტკიცებლად დასახელებულია ქართლის კათალიკოსი გიორგი V (1393-1398 წწ.). მის დროს მეფე გიორგიმ შესწირა [სვეტიცხოველს] ქვეყანა მეტეხნი და გაიჩინა აღაპი (1393 წ. VII. 6. ქრ. II. 200-201). მასვე ლომი სუნღულისძემ შესწირა აყუშაური ვენახი (1398 წ. VII. 6. 1449-1652).[22] ეს ფაქტი სიმართლეს არ შეეფერება და პირთა ანოტირებულ ლექსიკონში, როგორც ჩანს, შეცდომაა გაპარული.

გარეჯის ეპიგრაფიკულ ძეგლებში (წმ. დავითის ლავრა, უდაბნოს მონასტერი – XI-XVIII სს.), რომელიც გამოსცეს დ. კლდიაშვილმა და ზ. სხირტლაძემ, მოცემულია მეფე დემეტრე II-ის (1271-1289 წწ.) ფრესკული გამოსახულების გვერდით მდებარე იოანე მთავარეპისკოპოსის გამოსახულების განმარტებითი წარწერის ფრაგმენტი: „[...][მთ(ა)ვ(ა)რ]ებისკ(ო)პ(ო)სი ი(ოა)ნე."[23] გამომცემლები მიიჩნევენ, რომ ეს გამოსახულებები შესრულებულია სხვადასხვა პირის მიერ და იოანეს პორტრეტი XIV საუკუნის დასაწყისში უნდა იყ-

[22] პირთა ანოტირებული ლექსიკონი. XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით. ტ. I. გამოსაცემად მოამზადა დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა. თბ. 1991, გვ. 646.

[23] გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლები. ტ. I. ნაკე. I. წმ. დავითის ლავრა, უდაბნოს მონასტერი (XI-XVIII სს.). გამოსაცემად მოამზადეს დ. კლდიაშვილმა და ზ. სხირტლაძემ. თბ. 1999, გვ. 260.

ოს შესრულებული. მათი ფიქრით, ამ მოსაზრებას იოანეს მოღვაწეობის ქრონოლოგიური ფარგლებიც უწყობს ხელს.

საქმე ის გახლავთ, რომ ამ წარწერაში გ. ჩუბინაშვილი და თ. ბარნაველი „ეპისკოპოსს" კითხულობენ და ჩვენ ვერც იმას ვივარაუდებთ, რომ იოანე მთავარეპისკოპოსსა თუ ეპისკოპოსში მაინც და მაინც ქართლის მთავარეპისკოპოსი იგულისხმება და ვერც იმას, რომ აქ სხვა ეპარქიის ეპისკოპოსზეა საუბარი. ამიტომ ამ იოანეს ჩვენ ვერც XIII და ვერც XIV საუკუნის დასაწყისის ქართლის მთავარეპისკოპოსთა ქრონოლოგიურ რიგში ვერ შევიყვანთ.

ამრიგად, ქართლის მთავარეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი XII-XIII საუკუნეებში დაახლოებით ასე გამოიყურება:

გიორგი – 1189-1204 წწ. (XII ს. ბოლო - XIII ს. დასაწყისი).
იოანე – 1212/1222 წ. 1230-იანი წლების I ნახ.
გიორგი – XIII ს. 30-იანი წლების II ნახ. (შემდეგ, მცირე დროით, კათალიკოსი გიორგი IV, XIII ს. 30-იანი წწ. ბოლო).
საბა – XIII ს. 40-იანი წწ.
გიორგი – 1245/47-1260 წწ. (XIII ს. 40-50-იანი წწ.).

მართალია, ეს ნუსხა სრული არ არის და ქრონოლოგიაში წყვეტა არსებობს, მაგრამ რა საისტორიო წყაროებიც დღემდე შემოგვრჩა, ისიც უდავოდ განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია. სიგელებიდან კარგად ჩანს ისიც, რომ ქართლის მთავარეპისკოპოსის ერთ-ერთი კათედრა სამთავროში მდებარეობს. ჩვენი აზრით, ამ დროს ქ. გორს და მის მიმდებარე ტერიტორიასაც ქართლის მთავარეპისკოპოსი უნდა განაგებდეს. ეს რომ ასეა, ჩანს მოგვიანებით, XVIII საუკუნიდან, როცა ქართლის მთავარეპისკოპოსს ტიტულატურაში უკვე ემატება „სამთავროსა და გორის მიტროპოლიტის" წოდება. რაც შეეხება სამთავისს, მას ცალკე ეპისკოპოსი განაგებს. შესაძლოა, ეს დღევანდელი გზებისა და გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით ცოტა უცნაურად მოჩანდეს, მაგრამ იმდროინდელი შიდა ქართლის ქალაქებისა და სოფლების განლაგება და გზები, როგორც ჩანს, ისე უნდა ყოფილიყო მოწყობილი, რომ სამთავრო და გორი ერთ სამწყსოს წარმოადგენდნენ, ხოლო გეოგრაფიული თვალსაზრისით, კასპი და სამთავისი ცალკე საეპისკოპოსოს ქმნიდნენ. ეს ვარაუდი კიდევ უფრო მეტ დაზუსტებასა და კვლევას მოითხოვს მომავალში.

Maia Shaorshadze

CHRONOLOGICAL SEQUENCE OF KARTLI ARCHBISHOPS IN THE 12TH-13TH CENTURIES

Summary

The fact that the historical documents of 12th-13th centuries containing data about Archbishops of Kartli are maintained up to present is of great significance. It should be noted that after Catholicos, the documents are signed by Archbishop of Kartli and further – by the other bishops. So, he dominates among the other priests.

In the author's opinion. as a result of performed researches, the chronological sequence of Archbishops of Kartli in the 12th-13th centuries was as follows:

Giorgi – 1189-1204

Ioane – from 1222 to the first half of 1230s

Giorgi – 13th century, second half of thirties (later, for a short period, Catholicos Giorgi IV – 13th century, late thirties).

Saba – forties of 13th century

Giorgi – 1245/47-1260.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XI
თბილისი. 2016

Михаил Чореф

К истории Шадибека: по данным нумизматики

К сожалению, позднейшая история Золотой Орды изучена крайне фрагментарно. Дело в том, что в этом государстве, ослабленном в результате Великой Замятни, ряда поражений от литовцев, русских, а также сокрушительных набегов Тимура, в последний век его существования так и не утвердилась сильная власть, способная восстановить и поддерживать «Монгольский порядок». Кроме того, за власть в Орде боролись многочисленные ханы. Их междоусобные войны привели не только к раздроблению Улуса Джучи на ряд независимых уделов, но и к гибели его основных экономических и культурных центров – городов Верхнего и Среднего Поволжья. В результате исчезли условия для сохранения и развития традиции фиксирования событий и ситуации в обществе, характерной для XIII – первой половины XIV вв., а сами ордынские земли перестали быть привлекательными и доступными для путешественников, мемуары которых позволили осветить историю этого монгольского государства предшествующих периодов.

Правда, археологические памятники XV в. достаточно информативны. Они позволяют проследить состояние ордынского общества. Но и тут есть определенные трудности. Дело в том, что археологам приходится изучать артефакты, обнаруженные в культурных слоях древних поселений. В том числе и монеты, которые, в данном случае, являются важным датировочным материалом. Однако дискуссии по поводу их атрибуции все еще продолжаются. Так что, не стоит удивляться тому, что современные историки, оперируя нумизматическими данными, спорят о том, сколько было Сараев и не могут прийти к единым мнениям о периодах правлений и даже об именах ряда ханов XV в.

Сразу же заметим, что мы не ставим перед собой цели дать ответ на все эти вопросы. Полагаем, что на данном этапе исследования вполне достаточно вынести на научное обсуждение трактовки новых, пока еще не исследованных фактов из истории царствований тех ханов, периоды правлений которых достаточно хорошо изучены. К примеру, Шадибека (1399-1407).

Напомним, что этот чингизид происходил из восточной части Улуса Джучи – Кок-Орды, включавшей в свой состав современные Западную Сибирь и Казахстан. Он был племянником тукатимурида Урус-хана (? - 1377), дважды: в 1372-1374 и в 1375 гг. овладевавшего престолом Золотой Орды. Шадибек стал верховным правителем по воле временщика Едигея, управлявшего государством Джучидов в 1400-1410 гг. Как обстоятельства прихода и нахождения у власти, так и собственно природные наклонности не позволили Шадибеку стать влиятельным политиком. Все свое недолгое царствование он предавался развлечениям. Единственным ярким моментом его биографии можно считать неудачное выступление против Едигея, занятого покорением Западной Сибири, приведшее к бегству Шадибека в Дербент, в один из центров вассального от Орды государство Ширваншахов, управляемого тогда Шейх-Ибрахимом I (1382-1417). Примечательно, что этот кавказский государь не только принял низложенного хана, но и, признавая его своим сюзереном, продолжил чеканить монету от его имени, что, безусловно, являлось вызовом Едигею и его ставленнику Пуладу (1407-1410), кстати, сыну все того же Шадибека. Так, нам известны такие выпуски 810-813 гг. х., т.е. 1408-1410 гг.[1] (рис. I, *4-6*).

Но эти факты довольно хорошо изучены и не привлекли наше внимание. Куда интереснее вопрос о характере взаимоотношений генуэзских колоний Северного Причерноморья и противоборствующих султанов. Дело в том, что при Шадибеке заработал монетный двор Каффы ал-Джедид.[2] Есть все основания считать, что этот эмиссионный центр находился на территории одного из городских кварталов Каффы, в отличие от прочих напрямую подчиненного упомянутому чингизиду. Мы основываемся на выводах видного российского историка и нумизмата П. Н. Петрова, доказавшего, что на территории чагатаидских городов функционировали эмиссионные центры, выпускавшие монету от имени владевших ими монгольских династов.[3]

[1] Г. В. Злобин. Монеты Ширваншахов династии Дербенди (третья династия) 784 г.х./1382 – 956 г.х. / 1548 гг. / ред. Е. Ю. Гончаров. Москва. 2010, сс. 135-137, тип. 016-1, таб. VII, *57-64*.

[2] О. Ретовский. Генуэзско-татарские монеты. // Известия Императорской археологической комиссии, 1906. № 18, сс. 53-54.

[3] П. Н. Петров Нумизматическая история чагатаидского государства 668/1270 – 770/1369 гг.: автореф. дисс... канд. историч. наук: 07.00.09. Казань, 2007, с. 5, 9; П. Н. Петров П.Н. Очерки по нумизматике монгольских государств XIII-XIV веков. Нижний Новгород, 2003; П. Н. Петров, П. Н. Тамги. На монетах монгольских государств XIII-XIV вв. как знаки собственности. // Труды Международной нумизматических конференций «Монеты и денежное обращение в монгольских государствах XIII-XV вв. I МНК – Саратов 2001, II МНК – Муром 2003». Саратов, 17-21 сентября 2001 г. Москва, 2005, сс. 170-177.

Полагаем, что выводы уважаемого исследователя являются актуальными и для золотоордынской нумизматики.

Учитывая выявленные обстоятельства, заключаем, что в Шадибек, будучи правителем Орды, приобрел большое влияние в Северном Причерноморье. Но мог ли он сохранить его после низложения? К сожалению, известные нам письменные источники не содержат искомой информации. А результаты археологических исследований в силу своей специфики не могут осветить заинтересовавшую нас проблему. Предполагаем, что разрешить ее можно только в результате выявления и изучения ранее не известных артефактов, прежде всего – нумизматических. К счастью, они имеются.

Сравнительно недавно в Нижнем Джулате (Кабардино-Балкария) была найдена серебряная монета (рис. I, *1,2*), на лицевой стороне которой различима арабографичная надпись, а на реверсе в центре оттиснута монограмма «Т», вписанная в окружность, обрамленную безупречно исполненной легендой «IMPERATOR». Находка была опубликована В. П. Лебедевым и В. Г. Ситником.[4] Исследователи отнесли ее к «татаро-латинским» аспрам.[5] Действительно, сам характер исполнения текстов не оставляет и тени сомнения в том, что монетным матером был европеец. Однако, даже с учетом этого обстоятельства, нумизматы не смогли ее датировать. Правда, они предположили, что монеты с «Т» аверсе могли чеканить в XV вв.[6] Кроме того, им не удалось разобрать легенду аверса. Исследователи только допустили, что она содержит слово «سلطان» – «султан».[7] Прорись лицевой стороны, выполненная самими издателями,[8] приведена на рис. I, *2*.

Продолжая исследование В. П. Лебедева и В. Г. Ситника, попытаемся уточнить атрибуцию этой монеты. Начнем с прочтения текста аверса. Учтем то, что на сайте zeno.ru[9] была издана однотипная монета (рис. I, *3*). На ее лицевой стороне в четырехугольной, по-видимому, квадратной рамке была размещена четырехстрочная надпись. В первых трех ее строках читается:

[4] В. П. Лебедев, В. Г. Ситник. Корпус серебряных джучидских монет из Нижнего Джулата (Кабардино-Балкария). // Материалы и исследования по археологии Северного Кавказа. 2013. № 13, сс. 195, 210, рис. 2, *216*, 5, *216*.
[5] Ibid, с. 204, № 216.
[6] Ibid.
[7] Ibid.
[8] Ibid. рис. 2, *216*.
[9] With name Muhammad and 'two-legs' sign 'T'. URL: http://www.zeno.ru/showphoto.php?photo=128882.

«سلطان عدل شادی»	–	«*Султан* *правосудный* *Шади*»

В последней строке различим только значок, схожий на «٧» – «*7*». Действительно, его появление на аверсе нашей монеты довольно неожиданно. Дело в том, что на Востоке цифровое обозначение даты эмиссии, как правило, размещали на реверсе. Впрочем, подобные указания известны на лицевой стороне дангов Шадибека чекана Орды ал-Джедид.[10] Однако, в нашем случае, подобная трактовка будет несколько натянутой. Дело в том, что дата на аверсе упомянутого центра появилась вследствие переполнения их реверса эмиссионными обозначениями. Но, как помним, оборотные строны изучаемых монет не содержит арабографичных легенд. Основываясь на этом, допускаем, что наши монеты были оформлены в ином стиле, не свойственном дангам Орду ал-Джедид. Предполагаем, что символ четвертой строки мог быть начальным элементом слова «خان» – «*хан*».

В таком случае, получаем:

«سلطان عدل شادی [ن]خا»	–	«*Султан* *правосудный* *Шади* *ха[н]*»

Похоже, что по сторонам рамки также размещали знаковые элементы оформления. Так, на рис. I, *3* в правой части монетного поля просматриваются фрагмент виньетки, свойственной дангам чекана Шадибека.[11]

Попытаемся обобщить полученные сведения. Прочтение легенды в рамке и анализ ее обрамления дает нам все основания приписать эту монету к чекану Шадибека. Правда, несколько настораживает приведенная на ней титулатура. Дело в том, что этого Чингизида во время царствования титуловали «سلطان العادل» – «*султан справедливый*» или «سلطان الاعظم» – «*султан верховный*».[12] А на изучаемой монете его прославляют как «عدل سلطان» – «*султана правосудного*». Это обстоятельство также требует объяснения.

[10] О. Ретовский. Генуэзско-татарские монеты. с. 54.
[11] Ibid.
[12] Ibid. с. 53-54.

Кроме того, все еще остается открытым вопрос о датировке. Дело в том, что аспры с монограммой «Т» и с легендой «IMPERATOR» на реверсе (рис. I, *7-9*) чеканили от имени Теодоро II Палеолога (1381-1418), правившего Генуей в 1409-1413 гг. и являвшегося императорским викарием.[13] Но к тому времени Шадибек уже был лишен ордынского трона. Так что появление его имени на монете позднейшей эмиссии, безусловно, довольно примечательно. Кроме того, даже определение даты выпуска заинтересовавшего нас аспра не позволяет установить выпустивший его эмиссионный центр – к сожалению, на монете нет искомой информации.

Попытаемся дать ответы на поставленные вопросы. Начнем с того, что низложение и бегство Шадибека из ордынских владений должно было отразиться в легендах монет, чеканенных от его имени. Полагаем, что этим и следует объяснять модификацию титулатуры этого чингизида – он уже не был ни верховным, ни справедливым правителем. Ему, правда, могли приписать титул правосудного, к слову, не использовавшийся Шейх-Ибрахимом I.[14] Но, в таком случае, получается, что заинтересовавшая нас монета могла быть выпущена только после низложения Шадибека. Кстати, это предположение подтверждается наличием на реверсе изучаемого аспра монограммы «Т» и легенды «IMPERATOR». Полагаем, что у нас есть все основания приурочить его выпуск к периоду правления Теодоро II Палеолога в Генуе и ко времени пребывания Шадибека в государстве Ширваншахов, т.е. к 1409-1410 гг.[15]

Теперь попытаемся установить эмиссионный центр. Сразу же заметим, что у нас нет оснований приписывать изучаемый аспр к чекану Каффы или Каффы ад-Джедид. Дело в том, что на заинтересовавшей нас монете нет ни тамги ордынского правителя, традиционного для серебра этой генуэзской колонии, ни арабографичной легенды с упоминанием монетного двора – обязательного признака джучидских эмиссий. В тоже время сам факт наличия на ней монограммы «Т» и легенды «IMPERATOR» дает нам все основания отнести ее провинциальным генуэзским выпускам. Обратим внимание и на то, что на аверсе каффинских монет Теодоро II Палеолога размещали имя и титулатуру хана Мухаммеда.[16] Есть все основания считать, что в Каффе не могли одновременно чеканить монету от имени Му-

[13] Р. З. Сагдеева. Серебряные монеты Золотой Орды. Москва, 2005, с. 372.
[14] Ibid, с. 45-145.
[15] М. М. Чореф. К вопросу о возможности денежной эмиссии в государстве феодоритов. // Ῥωμαῖος: сб. ст. к 60-летию проф. С. Б. Сорочана. Нартекс. Byzantina Ukrainensis / гл. ред. С. Б. Сорочан. Харьков, 2013. Т. 2. сс. 368-380.
[16] О. Ретовский. Генуэзско-татарские монеты, с. 70.

хаммеда и Шадибека. Учитывая ареал обращения и редкость аспра последнего, полагаем, что он мог быть выпущен в Севастополе (Себастополис, совр. Сухуми), являвшемся важнейшим центром Генуи в Северо-Восточном Причерноморье, в котором, как известно, чеканили т.н. «севастопольские аспры», игравшие значительную роль на денежном рынке как средневековой Грузии, так и всего причерноморского региона.[17]

Правда, нам могут возразить, что к настоящему времени известна только одна разновидность монет, которую можно с уверенностью отнести к эмиссии средневекового Севастополя. Речь идет о т.н. «цхумском тетри», выбитом от имени Одишского владетеля Вамеха I Дидиани.[18] Причем известен только один его экземпляр, найденный в 1927 г. на территории самого г. Сухуми.[19] Однако серебро чекана Севастополя успешно конкурировало с ордынскими выпусками.[20] Собственно, «цхумские тетри» являлись торговой монетой. Следовательно, Севастопольский монетный двор должен был выпускать обильные серии. Попытаемся их выделить.

Уже не первое десятилетие идут споры по поводу атрибуции довольно редких, но, в тоже время, достаточно широко распространенных серебряных монет с изображением святого на аверсе и с двухстрочной надписью на реверсе (рис. II). Примечательно, что первоначально изначально их, с учетом места обнаружения, отнесли к чекану Ландульфа из Конзы (973-974?), князя Салерно. Эту атрибуцию предложили такие видные нумизматы-медиевисты, как Ф. Грирсон и Л. Траваини.[21] Они издали серебряную монету весом 0,66 г., которая, по их мнению, могла быть денарием упомянутого правителя.[22] Однако в последнее время подобные выпуски стали находить за пределами Южной Италии – на Северном Кавказе и в Крыму. Так, К. В. Бабаев издал такую монету, приписав ее, однако, не к южноитальянскому, а к тмутараканскому чекану. По его мнению, на ее аверса было оттиснуто изображение св. Саввы, а на реверсе размещена двухстрочная надпись, содержащая его имя. Однако нумизмат не был уверен в верности

[17] Абхазия с древнейших времен до наших дней / гл. ред. Дж. Гамахария. Тбилиси, 2009, с. 198.
[18] Ibid.
[19] D. M. Lang. Studies in Numismatic History of Georgia in Transcaucasia. // Numismatic Notes and Monographs (American Numismatic Society). № 130. New York, 1955, p. 87.
[20] Абхазия с древнейших времен до наших дней, с. 198.
[21] Medieval European Coinage / Ed. Ph. Grierson, L. Travaini. Cambridge, 1998. Vol. 14 (III): South Italy, Sicily, Sardinia. With a Catalogue of the Coins in the Fitzwilliam Museum, p. 57-67, 592, pl. I, *11*.
[22] Ibid, 592, pl. I, *11*.

своей атрибуции. Дело в том, что ему не удалось истолковать наличие следов надписи на аверсе этой монеты и объяснить появление буквосочетания «LAN», в котором он видел сокращение.[23]

Как видим, единой точки зрения на атрибуцию этих монет так и не было выработано. Виной тому стало отсутствие экземпляров хорошей сохранности. Ситуация изменилась только в настоящее время.

В 2013 г. при раскопках позднесредневекового слоя в пещере Иограф (близ Ялты, Крым) крымский археолог Н. П. Турова обнаружила монету этой разновидности, причем отличной сохранности.[24] Правда, она весит 0,92 г. Опишем эту находку.

Прежде всего, заметим, что на ее аверсе, действительно, изображен святой. Правда, не св. Савва, как считал К. В. Бабаев, а св. ап. Матфей. Это следует из легенды аверса, на котором без особых усилий можно разобрать фразу: «• ΜΑΤΦΕ» (Ἅγιος Ματθαίος) – «*святой Матфей*». На реверсе же, действительно, приведена двухстрочная надпись:

«+ΠLAN SABAS»	–	«*Регион* *Сабас*»

В качестве комментария заметим, что у нас нет никаких оснований видеть в черте, размещенной над буквосочетанием «LA» обозначение сокращения, как считает К. В. Бабаев.[25] Дело в том, что оно не покрывает сопутствующую им букву «N», что, заметим, довольно примечательно. Полагаем, что буквосочетание представляет собой очевидную монограмму, составленную из греческого «П» и латинских «A», «L» и «N», что, к слову вполне допустимо для Причерноморского региона. Так, на монетах генуэзской Каффы известно два написания названия этого эмиссионного центра: через латинское «C» и греческое «K».

Кроме того, в «SABAS» нет никой возможности разобрать «SALRN». Заметим, что, по мнению Ф. Грирсона и Л. Травайни, «B» представляет собой лигатуру, составленную из «L» и «R».[26] Но это довольно неординарно, и, скажем точнее, неправдоподобно. Ведь на изданной исследователями монете явно читается «SABA», а правая вертикальная линия гипотети-

[23] К. В. Бабаев. Монеты Тмутаракарского княжества. Москва, сс. 87-88, рис. VIIa.
[24] Пользуемся случаем, чтобы выразить благодарность исследователю за возможность изучить и опубликовать эту монету.
[25] К. В. Бабаев. Монеты Тмутаракарского княжества, с. 88.
[26] Medieval European Coinage, p. 592.

ческой «N» на самом деле является слобоизогнутым фрагментом точечного обрамления легенды (рис. II, *1*).

К слову, в этом буквосочетании нет возможности разобрать и имя св. Саввы, т.к. изображение св. ап. Матфея уже выявлено на аверсе.

Учтем и то, что предположение Ф. Гирсона и Л. Траваини основывалось на том, что на реверсе этой монеты будто бы было выбито имя правителя и название его княжества, но без упоминания о его титуле, что совершенно не характерно для монетного дела средневековой Европы. Следовательно, у нас есть все основания усомниться в доводах уважаемых исследователей. Основываясь на этом, заключаем, что монета представляла собой официальную эмиссию генуэзских властей Севастополя. Надеемся, что предлагаемая атрибуция будет поддержана специалистами.

Что же касается датировки изучаемых монет, то мы пока вынуждены оставить вопрос открытым. Дело в том, что на данный момент известно всего пять их экземпляров: одна издана Ф. Гирсоном и Л. Траваини (рис. II, *1*), три хранятся в частных собраниях Украины и России[27] (рис. II, *2-4*) и одна найдена Н. П. Туровой. Однако сам факт обнаружения последней в позднесредневековых слоях и с учетом ее весовых данных позволяет отнести всех их к выпускам XIV-XV вв. Сам же факт обнаружения монет этого типа с незначительными вариациями легенды реверса и существенной разницей в весе свидетельствует о длительности эмиссии. Однако эта гипотеза, безусловно, требует педантичной проверки.


Итак, если наши рассуждения верны, с учетом свидетельств нумизматических источников представляется возможность проследить контакты между генуэзскими колониями и ордынскими правителями в начале XV в. Похоже, что Шадибек после низложения в Орде смог сохранить свое влияние на западном побережье Северного Кавказа, причем ему остался подконтрольным даже Севастополь – его жители выпустили от имени этого джучида серию аспров. Примечательно, что в тоже время власти Каффы декларировали свою лояльность иному ордынскому правителю – Мухаммеду. Выясненное обстоятельство не только подтверждает теорию П. Н. Петрова, но и позволяет по-новому осветить политическую историю причерноморского региона в XV в. Сам же факт выявление двух серий «севастопольских аспров» убеждает нас как в достоверности сведений об экономическом процветании выпустившей их колонии Генуи, так и освещает сложные вопросы взаимодействия ее властей с ордынскими и грузинскими правителями.

[27] О. Ретовский. Генуэзско-татарские монеты. сс. 87-88, рис VIIa; +LAN SABAS. URL: http://www.hordecoins.folgat.net/other/tamartaha_ar_nd_01_01.jpg; +LAN SABAS. URL: http://www.hordecoins.folgat.net/other/tamartaha_ar_nd_01_02.jpg.


Рис. 1. К вопросу об атрибуции аспров с монограммой «Т» на аверсе и с арабографичной надписью на реверсе

1-3 – изображения изучаемых монет (по В. П. Лебедеву и В. Г. Ситнику (*1*, *2*) и материалам zeno.ru (3)); *4-6* – таньги Шейх-Ибрахима I с именем Шадибека (по Г. В. Злобину); *7-9* – генуэзско-татарские аспры каффинского чекана с «Т» на аверсе (по О. Ф. Ретовскому).






5




6



7



8



9

Рис. II. К атрибуции «севастопольских аспров»

1 – изданный Ф. Грирсоном и Л. Траваини; *2* – опубликованный К. В. Бабасвым; *3-4* – из частных собраний Украины; *5* – монета, найденная Н. П. Туровой







3



4



5

Mikhail Choref

ABOUT SHADIBEK, ACCORDING TO NUMISMATICS

Summary

It is no secret that coins are a most valuable source of historical information. There are some historic periods with events that can only be traced through coins minted during that time. We got interested in one of such time periods, namely, in the last years of life of Juchid Shadibek, a Jushid khan, who, by the time under study, had already been deprived of the Horde throne. It is noteworthy that coins were minted on his behalf by the Shirvan rulers. It is possible that Shadibek, being a Chingizid, could have become the supreme ruler of Shirvan. In fact, the Shirvanshahs perceived him as the legitimate sovereign of the Horde.

However, the researchers are not completely sure in determining Shadibek's zone of control, for it is difficult to agree that it were the Shirvanshahs alone who accepted Shadibek as a sovereign. It is rather likely that the deposed Horde sovereign could have support from local commercial towns and tribes who did not accept the henchmen of Edigei, a Shadibek's enemy.

Recently, we have clarified these assumptions. The fact is an asper, a so-called Tatar-Genoa coin, was found in the North Caucasus, more precisely, in Kabardino-Balkaria. The obverse of the coin contained a two-pronged tamga, framed by the legend of "IMPERATOR", whereas the reverse had an Arab-graphic inscription with the name of "Shadibek". We assume that this coin could have been minted on behalf of Teodoro II Palaeologus (1381-1418) who ruled Genoa in 1409-1413 and was the Imperial Vicar. The coins containing such inscription are well known among researchers. Obviously, this asper coin could have been minted after Shadibek's deposition from the Horde throne. Based on this fact, we can assume that the ruling of the said Juchid was recognized in the medieval Sebastopolis (now Sokhumi), which was an important Genoa center in the Eastern Black Sea region known for minting the so-called "Sebastopolis asper" coins. These asper coins played a significant role circulating in the medieval Georgia and the whole Black Sea region.

Taking this into account, we paid attention to quite rare silver coins with the image of a saint on the obverse and the legend of "+ΠLAN SABAS" on the

reverse. One should note such coins are usually attributed to the issues of southern Italian Salerno. However, having gathered the information on the findings of such coins in the northern Black Sea coast, we concluded that they may have been minted in the area. The fact is that the obverse of the coin has an embossed image of St. Matthew, proven by the legend located on the sides of the coin and the stamp of "+ΠLAN SABAS" on the reverse. The latter give us every reason to dismantle "Sabas region", which is a clear indication that the coin was minted in the medieval Sebastopolis. Indeed, we can find the evidence of such emissions in the written sources.

After studying the coins, not only have we defined Shadibek's zone of control after his deposition from the Horde throne, but also clarified the situation in Sebastopolis at the beginning of the 15th century, namely, the fact that it had an influential Genoa community with the right to issue silver coins.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XI
თბილისი. 2016

მამუკა წურწუმია

ქართული ხანჯალი

სატევარი (ხანჯალი) ცივი იარაღია ორლესული, სწორი ან მოხრილი პირით, რომლითაც ჩხვლეტაც შეიძლება და ჩეხაც. ის ხელჩართული ბრძოლისათვისაა გამიზნული, იქ, სადაც სხვა იარაღი ნაკლებად ეფექტურია: ორთაბრძოლასა და სივიწროეში, მოულოდნელი და ჩუმი თავდასხმების დროს. სატევარი ხასიათდება მასიური ორლესული პირით, რომელიც მნიშვნელოვან სიგრძეს აღწევს.[1] ჩვეულებრივ, მისი პირი 50 სმ-მდე სიგრძისაა, თუმცა გვხვდება უფრო გრძელი ქართული ეგზემპლარებიც.

პირველი ლითონის ხანჯლები ძვ. წ. IV ათასწლეულში ჩნდება ეგვიპტესა და პალესტინაში.[2] ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში ჰიქსოსებმა შექმნეს ხანჯლის ტიპი, რომელსაც ღარი ჰქონდა.[3] ძვ. წ. I ათასწლეულში იარაღის პირზე რამდენიმე ღარის დატანება კავკასიაში ისეთი პოპულარული ხდება, რომ მკვლევრები უკვე „კავკასიურ ტრადიციაზე" საუბრობენ.[4]

მრავალმხრივი საბრძოლო თვისებებისა (ჩხვლეტა, ჩეხა) და უნივერსალობის გამო ხანჯალს დიდ ყურადღებას უთმობენ ისლამურ სამხედრო ნაშრომებში. მაღალ შეფასებას აძლევს ხანჯალს მუბარაქშაჰი, XIII საუკუნის დასაწყისის სპარსული სამხედრო ტრაქტატის ავტორი. მუბარაქშაჰის თანახმად, „თუ მებრძოლი აღჭურვილია ყველა სახის იარაღით, მაგრამ არ აქვს ხანჯალი, მისი შეიარაღება არ არის საკმარისი და უნაკლო. მას რომ მხო-

[1] А. И. Соловьев. Военное дело коренного населения Западной Сибири: Эпоха средневековья. Новосибирск. 1987. გვ. 82.

[2] М. В. Горелик. Оружие Древнего Востока (IV тысячелетие - IV в. до н. э.). СПб. 2003. გვ. 15.

[3] გაერცელებული მოსაზრება, რომ ღარი იარაღს სისხლის ჩამოსადენად სჭირდება, მცდარია: რადგან ღარები ჩაკეტილია, სისხლი მათში, პირიქით, ჩაგუბდებოდა. ღარი (ღარები) იარაღის პირს სიმტკიცეს ანიჭებს და, ამავე დროს, ამსუბუქებს მას. М. В. Горелик. Оружие Древнего Востока. გვ. 16; А. И. Устинов, М. Э. Портнов, Ю. А. Нацваладзе. Холодное оружие. М. 1994, გვ. 11.

[4] М. В. Горелик. Оружие Древнего Востока, გვ. 30.

ლოდ ხანჯალი გააჩნდეს და სხვა არაფერი, ითვლება, რომ მისი შეიარაღება სრულია, ყოველგვარ ნაკლს მოკლებული".[5]

კითხვა-პასუხის სახით დაწერილი არაბული სამხედრო ტრაქტატიც „სრული რჩევები სამხედრო საქმეში გასაწვრთნელად" (შემოკ. „ნიჰაიათ ალ-სული"), რომელიც ტრადიციულად მიეწერება მუჰამედ იბნ ისა ალ-ჰანაფი ალ-აქსარაის (-1348) და შედგენილია მამლუქთა მხედრობისათვის 1250-1500 წლებში (მოყვანილი ნაწყვეტი დაწერილია XIII-XIV სს. მიჯნაზე), დიდ ყურადღებას უთმობს ხანჯალს და ვრცელ ინფორმაციას იძლევა მისი გამოყენების შესახებ:

„კითხვა: რა იარაღი უნდა ატაროს ჯარისკაცმა ყოველთვის?

პასუხი: არასოდეს არ უნდა დატოვო ხანჯალი შინ, არც ომში და არც მშვიდობისას. მას აქვს ბევრი უპირატესობა და მისი გამოყენება შეიძლება ყველა სხვა იარაღთან ერთად. ის გამოსადეგია შუბთან და ისართან, ხმალთან და ლახტთან, ხელშუბთან და ყველა ამათთან ერთად. ასე რომ, ისწავლე ყველაფერი მის შესახებ.

კითხვა: რა თვისებები აქვს ხანჯალს?

პასუხი: ხანჯალი შეიძლება დაარტყა როგორც ხმალი, აძგერო როგორც შუბი, ისროლო როგორც ხელშუბი, ტყორცნო როგორც ისარი, შურდულის ჭურვი ან ხელით ნასროლი ქვა. მებრძოლს უნდა შეეძლოს ყოველივე ამის კეთება". დამატებით „ნიჰაიათ ალ-სული" ქვეითს ურჩევს ხანჯლის გამოყენებას ახლო ბრძოლაში მოწინააღმდეგის ცხენების წინააღმდეგ.[6]

ხანჯალი დამხმარე იარაღი და მებრძოლის ბოლო იმედი იყო. როდესაც მარაბდის ომში თეიმურაზ მეფეს ყველა ძირითადი საბრძოლო იარაღი (შუბი, ხმალი, ლახტი) დაემტვრა, ის იძულებული გახდა ხანჯალი გაეშიშვლებინა: „შუბი, ხმალი, ლახტი გატყდა, მოვიხმარე კვლა ხანჯარი".[7]

ხანჯალს ხშირად იყენებდნენ ხელჩართულ ბრძოლაში მძიმედ შეჭურვილი მოწინააღმდეგის მოსაკლავად, როგორც ამას ლიტერატურული წყაროები გვიდასტურებენ. ასეთი ეპიზოდები გვხვდება XVI-XVII სს. „რუსუდანიანში", XVII ს. ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის „ომაინიანსა" და „ამირანდარეჯა-

[5] Шариф Мухаммад Мансур Мубаракшах. Правила ведения войны и мужество. Перевод с классического таджикского (персидского) языка, предисловие и примечания кандидата филологических наук Дж. Наджмутдиновой и кандидата исторических наук С. Шохуморова. Душанбе. 1997, გვ. 165.

[6] D. Nicolle. Know Your Weapons, Know Your Enemy: A Mamluk Training Manual. http://the-mamluk-faris.blogspot.com/2005/06/know-your-weapons-know-your-enemy.html (2005).

[7] არჩილი. გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა. არჩილიანი. ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. ტ. II. თბ. 1937, გვ. 76.

ნიანის“ გვიანდელ, XVIII ს. დამატებაში: „რა... ჩამოუარდნილი ნახა... ცხენითა გადახტა, ხანჯარი ამოიღო და თავის მოკვეთას ლამობდა“;[8] „ხანჯალი გამოიძრო, მუზარადი წაკვეთა და თავსა ტანისაგან განშორებასა ლამოდა“;[9] „მუზარადისა ჯაჭვი წაკვეცა და პირ-ალმასისა ორპირისა ხანჯლითა თავი ტანისაგან გააშორა“.[10] საგულისხმოა, რომ ევროპაშიც ცხენიდან ჩამოგდებულ კარგად შეჭურვილ რაინდს ამ მეთოდით და სპეციალური გრძელი, ვიწროპირიანი ხანჯლისმაგვარი იარაღით – მიზერიკორდით კლავდნენ.

ხანჯალი ყველაზე ცნობილი კავკასიური იარაღია. კავკასიური ხანჯალი წარმოადგენს ფართო ორლესულ იარაღს, წვერისკენ თანაბრად დავიწროებული პირით, ჯვარედინი ვადის გარეშე და მომრგვალებული ბრტყელი ქუდით.[11] სწორ ხანჯალს *ყამა* ეწოდება, *ბებუთი* კი ბოლოში მცირედ მოხრილია.[12] ქართულ ხანჯალს აქვს საკმაოდ ფართო, სოლისებური პირი, ტარს – კავკასიისათვის დამახასიათებელი ნახევრად ოვალური თავი. პირი შუა ნაწილში ხშირად არის ოქროთი მორთული, ტარი და ქარქაში კი მსხვილი მცენარეული ორნამენტითაა დამშვენებული.[13] ქართული ხანჯლის ტარი მზადდებოდა ძვლის ან რქისაგან, ზედ ორი ან სამი გობაკით; პირი იყო ღარიანი (1, 2 ან 3-ღარიანი) ან უღარო (ქედიანი); ქარქაში – ტყვაგადაკრული, ერთი სალტით და ბუნიკით ან მთლიანი ვერცხლის.[14] უფრო ადრეულ ნიმუშებზე ხანჯლის ტარი მასიური ლომვეშაპის ძვლის ან რქისაა, მოგვიანებით – ტარი ორნაწილიანი კონსტრუქციითაა წარმოდგენილი: მას რქა (ძვალი) აქეთ-იქიდან ემაგრება.[15] ზოგადად, ქართულ ხანჯალს ახასიათებს პროპორციულობა და ელეგანტურობა, ორნამენტის სიმდიდრე და გამორჩეული საბრძოლო თვისებები.[16]

სიტყვა *ხანჯალი* (*ხანჯარი*) სპარსულიდან არის შემოსული ქართულ ენაში. XV საუკუნემდე საქართველოში ამ ტერმინს არ იცნობდნენ. ის არ

---

8 რუსუდანიანი. ი. აბულაძისა და იე. გიგინეიშვილის რედაქციით. თბ. 1957, გვ. 285.

9 ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი. ომაინიანი. გამოსაცემად მოამზადა ლ. კეკელიძემ. თბ. 1979, გვ. 106.

10 მოსე ხონელი. ამირანდარეჯანიანი. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლ. ათანელიშვილმა. თბ. 1967, გვ. 737.

11 A. North. An Introduction to Islamic Arms. London. 1985, გვ. 35.

12 А. И. Устинов, М. Э. Портнов, Ю. А. Нацваладзе. Холодное оружие. გვ. 34-35; К. Ривкин, О. Пипчо. Оружие и военная история Кавказа. Запорожье. 2011. გვ. 74.

13 А. И. Устинов, М. Э. Портнов, Ю. А. Нацваладзе. Холодное оружие, გვ. 35.

14 მ. ქაფიანიძე. ხანჯალი. ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. რედ. ე. ნადირაძე. თბ. 2013, გვ. 580.

15 K. Rivkin. Arms and Armor of Caucasus. N.p. 2015, გვ. 248, 253.

16 Y. A. Miller. Caucasian Arms from the State Hermitage Museum, St. Petersburg. The Art of Weaponry in Caucasus and Transcaucasia in the 18th and 19th Centuries. Næstved. 2000, გვ. 134.

გვხვდება XIV ს. ხელმწიფის კარის გარიგებაში.[17] ხანჯალს (ხანჯარს) არ იცნობს არც „ვეფხისტყაოსანი“ და არც „ვისრამიანის“ ქართული თარგმანი. სპარსული ტექსტის ხანჯალი გადმოთარგმნილია ხან როგორც ხმალი, ხან კი – დანა.[18]

სულხან-საბა ორბელიანი თვლიდა, რომ ხანჯლის ქართული სახელწოდება სატევარი იყო: „*ხანჯალი* სხვათა ენაა, საგვერდული მახვილია, ქართულად *სატევარი* ჰქვიან“.[19] ამ შემთხვევაში ქართველი ლექსიკოგრაფი არცთუ მართალი უნდა იყოს, რადგან სატევარიც უცხო ენიდანაა შემოსული. ქართული სატევარი წარმომდგარი უნდა იყოს არაბული *სატურ-სათული*-დან, რომელიც სპარსულ ენაშიც დამკვიდრდა (სპარსულად ის იკითხება როგორც *სათევარ*) და ორივეგან დიდ, ბრტყელ დანას აღნიშნავს. სიტყვა სატევარის საწყისი ნაწილი *სა-* თავსართი არ არის და არც სიტყვაა დაკავშირებული ტევასთან, შეტევასთან. სატევარი არ გვხვდება არც „ვეფხისტყაოსანში“ და არც „ვისრამიანში“. ასე რომ, ეს ტერმინი კლასიკური ხანის შემდეგ უნდა იყოს დამკვიდრებული.[20]

კავკასიური ხანჯლის ფორმას ამსგავსებენ განთქმულ რომაულ *გლადიუსს* და ზოგიერთი ფიქრობს კიდეც, რომ ის იყო ხანჯლის წინაპარი.[21] მაგრამ გარკვეული გარეგნული მსგავსება ორივე იარაღის მსგავსი დანიშნულებით ან სულაც უბრალო დამთხვევით შეიძლება აიხსნას და ქართულ (კავკასიურ) ხანჯალს რომაულ მოკლე მახვილიან საერთო არაფერი უნდა ჰქონდეს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ითვლება, რომ ბრინჯაოს ხანიდან დაწყებული საქართველოს ტერიტორიაზე სატევარი მუდმივად არსებობდა, ვითარდებოდა და მიიღო დღეს ყველასათვის კარგად ნაცნობი ფორმა. ამ დროს საუსებით სწორად უთითებენ, რომ ლითონის დამუშავების სხვადასხვა ეტაპზე იარაღის დამზადების ტრადიციას ინარჩუნებდნენ და ბრინჯაოში აპრობირებულ ფორმებს უკვე რკინაში იმეორებდნენ, რაც კარგად ჩანს ბრინჯაოსა

[17] ივ. ჯავახიშვილი. მასალები ქართველი ერის მატერიალური კ'ულტ'ურის ისტორიისათვის. ტ. III-IV. თბ. 1962, გვ. 262.

[18] დ. კობიძე. ვისრამიანის საკითხები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ტ. 116. აღმოსავლეთმცოდნეობის სერია. V, 1965, გვ. 68.

[19] სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ. ტ. II. თბ. 1993, გვ. 416.

[20] დ. კობიძე. ვისრამიანის საკითხები, გვ. 69; შაჰ-ნამეს, ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები. ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო დ. კობიძემ. ტ. III. თბ. 1974, გვ. 38-39.

[21] A. North. An Introduction to Islamic Arms, გვ. 35.

და რკინის სატევრების შედარებისას[22] (სურ. 1).

მოდინახეში ნაპოვნ გვიანანტიკური ხანის (IV ს.) რკინის ორლესულ, საშუალო სიგრძის, მხრებგანიერ, წვერისაკენ მკვეთრად დაიწროებულ სატევრებს, ხის ან ძვლის ტარში ჩასამაგრებელი 6-7 სანტიმეტრის სიგრძის ყუნწით, ისევე როგორც კლდეეთისა,[23] და მცხეთის სატევრებს, ჯ. ნადირაძე კავკასიური ხანჯლის წინაპრად მიიჩნევს[24] (სურ. 2). მისი თქმით, „მოდინახური სატევრები ძალზე მოგვაგონებენ კავკასიის ეთნოგრაფიულ ყოფაში დღემდე შემორჩენილ ორლესულ ხანჯლებს. ვფიქრობთ, ეს უკანასკნელი მათ უშუალო განვითარებას უნდა წარმოადგენდეს".[25] ამ მოსაზრებას იზიარებენ კ. ჩოლოყაშვილი და მ. ქაფიანიძეც.[26] მართალია, მოდინახურ სატევრებს ვადა გააჩნიათ, მაგრამ ეს პრინციპული დაბრკოლება არ არის: ევოლუციის პროცესში მათ შეეძლოთ ვადის დაკარგვა და თანამედროვე ფორმის მიღება.

განსხვაებული შეხედულება აქვთ ხანჯლის წარმოშობაზე კავკასიური იარაღის უცხოურ მკვლევრებს. ისინი თვლიან, რომ საკუთრივ კავკასიური ხანჯალი მხოლოდ XVIII საუკუნეში ჩნდება, მანამდე კი უცხოური (ირანული, თურქული და სხვ.) ხანჯლები იყო ხმარებაში.[27] კ. რივკინი მიუთითებს, რომ მიუხედავად ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნიმუშების მსგავსებისა, შუა საუკუნეებში არ გვაქვს კავკასიური ხანჯლის არქეოლოგიური მონაპოვრები და ხანჯლის შემოღებას XVIII საუკუნის შუახანებით ათარიღებს.[28] მკვლევარი აღნიშნავს, რომ კავკასიურ ხანჯალს ვერ ვხედავთ იკონოგრაფიულ მასალაზე, ქართველ და ჩერქეზ წარჩინებულთა სურათებზე კი ისინი მხოლოდ

---

[22] დ. ყუფარაძე. რკინის მადნები, ლითონის დამუშავება და ციცი იარაღის წარმოება საქართველოში. http://www.georgians-weapons.ge/sxvadasxva.htm (2011).

[23] კლდეეთში ნაპოვნი სატევარი ბრტყელია, უქედო, პირისკენ დაიწროებული და წვერმოტეხილი, შემორჩენილი სიგრძით 24,6 სმ. გ. ლომთათიძე. კლდეეთის სამაროვანი (ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნისა). თბ. 1957, გვ. 15-16, სურ. 2, ტაბ. XXI-1ე.

[24] ჯ. ნადირაძე. ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბ. 1975, გვ. 58-59. მოდინახეში გათხრილია გვიანანტიკური ხანის ორმოცამდე სამარხი; მეექვსე, მეშვიდე და მერვე სამარხებში ნაპოვნია ორლესული რკინის სატევრები მახვილი წვერით, სწორი განიერი მხრებით, დაბალი ქედით (ტაბ. XX-5, XX-4, XX-10); მეათე სამარხში ნაპოვნი ორლესული რკინის სატევარი წვერწატეხილი და ნაკლულია, 36-ე სამარხში კი აღმოჩნდა ოქროთი მოოთული ორლესული რკინის სატევარი მახვილი წვერით, სწორი განიერი მხრებით და დაბალი ქედით (ტაბ. XL-3). ჯ. ნადირაძე. ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 43-44, 47-52, 56-57.

[25] ჯ. ნადირაძე. ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 59.

[26] იხ. კ. ჩოლოყაშვილი, მ. ქაფიანიძე. ქართული საჭურველი. ეთნოლოგიური ძიებანი. IV. თბ. 2010, გვ. 61.

[27] К. Ривкин, О. Пинчо. Оружие и восшая история Кавказа, გვ. 74, 94.

[28] K. Rivkin. Arms and Armor of Caucasus, გვ. 127.

1800 წლის შემდეგ ჩნდება.[29] ამავე დროს, გარკვეული დაშვებით, მაგრამ მაინც, კ. რივკინი ფიქრობს, რომ კავკასიური ხანჯალი ქართული გამოგონებაა.[30]

რა შეიძლება ითქვას ამის საპასუხოდ? უნდა ვაღიაროთ, რომ შუა საუკუნეების ქართული ხანჯლის არქეოლოგიური ნიმუშები ჯერჯერობით არ გაგვაჩნია. არც საკითხის იკონოგრაფიული შესწავლა იძლევა უკეთეს შედეგს: არ ხერხდება საუკუნეების მანძილზე ქართული (კავკასიური) ხანჯლის განვითარებაზე დაკვირვება. მხოლოდ ცალკეული, ჩვენთვის საინტერესო გამოსახულებების გამოყოფა თუ შეიძლება, რომელთაგანაც ერთიანი ევოლუციური ჯაჭვის კონსტრუირება შეუძლებელია. ასე მაგალითად, VI საუკუნის ბოლნისის ე.წ. „შერგილის ქვასვეტზე" გამოსახულ ფიგურას მოკლე, სწორი სატევარი ჰკიდია ქამარზე[31] (სურ. 3ა). იარაღი წინ არის ორ თასმაზე ჩამოკიდებული; მას თითქოსდა ვადა არ აქვს, თუმცა დანამდვილებით რაიმეს მტკიცება ძნელია და, შეიძლება, ვადა უბრალოდ გამოქარული იყოს ქვაზე. არც სატევრის პირის დავიწროება შეინიშნება და ის მთელ სიგრძეზე ერთნაირი სიგანისაა. სატევრითაა შეიარაღებული წმინდა გიორგი მრავალძლის X-XI საუკუნეების ეკლესიის სამხრეთის მკლავის რელიეფზე[32] (სურ. 3ბ). წმინდანს მარჯვენა მხარეს ჰკიდია სატევარი, რომლის პირიც, მართალია, მცირედ ვიწროვდება, მაგრამ, ამავე დროს, მკაფიოდ გამოხატული ვადა გააჩნია. საერთო ჯამში, ეს გამოსახულებები უფრო მოკლეპირიანი, დამხმარე იარაღის ტარების პრაქტიკაზე მეტყველებს, ვიდრე ქართულ-კავკასიური ხანჯლის განვითარების გზაზე.

ამავე დროს, ჩვენს ხელთაა ექსპონატი, რომელსაც, ერთი შეხედვით, შეუძლია პასუხი გაგვცეს დასმულ კითხვებზე. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ინახება ხანჯალი, რომელიც მასზე დატანილი წარწერების მიხედვით შეიძლება მივაკუთვნოთ იმერეთის ორ მეფეს: ბაგრატ III-ს და სოლომონ I-ს. ეს რომ ასე იყოს, ხანჯლის სახით უნიკალურ არტეფაქტთან გვექნებოდა საქმე, რომელიც თავისი არსებობით XVI საუკუნეში ქართული ხანჯლის საუსებით ჩამოყალიბებული ფორმით არსებობას დაადასტურებდა. ამ ფაქტის დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე ექსპონატს გამოწვლილვითი ექსპერტიზა ჩაუტარდა.

[29] K. Rivkin. Arms and Armor of Caucasus, გვ. 241.
[30] K. Rivkin. Arms and Armor of Caucasus, გვ. 248.
[31] კ. მაჩაბელი. ქართული ისტორიული კოსტიუმი (V-X საუკუნეები). თბ. 2013, გვ. 69, სურ. 22.
[32] რაჭა: 1991 მიწისძერით დაზიანებული ძეგლები. თბ. 2008, გვ. 176.

ხელოვნების მუზეუმში დაცული ხანჯლის (ექსპონატი 3182) სიგრძე 59.1 სმ-ია, პირის სიგრძე – 45 სმ, სიგანე ვადასთან კი – 4.9 სმ. ხანჯლის პირზე ამოკვეთილია ასომთავრულით შესრულებული ორსტრიქონიანი წარწერა: „მეფე ბაგრატ / კურა-პალატ"; ზურგზე კი ორი გარითმული მხედრული სტრიქონია: „სოლომონს ჰქონდა ღუთით ძალი და მე ერთგული ხანჯალი / ხრესილს რუხვს იქმნა რისხვმწყრალი და მტრებს მან დასცა ზარი და ალი". (სურ. 4)

მეორე წარწერაში დასახელებული სოლომონის და მის მიერ გადახდილი ხრესილისა (1757) და რუხის (1779) ბრძოლების მიხედვით ადვილია სოლომონ I-ის (1752-84) იდენტიფიცირება. შედარებით მეტ კითხვას სვამს და უფრო მნიშვნელოვანია პირველი ასომთავრული წარწერა, რომელშიც მეფე ბაგრატ კურაპალატია ნახსენები.

ხელოვნების მუზეუმის მიერ 1997 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ გამოფენაზე აღნიშნული ხანჯალი წარმოდგენილი იყო, როგორც „იმერეთის მეფე ბაგრატ III-ის სატევარი ასომთავრული წარწერით".[33] ც. ღვაბერიძეც მიიჩნევს, რომ ხანჯალი ბაგრატ კურაპალატის წარწერით იმერეთის მეფე ბაგრატ III-ს ეკუთვნოდა.[34] ს. კაკაბაძის მიერ გამოქვეყნებულ მასალაზე დაყრდნობით მკვლევარმა აჩვენა, რომ იმერეთის მეფე ბაგრატ III (1510-65) ეპოქის სინქრონულ ხელნაწერებში ცნობილი იყო *კურაპალატის* ტიტულით.[35] მართლაც, XI საუკუნის *ნიკორწმიდელის დაწერილის* მეორე პირზე მოთავსებული 1548 წლის ცნობიდან ჩანს, რომ ნიკორწმინდის ეკლესია „მეფემან ბა(გრატ გა)ნაახლა", რომელიც ქვემოთ მოიხსენიება როგორც კურაპალატი („მეფ(ის)ა ჩ(უე)ნისა კ(უ)რაპ(ა)ლატისა").[36]

---

[33] ბაგრატიონთა სამეფო სახლის წარმომადგენელთა და ქართველ დიდებულთა პირადი ნიეთების გამოფენა. არტანუჯი. 8-9, 1999, გვ. 150. უნდა ითქვას, რომ ხანჯლის წარწერები ჟურნალში გარკვეული შეცდომებითაა გამოქვეყნებული.

[34] ც. ღვაბერიძე. ბაგრატ კურაპალატის სამართლის ძეგლის დათარიღებისათვის. ვალერიან გაბაშვილი 90. რედ. შ. გაბაშვილი. თბ. 2003, გვ. 446; ც. ღვაბერიძე. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ფრესკის ბაგრატ კურაპალატის ვინაობის შესახებ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ნარკვევები. X, 2005, გვ. 88.

[35] გვიანი შუა საუკუნეების დასავლეთ საქართველოში შეიმჩნევა ადრე გამქრალი ბიზანტიურ-ქართული წოდებების (გორგასალი, სტრატილატი, ეიპატოსი) ხელახალი გამოყენების შემთხვევები. ც. ღვაბერიძე. ბაგრატ კურაპალატის სამართლის ძეგლის დათარიღებისათვის, გვ. 466. შენ. 15; მისივე. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ფრესკის ბაგრატ კურაპალატის ვინაობის შესახებ, გვ. 89, შენ. 58. XV საუკუნის შუახანებში ქუთაისის მეფე ვახტანგ გორგასლის შესახებ იხ. გ. არახამია, შ. ქარდავა. ქუთაისის მეფეები და მათი სამფლობელო XIII-XVI საუკუნეებში (იბეჭდება).

[36] ს. კაკაბაძე. სჯულმდებელი ბაგრატ კურაპალატი. ტფ. 1912, გვ. 4-6.

ც. ღვაბერიძეს ასევე მოჰყავს ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში შეტანილი კაცხის მონასტრის გუჯრების კრებული, სადაც მოიხსენიება ბაგრატ კურაპალატის მიერ ხელმოწერილი დავთარი.[37] თუმცაღა ამ მტკიცებულების საქმე უფრო რთულადაა. განვიხილოთ ეს საბუთი, რადგან მკვლევარს ის მხოლოდ აღწერილობის მიხედვით მოჰყავს. საბუთის დედანი დაკარგულია, არსებობს ოსე გაბაონის მიერ 1797 წელს გადაწერილი პირი, სადაც გადამწერი თავშივე გვატყობინებს საბუთის რაობას: „ბაგრატ კურად-პალატის ხელ-მოწერილი პ(ირვე)ლი დავთარი"; ბოლოში კი სამეფო დამტკიცება ტიტულის გარეშეა: „მღ(რ)თით მეფე ბაგრატ ვამტკიცებ წიგნსა ამას". თემო ჯოჯუას აზრით, ეს შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ მეფეს კურაპალატი გვიანდელმა გადამწერმა უწოდა. ამ აზრს ადასტურებს უფრო ადრე, 1785 წელს სოლომონ ლიონიძის მიერ „უმეტნაკლებოდ" გადაწერილი და ერეკლე II-ის მიერ სამეფო ბეჭდით დამოწმებული კაცხის მამულის იგივე დოკუმენტი, სადაც ბაგრატ მეფე ზუსტად ასეევეა დამოწმებული, მაგრამ არსად ჩანს კურაპალატის ტიტული.[38] ჩანს, კაცხის დავთარში ბაგრატი კურაპალატად არც მოიხსენიებოდა, მაგრამ, თავის მხრივ, გადამწერის ასეთი „შემოქმედება" სწორედ რომ არსებულ ტრადიციაზე უნდა მეტყველებდეს, რომლის თანახმადაც იმერთა მეფე ბაგრატ III კურაპალატად იწოდებოდა.

ამ ტრადიციაზე და გვიან შუასაუკუნეებში ბაგრატ III-ის ზედწოდების შესახებ არსებულ ცოდნაზე მიუთითებს ბიჭვინთის იადგარის გვიანდელი (XVII ს. დასაწყისის შემდგომი) მინაწერი, რომელიც მეფის ტიტულს დამახინჯებულად გადმოგვცემს: „ქ(რისტე). ეს დავთარი დიდი ბ[აგრატ] პალატ კურატის შეწირ[ულია]".[39] ცხადია, მინაწერის შემსრულებელმა იცის, რომ ბაგრატი კურაპალატად იწოდებოდა, მაგრამ აღარ ესმის ამ ძველი ბიზანტიური ტიტულის შინაარსი და მას წინაუკმოდ გადმოგვცემს.

როგორც ვხედავთ, იმერეთის მეფე ბაგრატი კურაპალატად მოიხსენიებოდა და ის შეიძლება იგულისხმებოდეს ხანჯლის წარწერაში. ყურადღებას იქცევს ისიც, რომ ბაგრატის წარწერა ხანჯლის წინა, საჩინო მხარეზეა მოთავსებული, სოლომონის ერცელი წარწერა კი უკანა პირზე, რაც იმაზე უნ-

[37] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. H კოლექცია. რედ. ე. მეტრეველი. ტ. IV. თბ. 1950, გვ. 210; ც. ღვაბერიძე. ბაგრატ კურაპალატის სამართლის ძეგლის დათარიღებისათვის, გვ. 445-446; მისივე. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ფრესკის ბაგრატ კურაპალატის ვინაობის შესახებ, გვ. 88.

[38] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართულ ხელნაწერთა ფონდის H კოლექცია. ხელნაწერი 1781, გვ. 5r-6r.

[39] გ. არახამია. ბიჭვინტის იადგარი. თბ. 2009, გვ. 59-60, 128, სურ. 22.

და მიუთითებდეს, რომ ხანჯლის პირველი პატრონი ბაგრატია. თავისთავად, ხანჯალზე ორი მეფის სახელის დატანა მის სამეფო ოჯახისადმი კუთვნილებას უნდა ადასტურებდეს.

მიუხედავად ასეთი მოცემულობისა, თავად ხანჯლის შესწავლა იარაღთმცოდნეობის თვალსაზრისით საწინააღმდეგო შედეგს გვაძლევს. მართალია, ადრეულ (XVIII ს.) კავკასიურ ხანჯლებს პირზე ქედი აქვთ,[40] მაგრამ სხვა ნიშნებით ხანჯალი აშკარად გვიანდელია: ტარის ბოლოში გობაკი მოზრდილ ფიგურულ ვარდულზეა განთავსებული, რომელიც 1820 წლისათვის ჩნდება კავკასიურ ხანჯლებზე.[41] გვიანდელობაზე გობაკის დიდი ზომა და მკვეთრი ამობურცულობაც მიუთითებს, რისი ტენდენციაც 1830-40 წლების შემდგომ შეინიშნება.[42] შეიძლება დავუშვათ, რომ ტარი უფრო გვიანდელი კონსტრუქციაა და ადრინდელ პირზეა მორგებული. თითქოსდა ამის სასარგებლოდ მეტყველებს ტარის ლითონის ფირფიტაზე ამოკვეთილი გვირგვინი, რომელიც პირზე გამოსახულ გვირგვინს ბაძავს, მაგრამ ზუსტად ვერ იმეორებს. თუმცა ხანჯლის პირზე კოფტგარით შესრულებული „იხვის თავების" ორნამენტი, რომელიც ხშირად გვხვდება ქართულ ხანჯლებზე 1830-55 წლებში,[43] მის ადრეულობას გამორიცხავს.

ამ ნიშნების ერთობლიობის მიხედვით, ხანჯალი, წესით, გვიანდელი უნდა იყოს (XIX ს.), მაგრამ საბოლოო სიტყვა მაინც პალეოგრაფიულ ექსპერტიზას ეკუთვნის,[44] რომელსაც პირზე დატანილი ასომთავრული წარწერის თარიღი უნდა გაერკვია. ამ სამუშაოსთვის საგანგებო მადლობას მოვახსენებ ისტორიის დოქტორს თემო ჯოჯუას. მისი დასკვნით, „ხანჯალზე ამოღარული ასომთავრული წარწერა პალეოგრაფიული თვალსაზრისით ორგანულ მსგავსებას ამჟღავნებს ძველნაბეჭდ ქართულ გამოცემებში გამოყენებულ სტამბურ ასომთავრულ შრიფტთან. ამ მხრივ, პირველ რიგში, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გრაფემები, მათი ჭუსლისა და შეეული წანაზარდების ჩათვლით, მკაცრად ორსაზოვან ბადეშია მოქცეული, როგორც ამას სტამბური შრიფტით დაბეჭდილ ტექსტებში ვხედავთ. განსაკუთრებით დამახასიათებელია გრაფემების ბ-ანის, გ-ანის და პ-არის მოხაზულობა: ამ გრაფემათა კორპუსის

40 К. Ривкин. Холодное Оружие Кавказа. Запорожье. 2012, გვ. 45.

41 К. Ривкин. Холодное Оружие Кавказа, გვ. 41, სურ. 16.6.

42 К. Ривкин. Холодное Оружие Кавказа, გვ. 42.

43 K. Rivkin. Arms and Armor of Caucasus, გვ. 253.

44 რადგან თეორიულად მაინც შეიძლება დავუშვათ ნაკლებად შესაძლებელი ვარიანტი და ტარის მსგავსად ოქროს ორნამენტიც პირზე მოგვიანებით დატანილად მივიჩნიოთ.

სიმაღლე შემცირებულია, რის საკომპენსაციოდაც საგრძნობლად არის გაზრდილი მათი ტეხილი ჭუსლის ან მარცხნივ გაზიდული მხრის ზომა. პრაქტიკულად იდენტურია ხანჯლის წარწერისა და სტამბური შრიფტის ზოგადი ვიზუალური სახეც. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, წარწერა შესრულებული უნდა იყოს პირველი ძველნაბეჭდი ქართული წიგნის – 1709 წლის სახარების დაბეჭდვის შემდგომ პერიოდში".

ამ დასკვნის შემდეგ აღარავითარი ეჭვი არ რჩება და ხანჯლის ბაგრატ III-ისადმი მიკუთვნების შესაძლებლობა და, შესაბამისად, მისი (ან თუნდაც მხოლოდ პირის) XVI საუკუნით დათარიღება გამორიცხულია. აღნიშნული ხანჯალი XIX საუკუნის პირველ ნახევარში უნდა იყოს დამზადებული და მისთვის მეტი მნიშვნელობის მისაცემად ზედ იმერეთის ცნობილ მეფეთა სახელებია დატანილი.[45]

და მაინც, მიუხედავად იმ უარყოფითი შედეგისა, რომელიც აღნიშნული არტეფაქტის შესწავლამ მოგვცა, გამორიცხული არ არის, რომ ქართული ტიპის ხანჯალი XVIII საუკუნეზე უფრო ადრე იყოს შექმნილი და გავრცელებული. კ. რივკინი, მართალია, როდესაც თვლის, რომ ხანჯალი თავიდან ძვირი იარაღი იყო, რომელსაც შეძლებული ადამიანები ატარებდნენ, მაგრამ ცდება ქრონოლოგიაში, როდესაც მიიჩნევს, რომ კავკასიელი მამაკაცისათვის ხანჯალი მხოლოდ 1840 წლის შემდეგ გახდა საყოველთაოდ მისაწვდომი.[46] ჩვენ მოგვეპოვება ცნობა, რომლის თანახმადაც ხანჯალი გაცილებით ადრე იყო მასობრივად გავრცელებული საქართველოში. ცხადია, ხანჯლის მასობრივი გავრცელება დაკავშირებული უნდა იყოს საკუთრივ კავკასიური ტიპის ხანჯლის გაჩენასთან, როდესაც მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი ხდება ადგილობრივად დამზადებული იარაღი.

არსებობს მეტად მნიშვნელოვანი მოხსენება, რომელიც ტოლოჩანოვისა და იეველევის რუსულმა ელჩობამ შეადგინა 1651 წელს იმერეთში მოგზაურობის შედეგად. რუსებმა დეტალურად აღწერეს სამეფოს გეოგრაფიული და პოლიტიკური ვითარება, მატერიალური და ადამიანური რესურსები, აღნუსხეს ციხე-სიმაგრეები და ეკლესია-მონასტრები, ჩაიწერეს ადგილობრივ მცხოვრებთა ჩვეულებები. ეს მრავალმხრივი, თვითმხილველთა მიერ შედგენილი მოხსენება უნიკალურ მასალას გვაწვდის XVII საუკუნის შუახანების იმერეთის შესა-

[45] ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ სოლომონ I-ის წარწერა მეფეს წარსული ფორმით მოიხსენიებს, თითქოს უკვე გარდაცვლილ მეფეზე და გადამხდარ სახელოვან ბრძოლებზე მოგვითხრობს.

[46] K. Rivkin. Arms and Armor of Caucasus, გვ. 127, 253.


ხებ.[47] სწორედ ამ მოხსენებაში ვპოულობთ ჩვენთვის საინტერესო ცნობას, რომ იმერეთის სამეფოში „ყველას სატევარი (кинжал) აქვს წელზე".[48] დოკუმენტში არ არის დასახელებული და აღწერილი ხანჯლის ტიპი, მაგრამ ის ირიბად ქართული (კავკასიური) ხანჯლის ტიპზე მიუთითებს, რომელიც ადგილობრივ მასობრივად მზადდებოდა და არა ირან-ოსმალეთიდან შემოტანილ იარაღზე, რომელიც ფართო მასებისათვის ასეთი ხელმისაწვდომი ვერ გახდებოდა.

ტოლოჩანოვისა და იეველეევის ელჩობის ცნობა სერიოზულ საბაბს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ საკუთრივ კავკასიური ტიპის ხანჯალი უკვე არსებობს და ის მასობრივადაცაა გავრცელებული. თუმცა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ მხოლოდ ამის საფუძველზე ძნელია ვამტკიცოთ XVII საუკუნის შუახანებში ქართული ხანჯლის არსებობა. კვლავინდებურად ძლიერ არგუმენტად რჩება XVII საუკუნის ქართულ მხატვრობაში კავკასიური ხანჯლის აუსახველობა: ის არ გვხვდება არც თავაქარაშვილის მინიატურებსა და არც კასტელის ალბომში. კვლევის ამ ეტაპზე საკითხი ღიად რჩება და XVIII საუკუნემდე ქართული (კავკასიური) ხანჯლის არსებობის მტკიცება კვლავინდებურად დამატებით არგუმენტაციასა და შემდგომ ძიებას საჭიროებს.


[47] ქვეშოთ გრძელ ექსცერპტს მოვიყვან, საიდანაც ნათლად ჩანს ელჩებისადმი მიცემული დავალება, რომელიც მათ ზედმიწევნით შეასრულეს. „ზანაურ სიკიფორე ტოლოჩანოვისა და მდივნის (დიაკის) ალექსი იეველეევისათვის განკუთვნილ განაწესში ეკითხულობთ: „სიკიფორემ და ალექსი მდივანმა უნდა დაათვალიეროს იმერეთის ქვეყანა, გამოიკითხონ და ყოველი ღონისძიების საშუალებით ხელთ იგდონ ზუსტი ცნობები იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს იმერეთის ქვეყანა, რაოდენ ვრცელია იგი, რამდენი ვერსის მანძილზეა გადაჭიმული, რამდენ ქალაქს და დასახლებულ ადგილს შეიცავს და საერთოდ რაოდენ დასახლებულია, ხალხი როგორია... რა მოდის უხვად მათ მიწაზე, როგორი იცის ხორბლის მოსავალი, როგორი ქსოვილები მოიპოვება, რა ნივთი იაფია იქ და რა ძვირობს, რამდენი და რა და რა გვარი (მოსამსახურე პირია) და რა იარაღით იბრძვიან, ყავთ თუ არა ვაჭრები, ადგილობრივად ვაჭრობენ თუ სხვა ქვეყნებშიც დადიან სავაჭროდ. რაგვარ საქონელს აწარმოებენ... ყოველივე ამის შესახებ ნამდვილი (უტყუარი) ცნობები უნდა შეკრიბოთ და დაწერილებით, ჩასწეროთ მოხლობრივ აღწერილობაში". ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მოხლობრივი აღწერილობა. რუსული ტექსტი ქართული თარგმანით და ხელნაწერების მიმოხილვით გამოსაცემად მოამზადა ი. ცინცაძემ. თბ. 1970, გვ. 49.

[48] ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მოხლობრივი აღწერილობა, გვ. 150, 263.


ილუსტრაციები:



სურ. 1. ძვ.წ. I ათასწლეულის I ნახევრის სატევრები: ა) რკინის სატევარი ბრილიდან, ბ) ბრინჯაოს სატევარი ნიგოზეთიდან. დ. ყუფარაძის მიხედვით.



სურ. 2. მოდინახური სატევრები. ჯ. ნადირაძის მიხედვით.



ა ბ

სურ. 3: ა) შერგილის ქვასვეტი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ავტორის ფოტო; ბ) მრავალძლის წმ. გიორგი. ავტორის ფოტო.



სურ. 4. ხელოვნების მუზეუმში დაცული ხანჯლის წარწერები. ავტორის ფოტო.

Mamuka Tsurtsumia

GEORGIAN KHANJALI

Summary

Khanjali is a double-edged dagger with straight or curved blade suitable both for thrusting and cutting. It is designed for hand-to-hand combat when other arms prove to be less effective, for instance, while fighting in a narrow space or during unexpected attacks. Khanjali is the best known Caucasian weapon characterised by a broad two-edged blade tapering towards the tip, rounded flat pommel and a hilt without a guard.

It is considered in Georgian historiography that the khanjali has continuously existed and evolved in the territory of Georgia until it received its well-known shape. Foreign scholars interested in Caucasian arms hold different views regarding the origin of the khanjali. Specifically, they believe that the Caucasian dagger appeared as late as the 18th century.

It should be mentioned that the archeological samples of the medieval Georgian daggers have not been discovered yet. What is more, iconographic research of the issue does not yield better results either, as it is not possible to observe the process of evolution of the Georgian (Caucasian) daggers during the centuries. It is only possible to single out separate interesting images which do not provide an opportunity to construct a whole, unbroken evolutionary chain.

This article presents and discusses an exhibit of great significance in the process of tackling the above discussed issue. According to the inscriptions on the khanjali kept in the Museum of Fine Arts of Georgia, it might have belonged to two Kings of Imereti: Bagrat III (1510-65) and Solomon I (1752-84). If this was so, we would be dealing with a unique artifact confirming the existence of a fully formed and developed Georgian khanjali in the 16th century.

Further research revealed that the object under the study must have been made in the first part of the 19th century and in order to increase its importance, the names of well-known Imeretian Kings were inscribed on it.

Despite a negative result yielded by the study of the above mentioned artefact, it is still feasible that the Georgian dagger was developed and spread

earlier than the 18th century. According to an important and detailed report, written by the Russian ambassadors Tolochanov and Ievlev in 1651 after travelling in Imereti, – "all [the people] have a dagger (kinjal) around their waists." Although the exact type of the dagger is neither named nor described in the document, it still points to the Georgian khanjali being produced locally in large numbers and not a foreign dagger which would not be so easily available for ordinary people.

The information provided by Tolochanov and Ievlev presents serious evidence to argue that the Caucasian khanjali existed and was massively spread. However, it should also be noted that based only on this argument it would not be advisable to argue that Georgian khanjali existed in the middle of the 17th century. At this stage of the research this issue still remains open and to substantiate the existence of the Georgian (Caucasian) khanjali till the 18th century still needs additional argumentation and further research.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XI
თბილისი. 2016

აპოლონ თაბუაშვილი

მასალები XVIII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის

ფეოდალური ეპოქის საქართველოს ეკონომიკური ისტორიის მრავალი საკითხი სრულყოფილად არ არის შესწავლილი და მოითხოვს შემდგომ კვლევა-ძიებას. აღნიშნულ სტატიაში ყურადღება გამახვილებულია საოჯახო მეურნეობის მდგომარეობაზე XVIII საუკუნეში. ამჯერად მიმოვიხილავთ გლეხურ მეურნეობას. გვიანი ფეოდალური ეპოქის ეკონომიკური ისტორიის შესასწავლად ფართო წყაროთმცოდნეობითი ბაზა არსებობს. სხვადასხვა ტიპის დოკუმენტებიდან შესაძლებელია ძირითადი სასაქონლო პროდუქციის ფასების შესახებ ზუსტი ინფორმაციის მიღება. ასევე, შესაძლებელია გლეხური მეურნეობის საშუალო სიდიდის განსაზღვრა.

ბუნებრივია, ყველა გლეხი თანაბარი რაოდენობის მიწას არ ფლობდა. დიფერენციაციის მიუხედავად, შესაძლებელია გლეხთა სარგებლობაში არსებული მიწების ოდენობის შუალედური გაანგარიშება და მათ მიერ გამომუშავებული პროდუქციის ღირებულების გამოთვლა.

საგლეხო მეურნეობის მოცულობის განსაზღვრას ქართულმა ისტორიოგრაფიამ მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება გ. აკოფაშვილის,[1] დ. მეგრელაძის,[2] ე. ორჯონიკიძის,[3] ი. ანთელა-

[1] გ. აკოფაშვილი. გლეხთა ეკონომიური მდგომარეობა XVIII ს. მეორე ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე. თბ. 1963. № 5(14), გვ. 124-141; გ. აკოფაშვილი. გლეხური და საბატონო მეურნეობის განვითარება. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 533-539.

[2] დ. მეგრელაძე. გლეხთა ეკონომიური მდგომარეობისათვის XVII-XVIII სს. ქართლის მასალების მიხედვით. მაცნე. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო. თბ. 1965. № 5 (26), გვ. 193-204.

[3] ე. ორჯონიკიძე. მასალები თელავის მაზრის გლეხთა დიფერენციაციის შესახებ XIX ს. პირველ ნახევარში. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის (მსკი). ნაკვ. 33. თბ. 1960, გვ. 217-232.

ვას[4] და სხვათა ნაშრომები.

მიუხედავად აღნიშნული გამოკვლევებისა, ჩვენ მიერ დასმული საკითხი ბოლომდე შესწავლილი არ არის. აღნიშნულ და სხვა ნაშრომებში შეფასებები ზოგადია და, ძირითადად, კვლევის სხვა მიზნებია დასახული, ისეთი როგორიცაა კლასობრივი ბრძოლა, მოსახლეობის ქონებრივი დიფერენციაცია, ფულადი და ნატურალური გადასახადების შეფარდება და ა.შ. ამჯერად ჩვენი მიზანია ყურადღება გავამახვილოთ უფრო კონკრეტულ საკითხზე და განვსაზღვროთ საოჯახო მეურნეობის მიახლოებითი მოცულობა. გვიანი ფეოდალური ხანის შესახებ არსებული წყაროები ამის საშუალებას იძლევა. ამ საქმეს კი გვიადვილებს როგორც მდიდარი წყაროთმცოდნეობითი ბაზა, ასევე, ქართული მეტროლოგიის შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, შესაძლებელი ხდება, დავადგინოთ ამ ეპოქაში ძირითადი სასაქონლო პროდუქციის ფასები და რეალურად განვსაზღვროთ მეურნეობათა სიდიდე. მომავალში ვეცდებით როგორც ფეოდალური მეურნეობის, ასევე, სადედოფლო, საუფლისწულო და სამეფო მამულებთან მიმართებით ანალოგიური სამუშაოს ჩატარებას. ამჯერად კი მხოლოდ ქვედა ფენების საოჯახო მეურნეობას შევეხებით.

გლეხთა სარგებლობაში არსებული მიწები განსაზღვრავდა მათი მეუნეობის მოცულობას. შესაბამისად, ერთ-ერთი მთავარი საკითხი არის გლეხთა სარგებლობაში არსებული მიწების მოცულობის დადგენა. არსებობდნენ უმიწო („ბოგანო"), მცირემიწიანი, საშუალო სიდიდის მიწის მფლობელი და შედარებით დიდი ფართობის მქონე გლეხური ოჯახები. ამ მხრივ გლეხები შესაბამის კატეგორიებად იყოფოდნენ და დაყოფა მიწათსარგებლობასთან იყო დაკავშირებული. სამკვიდრო მამულთან ერთად (საუბარია გლეხის მუდმივ სარგებლობაში და არა საკუთრებაში არსებული მიწაზე) გლეხთა ნაწილს გააჩნდა ე.წ. „ნასყიდი" მამულებიც. საქართველოს ზოგიერთ რეგიონში, ასევე, არსებობდა გადაუნაწილებელი სათემო მიწები, რომლებიც, რა თქმა უნდა, გლეხები ამუშავებდნენ. ამ პერიოდში გავრცელებული იყო, აგრეთვე, ფეოდალთა მიწების „საღალედ" აღება და დამუშავება. საღალედ მიწებს იღებდნენ ის გლეხები, რომლებსაც არ ჰყოფნიდათ „საკომლო" (სამკვიდრო) მამული და ზედმეტი მიწის დამუშავების ფიზიკური შესაძლებლობა გააჩნდათ. „საღალედ" იღებდნენ მიწას „ხიზანი" და უმიწო გლეხებიც თუმცა უმიწო გლეხთა

[4] ი. ანთელავა. XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხასიათის საკითხისათვის. თბ. 1977.

ნაწილი, როგორც წყაროებიდან ჩანს, სხვის, მათ შორის შეძლებული გლეხების მამულში ყოველდღიური შრომით ირჩენდნენ თავს.

XVIII საუკუნეში საგლეხო მამულის, ანუ, „საკომლოს" ოდენობის შესახებ განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული. წყაროებიდან ჩანს, რომ მკაცრად დადგენილი ნორმა არ არსებობდა და სხვადასხვა კომლს განსხვავებული ოდენობის მიწა ეკავა. გ. აკოფაშვილის აზრით, XVIII საუკუნეში საკომლო 60 დღიურით განისაზღვრებოდა, XIX საუკუნის დასაწყისიდან – 20-40-ით, ხოლო იმავე საუკუნის მეორე ნახევარში კი – 10-12 დღიურით.[5] გამოთქმულია სხვა მოსაზრებებიც. საქმე ის არის, რომ როგორც აღინიშნა, გლეხები სხვადასხვა ოდენობის „საკომლოებს" ფლობდნენ და ამიტომ წყაროებში ყველა კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებული მონაცემია მოყვანილი. რაც შეეხება XVIII საუკუნის აღწერის მონაცემებს, აქ საკომლოს ოდენობა არ არის განსაზღვრული. სამაგიეროდ, XIX საუკუნის დასაწყისის კამერალური აღწერები ამ მხრივ გაცილებით მეტ ინფორმაციას გვაწვდიან. ეს მონაცემები სწორედ XVIII საუკუნის ვითარებას გადმოგვცემს. ამ აღწერებს მრავალი ნაკლი გააჩნია, თუმცა შესაძლებელია რეალურთან მიახლოებული სურათის დანახვა.

1836 წლის რუსი მოხელეების დასკვნით, რომელიც აღწერის მონაცემებზეა დაფუძნებული, თელავის მაზრაში კომლზე საშუალოდ 10 დესეტინა სახნავ-სათესი მიწა მოდიოდა[6]. ერთი დესეტინა მცირე დამრგვალებით 1 ჰექტარია (კონკრეტულად 1, 09 ჰ.). დღიური მიწა უდრიდა 0,5 ჰექტარს[7]. ერთი სიტყვით, ამ მონაცემის მიხედვით, ერთი კომლი 20 დღიური მიწის მფლობელი ყოფილა. ბუნებრივია, აქ აბსოლუტური მონაცემია მოყვანილი. რეალობაში კი, როგორც აღვნიშნეთ, დიფერენციაცია შორს იყო წასული და ზოგიერთი კომლი საერთოდ არ ფლობდა მიწას, ნაწილი კი შედარებით დიდი რაოდენობის მიწის მფლობელად გვევლინება.

უფრო კონკრეტულ მონაცემებს მივაქცევთ ყურადღებას. ამ მხრივ აღსანიშნავია 1804 წლის თელავის მაზრის მოსახლეობის აღწერა. აქ მოტანილი ინფორმაცია ზუსტად ასახავს XVIII საუკუნის II ნახევრის ვითარებას, რადგან რუსული მმართველობის დამყარების მიუხედავად, შეუძლებელია 2-3 წელიწადში ამ მხრივ რაიმე ცვლილება მომხდარიყო. აქ მოცემულია მოსახ-

5 გ. აკოფაშვილი. გლეხური და საბატონო მეურნეობის განვითარება, გვ. 533.
6 ე. ორჯონიკიძე. მასალები თელავის მაზრის გლეხთა დიფერენციაციის შესახებ XIX ს. პირველ ნახევარში, გვ. 217.
7 გ. ჯაფარიძე. ნარკვევები ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან. თბ. 1973. გვ. 158.

ლობა კუთვნილების მიხედვით (საბატონო, სახაზინო, საკათალიკოსო, საეკლესიო-სამონასტრო). შემდეგ აღნიშნულია მამულიანთა და უმამულოთა რაოდენობა. ასევე, რომელი მამულიანი კომლი რამდენ მიწას, ვენახს, წისქვილს და ა.შ. ფლობდა. აღწერილია 83 სოფელი, სადაც ცხოვრობდა 4804 კომლი გლეხი, აქედან 18088 მდედრობითი სქესის და 16000 მამრობითი სქესის, სულ 34088 მოსახლე. მათგან სახაზინო, ანუ ყოფილი სამეფო, სადედოფლო და საუფლისწულო, 1386 კომლი, საბატონო 1811 კომლი, საკათალიკოსო 98 კომლი, საეკლესიო 1233 კომლი, 2 განთავისუფლებული კომლი.[8] ერთი სიტყვით, აქ მოცემულია ქართული ფეოდალური მიწათმფლობელობის საერთო სურათი, თანაც ეს ეხება საკმაოდ დიდ ტერიტორიას. ამიტომ, ჩვენი აზრით, აქ დაფიქსირებული რეალობა თავისუფლად შეიძლება გავავრცელოთ მთელს აღმოსავლეთ საქართველოზე.

აღწერაში შეყვანილი 4804 კომლიდან სახნავ-სათესი მიწის მფლობელია 3987 კომლი, სახნავ-სათეს მიწასთან ერთად ვენახი აქვს 3280 კომლს, მათგან მცირე ნაწილს კი – მხოლოდ ვენახი. 700-მდე კომლს არ გააჩნია მიწა. სულ მამულიან 3987 კომლის სარგებლობაშია 45 000-მდე დღიური სახნავ-სათესი მიწა და დამატებით ვენახი. თუ აღნიშნულ მიწას გავყოფთ მამულიან კომლებზე, გამოდის, რომ კომლი საშუალოდ ფლობდა 12 დღიურამდე მიწას. ხოლო თუ მიწათმფლობელ კომლთა სრულ მოსახლეობაზე, ანუ 27900 სულზე ვიანგარიშებთ, მაშინ ერთ მოსახლეზე დაახლოებით 1,6 დღიურ მიწას მივიღებთ. სოფლების მოსახლეობის 14%-ს მიწა არ გააჩნდა. აღწერიდანვე ჩანს, რომ მათი მცირე ნაწილი არასამიწათმოქმედო საქმიანობით (მჭედლობა, ნალბანდობა, დალაქობა და სხვა) ყოფილა დაკავებული, ნაწილი საბატონო მიწებს ამუშავებდა „საღალედ“, ნაწილს კი საკუთარი საოჯახო მეურნეობა არ გააჩნდა და სხვის მამულში ყოველდღიური შრომით ირჩენდა თავს. ესენი იყვნენ „ბოგანოები“, „შეუძლებლები“. სხვის მამულზე ხვნა-თესვით, ანუ „საღალედ“ აღებული მიწებით უმიწო 700 კომლიდან 476 კომლი ირჩენდა თავს.

ზოგადად მოსახლეობის ნაწილი ხალიჩა-ფარდაგების ქსოვით (35 კომლი), ვაჭრობით (111 კომლი), ხელოსნობით (20 კომლი), ბატონთან მუშაობით (63 კომლი) და სხვა სამუშაოთი იყო დაკავებული. აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ ყველა ხელოსანი, ან ყველა ვაჭარი უმამულო

[8] გ. ბოქორიძე. კახეთის აღწერა 1801-1802 წლისა. საქართველოს არქივი. წ. III. ცხრილი №4. თელავის მოსახლეობა წოდებათა მიხედვით 1804 წ.

არ იყო და ამ საქმიანობით მამულიანი კომლებიც იყვნენ დაკავებულები. აღწერიდან ჩანს, რომ მიწათმოქმედების პარალელურად მესაქონლეობას 832 კომლი მოსდევდა, ანუ საერთო მოსახლეობის დაახლოებით 17,5%, ხოლო მეაბრეშუმეობას – 900-მდე კომლი, ანუ – დაახლოებით 18,5%.

ბუნებრივია, ჩვენ მიერ მოტანილი მამულიანი კომლებიდან, რომელთა საერთო რაოდენობა 3987-ია, ყველა თანაბარი ოდენობის მიწას არ ფლობდა. ნაწილი მცირემიწიანი იყო (ერთიდან 5 დღიურამდე), ნაწილი გაცილებით მეტს ფლობდა (ამას ადასტურებს მრავალი ისტორიული საბუთი და, ასევე, ცოტა მოგვიანებით შედგენილი 1821 წლის კამერალური აღწერა, სადაც თელავის მაზრის სახაზინო გლეხთა 2200 ოჯახიდან დაახლოებით 10% 20-დან 100 დღიურ მიწას და უფრო მეტს ფლობდა[9]). ამდენად, ჩვენი გათვლებით, მამულიანი მოსახლეობის 15-20% მცირემიწიან გლეხთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა და მათ მფლობელობაში მოიაზრება 1-5 დღიური მიწა, დაახლოებით 10%-ს 20 დღიურზე მეტი სახნავ-სათესი მიწა გააჩნდა, ხოლო უმეტეს მათგანს (70-75%-ს) საშუალოდ 12-15 დღიური სახნავ-სათესი მიწა ჰქონდა დასამუშავებლად.

ერთი სიტყვით, ჩვენი ვარაუდით, საშუალო შეძლების გლეხებს 12-15 დღიური სახნავ-სათესი მიწა გააჩნდა. სწორედ ამ მონაცემის მიხედვით მოვახდენთ გლეხთა საოჯახო მეურნეობის მოცულობის გაანგარიშებას. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სახნავ-სათესი ფართობის გარდა, გლეხთა დიდ ნაწილს გააჩნდა ვენახი, ასევე, ხეხილის მცირეფართობიანი ბაღი და სხვა.

თავდაპირველად უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ მიერ საშუალო შეძლების გლეხთა სარგებლობაში არსებული მიწის მიახლოებით აღებული ციფრიდან, 12-15 დღიური მიწიდან, ყოველწლიურად შესაძლებელი იყო მაქსიმუმ 6-7,5 დღიურის დამუშავება, რადგან იმდროინდელი ტექნოლოგიების პირობებში სრულფასოვანი მოსავლის მისაღებად აუცილებელი იყო მიწის ყოველწლიური დასვენება. ამასთან ერთად უნდა გავითვალისწინოთ ბოსტნეულისთვის და სხვა საჭირო კულტურებისათვის გამოყოფილი მიწის ფართიც. ერთი სიტყვით, საშუალო შეძლების გლეხს ყოველწლიურად შეეძლო 5-6 დღიური მიწის დამუშავება. ვნახოთ, თუ რა რაოდენობის მოსავლის მიღება შეეძლო გლეხს აღნიშნული მოცულობის ფართობში.

დასტურლამალის მიხედვით, ივ. ჯავახიშვილმა დაადგინა, რომ დღიურ

9 ე. ორჯონიკიძე. მასალები თელავის მაზრის გლეხთა დიფერენციაციის შესახებ XIX ს. პირველ ნახევარში, გვ. 219.

მიწაზე ითესებობა 2,5 კოდი ხორბალი, ხოლო მოსავალი 8 ჯერადი ყოფილა[10]. ამდენად, 1 დღიურ მიწაზე შესაძლებელი ყოფილა 20 კოდი ხორბლის, ანდაც ქერის, მიღება. ხოლო 5-6 დღიურ მიწაზე 100-120 კოდი მარცვლეულის მოწევა შეიძლებოდა. იმის გათვალისწინებით, რომ ქართლისა და კახეთის ბარში საჭიროებიან გამომდინარე საერთო სახნავ-სათესი ფართობის დაახლოებით მესამედში ითესებოდა ქერი (სახელმწიფო გადასახადიც ამის პროპორციული იყო – ორი წილი ხორბალი, ერთი წილი ქერი), გამოდის, რომ საშუალო შეძლების ოჯახი ყოველწლიურად იღებდა დაახლოებით 70-80 კოდ ხორბალს და 30-40 კოდ ქერს. XVIII საუკუნეში კოდის წონა მერყეობდა 30-დან 36 კილოგრამს შორის. აქედან გამომდინარე, გლეხის ყოველწლიური მოსავალი საშუალოდ შეადგენდა 2400 კგ. ხორბალს და 1150 კგ. ქერს. მცირედით განსხვავებულ მონაცემებს გადმოგვცემს თბილისის პოლიციმაისტერი იოსებ შაგუბატოვი. მისი ცნობით, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში დღიურ მიწაზე თესავდნენ 2,5 კოდ ხორბალს და 3 კოდ ქერს. აღებისას კი იღებენ 25 კოდ ხორბალს და 30 კოდ ქერს.[11] როგორც ვხედავთ, მისი ცნობით, მოსავალი 10-ჯერადი ყოფილა. თანაც, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ იმ პერიოდში კოდის წონა შეადგენდა 36 კგ.-ს, ხოლო XVIII საუკუნის დასაწყისში – 30 კგ.-ს. როგორც ჩანს, ვახტანგ VI-მ საკანონმდებლო ძეგლში მოსავლიანობა მინიმალური ოდენობით განსაზღვრა, რათა გადახდისუნარიანობას საფრთხე არ დამუქრებოდა.

ახლა გავარკვიოთ XVIII საუკუნის II ნახევარში ხორბლის და სხვა იმდროინდელი პირველადი პროდუქტების ფასები. რაც შეეხება ხორბალს, გიულდენშტედტის ცნობით, 1772 წელს თბილისში ერთი ბათმანი, ანუ ერთი ლიტრა[12] ხორბალი რუსულ ფულზე ღირდა 8 კაპიკი.[13] შესაბამისად, 10 ლიტრა, ანუ ერთი კოდი ხორბალი თბილისში 80 კაპიკი, ანუ 4 აბაზი ღირდა. ერთი ლიტრა, გიულდენშტედტისავე ცნობით, 8¾ რუსულ ფუნტს შეად-

[10] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორია. წიგნი პირველი. თბ. 1930, გვ. 379.

[11] მასალები XIX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს ისტორიისათვის: იოსებ შაგუბატოვი – აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღწერა. რუსული ტექსტის ქართული თარგმანი, გამოკვლევით, კომენტარებით, საძიებლებითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აპოლონ თაბუაშვილმა და გიორგი ჟუჟუნაშვილმა. თბ. 2015, გვ. 53.

[12] გიულდენშტედტის მიხედვით, ბათმანის და ლიტრის წონა იდენტურია. იხ.: გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გია გელაშვილმა. თბ. 1962, გვ. 237.

[13] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 93.

გენდა, რაც 3,6 კილოგრამს უდრის. ხოლო კოდი, ანუ 10 ლიტრა 36 კილოგრამია.[14]

თბილისისგან განსხვავებით რეგიონებში ხორბალი შედარებით იაფი ყოფილა. გიულდენშტედტი კახეთში ერთი ბაომანის (ლიტრის) ფასს 6 კაპიკს ასახელებს,[15] რის მიხედვითაც, ერთი კოდის ფასი კახეთში 60 კაპიკი, ანუ 3 აბაზი გამოდის. ხორბლის ანალოგიური ფასია დასახელებული XVIII საუკუნის მიწურულს ერთ საბუთში: *„პურისა... გაყიდვა გებრძანებინა, სამ აბაზ იქით არავინ მაძლია...“*, ატყობინებდა თავად მანუჩარ თუმანიშვილს მისი მოხელე შიდა ქართლიდან.[16] ამ შემთხვევაშიც, ქართლში ერთი კოდი ხორბლის ფასი 3 აბაზით განისაზღვრებოდა. თუმცა გვაქვს სხვა მონაცემებიც. ბეჟან ამილახვრისშვილი თავისი დანაბარკვების ნუსხაში აღნიშნავდა: *„... პური, რომ არ დამხვდა, რაც იმ წელიწადს პური მოუნდებოდა მე მიყიდნია კოდი ოთხ აბაზათ...“*. სხვა ადგილას კი 250 კოდი ხორბალი 175 მინალთუნად არის შეფასებული,[17] ანუ ერთი კოდი ხორბალი – 3 აბაზად და 2 შაურად. 1783-1784 წლებში სახელმწიფო გადასახადის შეკრებისას (კომლზე სამი კოდი ფქვილი, რომელიც გროვდებოდა ნახევარი ფულადი გადასახადით, ნახევარი ნატურით) ერთი კოდი ფქვილის ფასი ერთ მინალთუნად (5 აბაზად) არის შეფასებული.[18] ფქვილი, ბუნებრივია, ხორბალთან შედარებით ძვირი ღირდა. როგორც ვხედავთ, ხორბლის ფასი ცვალებადი იყო და საშუალოდ 1 კოდი (36 კილოგრამი) 3-4 აბაზი ღირდა. იმავე ეპოქაში კოდი ქერი 40 რუსული კაპიკი, ანუ 2 აბაზი ღირდა.[19]

თუ ჩვენ საშუალო შეძლების გლეხის მოსავალს საბაზრო ფასებში გა-

[14] XIX საუკუნის 10-იან წლებში კოდის წონას 9 ფუნტით, ანუ დაახლ. 37 კილოგრამით განსაზღვრავდა თბილისის პოლიციმეისტერი იოსებ შაგუბატოვიც. იხ.: მასალები XIX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს ისტორიისათვის: იოსებ შაგუბატოვი – აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღწერა, გვ. 53.

[15] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 255.

[16] გ. აკოფაშვილი. მანუჩარ თუმანიშვილის მეურნეობა (XVIII ს. მეორე ნახევარი - XIX ს. დამდეგი). კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები. თბ. 1966, გვ. 410; კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი – Hd-14394.

[17] მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. გვიანფეოდალური ხანა. წ. I (ხელფასი, ქირა, ფასები). მასალები შეარჩია და გამოსცა ნ. ბერძენიშვილმა. თბ. 1938, გვ. 79-81.

[18] მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. გვიანფეოდალური ხანა. წ. III (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება). მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა. თბ. 1955, გვ. 70-80.

[19] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 255.

დავიყვანთ, გამოდის, რომ მის მიერ წლიურად მიღებული ხორბლის ღირებულება შეადგენდა დაახლოებით 45-55 მინალთუნს (45-55 რუსულ მანეთს), ხოლო ქერის მოსავალი – 12-16 მინალთუნს.

გლეხის მოსავლის დაახლოებით მეექვსედი, ზოგჯერ მეხუთედი, საბატონო გადასახადი იყო. ანუ მოწეული 70-80 კოდი ხორბლიდან გლეხი მებატონეს 11-16 კოდს უხდიდა, იხდიდა, ასევე, 5-7 კოდ ქერს. აღნიშნული მოსავლიდან თითოეული კომლი ვალდებული იყო ყოველწლიურად სახელმწიფოს სასარგებლოდ გადაეხადა 2 კოდი ხორბალი და 1 კოდი ქერი.

მორიგე ჯარის განჩინებიდან და სხვა წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ იმ ეპოქაში ერთი ადამიანის გამოსაკვებად თვეში იანგარიშებოდა 1 კოდი ხორბალი. აქედან გამომდინარე, ერთი სრულწლოვანი ადამიანის გამოსაკვებად მთელი წლის განმავლობაში საჭირო იყო 12 კოდი ხორბალი. 5-6 წევრიანი კომლის გამოსაკვებად, სადაც 2-3 სრულწლოვანი ადამიანი ცხოვრობდა, საჭირო იყო მინიმუმ 45-50 კოდი მარცვლეული. ამას თუ დავუმატებთ საბატონო და სახელმწიფო ნატურალურ გადასახადებს, ასევე, მოსავლის მისაღებად გასაწევ გარკვეულ ხარჯებს, საშუალო შეძლების გლეხს ყოველწლიურად 5, უკეთეს შემთხვევაში 10 კოდი ხორბლის გაყიდვა შეეძლო, რაც დაახლოებით 3,5-7 მინალთუნი იყო. ასევე, უკეთეს შემთხვევაში 2-4 მინალთუნის ქერის ბაზარზე გატანა იყო შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ ბაზარზე გატანილი პროდუქტის გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრებიც ხშირ შემთხვევაში დამატებით დაწესებულ სახელმწიფო გადასახადებს, ან ფულად საბატონო გადასახადებს ხმარდებოდა. მოუსავლიანობის წლებში კი, ჩანს, ურთულესი მდგომარეობა იყო.

ზოგიერთ შეძლებულ გლეხს გაცილებით დიდი მოსავალი ჰქონდა. მაგალითად ქართლში გლეხი ბერუაშვილი ყოველწლიურად ხნავდა 15 დღიურს, ბურნაძე – 30 დღიურს, გუნიაშვილი 18 დღიურს, მაისურაძე 25 დღიურს და უფრო მეტს.[20]

აქვე მოკლედ შევეხებით მევენახეობით მიღებულ მოსავალს. როგორც აღვნიშნეთ, აღწერილი 4804 კომლიდან 3280 კომლს ვენახი გააჩნდა. ჩანს, ვენახი ჰქონდა საშუალო შეძლების კომლთა უმრავლესობას. კახეთის მსგავსად ვენახები გააჩნდათ ქართლშიც. უმეტეს შემთხვევაში ერთი კომლი ერთ ვენახს ფლობდა. წყაროების მიხედვით, ერთი ვენახიდან 5 საპალნეზე მეტ

[20] ი. ანთელავა. XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხასიათის საკითხისათვის, გვ. 162-163.

ღვინოს იღებდნენ. საპალნე 80 თუნგს, ანუ დაახლოებით 280 ლიტრს უდრიდა. ერთი სიტყვით, გლეხს 1400 ლიტრზე მეტი ღვინის მოსავალი გააჩნდა. იმ პერიოდში ღვინის საბაზრო ღირებულება საკმაოდ მაღალი იყო. მაგალითად, XVIII საუკუნის II ნახევარში ერთი თუნგი ღვინო თბილისში 1 აბაზი ღირდა.[21] ბუნებრივია, თბილისის გარეთ გაცილებით მცირე ფასი იქნებოდა, დაახლოებით – ნახევარი. გამოდის, რომ ერთი საპალნე ღვინო ქართლსა და კახეთში მინიმუმ 40 აბაზი, ანუ 8 მანეთი ღირდა, ხოლო 5 საპალნის ფასი 40 მანეთი იყო. მევენახეობიდან მიღებული მოსავლის დიდი ნაწილიც გადასახადებისთვის და პირადი მოხმარებისათვის იყო საჭირო, თუმცა მცირე ნაწილი ბაზარზე გადიოდა.

გლეხთა ძირითადი შემოსავლის წყარო სწორედ ეს ორი პროდუქტი იყო. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ საოჯახო მეურნეობის ნაწილი იყო ბოსტნეულის, ხილისა და სხვა საჭირო პროდუქტების მოწევა. ამ პროდუქციის მოცულობა უმნიშვნელო იყო და ის პირად მოხმარებას და გადასახადებს ხმარდებოდა და ბაზარზე ნაკლებად გადიოდა. თუმცა იყო გამონაკლისებიც, მაგ. მეაბრეშუმეობა, რომელიც საკმაოდ შემოსავლინი იყო – გიულდენშტედტი გადმოგვცემს, რომ ზოგიერთ სოფელში: „ყოველი ოჯახი წლიურად იღებს 2-4 ფუთ აბრეშუმის პარკს, ხოლო გირვანქას ყიდიან 60-90 კაპიკად".[22] ეს კი 100 მანეთზე მეტი ღირებულების იყო. საინტერესოა, აგრეთვე, იმ პერიოდში ფართო მოხმარების საგნის — ენდროს – ექსპორტის მაჩვენებელიც, რომელსაც, ბუნებრივია, გლეხები მოიპოვებდნენ. თუმცა ასეთი დამატებითი შემოსავალი ყველა სოფლის მოსახლეობას არ ჰქონდა.

ოჯახების დიდ ნაწილს გააჩნდა ძროხა, ან ხარ-კამეჩი, ცხვრები, ქათმები, იშვიათად ცხენი და ა.შ. იმ პერიოდში ერთი ხარის ფასი 7,5 მინალთუნიდან 10 მინალთუნამდე (ერთ თუმნამდე) მერყეობდა. საუკეთესო ცხენის ფასი 150 მინალთუნი (15 თუმანი) იყო, „ჭაკი ცხენი" 2 თუმანი, ხოლო ზოგიერთი ცხენი 5 მინალთუნი ღირდა. ერთი ძროხის ფასი 4-5 მინალთუნია, ერთი ცხვრის ფასი კი – 4-7 აბაზი. დაბალი ფენების ტანისამოსის ფასები ასე გამოიყურება: *„ნაბადი – ხუთი აბაზი, ჩოხა – ხუთი აბაზი, ახალუხი ოთხი აბაზი, ორი წყვილი ქალამანი – აბაზი".*[23]

---

21 მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. გვიანფეოდალური ხანა. წ. I, გვ. 111, 225.

22 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 35.

23 მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. გვიანფეოდალური ხანა. წ. III, 220-222.

როგორც ვხედავთ, საშუალო შეძლების გლეხის ყოველწლიურად წარმოებული პროდუქციის ღირებულება 100 მინალთუნს აღემატებოდა. მათი უდიდესი ნაწილი გადასახადებისა და პირადი მოხმარებისთვის იყო განკუთვნილი, მცირე ნაწილი ბაზარზეც გადიოდა, თუმცა შეზღუდული რაოდენობით. ხოლო პროდუქციის გაყიდვით მიღებული შემოსავალის მნიშვნელოვანი ნაწილიც ისევ გადასახადებს ხმარდებოდა. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ ეპოქაში ძალიან გახშირდა ფეოდალთა მიერ საკუთარი მამულების გლეხებზე „საღალედ" გაცემა, რის შედეგადაც გლეხების საკმაოდ დიდი ნაწილი მის სარგებლობაში არსებულ სახნავ-სათეს მიწასთან ერთად ამ მიწასაც ამუშავებდა, რაც დამატებითი შემოსავლის წყარო იყო.

მოსახლეობის უმრავლესობის (უმიწო და მცირემიწიან გლეხთა გამოკლებით), ანუ საშუალო და შედარებით შეძლებული გლეხების მიერ პროდუქციის ბაზარზე გატანა დადასტურებულია XIX საუკუნის დასაწყისის ოფიციალური აღწერებითაც: ი. ანთელავას პროცენტული გაანგარიშებით, სოფლის მეურნეობასთან ერთად სავაჭრო საქმიანობას (ანუ ბაზარზე პროდუქციის გატანას) ეწეოდა გორის მაზრის გლეხთა 77%, სიღნაღის და თელავის მაზრების 80%-ზე მეტი, ანანურის მაზრის 50%-მდე.[24]

ასეთ სურათს ვიღებთ XVIII საუკუნეში საშუალო შეძლების გლეხთა მეურნეობის რეალური მოცულობის შესახებ. თუმცა, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ საშუალო შეძლების ოჯახებისაგან განსხვავებით გაცილებით რთულ ეკონომიკურ ვითარებაში უწევდათ ცხოვრება უმიწო და მცირემიწიან გლეხებს. რაც შეეხება მცირერიცხოვან მდიდარ გლეხებს, მათ მიერ მოწეული ყოველწლიური პროდუქციის ღირებულება ზოგ შემთხვევაში 10-ჯერ და მეტჯერ აჭარბებდა საშუალო შეძლების გლეხის მოსავლის ოდენობას.

[24] ი. ანთელავა. XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხასიათის საკითხისათვის, გვ. 164.

Apolon Tabuashvili

MATERIAL FOR ECONOMIC HISTORY OF THE 18TH CENTURY GEORGIA

Summary

In this article specific issue of the economic history of East Georgia is discussed, namely, peasant family farming condition. The historical sources are numerous for the study of history of the late feudal epoch of Georgia. From many different types of documents precise information concerning average size of peasant farming could be absorbed. Also, precise accounts concerning the prices of the main commodity products are found in historical sources, based on these it is possible to calculate yearly revenue of peasants from harvest in monetary units.

The social condition of peasants was not equal – peasant without land tenure were called "bogano", there were peasants with small amount of land tenure, also with average amount of land tenure and more wealthier peasants. Despite the differentiation it is quite possible to calculate the average size of land tenure they used and the net worth of their gross product. According to fiscal census of 1804 and other historical data it is attested that peasants with average revenue, which were the majority, held approx. 12-15 daily land tenure (one daily land tenure was equal to 0.5 ha.). From this amount of land tenure it was possible to cultivat max. 6-7.5 daily land tenure every year. Due to the limited technical conditions and for obtaining the maximum amount of harvest the land breaking was very important. Small piece of land was used for the vegetables, fruits and other cultures while 5-6 daily lands were used to seed wheat and barley. Each family could harvest 100-120 *codi* (one *codi* is equal to 30-36 kg.) of crops. Market price for those commodities was 58-70 minaltuni. Peasant families with average revenue

had their own vineyards and, also, cow, ships, chickens rarely oxen, horses etc. Average value of yearly produced product was more than 100 minaltuni. The major part of generated product was intended for taxes and personal use and small amount was sold in market. Revenue obtained from trading was used to cover the taxes again.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XCI
თბილისი. 2016

როლანდ თოფჩიშვილი

ქართული მემკვიდრეობითი სახელები შავშეთ-იმერხევში: ეთნოისტორიული საკითხები

ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნიკურ ქართველთაგან ქართული ენა და ტრადიციები კარგად შემოინახეს იმერხეველმა ქართველებმა. იმერხევში ქართული გვარსახელებიცაა შემონახული. დავიწყებთ იქიდან, რომ იმერხევში ბევრი ტოპონიმი სწორედ გვარის სახელს ატარებს. ესენი, ძირითადად, უბნების სახელებია, თუმცა მათ შორის რამდენიმე სოფელიცაა.

შავშეთ-იმერხევში ასეთ ტოპონიმთა შორის შეიძლება დავასახელოთ შავშეთის სოფელი აბალდაბა, რომლის უბნები გახლდათ: *გელსაძე, გოგელიძე, გოგინიძე, ჰოპაძე, ურუმიძე-არუშიძე.*[1] სოფელ გარყლობის უბნებს ერქვა: *ქადაგიძე, მიქელეთი*... თავისთავად ცხადია, აღნიშნული ტოპონიმები პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ აქ სწორედ შესაბამისი გვარების წარმომადგენლები ცხოვრობდნენ. მართალია, შავშეთში ქართველებმა ეთნიკური ქართველობა ვერ შეინარჩუნეს, დღეს ისინი ე. წ. ასიმილირებული (იმერხეველთა გამოთქმით – გადაბრუნებული) ქართველები არიან, მაგრამ ზემოხსენებული ტოპონიმები პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ აქ *გელსაძეები, გოგელიძეები, გოგინიძეები, ჰოპაძეები, ურუმიძეები-არუშიძეები, ქადაგიძეები, მიქელაძეები*... მკვიდრობდნენ.

საყოველთაოდ ცნობილია შავშეთ-იმერხევის ისეთი ორი სოფლის დასახელება, როგორებიცაა *თურმანიძე* და *ლიონიძე*. ეს სოფლები *ივანე ჯავახიშვილის* 1923 წლის საისტორიო რუკაზეცაა დატანილი. 1886 წლის საოჯახო სიებით სოფელი *თურმანიძე* გარყლობის საზოგადოებაში შედიოდა, ხოლო *ლიონიძე* ჩიხორის ერთ-ერთ უბნად იყო გადაქცეული. ჩიხორის ერთ

[1] აღნიშნული ანთროპოტოპონიმები დაფიქსირებულია 1886 წლის საოჯახო სიების გამოქვეყნებულ სტატისტიკური მონაცემების კრებულში – Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из посемейных списков 1886. Тифлис. 1893. სამწუხაროდ, ქუთაისის გუბერნიის ართვინის ოკრუგის საოჯახო სიების დედნებს ჩვენამდე არ მოუღწევია; ისინი დაკარგულია.

უბანს *გეგაზელარი* ერქვა, ე. ი. ის *გეგაძეების* სოფელი იყო. აქვე დაფიქსირებულია *ჰეტრაკეთი*. ესეც ტოპონიმად ქცეული ანთროპონიმია. შავშეთში, გარყლობის საზოგადოებაში, შედიოდა სოფელი *ციკვეთიც*. სოფლის სახელწოდება პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ამ სოფელში *ციკვაძეები* ცხოვრობდნენ ან, უკიდურეს შემთხვევაში, სოფელი ოდესღაც მხოლოდ ამ გვარის ხალხით იყო დასახლებული, მათი შექმნილი იყო. *ციკვეთის* უბნებიც 1886 წელს, ასევე, გვარების სახელებს ატარებდნენ: *დულაბიძე, ლასურიძე, ხილვაძე*. იქვე სოფელ *ჯინალის* უბნების სახელწოდებებიც — *ზაქარიეთი, ლაგუნეთი* — პირდაპირ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მათში *ზაქარიაძეები* და *ლაგუნიძეები* ცხოვრობდნენ. სოფელ *ჭვარების* ერთ-ერთ უბანს *შალიკი* ერქვა. რა თქმა უნდა, შალიკში *შალიკაშვილები*[2] მკვიდრობდნენ. XIX საუკუნეში უკვე თურქული იყო შავშეთის *დაბაწვრილის, ოქრობაგეთის, სათლელ-რაბათის* საზოგადოებებიც. ამ საზოგადოებათა სოფლების უბნები მათ ქართულ წარმომავლობაზე მიუოითებს. მაგალითად, სოფელ *ბალვანას* ერთ უბანს ერქვა *სამხარო-ოღლი*, ხოლო მეორეს — *კანკლო-ოღლი*, რაც თარგმანია, პირდაპირი კალკია ქართული *სამხარაძისა* და *კანკლიძისა*. დაბაწვრილის უბნები იყო: *კოპაძე, ხილაძე, ჩუგაძე*. *შავშეთის სოფელ* მერიაში 1886 წლის აღწერაში დაფიქსირებულია უბნების სახელწოდებანი: *იბადი-ოღლი, კაია-ოღლი, შათირ-ოღლი* და *ირემაძე*. აქ უბნის სახელი *ირემაძე* თუ პირდაპირ მიუთითებს იმის შესახებ, რომ ის გამჭვირვალე ქართული ანთროპონიმია, მემკვიდრეობითი სახელია, *იბადი-ოღლი, კაია-ოღლი* და *შათირ-ოღლი* ქართული ანთროპონიმების — *იბადიძის, კაიაძის* და *შათირიშვილის // შათირიძის* — თურქული ვარიანტებია.

შავშეთის სოფლის *სხლობანის* ყველა მაცხოვრებელი 1886 წელს უკვე თურქად იყო ჩაწერილი და მხოლოდ ერთ ოჯახს ჰქონდა ქართველობა შენარჩუნებული. მაგრამ *სხლობანის* უბნების სახელწოდებანი თითქმის მთლიანად ქართული იყო და ეს სახელწოდებები გაანთროპონიმებული იყო, გვარსახელი უბნის სახელად იყო გადაქცეული, ეს ფაქტი იმაზეც მიუთითებს, რომ ისევე როგორც საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში, აქაც ერთი გვარის წევრები ერთმანეთის გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ: *პერანათი* (ე. ი. *პერანიძე*), *ფუტკარაძე, თულაძე*. სოფელ *ციხიას* უბნებს ერქვა: *ხათორეთი, ჩიკრიკ-ოღლი, გორალი-ოღლი, ტუსი-ოღლი*, ე. ი. *ხათორიძეები,*

[2] შალიკაშვილებს "ცხოვრია" ლიგანის ხეობაშიც. ჭოროხის მარცხენა მხარეს მდებარე სოფელ თხილაურის (ე. ი. თხილაძეების) ერთ-ერთ უბანს *შალიკები* ჰქვია. შალიკაშვილების გვარი აქედან 1878 წელს, რუსების შესვლის დროს აყრილა და შავი ზღვის რეგიონში გადასახლებულა.

ჩიკარიკიძეები, გორალიძეები, ტუსიძეები // ტუსიშვილები. ოქრობაქ(გ)ეთის საზოგადოების ერთ-ერთი სოფლის *მამნელისის* ერთ-ერთი უბანი *კაკან-ოღლის* სახელს ატარებდა. ე. ი. მისი მკვიდრნი იყვნენ *კაკანძეები*. ამავე სოფლის სხვა უბნის სახელწოდება იყო *კარალ-ოღლი*, ე. ი. მისი მკვიდრები *კარალიძეები* იყვნენ. *ოქრობაგეთის* უბნები იყო აგრეთვე: *კოშლიეთი, საკი-ოღლი* (რაც ქართული *კოშლიძეებისა* და *საკიძეების* შესატყვისია). სოფელ *კუჭენის* უბნები იყო: *აბდულ-ოღლი* (ე. ი. *აბდულიძე*), *პაპუკ-ოღლი* (ე. ი. *პაპუკიძე*), *პისიკ-ოღლი* (ე. ი. *პისიკიძე*). *სათლელ-რაბათის* საზოგადოების სოფელ მორგელის უბნებს ერქვა *გოგორ-ოღლი* და *გორგინ-ოღლი*. ბუნებრივია, პირველი *გოგორიშვილის* თურქული ვარიანტია, მეორე კი – *გორგინიძისა*. სათლელ-რაბათის ერთ-ერთ უბანს ერქვა *კარკარ-ოღლი*, რაც ქართული *კარკაძეების // კარკარიძეების* თურქიზებული ფორმაა. შეიძლება დავასახელოთ კიდევ სოფელ *სოფორას* უბნები *ბუნბუნ-ოღლი* და *ტუზი-ოღლი*. ისინი *ბუნბუნიძისა* და *ტუზიძის* კალკირებული ვარიანტებია.

შავშეთში, 1886 წლის საოჯახო სიებით, სოფელ *ვერხუნას // ვერხნალის* ერთ უბანს *რომიეთი* ერქვა, რაც იმას ნიშნავს, რომ ის თავის დროზე *რომიძეებით* იყო დასახლებული. სოფელ *ცეცხლაურის* ერთი უბანი კი *ტოკაძის* სახელს ატარებდა. სოფელ *დაბაკეთილის* ერთ-ერთი მეჰელეს (ანუ უბნის) სახელია *მარჩილ-ოღლი*, ე. ი. *მარჩილიძე*. იქვე მიუთითებენ ტოპონიმს *კოპაძე*.

1886 წელს იმერხევის *დაბის* საზოგადოებაში 6 სოფელი იყო: *ბაბგირეთი, დაბა, ზაქიეთი, სურევანი, უბე, ხევწურილი* (222 კომლი, 1599 სული). აქ სოფელ *ზაქიეთის* უბნები იყო: *ჯარბიძე (ჯარბიძეს ზაქიეთის მაჰალედ დღესაც მიუთითებენ), ჩიკორიძე... უბეში* ორი უბანი იყო გამოყოფილი: *გორგაძელარ* და *ჩევიძელარ*. ეს უბნები დღეს უბეში ეთნოგრაფიული მონაცემებითაც დასტურდება. ამ სოფელში *გორგვაძეები* და *ჩივაძეები // ჭივაძეები* დღესაც მკვიდრობენ. *სურევანის* უბნებს შორის ვხვდებით *გუდალიზელარსა* და *დავითიძელარს*, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აქ *გუდაძეები* და *დავითიძეები* ცხოვრობდნენ. სოფელ *ხევწურილში* 1886 წლის საოჯახო სიებით აღნიშნულია უბნები: *აბრამიეთი, ბელტიეთი*, ე. ი. *აბრამიძეები* და *ბელტიძეები*.

1886 წელს *წყალსიმერის* საზოგადოების სოფლები იყო: *დიობანი, იფხრეველი, წეთილეთი, წყალსიმერი*. დღეს *დიობანის* მკვიდრები უკვე გათურქებული არიან. დიობანის უბნები იყო *აბნაძე, ზიალიძე, ზიქრიეთი, ქოქლიძე* (დღეს ქოქლიეთს უწოდებენ), *ჭუმბაძე*. *ზიქრიეთში ზიქრიძეები* ცხოვრობდნენ. XIX საუკუნეში უბნის სახელად პირდაპირ გვარის ფორმა (*ქოქლიძე*)

დადასტურდა. როგორც აღინიშნა, დღეს ადგილობრივები თავიანთ სოფელს *ქოქლიეთს* უწოდებენ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ გვარებისა და აქედან გამომდინარე ტოპონიმების სუფიქსებიც ადგილობრივთა მეტყველებაში ერთმანეთს ენაცვლებოდა, ისინი ერთმანეთის ფარდი იყო.

იფხრეული შედგებოდა ***ივეთისა*** და ***იმნაძეს*** უბნებისაგან. *იმნაძეთა* უბანი 1886 წლის საოჯახო სიებში თურქიზებული *იმნაზელარის* ფორმითაა ჩაწერილი. ***წეთილეთის*** უბნები იყო: ***მაჩხატიძე, ხოხლაური*** (დღეს ხოხლევი). ***წყალსიმერის*** ერთ-ერთ უბანს ***ბილვაძე*** წარმოადგენდა.

ახლა ეთნოგრაფიულ მონაცემებს მივმართოთ. იმერხევის სოფელ ივეთში დასტურდება შემდეგი მემკვიდრეობითი საბელები: ***დაბელიძე // დაბლიეთი, ზურაბიძე, ჰუსუენთი, ლაკოლიენთი, ფიდისიენთი, გაბიენთი, ქაშაკლიენთი, ზობიენთი, ავკიენთი, ზემოენთი, ცხიკათიენთი, მუჰამედიენთი, ჰალიპარიენთი, წიკათიენთი, იხშიენთი...*** იმერხევის სოფელ ***ივეთს*** ქართული გვარების უძველესი მაწარმოებელი -ეთ სუფიქსი აქვს შემონახული. აშკარაა, რომ აღნიშნული სუფიქსი აქ -ძე სუფიქსთან მონაცვლეობდა. ინფორმატორის თქმით, *ივეთის* ძველი გვარები არიან: ***დაბელიძე, ზურაბიძე*** და ***გოლიენთლები***. ეს უკანასკნელნი საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარედან — გოლადან // კოლადან მოსულებად მიიჩნევიან. აქედანვე მიგრირებულან ***იშხნელიძეებიც***: „იშხნელიძეები იყვნენ, ახლა *კარამედოლლები* არიან. ესენი გოლადან მოსულან. სამი ძმა ყოფილა, ერთს ზურაბი ერქვა, მეორეს — გოლა, მესამეს არ ვიცი. ერთი დამჯდარა *წყალსიმერში*, მეორე — *იფხრეულში*, მესამე — *ივეთში*. ***იშხნელიძეების*** წინაპარი არის გოლადან მოსული. ***იშხანიძეებიცა*** და ჩვენც (*დაბელიძე* — რ. თ.) გოლიდან ვართ მოსული. ***ზურაბიეებიც*** გოლადან მოსულან“. კოლადან იმერხევში მოსახლეობის მიგრაცია შემთხვევითი არ უნდა იყოს, რადგან ისტორიული საქართველოს ამ ორ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეს შორის მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები არსებობდა. ამავე სოფელში დადასტურდა გვარი ***ნიკოლიენთი***. კიდევ: „ჩემი გვარი ***ფიდისიენთია***, ძველად *მეთაფლეს* ამბობდნენ“; „ჩვენ ***სამოლიენთი*** ვართ, ეს ბიძაი ***მამადიენთია*** — ამათი გვარი ესაა. ***ზურაბეთლები*** არიან, ***ბუსუენთები*** არიან. *ზურაბიძე* დაწერე? ***ქასკაკლიენთი*** — ადგილიდან აქვთ აღებული გორი“. მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ სოფელ *ივეთში* რამდენიმე გვარს აქვს გადმოცემა საერთო წარმომავლობისა და მიგრაციის შესახებ: „ჰამზიენთ ადგილზე ახლა *ზურაბიძეები* სხედან. ***ჰამზიენთნი*** ბათუმისაკენ წასულან. ოთხი ძმა მოსულა: ***ზურაბიენთი, ავკიენთი, გოლიენთი, სამოლიენთი***. სოფელი ამათ გააკეთეს.“

სოფელ *წეთილეთშიც* გვარებს -ეო სუფიქსით იფორმებენ, მაგალითად, *ბოჯიენთი, დუდუენთი.* ბაზგირეთელი მთხრობელი თავისი გვარის შესახებ აღნიშნავდა: „გვარად *ზუმბიეთი, ზუმბაძე* ვარ, დედა *თეთრიეთია, თეთრაძე*“. მეორე მთხრობელი გვარად *იმნაძეც* დედის გვარს *უშარიეთს* მიუთითებს. ბაზგირეთის ერთ-ერთი დიდი გვარია ცვარიძე. აქვე ცხოვრობენ *ყასიმოღლები, ყარამეჰმედოღლები, ფერათოღლები, ბესონები, აქკიოღლები, ბოჯიენთი, ენჩლიენთი (ენჩაროღლი), ხარზიენთი.* მკვიდრობენ *ბოლქვაძეებიც* (5 ოჯახი): „ჩემი მამა იტყოდა, საქართველოს მხრიდან ვართ მოსული *ბოლქვაძეები.* ერთი ჩიხის ხევშია ჩვენი გვარის, მეორე – შავშეთის სოფლებში და მესამეს უთქვამს, მე ცივი წყალი უნდა ვსვა და ბაზგირეთს მოსულა. ბაზგირეთის მახალეში – გამეშეთში ცხოვრობენ *სარიაოღლები, დელიჰასანოღლები, ბოიარჩები.* ეთნოგრაფიული მასალებით, *ცვარიძეების* ადრინდელი გვარი *ცხვარაძე* ყოფილა: „ჩვენი ძველი გვარი *ცხვარაძე* ყოფილა. იმერეთში ყოფილან. ომი ქნილა და იმაზე წამოსულან. პირველი ისინი დაჯდნენ“ (ფიქრი იაზარ-ცვარიძე, 2007 წელი, 60 წლის). იმავე მთხრობელისაგან ჩაწერილი მასალით *ყადიოღლების* ქართული // ადრინდელი გვარია *ალიძე.*

სოფელ *ბზათაში* ასეთი ეთნოგრაფიული მასალა დადასტურდა: „*ფილიპიძე* ძველი გვარია, *ფუტკარაძე* ახალი გვარია“. რაღაც მიზეზის გამო *ფილიპიძეები ფუტკარაძის* გვარზე გადასულან. მართალია, აქ გვარი უკანასკნელი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ოფიციალურად არ ფიქსირდებოდა, მაგრამ დაფიქსირებული იყო ხალხის მეხსიერებაში, ზემოთ მოყვანილი ფაქტით კი მათ ადრინდელი გვარიც ახსოვთ. სოფელ ბზათაში დასტურდება გვარსახელები: *შარაბაძე, ზაქარიაძე, ზაქრაძე, ფილიპიძე, ბაბელიძე, ციცქნაძე, კარბელიძე.* „*ურბენიძები* სოფელ წყალსიმერში არიან“. ეთნოგრაფიული მასალა: „ქართული გვარია *ომაროღლი.* უფრო სწორია *ჰასუენთი.* ჩვენი გვარის ხალხი 10 ოჯახია აქა. აქ არიან კიდევ: *ომარიენთი, შარაბეთი, ციცქიენთი, ლაიკიენთი // ლაიკიეთი // ლაიკიძე* (ადგილი აქ *ლაიკიენთია*), გაღმა *ყარსლიენთი.* აქ არიან *ზაქრიძე, ყარალიენთი (ყარალიძე), მაზმანიენთი, ბაბელიენთი (ბაბლიძე), არჩიენთი, ბზვარიენთნი, შარაბიძე, კაკაბიძე, კოპიენთი (წყალსიმერს ეკუთვნის), ფილიპეთი“.*

შოლტის // შორთისხევში ეთნოგრაფიული მონაცემებით ცხოვრობენ *კვირიკაძეები.* მთხრობელის *აბმად ახვუნის* სიტყვით: „კვირიკაძეა ჩემი გვარი. ერთი დედე (=პაპა) გვყოლია და იმ დედეს სახელი *დურალდედეი* ყოფილა. იმაზე *დურალოღლიც* გავხდით. *კვირიკაძე* ახლა სოფელში 6 კომლი

ვართ". ამ მასალით აშკარაა ქართული გვარის შიგნით დანაყოფის, ანუ მეორე მემკვიდრეობითი სახელის – მამიშვილობის/ბაბუიშვილობის წარმოქმნა. გარდა *კვირიკაძეებისა, შოლტისხევში* ცხოვრობენ აგრეთვე შემდეგი ქართული გვარების წარმომადგენლები: *თე(ა)თვიენთი* („ბათუმიდან მოვსულვართ. იქიდან გამოვყრილვართ. ალაგზე წაკიდებიან"), *იფშიროლლები, ურბენიძეები, მიქელაძეები, ქურდიკიძეები.* კვირიკაძეები სადაც ცხოვრობენ, იმ ადგილს *კვირიკეთს* უწოდებენ. ასევე, ადგილისა და გვარის სახელიცაა *ციციენთი, ბათილეთი, თათუენთი, ქორჩიენთი, ქეიენთი.*

სოფელ *იფხრეველში* ცხოვრობენ *ხატიოლლები* იგივე *ხატიძეები* და *იმნაძეები. იმნაძეებს იმნიეთსაც* უწოდებენ და, შესაბამისად, მათი უბანიც ამავე სახელით მოიხსენიება. აქვეა *ჭურკვეთიც. იმნიეთში იფხრეველიდან* შემორევიათ *ბუტხიძე.* ეთნოგრაფიული მასალა: „ქართული გვარი *ბუტხიძეა.* ამ სოფელს *იმნაძე* (*იმნიეთი*) ჰქვია. დაურქმევია ძველებს გვარი, ცხოვრობდა *იმნაძე.* მთლიანად *იფხრეველია.* მაგრამ *იფხრეველი* გაღმაა, გამოღმა *იმნიეთია,* ჭურკვეთია ზემოთ. აქაურობა გურჯებისაა. *ბუტხიძე* ძველი გვარია. ჩემი დედი (=პაპა, ბაბუა) *იფხრეველიდან* გამოსულა. ზესიძედ იყო. *ბუტხიძეები* იფხრეველში არიან. *ბუტხიძეები* ვართ, მაგრამ ჩვენც *იმნაძე* გავხდით, რადგან *იმნაძის* მამულზე გაჩნდა (=დაჯდა, დასახლდა), *იმნაძედ* ვართ. აქური ძველი გვარებია *მოსიძე, სორყაძე, სუბუქიძე, ჭურკვესიძე, იფშირთი, ალეკები, საღრიძე.*" მოყვანილი ეთნოგრაფიული მასალა ფრიად საყურადღებოა. აღარაფერს ვიტყვით ჩამოთვლილ გვარებზე და მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ იმერხევშიც ზესიძედ მისვლის დროს ისეთივე ჩვეულება არსებობდა, როგორიც დანარჩენ საქართველოში – ფაქტობრივად, მისი შთამომავლები გვარს იცვლიდა, რადგან ზესიძე სხვის მამულზე ჯდებოდა. სხვანაირად სიმამრის ქონების მემკვიდრეობით მიღება გამორიცხული იყო.

დასაბომში *მჭედლიძეები // მჭედლიენთი* ცხოვრობენ, მაგრამ ირკვევა, რომ ისინი აქ სოფელ *დევიეთიდან* არიან გადმოსახლებულნი: „*მჭედლიენთი* ბევრი ვარო *დევაძეებში. დევაძეები* ცხოვრობენ *დევიეთში. უბეში ჭივაძეები* არიან, კიდევ: *თურანოლლები, მოლოლლები.* სოფელ *ზიოსში* არიან *ბალაძე (ბალიეთი // ბალთი), ბექაძე // ბექიეთი* (10-15 კომლი), *სარვანიძე, ტალახაძე, მოლიეთნი // მოლოლლი // მოლიძე, თურანოლლი, ქობულიენთი, ხველიეთი, აბდიეთი. ჭიმურაძე* (ჭიმურები არის ცხელი მჭადი ჩატეხილი, ერბოში ჩადებული). იყვნენ *შუთები* და აღარ არიან". 92 წლის *იუსუფაი ჭიმურიძის* თქმით, მათ „ჭიმურებ ეტყვიან." აშკარაა, რომ ერთი გვარი ზოგჯერ სამი

სუფიქსიოაც კი იწარმოება, ქართული ენა ამის საშუალებას იძლეოდა. -ეთ სუფიქსის ნაცვლად ამ ფუნქციას -ებ სუფიქსიც ასრულებდა. ეთნოგრაფიული მონაცემებით, „*დევაძეები* მაჭახლიდან ვართ. ძველები *კიბორიძეები* ყოფილან. დემურჩი (ე. ი. მჭედელი) ყოფილა ჩვენი ძველი. უკეთებია თოხი, წალდი, ეჩო, დანა და მოსულა *დევაძეებში* დასახლებულა, ჩვენს მეჰელეში. მჭედელს ეტყოდნენ და *მჭედელ-ოღლებს* გვეტყოდნენ“. ამ ეთნოგრაფიული მასალით აშკარაა, რომ მაჭახლიდან გადმოსახლებული მჭედელი დევაძეების უბანში სახლდება, მათ გვარს იღებს და ამავე დროს საფუძველს უყრის დევაძეების გვარის განაყრობას – მჭედელოღლებს. მოყვანილი მასალა იმითაცაა საყურადღებო, რომ მიგრანტის შთამომავლებს ახსოვთ და აქვთ გადმოცემა ადრინდელი გვარის (*კიბორიძე*) შესახებ.

იმერხევის ერთ-ერთი დიდი სოფელია *სურევანი*. ამ სოფელში სიმრავლით გამოირჩევიან *დავითეთები*. „*დავითეთ* 25 სახლი ვართ. ჩემი ძველები აქ ყოფილან. აქედან იმათ ნახევარი გურჯისტანს აქეთ-იქით დაფანტულან.“ *სურევანში* ცხოვრობენ კიდევ *შარმათები*, *ზაზალები*, *მურეშები*, *ქოსოღლები*, *იქი(ნ)თლები* („იქიენთლები აჭარიდან გადმოსულან“), *ბუტიძეები*, *შარაძეები*, *ლაზოღლები*, *ასლანოღლები*, *თანთოღლები*, *კოლოტიძეები*, *პეტროღლები*, *ქოსეთი*, *დღვაბიძე* („დუღაბიძე ჩვენი სოფლის მეჰელეა, ხილვაძეც მეჰელეა“), *გათენიძე* („ამ სოფელში *გათენიძე* წასულა და *დღვაბიძე* მოსულა“)... სურევნელი მთხრობელი *ალირეზა ყარა* გადმოგვცემს, რომ „*ყარანოღლი* ვიყავით პირველად. ჩემი დედე აჭარას გაზრდილა. ერთი ლომანა ყოფილა მაჭახელში და გამზრდელი იყო *ლაზოღლი* და გახდა *ლაზოღლი*. სამი კომლი ვართ აქ და გარეთ 30 კომლი იქნება *ლაზოღლი*. სურევანში *ყარანოღლები* არიან 5 კომლი. *ძველი ყარანოღლი ყოფილან და უკან დროს გვარი გადაუცვლიათ შარაძედ, თანთოღლად*... სხვა მთხრობელის შენიშვნით, *ყარანოღლებს* 5 განაყრობა აქვთ: *თანთოღლი*, *ლაზოღლი*, *სურაოღლი*, *შარაძე* და *ყარალოღლი*. ძველად ამ სოფელში 3 კვამლი ყოფილა: *პეტროღლი*. *ყარანოღლი*, *იქიეთლები*. ყარანოღლი აქაურია.“ *პეტროღლებს* გადმოცემა აქვთ, რომ მათი წინაპარი პეტრიაშვილი ოღესღაც „რაჭიდან ჯერ ორდუს ჩავსულვართ და მერე იქ კაცი მოუკლავთ და აქ გამოქცეულან. ასე გვაქვს გაგონილი ზემო ბარიდან მოვსულვართ. სამი კვამლი ვართ. არიან *პეტრებიც*, ამბობენ ნათესავები ვართო, მაგრამ დანმადვილებით არ ვიცი. *პეტრები* დაბაში არიან“.

ქართულ ეთნიკურ გარემოს მოწყვეტილ იმერხევში გვარებთან დაკავშირებით ისეთივე პროცესები მიმდინარეობდა, როგორიც დანარჩენ საქართვე-

ლოში – ხდებოდა ახალი მემკვიდრეობითი სახელების წარმოქმნა. *ყარანოლლების* ერთი ნაწილი *ლაზოლლი* გახდა. მამის გვარი გამზრდელის გვარით შეიცვალა. მაგრამ თურქული ეთნიკური გარემო მაინც თავის დაღს ასვამდა ქართულ ანთროპონიმებს. ზოგიერთი ქართული გვარის სუფიქსები თურქული სუფიქსითაა შეცვლილი. ამის მაგალითად *ყარანოლლიც* გამოდგება, რომლებიც, უდავოა, ადრე *ყარაძეები* იყვნენ. ამას მთხრობელის სიტყვებიც ადასტურებს: „ჩვენ ლაზიენთი ვართ და გავხდით ლაზოლლი“. *სურევანში ბაჯალიძეები* ცხოვრობენ. მთხრობელის სიტყვით, „ჩვენ (ხაჯალიძეებს) *ბაღლაზეებსაც* გვეტყვიან“. ასახელებენ *დარჩიძესაც*. სურევანის დავითეთ უბანში მიუთითებენ აგრეთვე გვარს *შამთა*.

იმერხევის სოფელ *უბეშიც* რამდენიმე ქართული გვარი ცხოვრობს. აქ არიან *მოლოლლები* ანუ *მოლიძეები, კორტოხაძეები, ჭივაძეები/ჩივაძეები* („ჭივიეთი უბანია უბის“), *გორგვაძეები/გორგოძეები, კოვიძეები, აჭალიძეები, ელაძეები*. ეთნოგრაფიული მასალები: „კორტოხაძე, კოვიძე, გორგვაძე, ჭივიძე – ძველად იტყვიან ესენი ხუთი ძმა ყოფილან და ბარში სულ დაბლა მსხდარან და იქიდან რომ გაყრილან და ამ სოფელში დამსხდარან, იქიდან რომ ხუთი ძმა დასახლდა და გაბევრებულან. ერთი *კორტოხაძე* გახდა, მეორე – *კოვიძე*, მესამე – *გორგვაძე*, მეოთხე – *ჭივიძე*, მეხუთე *ფიქლობაძე* იყო. *ფიქლებმა* გვარი გამოიცვალეს და *მოლოლლებში* შეერივნენ“. უბეში სხვა გვარებიც მკვიდრობენ; ესენია: *ილიმიენთი, მჭედლიენთი, კულულიენთი, ხოკიენთი, იბიშიენთი. იბიშიენთი* არტაანიდან მოსულან. ამ გვარს წარმოთქვამენ როგორც მრავლობით რიცხვში, ისე მხოლობითში – *იბიში*. „გვარია კიდევ *ზობები*“.

ჭოლიეთის გვარებია *იმსდოლლი, ბაირახტაროლლი, მოსიძე, გურიენთი, კაკაუნები, ჯაფარიძე, ლოლაძე, დურალოლლები, გოგელიძე, ქარსიოლლები (ივივე ქარსიძე). ჩიხისხევში დუმბაძის* გვარი დასტურდება.

იმერხევში ერთ-ერთი ლამაზი სოფელია *მანატბა*. ამ სოფლის გვარებია: *კოსოლა(ი)ძე, ჯიჯანიძე, დარბაზიენთი, შავქო(ე)თლიენთი*. გადმოცემით ეს უკანასკნელნი „არიან არტაანისა და შავშეთის შუადან. იმ სოფელს *შავქოთი* ერქვა და გვარს ეს სახელი იმიტომ დერქვა.“ *დარბაზიეთ* გვარი იმერხევისავე სოფელ *აგარადან* გადმოსახლებულა, *ჯიჯინაძეები* – რაბათიდან. *კოსოლიძეები* იმერხევისავე სოფელ *უხეთიდან* გადმოსახლებულან. მანატბელების გადმოცემით, მათი წინაპრები აქ 400 წლის წინ დასახლებულან. „ნასახლავს ვეტყვით, ზედა ნასახლევი, ქვედა ნასახლევევი, ძველად ყოფილან, იმათ არ მოვესწარით. ჩვენები რომ მოსულან, უკვე აღარავინ დახვედრიათ“.

მანატბის მეზობელი სოფელია *მაჩხატეთი*. ასახელებენ მაჩხატეთის შემდეგ გვარებს: *სარაჯი, ქსია, ჩახმახჩები, მელმაძები*. დარბაზიეთნი მაჩხატეთშიც ცხოვრობენ. *დარბაზიეთი* იერლად მიიჩნევა, ისინი და *მელმაძეები* შედარებით გვიან მოსულან ახლო-მახლო ადგილებიდან.

სოფელ *ხოხლევში* ცხოვრობენ *მესხაშვილები (მესხაძეები), გორგაძეები, ლომაძეები, ქომაძეები, ბეურაძეები (ბეურიენთი)*. „*გორგიეთ* ერთ კვამლს ვეტყვით, *გორგოძეებს* ბეურს". „ვეტყვით *ბეურიენთ, ქომიენთ, ლომიენთ, მესხიეთ, გორგიეთ*". „ხოხლევში ყველაზე მეტი *ჯენიგელებია*".

სოფელი *ფარნუსიც* უბნებისაგან შედგება; ეს უბნებია: *კახიძეები, გორგაძეები, აიშიენთი, შარმათები, ჭალაძეები, ბეშოვრიენთი, ჭივიძეები* (უბედან არიან გადმოსული), *მელქიენთი*. „დედები იტყოდნენ: ერთი ჯარი ყოფილა და მოსულა. აქ სხვები ყოფილან, ისინი დამთავრებულან. პირველად მოსულან *ჭივიძე, კახიძე, ჭალიძე, მელიქიენთი*. ესენი აქ მეზობლები გამხდარან. *აიშიენთი ჭივიძეები* არიან, გაიზარდნენ. ჭივიძეებს *ქერიმოლლებსაც* ეტყოდნენ, ჭივიძეებს *დელიოლლებსაც* ეტყვიან. ერთ მეპელეში არიან. უბეს *გორგოეთიც* არიან." *ჭივიძეების* გვარის გამრავალების შედეგად ამჟამად ჩანს, რომ გვარი რამდენიმე განაყრობად გაიყო: *აიშიენთი, ქერიმოლლი, დელიოლლი*. პირველი მამიშვილობის სახელი თუ ქართული სუფიქსით გაფორმებულა, მეორე და მესამე – თურქულით. ეთნოგრაფიული მასალებით, *კახიძეების* წინაპარი „სამი ძმა გამოქცეულა, ორი შავშეთში დამრჩალა, ერთიც ფარნუხში ჩამოსულა. ჭალათაში დასახლებულან – შავშეთის სოფელია, ერთიც აქ *ჭალიეთს (ჭალაძეები)* მოვიდა. ჩვენ *კახიეთი* გვქვიან, *კახიეთკარებს* იტყვიან, *ჭივიძეები* სადაც ცხოვრობენ, *ჭივიეთკარსაც* ეტყვიან."

ხევწვრილში არიან *ფანჯიკიძეები, ფანჩიძე, დაულაზე, ქაცახათი/ქარცახები, ქარციკაძე, ფათაჯუენთი, ქურდოი/ქურდუები/ქურდიკიძე, ფუქშები, მეგრელები, მიხელყმიენთი, ჯიმუხები, თოდნაძე. გოჩოლლები/გოჩიენთი, ზაზალები, გამრეკლიძეები, კუდიენთი // კუდები, თექინები, ქოროლლები, ფატყუენთი, ნუნიანთლები, ჩახლები, ფალაზები, თუთიენთი, რევაზანები // რევაზოლლები // რევაზები*. ხევწვრილის ეს გვარები სოფლის 7 უბანში (მაჰალეში) არიან გადანაწილებული. ეს მაჰალეებია: *აბრამიენთი, მიხელყმიენთი, მეგრელები, ჯიმუხები, ჯაბის გალმა, ბელტიეთი, გოჩოლლები // გოჩიენთი*. აბრამიენთში მხოლოდ *ფუქშები* ცხოვრობენ. *ფუქშები* მაჭახლიდან ყოფილან მოსული. ადრე სხვა გვარებსაც უცხოვრიათ, მაგრამ ისინი აქედან წასულან. *მიხელყმიენთში* მხოლოდ *მიხელყმიენთები* მკვიდრობენ. *„ჯიმუხები მაჰალეს სახელიცაა*

და ხალხის სახელიც ერთი და იგივეა“. ეთნოგრაფიული მასალა *ქარცახების* შესახებ: „ჩვენ ქართულად *ქარცახებს* გვეტყვიან. *ქარციკაძე* გალიფი და ჩვენ განაყრებს ვეტყვით, სისხლი ერთია, ძველი განაყრები ვართ. *მეგრელები* ადრე ერთი კვამლი ყოფილან, შემდეგ გაბევრდნენ მეგრელები.“ „ჩვენ *ბელტიური* ვართ. ბელტიები დაიწვა. მთელი *დავლაძეები* აქ არიან. ბელტიეთში *გამრეკლიძეები, რუშენები, ქარცახები* არიან, *ზაზალები მოჰკიდრად წასულები არიან. იზმითს, ბურსას* არიან *ზაზალები წასულები.* ადგილი აქვთ აქ, აღარ მოდიან, გაგდებული აქვთ ადგილები. საქმობაზე წასულან აქედან *ზაზალები*“. „*ჩოჩიენთში* ცხოვრობენ *კუდები (კუდიენთი), თექინები, ქოროღლები, ფატყუენთი* (იქიდან გადმოსული *ფუქშები* არიან და აქ *ფატყუენთი* დაურქმევიათ). *ფატყუენთი* მოსული არიან. ჩვენიც მოსული არიან. გამსახურდია რომ იყო, იქიდან არიან მოსული. *დავლაძეა* ბელტიეთს. იქიდან მოსული არიან. *ჯიმუხებში* მარტო *ჯიმუხები* არიან. ჯამიმაჰალეში ცხოვრობენ: *ნუნიანთლები, ქურდუები, ფანჩიძე, ჩახლები, ქაცალები* (ბელტიეთსაც არიან), *თათუჯუენთი. ფალაზები* აღარავინ არიან. ისინიც წაბარგული არიან. *თუთიენთი* დაგვავიწყდა, მაჰალეც. *ოდიენთიც* ორი კვამლია. ზამთარში აქ არ რჩებიან. მეგრელებში მარტო *მეგრელები* ვართ. სამი განაყარი ვართ. ის ორი კვამლი სხვები არიან; მაჭახლიდან მოვიდნენ და მეგრელები გახდნენ. იქიდან მაჭახლიდან ბერი მოვიდა და ნენე უთხოვია. ნენე მეგრელი იყო. მიხელყმიანთაც *ქირთუები* არიან, სამი კვამლი. მიხელყმიანთა *ჭენჭიებიც (ჭენჭათი)* არიან. რევაზიენთში მთელი *რევაზანები* არიან. აბრამიენთში სულ *ფუქშები* არიან. აბრამიანთ მაჰალეს უძახიან და აქ ცხოვრობენ *ფუქშები.* ერთი ფუქშა შერთულზე არის“.

შვიდი უბნისაგან შედგება იმერხევის სოფელი *ზაქითიც*, რომელთაგან გვარის სახელს ატარებს *ჩაქვრიძეები, მიქაძეები, ფოჭრენგეები* („*მიქაძეები* გამრავლებულან და ესენი ცალკე გამოყოფიან“), *ყაფჩინები, შობელები.* მიწრუათის მაჰალეში ცხოვრობენ *უნიალები.* ხევმაჰალეში არიან *ნაფენგვრიეთი, საკიენთლები, ბოკიენთი. „ჩაქვრიძეების* გვარიზობებია: *ყალაიჯები*... „შობელების გვარიზობებს რას ეტყოდნენ, ენის წვერზე მიგორავს, ერთი *ბაჯუენთი...“*

ჩიხორშიც დასტურდება ქართული გვარები. ერთ-ერთი აქაური მთხრობელის თქმით, „*თამაზას* გვეტყვიან გვარს, *წითელას, ფალაზები (ფალაზები* ხევწერილადან ჩამოსულან). ისევე როგორც იმერხევის სხვა სოფლები, ჩიხორიც მაჰალეებისაგან // უბნებისაგან შედგება. *არდიაწმინდაში* ცხოვრობენ *მურადოღლები, წითელოღლები, ემინოღლები, ლიბანში — წვიტები (წვიტოღლები), თეთრაქეთში — იშიოღლები, ლაზოღლები, ფურჩები, ვარდიყანაში —*

(„ექვსი თვე ზაფხულში ვარდიყანაში არიან, ექვსი თვე თეთრაქეთში ზამთარში“), *ბერიეთში — ბათუმოლლი, ცვარიძე*, წურღიეთში // წურიეთში — *ჩოლახები, ომბაშოლლი, ჯამიკარში — ვეზიროლლი, ომბაშოლლი, მაბრეთში — წითელოლლი, ველოლლი, ჭედრულში* (შარბოლში) — *ჯაგვები, მახარები*. ჩიხორის ყველაზე დიდ სოფელში (უბანში) ცხოვრობენ *მახარები, კვირტები, ჩორტანები*. „*თამაზოლლები* და რაც ჩამოვთვალე ყველა იერლები ყოფილან. *ველიოლლები* ველიდან მოსული ყოფილან. სხვისთვის თამაზებს ადგილები მიუციათ“.

საყურადღებოა, რომ შუახევში იმერხევიდან ქალი ყოფილა გათხოვილი, რომლისთვისაც ადგილობრივებს *შავშურა* შეურქმევიათ. ასეთი მეტსახელების შერქმევა კი საქართველოში ერთგვარი ტრადიცია იყო.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ შავშეთ-იმერხევში, მიუხედავად იმისა, რომ ის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მოწყვეტილი იყო საქართველოს და შედიოდა სხვა სახელმწიფოს — ოსმალეთის იმპერიის — შემადგენლობაში, ქართული მემკვიდრეობითი სახელის (გვარსახელის) ტრადიცია არასდროს შეწყვეტილა. ხალხის მახსოვრობამ მემკვიდრეობითი სახელები (გვარები) დღემდე შემოინახა — ტრადიცია არ გაწყვეტილა. მართალია, უშუალოდ შავშეთში ეთნიკური ქართველები ასიმილირდნენ („გადაბრუნდნენ“), მაგრამ გვარი რომ აქაც ტრადიციული იყო, ამას XIX საუკუნის რუსული დოკუმენტები მოწმობენ — სოფლები და სოფლის უბნები ხშირ შემთხვევაში გვარის სახელს ატარებდნენ.

შავშეთის იმერხევის მხარეში გვარის გარეშე არცერთი ქართველი არ ყოფილა. ბევრ გვარს ჰქონდა გვარის დანაყოფიც. გვარის დანაყოფები იყო როგორც ძველი, ისე შედარებით ახალი, თურქთა მმართველობის დროს, ისლამის მიღების შემდეგ წარმოქმნილი. მაგალითად, *იშხნელიძეები კარამამედოლლებად* იქცნენ, *კვირიკაძეები დურალოლლად, აღიძეები — ყადიოლლად*. თუმცა თავდაპირველი ქართული გვარი არ დაუკარგავთ. იმერხეველები თავიანთ გვარებს აწარმოებენ, ძირითადად, რამდენიმე ქართული სუფიქსით: -ძე, ეთ, -ენთ, -ებ. იმერხეველთა მეტყველებაში გვარების წარმოთქმის დროს ზოგჯერ ქართულ სუფიქსებს თურქული -ოლლი სუფიქსიც ენაცვლება, მაგალითად, *კაკაბოლლი*, ე. ი. *კაკაბაძე*.

იმერხევში ბევრი ისეთი გვარი დასტურდება, რომლებსაც აქეთ საქართველოში პარალელი არ დაეძებნება (მაგალითად, ფილიპიძე). საქართველოში ბევრი გადმოცემაა შემონახული გვარების წარმომავლობის, ადრინდელი გვარების შესახებ. ანალოგიური გადმოცემები იმერხევშიც არა ერთი და ორია

დაცული. მიუთითებენ ადრინდელ გვარებსაც. *ბუტიძეები* იმის გამო, რომ *იმნაიის* მამულზე დაესახლნენ, იმნაძის გვარში ზესიძედ შეეიდნენ, იმნაძეებად იქცნენ. გვარის ასეთი შეცვლა კი საერთო ქართული ტარადიცია გახლდათ. იმერხევშიც ხდებოდა ერთი საერთო გვარიდან რამდენიმე გვარის გამოყოფა. მაგალითად, *ზურაბიენთი, აკკიენთი, გოლიენთი, სამოლიენთი* საერთო სისხლისანი არიან. ხშირად გვარი და ადგილის სახელი (უბანი) ერთი სახელითაა გადმოცემული: *ციციენთი, ბათილეთი, თათუენთი...*

იმერხევში უსუფიქსო გვარებიც დასტურდება: *შამათა, ზობები, ჩახმახჩები, ფუჭჩები...* მაგრამ ჭირს იმის გარკვევა, ეს ანთროპონიმები გვარსახელებია, გვარის დანაყოფები, თუ გვარის მეტსახელები (ანუ „საგინებელი გვარები" – მისაგნებელი გვარები, როგორც ეს გურიასა და ზემო იმერეთშია. მაგალითად, გურიის სოფელ ხიდისთავში *კალანდაძეები* რამდენიმე ასეთ „საგინებელ გვარად" იყოფიან: *ნაჯახე, ირემე, ტურიე, ღინჭიპურე...* ხოლო მამათელ გოგელიებს მხოლოდ ერთ „საგინებელი" // გვარის მეტსახელი – *ირგრეხა* გააჩნიათ). ეთნოისტორიული თვალსაზრისით ამას არსებითი მნიშვნელობა არცა აქვს. მთავარია, რომ ისინი მემკვიდრეობითი სახელებია, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა, ე. ი. უცხო ეთნიკურ გარემოში ტრადიცია გრძელდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ტრადიციას საფუძველი გამოცლილი ჰქონდა.

შავშეთ-იმერხევში მემკვიდრეობითი სახელის აღმნიშვნელი ქართული ტერმინი – „გვარი" – ფაქტობრივად არ შემონახულა. მხოლოდ ერთხელ იქნა ის დადასტურებული „გორის" ფორმით. სამაგიეროდ, გვარის დანაყოფის აღსანიშნავად რამდენიმეჯერ დადასტურდა ტერმინი „გვარიზობა" (*„ჩაქვრიძეების* გვარიზობებია: *ყალაიჯები*... „შობელების გვარიზობებს რას ეტყოდნენ, ენის წვერზე მიგორავს, ერთი *ბაჯუენთი...*").

იმერხევში გვარების შესახებ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალებით დასტურდება მიგრაციული პროცესებიც. შეინიშნება მიგრაცია კოლისა და არტაანის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებიდან, აჭარიდან, მაჭახლიდან და რაჭიდანაც კი.

Roland Topchishvili

GEORGIAN SURNAMES IN SHAVSHETI-IMERKHEVI: ETHNO-HISTORICAL ISSUES

Summary

From ethnic Georgians in the historical South-West Georgia Georgians of Imerkhvei have well preserved the Georgian language and traditions. However, in Turkey the Georgian surnames were never fixed officially, but they were kept in the memory of the people. The Georgian surnames are preserved well in the Imerkhevi region. Tradition of the Georgian surnames is proved by the ethnographic data. Existence of the Georgian surnames in Imerkhevi from the the very old time is confirmed by the toponyms as well – many toponyms carry just the surname. They are mostly the names of village districts, though among them are names of several villages too. Such toponyms were in many historical-ethnographic parts of Georgia, which point that in one concrete village there lived people of one surname. Such example in Adjara is the village Intskirvelebi. This fact shows that this village was initially populated by people of the same surname – Intskirveli.

Many anthropotoponyms are proved in Shavsheti-Imerkhevi, ex. according to Russian census of 1886 in the village Akhaldaba of the Shavsheti region there were districts with the following names: Gelsadze, Gogelidze, Goginidze, Popadze, Urumidze-Arushidze. The districts of Garklobi had the following names: Kadagidze, Mikeleti It is clear that these villages were settled by the people of the relevant surnames.

The names of two villages in Shavsheti-Imerkhevi are well-known. They are as follows: Turmanidze and Lionidze. 1886 family lists say that the village Turmanidze was in the Garklobi community, and the village Lionidze was already turned into one of the districts of Chikhori. Next district of Chikhori was named Gegazelari, i.e. it was the village of the Gegadze family. Here is also fixed Petraketi. This anthroponym was also turned into toponym. Garklobi community involved the village Tsivieti as well. Name of the village proves that here lived people of the Tsivadze family. Tsivieti districts in 1886 also carried the surnames: Dughabidze, Lasuridze, Khilvadze. One of the districts of the village

Balvana was named as Samkharo-oghli, and another – Kanklo-oghli; they are the same as Georgian Samkharadze and Kanklidze. Districts of Dabatsvrili were: Kopadze, Khiladze, Chugadze.

A great part of Imerkhevi inhabitants remember well even today their Georgian surnames, ex. in the village Ube they name the surnames: Gorgvadze and Chividze. The register of the Russian census of 1886 points to two districts of Ube: Gorgadzelar and Chevidzelar. In most cases the surnames of Imerkhevi Georgians were formed by suffix – dze. Substitution of the Georgian suffix by the Turkish suffix – oghli – was also an ordinary event.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XI
თბილისი. 2016

ჯაბა სამუშია

სერგეი ტუჩკოვის ცნობები საქართველოს შესახებ

XIX საუკუნის დასაწყისის საქართველოს პოლიტიკური ისტორია ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგადაა შესწავლილი. ქართველი მკვლევრები ძირითადად ეყრდნობიან იმ მასალას, რომელიც შესულია 12 ტომიან გამოცემაში – «Акты, собранные Кавказскою археографическою комиссиею». ეს უნიკალური კრებული, რომელშიც თავმოყრილია XIX ს. I ნახ. დოკუმენტური მასალა (ოფიციალური ბრძანებები, მოხსენებები, პირადი წერილები და სხვა) დაიბეჭდა 1866-1904 წწ. ა. ბერჟეს (ბოლო ორი ტომის რედაქტორია დ. კობიაკოვი) რედაქტორობით.

საზოგადოდ ამ ეპოქის წყაროთმცოდნეობითი ბაზის გაფართოება ძალიან მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომაც გადავწყვიტეთ საგანგებოდ შეგვესწავლა XIX ს. დასაწყისის ცნობილი რუსი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწის, გენერალ ს. ტუჩკოვის „ჩანაწერები“.[1] ეს უკანასკნელი, როგორც თვითმხილველი საქართველოში რუსული მმართველობის დამყარებისა ძვირფას ცნობებს გვაწვდის XIX საუკუნის პირველი ათეულის ქართლ-კახეთისა და იმერეთის შესახებ. აქვე უნდა ითქვას, რომ ზოგადად მისი „ჩანაწერები“ ეხება კაუკასიის ამბებს, მაგრამ ჩვენთვის, ბუნებრივია, მოგონებების, მხოლოდ ის ნაწილია საინტერესო, რომელშიც საკუთრივ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს ეხება.

სერგეი ალექსის ძე ტუჩკოვის „ჩანაწერები“ მნიშვნელოვანი წყაროა XVIII-XIX სს. მიჯნის საქართველოსა და, ზოგადად, კავკასის ისტორიისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ს. ალ. ტუჩკოვის მოგონებები თითქმის ერთი საუკუნის წინ გამოქვეყნდა. მისი ცნობები ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად გათვალისწინებული, არადა, ავტორს ბევრი ის დეტალი აქვს მოხმობილი, რომლებიც არცერთი სხვა წყაროთი არ დასტურდება. ამ ნაწარმოების გარდა ტუჩკოვს ეკუთვნის კიდევ ერთი საინტერე-

[1] Записки Сергея Алексеевича Тучкова. 1766-1808. под ред. и со вступит. ст. К. А. Военского. СПб. 1908.

სო შრომა – «записки Касающіяся до земель между Черным и Каспійскимъ моремъ находящихся, и особенно о Грузіи; показаніе теперещняго ея состоянія, съ нѣкоторыми видами къ исправленію онаго», რომელიც შევიდა მისი თხზულებების 1817 წლის გამოცემაში – «Сочиненія и переводы» IV ნაწილში.[2] ტუჩკოვის ცნობების ქართულ თარგმანს ახლო მომავალში იხილავს მკითხველი. ამჟამად მხოლოდ ზოგადი მიმოხილვით შემოვიფარგლებით.

სერგეი ტუჩკოვი დაიბადა 1767 წელს მოსკოვში, ცნობილი ინჟინერის, გენერალ ალექსი ვასილის ძე ტუჩკოვის ოჯახში. დედა ცნობილი ოჯახის – ნარიშკინების საგვარეულოს წარმომადგენელი იყო. მათ ოთხი ვაჟი შეეძინათ ნიკოლოზი, სერგეი, პავლე და ალექსანდრე. ოთხივე ძმა სამხედრო კარიერას გაჰყვა და გენერლის ჩინამდე მიაღწიეს. სერგეი ტუჩკოვის მამას, როგორც სამხედრო ინჟინერს ხშირად უწევდა სამსახურის გამო იმპერიის სხვადასხვა რეგიონში წლობით ყოფნა, რის გამოც ოჯახიც იცვლიდა საცხოვრებელ ადგილს. მიუხედავად ამისა, სერგეი ტუჩკოვმა საკმაოდ კარგი განათლება მიიღო. ახალგაზრდობაში პოეზიით იყო გატაცებული, წერდა ლექსებს. მისი ლიტერატურული ნიჭი ჩანაწერებიდანაც კარგად ჩანს. 1788 წლიდან ტუჩკოვი სამხედრო სამსახურშია. მონაწილეობდა შვედებთან და აჯანყებულ პოლონელებთან ბრძოლაში. 1800 წლიდან გენერალი ტუჩკოვი განაწესეს კავკასიაში, სადაც მოუწია დარჩენა 1805 წლის მიწურულამდე. იგი ასრულებდა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის მოვალეობას. სამხედრო კარიერა ტუჩკოვმა 1834 წელს დაასრულა გენერალ-ლეიტენანტის წოდებით. გარდაიცვალა 1839 წელს მოსკოვში, დასაფლაებულია ნოვოდევიჩის მონასტერში.

ტუჩკოვის „ჩანაწერები“ საკმაოდ დიდ პერიოდს მოიცავს (1766-1808). ამ მონათხრობში ე. წ. კავკასიურ პერიოდს სოლიდური ადგილი უჭირავს. ნაწარმოები წარმოდგენას გვიქმნის მის ავტორზეც. იგი განსვავებით ბევრი რუსი სალდაფონი გენერლისგან, ინტელექტუალური და თავისუფლად მოაზროვნე ადამიანია. ის არ ერიდება იმპერიის სხვადასხვა რანგის ხელისუფალის კრიტიკას, არ ინდობს თვით იმპერატორ ალექსანდრე I-ს და მას მამის მკვლელობაში მონაწილეობაში ამხელს.[3] საზოგადოდ ამ თემაზე რუსეთში XIX საუკუნეში აქტიურად მსჯელობდნენ, მაგრამ გენერალ-ლეიტენატისგან ასე თამამად ამ საკითხის წამოწევა გარკვეულ სითამამეს მოითხოვდა.

[2] С. А. Тучков. Записки касающіяся до земель между Черным и Каспійскимъ моремъ находящихся, и особенно о Грузіи; показаніе теперещняго ея состоянія, съ нѣкоторыми видами къ исправленію онаго. Сочинено въ концѣ 1805 года. Сочиненія и переводы. Ч. 4. СПб. 1817.

[3] Записки Сергея Алексеевича Тучкова. 1766-1808, გვ. 217-219.

ტუჩკოვის მონათხრობის შედარება სხვა წყაროებთან გვარწმუნებს, რომ იგი კეთილსინდისიერი მთხრობელია, დეტალების დონეზე ცდილობს დაიცვას სიზუსტე. მიუხედავად ამისა, „ჩანაწერები“ არ არის დაზღვეული სუბიექტურობისგან, გადაჭარბებული შეფასებებისგან. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან ჩვენს ხელთაა ერთი ადამიანის მოგონებები და არა ოფიციალური დოკუმენტი ან არადა მშრალი ქრონიკა.

1800 წლის ზაფხულში გენერალ-მაიორ ტუჩკოვს დაევალა გრენადერთა პოლკთან ერთად საქართველოსკენ დაძრულიყო, მაგრამ ეს 1801 წლის დასაწყისამდე ვერ მოხერხდა. ტუჩკოვის თბილისში გამოგზავნის გადაწყვეტილება 1800 წლის იულისში მიიღეს. იმპერატორმა პავლემ 1800 წ. 12 აგვისტოს ბრძანებით დაადასტურა, რომ სხვა სამხედრო შენაერთებთან ერთად ტუჩკოვის პოლკი თბილისში უნდა ჩასულიყო და შეერთებოდა გენერალ ლაზარევის სამხედრო ნაწილებს.[4] ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ რუსული პოლკების ზამთარში, კავკასიის ქედის თითქმის გაუვალ უღელტეხილზე გადმოსვლა განაპირობა 1800 წ. 18 დეკემბრის მანიფესტის გამოქვეყნებამ. ვფიქრობთ, აქ ერთი დეტალია დასაზუსტებელი: ტუჩკოვთან კარგად ჩანს, რომ რუსული ნაწილების გადმოყვანა სამხრეთ კავკასიაში უკვე დაგეგმილი იყო ზაფხულში, როგორც ჩანს, ამ დროს უკვე გადაწყვეტილი იყო საქართველოს დაპყრობა, მაგრამ ეს პროცესი ნელა მიმდინარეობდა. დეკემბრის მოვლენებმა (მანიფესტი, გიორგი XII სიკვდილი) აღნიშნული სამხედრო აქცია დააჩქარა. იმპერატორმა პავლე I-მა აუცილებლობად მიიჩნია რუსეთის ჯარის ნაწილების გაგზავნა თბილისში სწორედ ზამთარში, ამას თავის ახსნა აქვს. მანიფესტის გამოცემიდან ათ დღეში, 1800 წლის 28 დეკემბერს გარდაიცვალა გიორგი XII. საქართველოში მიმდინარე პროცესები რუსეთისათვის მართვადი რომ ყოფილიყო, ამისათვის საჭირო იყო სამხედრო კონტიგენტის გაზრდა. მიუხედავად იმისა, რომ ზამთარში კავკასიის ქედის გადალახვა საკმაოდ რთული იყო, იმპერატორმა სასწრაფო წესით რამდენიმე პოლკის გაგზავნა ბრძანა ქართლ-კახეთში. ტუჩკოვის მითითებით საკმაოდ მცირე დროის განმავლობაში საქართველოსკენ დაიძრა სამი პოლკი: 1801 წლის მიწურულს გენერალ-მაიორ გულიაკოვის, 1802 წლის დასაწყისში ტუჩკოვის და რამდენიმე კვირაში გენერალ ლეონტიევის (ტუჩკოვი აღნიშნავს, რომ გენერალმა

[4] Акты, собранные Кавказскою археографическою комиссиею. Т. I. Издан. под ред. председ. комиссии с. с. Ад. Берже. Тифлис. 1866, გე. 134.

ლეონტიევმა ვერ გაბედა კავკასიის უღელტეხილის გადალახვა და ვლადიკავკაზთან ახლოს დაბინავდა).[5] პეტერბურგში, ფაქტობრივად, უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ ქართლ-კახეთის შეერთება, მხოლოდ გარკვეული პროცედურის დაცვა იყო საჭირო. ფორმალობა რუსეთის მხრიდან პოლიტიკურ კეკლუცობას უფრო ჰგავდა. რუსული სამხედრო შენაერთების სამხრეთ კავკასიაში გადმოსვლით რუსეთის საჯარისო ნაწილები თბილისში ძლიერდებოდა, რაც საჭირო იყო იმ მომენტისათვის, როცა რუსეთის იმპერატორი საბოლოოდ გადაწყვეტდა ქართლ-კახეთის შეერთებას. იმავდროულად, რუსეთის ჯარს ხელი უნდა შეეშალა, თუ ამას ქართული მხარე მოიწადინებდა, ქართლ-კახეთის ახალი მეფის კურთხევისათვის. პეტერბურგში მშვენივრად იცოდნენ, რომ დავით გიორგის ძის გაშეფება მთლიანად შეცვლიდა იმპერიის პოლიტიკურ გეგმებს და ქართლ-კახეთის დაპყრობა დღის წესრიგიდან მოიხსნებოდა, ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე წლით მაინც. გიორგი XII სიკვდილის შემდეგ ისეთი პოლიტიკური ატმოსფერო სუფევდა ქართლ-კახეთში, რომ ეს ვითარება ყველაზე მეტად ხელს აძლევდა რუსეთს და იმპერატორის მხრიდან ასეთი სიჩქარე ამით უნდა იყოს განპირობებული. პავლე I-მა რთული სამხედრო მისიის შესრულებისათვის მეომრებისათვის ჯილდოები და საჩუქრები დააწესა. საკმაოდ უხვი იყო იმპერატორის დაპირება.[6]

ბრძანების მიღების შემდეგ ტუჩკოვმა დაიწყო კავკასიონზე გადასვლის ოპერაცია. „ჩანაწერებში" აღწერილია რუსული ჯარის თბილისამდე მოგზაურობის ამბები, განსაკუთრებით საინტერესოა ყაზბეგის ანუ სტეფანწმინდის და მისი სიძველეების აღწერა. რუსი გენერლის მითითებით, 1801 წლის მარტისთვის გერგეტის სამების მონასტერი უკვე დაცარიელებული ყოფილა და იქ, მეზობელ სოფელში მცხოვრები მღვდელი მსახურობდა. აქვე ტუჩკოვი ერთ საინტერესო დეტალს ახსენებს: „ერთი ახალგაზრდა მთიელი, ჩვენს მიერ ნახსენები მღდვლის ვაჟი, რომელმაც ცოტაოდენი რუსული იცოდა, ჩვენთან იმყოფებოდა".[7] როგორც ჩანს, სტეფანწმინდელების ნაწილს უკვე დაწყოთ რუსულის შესწავლა, ეს კი გამოწვეული უნდა ყოფილიყო ამ რეგიონის მკვიდრთა კავშირით რუსულ რედუტებთან.

ძალიან მძიმე და შრომატევადი აღმოჩნდა ტუჩკოვისათვის კავკასიის თოვლიანი მთების გადალახვა. ადგილობრივი მოსახლეობიდან 800 ადამიანი იყო ჩაბმული მარტო გზის გაწმენდაში. რამდენიმე დღიანი მცდელობის შემდეგ

[5] Записки Сергея Алексеевича Тучкова. 1766-1808, გვ. 179.
[6] Записки Сергея Алексеевича Тучкова. 1766-1808, გვ. 176.
[7] Записки Сергея Алексеевича Тучкова. 1766-1808, გვ. 180.

ჯარი კაიშაურთან დაბანაკდა. ტუჩკოვი ერთ, ჩვენთვის უცნობ ფაქტს ახსენებს: „სოფელ კაიშაურის სიახლოვეს არის ერთი მეტად მინერალური წყარო, ოდნავ მსგავსი კავკასიური *მინერალური წყლებისა*. დღემდე არ არის მისი თვისებები გამოკვლეული, მაგრამ მე როცა მის შესახებ მითხრეს, მაშინვე ვუბრძანე მოეტანათ რამდენიმე ბოთლი, დავიწყე მისი მოხმარება და ვიგრძენი დიდი შვება. მაგრამ ჩემი კეთილი მასპინძელი მოვიდა ერთხელ ჩემთან და მითხრა: – „არ დალიოთ ეს წყალი, ის არ არის ჯანმრთელი". – „რატომ, საიდან იცი?" – ვკითხე მე მას. – „აი, რატომ", – განაგრძო მან, – „ცხონებული ჩვენი მეფე ირაკლი (ერეკლე ჯ.ს.) დიდხანს ავადმყოფობდა. მკურნალმა ურჩია დაელია ეს წყალი და ჩვენც მოვალენი ვიყავით მასთან გვეზიდა ის ტფილისში. მაგრამ იგი ცოტა ხანს სვამდა ამ წყალს და მალე გარდაიცვალა. „– რამდენი წლის იყო მაშინ თქვენი მეფე?" – ვუთხარი მე მას. – „80 წელზე მეტის იყო, შესაძლებელია 90-ის. ჩვენმა მღვდელმა უკეთესად იცის ამის შესახებ, შეგიძლიათ მას ჰკითხოთ".[8] სამწუხაროდ, ამ პერიოდის წერილობით წყაროებში ეს დეტალი, ისევე როგორც ბევრი სხვა ფაქტი, არ იხსენიება. ტუჩკოვის მონათხრობით, ერეკლე II-ს ბიოგრაფიის ერთი საინტერესო ეპიზოდი ცოცხლდება. რუსი გენერალი ანანურის, დუშეთისა და მცხეთის გავლით ჩავიდა თბილისში. აქვე ტუჩკოვი ახსენებს, რომ დუშეთს ამ დროს ფლობდა ერეკლე II-ს ვაჟი ვახტანგ ბატონიშვილი. თბილისში დაბანაკებულ გენერალს პირველი რაც თვალში ეცა, იყო ის საშინელი ნგრევის კვალი, რომელიც ალა-მაჰმად ხანის შემოსევისგან მემკვიდრეობით დარჩენოდა ქალაქს.[9]

* * *

ტუჩკოვის ჩამოსვლისას ქართლ-კახეთს განაგებდა უფლისწული დავითი, რომელიც, იმავდროულად, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი იყო. აქვე ტუჩკოვი ერთ გაურცელებულ ჭორზეც გვესაუბრება: „ზოგიერთები ამბობდნენ, მისი (იმპერატორის ჯ.ს.) გადაწყვეტილებაა, რომ საქართველო აქციოს მალტის ორდენის კავალერთა (რაინდთა ჯ.ს.) ადგილსამყოფელად, ხოლო უფლისწული დავითი ამ ორდენის გროსმაისტერად (მალტის ორდენის ანუ იგივე იოანე ნათლისმცემლის ორდენის ხელმძღვანელის ოფიციალური წოდება იყო გროსმაისტერი – დიდი მაგისტრი ჯ.ს.)".[10] როგორც ცნობილი, 1798 წელს ნაპოლეონის მიერ მალტის დაკავების შემდეგ ჰოსპიტალიტების ანუ იოანიტების ორდენმა კუნძული დატოვა. მალტის ორდენის წევრებმა თა-

[8] Записки Сергея Алексеевича Тучкова. 1766-1808. გვ. 183.

[9] Записки Сергея Алексеевича Тучкова. 1766-1808. გვ. 186.

[10] Записки Сергея Алексеевича Тучкова. 1766-1808. გვ. 187.

ვი ევროპის ქვეყნებს შეაფარეს, მათ შორის რუსეთს. იმპერატორმა პავლე I, გადაწყვიტა მათი გამოყენება აღმოსავლურ პოლიტიკაში და, ფაქტობრივად, ხელი შეუწყო რუსეთში ორდენის რესტავრაციას, რის გამოც საძმოს წევრებმა იგი „დიდ მაგისტრადაც" კი აღიარეს. მალტის ორდენის მკვლევრები ვ. ზახაროვი და ვ. ჩიბისოვი იმასაც კი ვარაუდობენ, რომ რუსეთს სურდა ორდენის აღორძინებით ხელი შეეშალა ოსმალეთის პოლიტიკისათვის ყირიმისა და კავკასიაში.[11] არ გამოვრიცხავთ, ტუჩკოვთან აისახა კიდეც ის მოარული ხმები, რომელიც მალტის ორდენის შესახებ პეტერბურგსა თუ თბილისში დადიოდა. საზოგადოების ნაწილს მიაჩნდა, რომ რაინდული ორდენის ფუნქციონირებისათვის საჭირო იყო გარკვეული ტერიტორია, ისევე როგორც ეს მალტაში იყო. ასეთ ტერიტორიად კი ქართლ-კახეთს განიხილავდნენ.

ტუჩკოვის მოგონებებში ცალკე ქვეთავი ეძღვნება გენერალ ლაზარევს. ტუჩკოვი კარგად იცნობდა მას და ამიტომ, მისი პერსონის, რუსი გენერლის მხრიდან დახასიათება საკმაოდ საინტერესოა. იგი ლაზარევის ხასიათის ისეთ შტრიხებზე ამახვილებს ყურადღებას, რომელიც მთლიანობაში კარგად ხსნის მის ამა თუ იმ ქმედებებს. ლაზარევი ბევრს არ მოსწონდა, მას გადაჭარბებულად ეჭვიანად ახასიათებს ტუჩკოვი: ეს უკანასკნელი იმასაც აღნიშნავს, რომ ლაზარევი „იმცირებდა თავს ხელმძღვანელობასთან, რასაც თავადაც ითხოვდა ხელქვეითებისაგანო".[12] ტუჩკოვის თბილისში ჩასვლისას ლაზარევს გართულებული ურთიერთობა ჰქონდა დავით უფლისწულთან, რომელთანაც მანამდე მეგობრობდა.

* * *

ტუჩკოვის „ჩანაწერებში" დაწვრილებითაა აღწერილი იმერეთის დედოფლის ანნას სოლომონ II-ისგან ფარულად გამოქცევის ისტორია. შეიძლება ითქვას, რომ რუსმა სამხედროებმა სპეციალური ოპერაცია ჩაატარეს დედოფალ ანნას აღმოსავლეთ საქართველოში უსაფრთხოდ გადმოსაყვანად. იმერეთის ყოფილ მეფეს დავით გიორგის ძეს ცოლად ყავდა ანნა ყაფლანიშვილი (იმერეთის ბაგრატიონების ყველაზე სრულყოფილ გენეალოგიურ ტაბულაში, რომელიც დაბეჭდილია წიგნში – „ბაგრატიონები",[13] ანნა ორბელიანად იხსენიება. ეს ბუნებრივიცაა, რამეთუ ის ეკუთვნოდა ორბელიან-ყაფლანიშვილთა სათავადო სახლს), რომელთანაც შეეძინა უფლისწული კონსტანტინე. სოლომონ II-ის

[11] В. А. Захаров, В.Н. Чибисов, История Мальтийского Ордена. М. 2012, გვ. 106.

[12] Записки Сергея Алексеевича Тучкова. 1766-1808, გვ. 187-188.

[13] ბაგრატიონები. სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა (მთ. რედ. როინ მეტრეველი). თბ. 2003.

მიერ ჩამოგდებული დავითი ახალციხეს აფარებდა თავს, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1795 წელს. მისი ოჯახი იმერეთში ცხოვრობდა, სადაც სოლომონ II ავიწროვებდა მათ, მცირეწლოვანი უფლისწული კონსტანტინე მუხურის ციხეში ჰყავდა გამოკეტილი, დედოფალი კი უფლებააყრილი ცხოვრობდა.

ტუჩკოვი ერთ ასეთ დეტალს იხსენებს: „სოლომონი თავიდან დედოფლის ახალგაზრდობის გამო არ თვლიდა მას საშიშად. როდესაც მან ძალაუფლება განიმტკიცა, მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ მოიტაცა მისი ვაჟი, რომელიც ჯერ კიდევ ძიძასთან იმყოფებოდა, ბრძანა მისი კოშკში გამოკეტვა. ამასთან მან ბრძანა, რომ არავის გაებედა ამ ბავშვის თანდასწრებით არცერთი სიტყვის თქმა, არცერთ ენაზე. ის ფიქრობდა, რომ ბავშვი ამის გამო მუნჯად დარჩებოდა მთელი ცხოვრება და მისთვის უკვე აღარ იქნებოდა საშიში“.[14] აშკარაა, ტუჩკოვი არ წყალობს სოლომონ II-ს. რუსი გენერლის მიერ გავრცელებული ჭორი ნამდვილად არ შეეფერება სიმართლეს. კონსტანტინე მართლაც იყო შინაპატიმრობაში, მაგრამ არა ისეთ აუტანელ მდგომარეობაში, როგორადაც ამას ტუჩკოვი გვიხატავს. მან ლაპარაკიც იცოდა და, როდესაც რუსებს ჩაბარდა, მალევე გაეპარა ამ უკანასკნელთ და ისევე სოლომონს მიუვიდა. არც დედოფალი იყო გაძლიერებული დაცვის ქვეშ. საჭირო დროს ანნამაც ადვილად დააღწია იმერეთის მეფის მეთვალყურეობას თავი და რუსებს ჩაბარდა. რუსი გენერალი აშკარად აჭარბებს, თუმცა ის ფაქტი, რომ სოლომონსა და დავით გიორგის ძის ოჯახს შორის მტრობა იყო ეს სხვა წყაროებითაც დასტურდება. დედოფალი ანნა იძულებული იყო ეთმინა ეს შევიწროება და დაცინვა. ქართლ-კახეთში რუსი ჯარების შესვლის შემდეგ დედოფალმა გადაწყვიტა ფარულად დაკავშირებოდა რუსებს. მან მოახერხა ქუთაისიდან გაქცევა და იმერეთის ტყეებს შეაფარა თავი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტუჩკოვს ანნა დედოფლის ქართლში გადმოყვანის ოპერაცია დეტალებში აქვს აღწერილი და, ფაქტობრივად, ეს მონათხრობი ერთადერთი წყაროა საიდანაც ამ მოვლენების წვრილმანებია ცნობილი. დედოფლის გაპარვის შემდეგ, იმერეთის მეფემ სოლომონ II-მ ხალხი დააგზავნა მის მოსაძებნად, მაგრამ ამაოდ. ანნა ზემო იმერეთის ტყეებში, ქართლის საზღვართან იმალებოდა რამდენიმე ერთგულ ადამიანთან ერთად. ამასობაში თავად დედოფალმა მოახერხა მსახურის ხელით გაეგზავნა წერილი სურამში მდგომი რუსული ნაწილის უფროსისათვის, რომელმაც სასწრაფოდ ამის თაობაზე აცნობა ტუჩკოვს, ამ უკანასკნელმა კი გენერალ ლაზარევს. მთავარსარდალი კნორინგი ამ დროს საქართვე-

[14] Записки Сергея Алексеевича Тучкова. 1766-1808, გვ. 189.

ლოში არ იმყოფებოდა და ამიტომაც, ლაზარევსა და ტუჩკოვს მოუწიათ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება. ტუჩკოვი სასწრაფოდ ჩავიდა სურამში, სადაც ინახულა ანნა დედოფლის გამოგზავნილი კაცი, რომელმაც ზუსტად იცოდა დედოფლის ადგილსამყოფელი. დაიგეგმა ოპერაცია. ეჭვი რომ არ აეღოთ, ტუჩკოვმა ვითომდა ლეკების თავდასხმის შიშით 50 მეომარი გააგზავნა უშუალოდ საზღვართან არსებულ საგუშაგოზე, საიდანაც არც ისე შორს იყო ის ადგილი სადაც თავს აფარებდა დედოფალი. ამის შემდეგ, ერთ ბნელ და ავდრიან ღამეში გამოცხადა ტყუილი განგაში. რუსები, ლეკების დევნის მომიზეზებით, სამხედრო მწყობრითა და დოლის დაკვრით, ტყეში საკმაოდ სიღრმეში შევიდნენ.[15] ფაქტობრივად, „დევნის ოპერაცია" იმერეთის ტერიტორიაზე განხორციელდა, სწორედ იმ მიმართულებით სადაც დედოფალი ეგულებოდათ. ანნა თავის მხლებლებთან ერთად მივიდა ამ რაზმთან და ჩაბარდა. რუსებმა იგი, ჯერ სურამში ჩაიყვანეს, შემდეგ კი თბილისში გადაიყვანეს.[16]

* * *

1802 წლის აპრილში თბილისში დაბრუნდა კნორინგი, რომელმაც თან ჩამოიყვანა საქართველოს მმართველი კოვალენსკი. 12 აპრილს შედგა რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დაფიცების ცერემონიალი. თბილისის საზოგადოება დანაწილდა აღმსარებლობის მიხედვით. სამეფო ოჯახის წევრები, ქართველი თავადაზნაურობა და მართლმადიდებელი მოსახლეობა შეიკრიბა სიონის ტაძართან. მათთან ერთად იყო გენერალი კნორინგი. სომეხი-მონოფიზიტები სომხურ ტაძარში და მათ რიტუალს დაესწრო გენერალი ლაზარევი. მუსლიმთა ლოცვას მეჩეთში გენერალი ტუჩკოვი ესწრებოდა, ხოლო კათოლიკეებისას — თბილისის კომენდანტი.[17]

მეორე დღეს გადაწყდა პომპეზურად აღენიშნათ რუსული მმართველობის გახსნა. ცერემონიის ორგანიზება დაევალა გენერალ ტუჩკოვს. მისი მონათხრობი საინტერესო დეტალებს შეიცავს: „მეორე დღეს შევუდექი მთავრობის გახსნას, ხოლო მე დანიშნული ვიყავი იმ სამხედრო ნაწილების მეთაურად, ამ ცერემონიას რომ უნდა დასწრებოდნენ. ამიტომ ჯარების დილით გამოყვანისას დავიწყე ამ ბატალიონის განლაგება გზის ორივე მხარეს ქალაქის კარიბჭიდან მთავარსარდლის სახლამდე. არ შემიძლია გავჩუმდე ერთი არაჩვეულებრივი მოვლენის გამო. სასულიერო პროცესია და სამოქალაქო ცერემონია ჯერ კიდევ

[15] Записки Сергея Алексеевича Тучкова. 1766-1808, გვ. 189-190.
[16] Записки Сергея Алексеевича Тучкова. 1766-1808, გვ. 189-190.
[17] Записки Сергея Алексеевича Тучкова. 1766-1808, გვ. 191.

არ იყო მზად. ყველაზე ნათელ ამინდში, როდესაც დაკავებული ვიყავი ჯარის მოწყობით, მიწის ქვეშიდან ვიგრძენი ყრუ დარტყმა და გუგუნი. მივიხედე და დავინახე, ჩემი მარცხენა ფლანგი ძალიან იყო დაბნეული. პირველად მიწა ქვებითა და თიხის ნაჭრებით თითქმის ათი საჟენის სიმაღლეზე ამაღლდა ჰაერში. მას მოჰყვა ასეთივე მაღალი წყლის ჭავლი... მაშინ გენერალი კნორინგი ფანჯარაში იყურებოდა და, როგორც ყველა, გაოცებული იყო ამ მოვლენით".[18] ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული აზრი, რომ რუსული მმართველობის გახსნა 8 მაისს მოეწყო.[19] ტუჩკოვთან კი ეს მოვლენა 13 აპრილითაა დათარიღებული. შეუძლებელია, ამ მოვლენების თანამედროვე ადამიანს ასეთი ცდომილება მოსვლოდა. ტუჩკოვს ახსოვს, რომ იმპერატორის ერთგულებაზე დაფიცების მეორე დღეს კნორინგს მოუწყვია ახალი ადმინისტრაციის გახსნის ღონისძიება.[20] ბუნებრივია, ავტორის მახსოვრობას ვერ დავაბრალებთ ამ ცდომილებას, იმდენად აშკარაა სხვაობა. საქმე იმაშია, რომ ტუჩკოვი არ ცდება და მისი ცნობა ახალ ელემენტს ძენს ქართლ-კახეთში რუსული მმართველობის დამკვიდრების ისტორიას. ოფიციალური დოკუმენტაციიდან კარგად ჩანს, რომ რუსების ახალი ადმინისტრაციის ყველა საფეხურის გახსნას თან სდევდა პომპეზური რიტუალი. 8 მაისს გაიხსნა „საქართველოს უმაღლესი მთავრობა". ამ ღონისძიების ცერემონიალის დაწვრილებითი აღწერაა მოცემული კნორინგის მიერ კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-სადმი გაგზავნილ წერილში.[21] კნორინგი რამდენიმე დღის შემდეგ, 11 მაისს საინტერესო განკარგულებას აძლევს კოვალენსკის, რომ მაზრებშიც ახალი ადმინისტრაციის გახსნა უნდა მომხდარიყო თბილისის მსგავსად, პომპეზური რიტუალით, რომელშიც ჩართული იქნებოდა ადგილზე მყოფი საჯარისო ნაწილები.[22]

მაშ რა მოხდა 13 აპრილს? ჩვენი აზრით, ამ დღეს კნორინგმა გახსნა რუსული მმართველობა და როგორც მთავარსარდალმა აიღო ხელისუფლება. 8 მაისს კი მოხდა „საქართველოს უმაღლესი მთავრობისა" და მისი ექსპედი-

[18] Записки Сергея Алексеевича Тучкова. 1766-1808, გვ. 191.

[19] ნ. ბერძენიშვილი. საქართველო XIX საუკუნის პირველ მეოთხედში. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. II. თბ. 1965, გვ. 265; მ. დუმბაძე. ქართლ-კახეთის სახელმწიფოს გაუქმება და რუსეთთან შეერთება. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 827; ზ. ციცაძე. XIX საუკუნის ქართლ-კახეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. კრ. „საისტორიო კრებული". ტ. V. თბ. 1976, გვ. 135; რ. ლომიძე. რუსული მართვა-გამგეობლობა საქართველოში. ტ. I. თბ. 2011, გვ. 49.

[20] Записки Сергея Алексеевича Тучкова. 1766-1808. გვ. 191

[21] Акты. Т. I. გვ. 443-444.

[22] Акты. Т. I, გვ. 474.

ციების გახსნა, რომელსაც „საქართველოს მმართველი" კოვალენსკი განაგებდა. მოგვიანებით ასეთი „გახსნები" მაზრებშიც იგეგმებოდა. ასე „პომპეზურად" შემოაბიჯა რუსულმა ხელისუფლებამ ქართლ-კახეთში. იმპერატორის ერთგულებაზე დაფიცებამ და ახალი მთავრობის გახსნამ მშვიდობიანად ჩაიარა. ამის შემდეგ, ტუჩკოვის მონათხრობით, კნორინგმა მას დაავალა წვეოდა გიორგი XII-ს მეუღლეს მარიამს და მისგან სამეფო რეგალიები წამოელო.[23] რუსი გენერალი საგანგებოდ მიუთითებს, თუ რა განრისხება გამოიწვია დედოფალში ამ გადაწყვეტილებამ, მაგრამ მან დავალებას „თავი გაართვა". კრემლის იარაღის პალატის აღწერილობებში იხსენიება, საქართველოდან გატანილი სამეფო ინსიგნიები – გვირგვინი, სკიპტრა და ტახტი. აქედან პირდაპირ მხოლოდ ტახტზეა მითითებული, რომ ის ეკუთვნოდა გიორგი XII.[24] სავარაუდოდ, გიორგი XII-ის უნდა იყოს „აღწერებში" მოხსენიებული გვირგვინი და სკიპტრაც. ყოველ შემთხვევაში, ამ უკანასკნელზე ამოტვიფრულია ასო „პ" ე. ი. პავლე. ეს არის რუსეთის იმპერატორის მიერ გამოგზავნილი სამეფო ნიშანი, რომელიც გიორგიევსკის ტრაქტატის მიხედვით ქართველ მეფეებს რუსეთიდან უნდა მიეღოთ.[25] არ გამოვრიცხავთ, სწორედ ეს სამეფო ნიშნები წამოიღო ტუჩკოვმა მარიამ დედოფლისგან.

ტუჩკოვის „ჩანაწერებში" საინტერესოდაა აღწერილი სამეფო ოჯახის წევრების რუსეთში გასახლების ისტორია. რუსი გენერალი უშუალოდ მონაწილეობდა უფლისწულების ვახტანგის და ბაგრატის, ასევე დედოფალ მარიამის (გიორგი XII-ს მეუღლე) საქართველოდან გასახლებაში. მთელი ეს მოვლენები ისტორიოგრაფიაში აღწერილია ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით. ტუჩკოვი კი, თავის მხრივ, დეტალების დონეზე მოგვითხრობს და ზოგიერთ ისეთ ფაქტს იხსენებს, რომელიც მხოლოდ მისთვის იყო ცნობილი. ამ კუთხით მისი „ჩანაწერები" უნიკალურ ინფორმაციას შეიცავს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, უფლისწული ვახტანგი დუშეთში ცხოვრობდა. 1802 ივლისში გადაწყდა უფლისწულის შეპყრობა და რუსეთში გასახლება, ვინაიდან ის ეჭვმიტანილი იყო ქართლ-კახეთში 1802 ზაფხულში დაწყებული არეულობის ორგანიზებაში. ამ პერიოდში საქართველოს მთავრობაში შექმნილი იყო საბჭო, რომელშიც შედიოდნენ – კოვალენსკი, ლაზარე-

23 Записки Сергея Алексеевича Тучкова. 1766-1808, გვ. 191-192.

24 Опись Московской оружейной палаты. Ч. 2. Кн. 3. Посуда. Утварь. Мебель и одежда. М. 1884, გვ. 182.

25 Опись Московской оружейной палаты. Ч. 1. Кн. 1. Царская образная. М. 1884, გვ. 40, 56.

ვი, ტუჩკოვი, ივანე ორბელიანი, სოლომონ თარხანმოურავი.[26] საბჭოზე გადაწყდა, რომ დუშეთში უფლისწულთან ჩავიდოდა ტუჩკოვი და რუსეთის მმართველობის სახელით ითხოვდა მის თბილისში ჩამოსვლას, რათა ახალი ხელისუფლებისათვის დახმარება გაეწია. ტუჩკოვი იმასაც აღიარებს, რომ ეს გადაწყვეტილება საიდუმლოდ უნდა შეენახათ, ვინაიდან „ჩვენს გარემოცვაში უამრავი ჯაშუში იყოო".[27] ამასთანავე, საბჭომ გადაწყვიტა ეს მოთხოვნა უშუალოდ წარედგინათ უფლისწულისათვის, რათა მას საბაბი არ ჰქონოდა თბილისში ჩამოსვლაზე უარი ეთქვა. რუსების დუშეთისაკენ წასვლა უკვე ეჭვებს დაბადებდა, ამიტომ საბჭოს წევრებმა ორბელიანის ქალაქგარეთ არსებულ მამულში ჩაიზე სტუმრობა მოიმიზეზეს და დატოვეს ქალაქი. ასევე ფარულად დატოვა თბილისი რამდენიმე კაზაკმა, რომლებიც ტუჩკოვს უნდა ხლებოდნენ დუშეთში. საღამოს ტუჩკოვმა ქალაქში დაბრუნება მოიმიზეზა და წვეულობა დატოვა. რუსი გენერალი ფარულად დუშეთისაკენ დაიძრა, გზაზე მას მისი კაზაკები შეუერთდნენ და გამთენიისას უკვე დანიშნულების ადგილზე იყვნენ. დუშეთში ჩასულმა ტუჩკოვმა იქ დისლოცირებული რუსული შენაერთის შემოწმება მოიმიზეზა, თან კაცი მიუგზავნა უფლისწულს და აუდენცია სთხოვა.[28] ვახტანგ ბატონიშვილი ამ დროს დაბინავებული იყო დუშეთის დედა-ციხეში ანუ ე.წ. „კრემლში." პლატონ იოსელიანის ცნობით, „კრემლში დღემდე შემონახულია ორსართულიანი სახლი, მომცრო სარკმლებით, აშენებული ვახტანგ (ალმასხან) მეფისწულის მიერ XVIII საუკუნის ბოლოს და სადაც იგი ოჯახით ცხოვრობდა. ეს სახლი კრემლის აღმოსავლეთ კედელზეა მიდგმული. მისგან ჩრდილოეთით წმ. გიორგის სახელობის ხის ეკლესია არსებობდა, რომელიც 1805 წელს დაშალეს".[29] ამჟამად, ეს ციხე და სასახლე დანგრეულია. ამ კომპლექსიდან, დღეისათვის შემორჩენილია მხოლოდ მცირე ფრაგმენტი, ყოფილი სამხედრო კომისარიატის შენობასთან.[30] ვახუშტი ბატონიშვილის სახელი დღემდე შემონახული დუშეთში მიკროტოპონიმის სახით. მის მიერ გაყვანილ წყაროს, რომელიც ამჟამადაც მოქმედია, დუშელები „ბატონის წყაროს" უწოდებენ. ვახტანგ ბატონიშვილისათვის უკვე ყველაფერი გასაგები იყო და დროის გაყვანის მიზნით მან რამდენიმეჯერ სცადა თავიდან აეცილები-

[26] Записки Сергея Алексеевича Тучкова. 1766-1808, გვ. 193.

[27] Записки Сергея Алексеевича Тучкова. 1766-1808, გვ. 193.

[28] Записки Сергея Алексеевича Тучкова. 1766-1808. გვ. 193-194.

[29] პლ. იოსელიანი. აღწერა დუშეთისა თბილისის გუბერნიის ქალაქისა. რუსულიდან ქართულ ენაზე თარგმანი ლია როინიშვილის მიერ. თბ. 2012, გვ. 122.

[30] პლ. იოსელიანი. აღწერა დუშეთისა, გვ. 19. შენიშვნა.

ნა დაუპატიჟებელ სტუმართან შესვედრა. ბოლოს ტუჩკოვი თავად წავიდა უფლისწულის სამყოფისაკენ. როგორც კი ის გავიდა ქუჩაში, დაინახა მისკენ სირბილით მომავალი ქართველი, რომელმაც უთხრა, რომ უფლისწული გაიქცა. გენერალმა თვალი მოკრა ძალიან შორს მიმავალ უფლისწულს და მის თანხლებ პირს. ისინი მიემართებოდნენ მომცრო სასახლისაკენ, „რომელიც ეკუთვნოდა მის აზნაურს გლალეეელადზევს".[31] „ჩანაწერების" შექმნისას ტუჩკოვს, როგორც ჩანს, დავიწყებული ჰქონდა ამ დიდებულის სახელი. 1802 წლის 12 აგვისტოს გენერალ ლაზარევისადმი გაგზავნილ მოხსენებაში ტუჩკოვი ზუსტად უთითებს იმ დიდებულის გვარს და სახელს ვის ციხე-დარბაზშიც გადაწყვიტა დუშეთიდან გაქცეულმა ვახტანგ ბატონიშვილმა გადამალვა და საიდანაც, მოგვიანებით გაიპარა მთიულეთში. „მე იმ წუთში შევჯექი ცხენზე და გავემართე კაზაკებთან ერთად მის შესაპყრობად და რამდენადაც მე მითხრეს, რომ ის დიდებული გლახა ჭილაძის (Глахи Чиладзе) ციხე-დარბაზისკენ გაიქცაო, მეც იქით გავემართე".[32] ჭილაძეთა-ჭილაშვილების სასახლე, ამჟამადაც, დგას დუშეთის დასავლეთით ქალაქის განაპირად. ის XVII-XVIII საუკუნეებს ეკუთვნის. ტუჩკოვთან მოხსენიებული გლახა ჭილაძე ვახტანგ ერეკლეს ძესთან დაახლოებული პირი ჩანს. მასვე ეკუთვნის ციხე-დარბაზე გაკეთებული 1800 წლით დათარიღებული წარწერა, რომელშიც სასახლის მშენებლობაზეა საუბარი: „ქ. ყოვლისა საქართველოსა მეფისა ირაკლი მეორისა ძისა ვახტანგ ალმასხანისა გულითადმან მონამან ჭილაძემან, ბაბანას შვილმან, მილახვარმან, სამთა თემთა მოურავმან და რუსეთის გზის მცველმან გლახამ აღვაშენე ციხე და გალავენი ესე...".[33]

ტუჩკოვმა გარემოიცვა ციხე-სიმაგრე. კარების შემტვრევის შემდეგ რუსი მეომრები ციხეში შეიჭრნენ, მაგრამ მათ იქ უფლისწული ვერ აღმოაჩინეს. ციხის გაჩხრეკის შემდეგ ტუჩკოვმა და მისმა ჯარისკაცებმა იარალის, ტყვიაწამალის, საკვების დიდძალ მარაგს მიაკელიეს, ხოლო ერთ სარდაფში მოხუცებული ქალბატონი იპოვეს, რომლის დაკითხვის შემდეგ გაირკვა, რომ ბატონიშვილი საიდუმლო გვირაბით გაპარულა მახლობელ ტყეში, საიდანაც მან თავი მთიულეთს შეაფარა.[34] რუსი გენერლის ამ მონათხრობში ზუსტადაა ასა-

[31] Записки Сергея Алексеевича Тучкова. 1766-1808, გვ. 194.

[32] Акты. Т. I, გვ. 275.

[33] ვ. ბერიძე. XVI-XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება. ტ. I. თბ. 1983, გვ. 132-133; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. ტ. II. თბ. 2004, გვ. 195.

[34] Записки Сергея Алексеевича Тучкова. 1766-1808, გვ. 194.

ხული ის გარემო, რომელიც XIX საუკუნის დასაწყისის დუშეთში იყო. ვახუშტი ბატონიშვილის სასახლე, უშუალოდ, ქალაქში მდებარეობდა, ხოლო გლახა ჭილაძის სასახლე დუშეთის ხევის გადალმა იყო აგებული, მილახვრიანთკარში. მას დასავლეთიდან ტყის მასივი დღესაც ეკვრის. ადგილობრივები, იმასაც ადასტურებენ, რომ საბჭოთა პერიოდში უშიშროების სამსახურის თანამშრომლები იმ გვირაბის პოვნას ცდილობნენ, რომელზეც ტუჩკოვთანაა საუბარი, თუმცა უშედეგოდ. ამჟამად, ძნელია იმის დადგენა, რა იყო ამ „გათხრების" მიზეზი, არ გამოვრიცხავთ გადამალულ განძსაც ეძებდნენ, თუმცა ეს ფაქტი იმ პერიოდში არ გახმაურებულა.

დუშეთში მყოფმა ტუჩკოვმა მოციქული მიუგზავნა მთიულეთის ხევისბერებს (ტექსტშია დეკანოზები) და შეხვედრა სთხოვა. რუსმა გენერალმა ბრწყინვალე მიღება გაუმართა მათ და უფლისწულის გაცემა სთხოვა, რაზეც პასუხად უარი მიიღო. მათ მე მითხრეს, ყვება გენერალი: „ის ბაგრატიონია და წმინდა მუხასთანაა ნამყოფი. თუმცა მათ უარი მითხრეს, მაგრამ დამეთანხმნენ ეჩვენებინათ ჩემთვის ყველა ის ადგილი, სადაც შემეძლო მისთვის გზის გადაჭრა თუ იგი გადაწყვეტდა მათგან წასვლას. ისინი დამპირდნენ, რომ ხალხს დაარწმუნებდნენ, მიეტოვებინათ იგი".[35] დუშეთის მაზრას კაპიტან-ისპრავნიკის პერეიასლაველის წერილებში, რომელიც 1802 წლის 12 აგვისტოს გაუგზავნა გენერალ კოვალენსკის, ერთი საინტერესო დეტალია. ბატონიშვილი ვახტანგი გუდამაყარში მოსახლეობას მოუწოდებდა აჯანყებისაკენ. როგორც ჩანს, ამ საკითხზე შეკრებილან უხუცესები. სწორედ აქ 80 წლის პაპიას მიუმართავს უფლისწულისათვის: „უწინ ხელმწიფის ერთგულებაზე გვაფიცებდით, ახლა გვაიძულებთ იარაღი ავიღოთ ხელში. როგორ შეიძლება ეს? რუსები მოვლენ და გაგვანადგურებენ". ალბათ, მოსახლეობის თავკაცთა ასეთმა ფრთხილმა პოზიციამ აიძულა, ბატონიშვილი ხელი აეღო წინააღმდეგობაზე და ბედს შეგუებოდა.[36]

რუს გენერალს მაინც მოუწია გუდამაყრის ხეობის შესასელელამდე მისვლა, სადაც საჩვენებლად ზარბაზნებიც გაისროლეს. დუშეთსა და გუდამაყარში განვითარებულ მოვლენებს ეხება ვახტანგ ბატონიშვილიც იმპერატორ ალექსანდრე I-სადმი გაგზავნილ წერილში. ამ შემთხვევაში მოვლენები უკვე მეორე მხრის თვალითაა დანახული, მათ შორის საუბარი რუსების მიერ დუშეთში განხორციელებულ ძალადობაზეც.[37] 1802 წ. 10 აგვისტოს უფლისწუ-

[35] Записки Сергея Алексеевича Тучкова. 1766-1808, გვ. 195.

[36] Акты. Т. I. გვ. 277.

[37] Акты. Т. I, გვ. 278-280.

ლი ვახტანგი დუშეთში დაბრუნდა და ტუჩკოვს ჩაბარდა. „ამრიგად, 12 დღეში დავასრულე ეს მოგზაურობა და მასთან (ვახტანგთან) ერთად დავბრუნდი თბილისში, სადაც დარჩა კიდეც ის, საქართველოში გენერალ-ლეიტენატ, თავად ციციანოვის ჩამოსვლამდე".[38] ტუჩკოვის გამგზავრება უფლისწულ ვახტანგთან დუშეთში გადაწყდა 1802 წლის ივლისში, რაზეც გენერალ კნორინგს 30 ივლისის მოხსენებით აცნობებს გენერალი ლაზარევი.[39] ამასთან ერთად, 31 ივლისს კოვალენსკი წერილით მიმართავს უფლისწულს და მას თბილისში ჩამოსვლას სთხოვს.[40] განმეორებით კოვალენსკიმ ვახტანგ ბატონიშვილს 2 აგვისტოსაც გაუგზავნა წერილი, სადაც ატყობინებდა: „არასდროს ჩემის მხრიდან თქვენთვის ცუდი არ გამიკეთებია... გულწრფელად მსურს თქვენდამი სიკეთე, როგორც ქრისტიანს და თქვენი სახლის მეგობარს. გირჩევთ და გთხოვთ, ღვთის გულისათვის, თქვენი კეთილდღეობისათვის... ჩამობრძანდეთ თბილისში".[41] 2 აგვისტოს კოვალენსკი საგანგებო მიმართვას ავრცელებს ვახტანგ ბატონიშვილის ქვეშევრდომებისადმი და მათ უხსნის დუშეთში ტუჩკოვის ვიზიტის მიზეზებს, უფლისწულის გაქცევას აფასებს, როგორც იმპერატორისადმი მიცემული ფიცის დარღვევად.[42] 9 აგვისტოს ტუჩკოვის შენაერთი ანანურშია, საღამოს კი უკვე გუდამაყარში. შექმნილი სიტუაციის გამო 10 აგვისტოს ბატონიშვილი ვახტანგი კვლავ დუშეთში დაბრუნდა.[43] გენერალ ლაზარევისადმი გამოგზავნილ ტუჩკოვის მოხსენებით ბარათში ერთი ასეთი პასაჟია: „უფლისწულმა ვახტანგმა საუბარში ახსენა, რომ „თუ მე რაიმე დავაშავე იმ მრავალ დამსახურებათა გამო, ერთი დანაშაული ალბათ უნდა მეპატიოსო". ხელმწიფისაგან არაფერს ითხოვს, – არც პენსიას, არც ჯილდოს, მხოლოდ ნებას მშვიდად იცხოვროს თავის მამულში".[44]

ასევე ძალიან საინტერესოა ტუჩკოვის მონათხრობი, რომელიც შეეხება უფლისწულ ბაგრატისა და დედოფალ მარიამის რუსეთში გასახლებას.

ერთ დღეს გენერალმა ციციანოვმა ჩაიზე დაპატიჟა ტუჩკოვი, ცალკე ოთახში გაიხმო და მასთან ასეთი საუბარი გაება: „მან მკითხა: – კარგად იცი თუ არა უფლისწულ დავითის სახლის განლაგება? – ვიცი – ვუპასუხე

38 Записки Сергея Алексеевича Тучкова. 1766-1808, გვ. 196.
39 Акты. Т. I, გვ. 270.
40 Акты. Т. I, გვ. 270.
41 Акты. Т. I, გვ. 271.
42 Акты. Т. I, გვ. 272.
43 Акты. Т. I, გვ. 274.
44 Акты. Т. I, გვ. 274.

მე, იმიტომ რომ ამ სახლს უფლისწული ჩემს დროს აშენებდა. – მაშ ასე – განაგრძო მან: წაიყვანეთ ეს კაპიტანი ეგერებთან და კაზაკებთან ერთად, ალყა შემოარტყით აღნიშნულ სახლს, ახლა იქ ცხოვრობს უფლისწული ბაგრატი თავის ოჯახთან ერთად (მეფე გიორგი XIII-ის ვაჟი) განაიარაღეთ ის და გათენებამდე გაიყვანეთ ქალაქიდან, გააცილეთ დაცვის ქვეშ მცხეთამდე (ოთხი მილი ტფილისამდე). იქ თქვენ დაელოდეთ გენერალ ლაზარევს, ის არ დააყოვნებს თქვენთან მოსვლას დედოფალ მარიამთან ერთად (მეფე გიორგი XIII-ის მეულლე). მაშინ გადაეცით მას უფლისწული და დაცვა, თუ ეს იქნება საჭირო, თქვენ კი დაბრუნდით ტფილისში. გენერალი ლაზარევი, – დაამატა მან, – გააცილებს მათ რუსეთის საზღვარზე".[45] ამჯერადაც, ციციანოვი და რუსი გენერლები საიდუმლოდ ინახავდნენ მთელი ამ ოპერაციის დეტალებს. მართლაც, გვიან ღამით ტუჩკოვმა ალყა შემოარტყა უფლისწულის სახლს და თავად შევიდა მის სამყოფში, სადაც ბაგრატის ოჯახის გარდა 40-მდე წარჩინებული იყო. გენერალმა ცალკე ოთახში გაიხმო უფლისწული და გადასცა მთავარმართებლის ბრძანება. ბაგრატი იძულებული იყო დათანხმებულიყო რუსების მოთხოვნას. იმავდროულად ბატონიშვილმა ერთი პირობა დაუდო ტუჩკოვს, მისი ორსული ცოლი მასთან ერთად უნდა გამგზავრებულიყო რუსეთში.[46] იმავე დღეს, გვიან ღამით ლაზარევმა ალყა შემოარტყა დედოფალ მარიამის სახლს და მასაც მოსამზადებლად ვადა გამთენიამდე მისცა. ტუჩკოვი აღნიშნავს, რომ ვიდრე ბაგრატ უფლისწული ემზადებოდა, მან მთავარმართებლის ნებართვით ადგილზე დატოვა გენერალ-მაიორ ორბელიანი, თავად კი სახლში დაბრუნდა დასასვენებლად. გამთენიას, როდესაც ტუჩკოვი უფლისწულის სახლისკენ მიემართებოდა, მან გაიარა გენერალ ლაზარევის სახლთან. იგი მოგვითხრობს: „მე შევჯექი ცხენზე და გენერალ ლაზარევის სახლთან გაველისას დავინახე პარმაღზე მისი პოლკის ოფიცრები. მე ვკითხე მათ, წავიდა თუ არა გენერალი იქ, სადაც უნდა წასულიყო? – არა ჯერ არა, – მიპასუხეს მათ. – მე დრო არა მაქვს მის სანახავად. – განვაგრძე მე – მაგრამ უთხარით, რომ იჩქაროს, თორემ უკვე საკმაოდ ინათა – ვთქვი ეს და გზა განვაგრძე. მივედი ჩემს ადგილზე. იქ ყველაფერი მზად იყო უკვე. ჩვენ გავემგზავრეთ".[47] უფლისწული ბაგრატი და მისი ოჯახი ტუჩკოვმა ქალაქიდან გაიყვანა და მცხეთისკენ წაიყვანა, სადაც პირობისამებრ უნდა მისუ-

[45] Записки Сергея Алексеевича Тучкова. 1766-1808. გვ. 199.

[46] Записки Сергея Алексеевича Тучкова. 1766-1808. გვ. 199-200.

[47] Записки Сергея Алексеевича Тучкова. 1766-1808. გვ. 200.

ლიყო ლაზარევი, გიორგი XII-ს ქვრივთან, დედოფალ მარიამთან ერთად. მცხეთასთან დაბანაკებულმა შეიტყო მან ლაზარევის სიკვდილი. შემდეგ რუს გენერალთან ციციანოვის მიერ გამოგზავნილი ოფიცერიც მივიდა, რომელმაც გადასცა ფული და ოფიციალური ბრძანება, რომლის მიხედვით სამეფო ოჯახის წევრები რუსეთის საზღვრამდე ტუჩკოვს უნდა ჩაეყვანა. მცხეთაში ამ უკანასკნელს გენერალმა ორბელიანმა მიუყვანა დატყვევებული მარიამი, მისი ოჯახი და მხლებლები.[48] ამის შემდეგ ტუჩკოვმა იკისრა მათი ვლადიკავკაზამდე ჩაყვანა. სტეფანწმინდის გავლის შემდეგ, მთიელები შეეცადნენ რუსი მეომრების შეჩერებას და ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის წევრთა განთავისუფლებას. სხვათაშორის გენერალ ტუჩკოვს თავად მარიამმა უთხრა, რომ ეს ჩასაფრება მის გასანთავისუფლებლად იყო მოწყობილი და რომ, მათ დიდი ანაზღაურება შეპირდა ამისათვის.[49]

* * *

გენერალი ტუჩკოვის „ჩანაწერებში" ერცელი ქვეთავია, რომელშიც აღწერილია გენერალ ლაზარევის სიკვდილი. ამ შემთხვევაში რუსი გენერალი თავად ორბელიანის მონათხრობს ეყრდნობა. მართალია, ლაზარევის მოკვლის შესახებ სხვა ავტორთა ცნობებიც გაგვაჩნია, მაგრამ ტუჩკოვთან მოვლენები ოდნავ განსხვავებულადაა წარმოდგენილი. იგი მოგვითხრობს: „გამთენიისას ბევრ ოფიცერთან ერთად შევიდა გენერალი მასთან ოთახში და ნახა, რომ ის იჯდა ფართო და დაბალ დივანზე ან სოფაზე, როგორებსაც ხმარობდნენ აზიაში. მასთან ერთად იჯდა მისი უფროსი ქალიშვილი და კიდევ ორი ქალი, ყველას დიდი საბანი ეხურა. გენერალმა ლაზარევმა დაიწყო მისი იძულება, რათა გამგზავრებულიყვნენ. ხოლო ის მას ძველ მიზეზებს ეუბნებოდა. მაშინ გენერალი ლაზარევი სახლის გარშემო არსებულ აივანზე გავიდა და თავის ოფიცრებს უთხრა: „აიყვანეთ ლეიბიანათ, რომელზეც ის ზის". როგორც კი ისინი დივანს შეეხნენ, დედოფლის, მისი ქალიშვილის და იქ მყოფი ქალების ხელში გაჩნდა ხანჯლები. ოფიცრებმა უკან დაიხიეს, ხოლო ორი მათგანი კი აივანზე გამოვიდა. ერთი გენერალ ლაზარევს უყვიროდა: „ჩხუბობენ ხანჯლებით", ხოლო მეორე ჯარისკაცებს: „ეგერებო, აქეთ!" გენერალმა ეს რომ გაიგო, ამ უკანასკნელს უთხრა: „რად გინდა ეგერები?" ამ სიტყვებით ის შევიდა ოთახში, რომელიც ადრეული დილის გამო არც ისე ნათელი იყო, ფარდებიც ფანჯარაზე ჩამოეფარებინათ. მან დაინახა დედოფალი დივანის გვერდით მდგარი,

[48] Записки Сергея Алексеевича Тучкова. 1766-1808, გვ. 201.

[49] Записки Сергея Алексеевича Тучкова. 1766-1808, გვ. 205-206.

ხოლო მისი ქალიშვილი, საკმაოდ მაღალი, იდგა მის უკან დივანზე, ამაღლებული იატაკიდან ფუტზე ნაკლებით. დედოფალმა გენერალი ლაზარევი რომ დაინახა, უთხრა: „რაოდენ უმოწყალოდ მექცევით! შემხედეთ, როგორ ავად ვარ. როგორი სიცხე მაქვს!“ და ამასთან მან თავისი მარცხენა ხელი გაუწოდა, მაგრამ ის იყო გენერალი მის ხელს შეეხო, რომ მარჯვენით დედოფალმა ხანჯალი ფერდში ჩაარტყა, დაატრიალა და იმ წუთასვე სხეულიდან გამოაძრო. ამბობენ, რომ ის რამდენიმე დღით ადრე ერთ-ერთ ცნობილ ლეკ ყაჩაღთან მეცადინეობდა, თუ როგორ უნდა მოქცეოდა იარალს... დედოფალმა ლაზარევს გამჭოლი ჭრილობა მიაყენა. მის ქალიშვილს კი უნდოდა გენერლისთვის თავში ჩაერტყა დიდი ქართული ხანჯალი, მაგრამ რადგან გენერალი დიდი ტკივილისაგან მოიხარა, მან ააცილა და დედას მოარტყა ხელზე, მხრიდან ოდნავ ქვემოთ და ხელი ძვლამდე გადაუხსნა. გენერალი ლაზარევი ძლივს მივიდა კარებამდე, დაეცა და გარდაიცვალა“.[50]

დედოფლის სასახლეში მომხდარის შესახებ აცნობეს თავად ციციანოვს, გენერალ ორბელიანს, ქალაქის კომენდანტს და პოლიციმეისტერს. მთავარმართებლის გარდა ყველა მათგანი მკვლელობის ადგილზე მივიდნენ. განიარაღებული დედოფალი დაცვის ქვეშ გამოიყვანეს და მცხეთისკენ წაიყვანეს, სადაც ის გენერალ ტუჩკოვს გადააბარეს.[51]

მარიამ დედოფლის მიერ ლაზარევის მკვლელობის საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე საკამათოა. ოფიციალურად მიჩნეულია, რომ გენერალი დედოფალმა მოკლა იმ მომენტში, როდესაც მას ოთახში შეუვარდა. მაგრამ განსხვავებით ამისა არსებობს სულ მცირე ორი სხვა მოსაზრება. მკვლევარი ანდრია აბრამიშვილი თვლიდა, რომ ლაზარევი საერთოდ არ მომკვდარა მარიამ დედოფლის სახლში. „ირკვევა, რომ დედოფალ მარიამს არათუ არ მოუკლავს ლაზარევი, არამედ დაჭრილიც კი არ უნახავს ის. გენერლის მოკვლა მარიამმა მხოლოდ სახლიდან გამოსვლის შემდეგ ვერაზე შეიტყო... ჩვენი აზრით, საფუძველს იძლევა სარწმუნოდ მივიჩნიოთ დედოფლის სიტყვები, იმის შესახებ, რომ მას არ მოუკლავს ლაზარევი. სტატსკი სოვეტნიკ კოვალენსკისა და გენერალ ლაზარევს შორის დიდი ხნის განმავლობაში წარმოებულმა ბრძოლამ და მათმა ურთიერთშტრობამ უთუოდ თავი იჩინა შემდგომი დროის ამბებშიც და გამორიცხული არ არის, რომ სწორედ ეს გამხდარიყო ერთ-ერთი მიზეზი გენერლის მოკვლისა... ხელსაყრელი მომენტიც მალე გამოჩნდა და ლა-

[50] Записки Сергея Алексеевича Тучкова. 1766-1808. გვ. 202-203.

[51] Записки Сергея Алексеевича Тучкова. 1766-1808, გვ. 201.

ზარევი ისეთ ვითარებაში მოკლეს, რომ მკვლელობის მარიამისათვის დაბრალება და მისი საქართველოდან გასახლება დიდ სიძნელეს აღარ წარმოადგენდა ციცანოვისათვის".[52] ამ მოსაზრებით ლაზარევი საიდუმლო ვითარებაში კვდება, მაგრამ რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ არიან თვითმხილველები, როგორ გამოასვენეს რუსი გენერალი სწორედ მარიამ დედოფლის სახლიდან. ტუჩკოვის მონათხრობი ამ მხრივ შეიძლება გადამწყვეტიც აღმოჩნდეს. სხვათა შორის, რუსი გენერალი ხელს არ აფარებს იმპერატორ ალექსანდრე I-ს მამის მკვლელობაში და რატომ დაინდობდა იგი ციციანოვს ან კოვალენსკის (მით უფრო, რომ არცერთ მათგანთან მას კარგი ურთიერთობა არ ჰქონდა) თუ ლაზარევის მკვლელობა მათი დაგეგმილი იყო? შეუძლებელია, ისეთი მაღალი თანამდებობის პირს როგორც ტუჩკოვი იყო სიმართლე არ სცოდნოდა, ან რაში სჭირდებოდა მას დაემალა ყოველივე. მარიამ დედოფალი, როდესაც პირად წერილებში უარყოფს ლაზარევის მოკვლის ფაქტს, ამით ცდილობს რუსეთის ხელისუფლების კეთილგანწყობის მოპოვებას. ცნობილია, რომ იგი ამ საქციელის გამო შერისხული იყო. მეორე ვარაუდის მიხედვით, ლაზარევი მოკლა დედოფალთან მყოფმა ნიკოლოზ ხიმშიაშვილმა. ამ მოსაზრებას მხარს უჭერდა პლატონ იოსელიანი. მისი თქმით, დედოფლის სამყოფში ლაზარევის შეჭრისას „მაშინ, მუნ მყოფმან თავადმან ნიკოლოზ ხიმშიაშვილმა მსწრაფლ ამოიღო ხანჯალი, დასცა ლაზარევს მუცელში. ლაზარევი წაიქცა და თვით ხიმშიაშვილი მეორის ეზოს ბალკონით გავიდა ქალაქიდან და გაიქცა ახალციხეს და მუნ მოკვდა 1807 წელს".[53] ამ შემთხვევაში პასუხგასაცემია კითხვა, როგორ მოახერხა თავადმა ხიმშიაშვილმა რუსი ოფიცრებით სავსე ოთახის დატოვება და როგორ შეძლო ალყაშემორტყმული სახლიდან თავის დაღწევა? ეს იოლი საქმე არ იყო, მით უმეტეს, რომ ლაზარევთან ერთად ოთახში სხვა მებრძოლები და მოხელეებიც იყვნენ. ნუთუ ასე შეუმჩნეველად დატოვა მკვლელობის ადგილი ხიმშიაშვილმა? თუნდაც ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ მართლაც ისე მომხდარიყო, როგორც ეს პ. იოსელიანს აქვს მოთხრობილი. რუსები და მათთან ერთად მყოფნი განგაშს არ ასტეხდნენ? ისიც ვიცით, რომ სახლი საგულდაგულოდ იყო გარემოცული. წარმოუდგენელია, ეს ნამდვილად ასე მომხდარიყო და ხიმშიაშვილის გაქცევა არავის არ შეემჩნია. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში თბილისში გავრცელებულ ერთ-ერთ ჭორთან გვაქვს საქმე.

---

[52] ა. აბრამიშვილი. მარიამ ბაგრატიონის უცნობი წერილები. კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები თბ. 1966, გვ. 413-418.

[53] პლ. იოსელიანი. ცხოვრება მეფისა გიორგი მეცამეტისა. თბ. 1978, გვ. 118.

* * *

1802 წელს გენერალი ტუჩკოვი დაინიშნა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორად. მას ამ თანამდებობაზე დიდხანს არ მოუწია ყოფნა, თუმცა საკმაოდ ძნელბედობის პერიოდი დაემთხვა მის მმართველობას. 1802 წლის მიწურულს საქართველოში შავი ჭირის ეპიდემიამ იფეთქა. ტუჩკოვი წერს: „ხმები საქართველოში გადამდები სენის გამოჩენასთან დაკავშირებით ჩემამდეც მოდიოდა და თავად ციციანოვამდეც, მაგრამ მას არასგზით არ სურდა ეს დაეჯერებინა. ამ საქმის გამოსარკვევად გაგზავნილი სამედიცინო ჩინოვნიკები (პერსონალი), მისი გულის მოსაგებად, ორაზროვან პატაკებს აგზავნიდა".[54] რუსი გენერლის ეს მინიშნება აბსოლუტურ სიმართლეს შეეფერება. ამ პერიოდის ოფიციალური დოკუმენტებიდან ჩანს ციციანოვის გაურკვეველი პოზიცია, მეტიც დანაშაულებრივიც, რამეთუ თითქმის ნახევარი წელი მთავარმართებელი არწმუნდებდა საკუთარ თავს, გარემოცვას და პეტერბურგს, რომ საქმე ჰქონდა არა შავი ჭირის ეპიდემიასთან, არამედ საქართველოში გაურცელებულ ციებასთან. 1802 წ. 20 დეკემბერს გენერალი ლაზარევი ატყობინებს ციციანოვს, რომ გენერალ ტუჩკოვის ცნობით ჯავახეთში და ქართლ-კახეთის ზოგიერთ სოფელში გამოჩნდა შავი ჭირის ეპიდემია.[55] 1803 წლის 13 ივლისს პეტერბურგში გაგზავნილ წერილშიც კი მთავარმართებელი შავი ჭირის გაურცელებას ჭორს უწოდებს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ციციანოვი თვალს ხუჭავდა არსებულ რეალობაზე. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ უკვე 1803 წლის 14 აგვისტოს ციციანოვი პეტერბურგს ატყობინებს, რომ „ავადმყოფობა. რომელიც მძვინვარებს თბილისში დანამდვილებით არის შავი ჭირიო",[56] მაგრამ ამ პერიოდამდე უკვე გარდაცვლილი იყო ასობით ადამიანი, როგორც სამხედროებიდან, ასევე სამოქალაქო მოსახლეობიდან.

ტუჩკოვი მოგვითხრობს იმ ღონისძიებების შესახებ, რომელიც მან ჟამიანობის დროს გაატარა თბილისში. რატომღაც ციციანოვი უკრძალავდა მოსახლეობას ქალაქის დატოვებას და ეს ტუჩკოვსაც აქვს მითითებული. მოსახლეობა მძვინვარებდა და ითხოვდა თბილისიდან გასვლას, რათა თავი შეეფარებინა შედარებით უსაფრთხო ადგილებისთვის. მოქალაქეთა შორის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია პატრიარქ ანტონ II-ის მცდელობამ დაეტოვებინა თბილისი. მოსახლეობამ არ გაუშვა პატრიარქი ქალაქიდან, ამას დაემატა ისიც,

54 Записки Сергея Алексеевича Тучкова. 1766-1808. გვ. 211.

55 Акты, собранные Кавказского археографическою комиссиею. Т. II. Издан. под ред. председ. комиссии ст. сов. Ад. Берже. Тифлис. 1868, გვ. 255.

56 Акты. Т. II, გვ. 259.

რომ ხალხი საჯაროდ გამოთქვამდა თავის პროტესტს, რაც აშკარად ამბოხების ნიშნებს ატარებდა.[57] ამ კრიტიკულ სიტუაციაში ტუჩკოვმა შეძლო დაეყოლიებინა ციციანოვი მიეღოთ შესაბამისი ზომები. ტუჩკოვმა თბილისის ყველა მცხოვრებს დაურიგა ბილეთი, რომლის მიხედვით უნდა გასულიყვნენ ისინი ქალაქიდან – ორთაჭალის ბაღებისაკენ. აქ იქნებოდნენ ისინი შედარებით უსაფრთხოდ და კარანტინის გამკაცრებაც უფრო შესაძლებელი იყო. სამი დღე მოანდომეს ამ პროცესს. ორთაჭალისკენ მოსახლეობის გაყვანის დაწყებას გენერალი უკვე ვეღარ დაესწრო, იგი ლოგინად ჩავარდა. ექიმების მტკიცებით, მასაც შეხვდა შავი ჭირის სენი, თუმცა გადარჩა.[58] ტუჩკოვის თქმით, ჟამიანობის გარდა სხვა ავადმყოფობაც მძვინვარებდა თბილისში და ზოგადად, საქართველოში. ტუჩკოვმა თბილისში მოაწყო „საეჭვოთა სახლი," სადაც ავადმყოფობის ნიშნების გამომჟღავნებისთანავე დაავადებულები გასასინჯად მიჰყავდათ. რუსი გენერლის მიხედვით, ქალაქში ყოველდღე 10-40 ადამიანამდე კვდებოდა. რა თქმა უნდა, ეს ციფრი აღებულია დაავადების გავრცელების კრიტიკული პერიოდიდან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სახეზეა დიდი ტრაგედია. აქვე უნდა ითქვას, რომ ჟამიანობა შეეხო მთელ აღმოსავლეთ საქართველოს. 1804 წლის 12 აგვისტოს მოხსენების მიხედვით, 1803 წ. 15 ივნისიდან 1804 წ. 1 ივნისამდე თბილისში გარდაცვლილა 368 ადამიანი. მთელ საქართველოში 1570 კაცი. ძნელია ითქვას რამდენად ადეკვატურია ეს ციფრები, მაგრამ თუნდაც, მათი მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, მსხვერპლი საკმაოდ დიდი ყოფილა.

* * *

ტუჩკოვი დაწვრილებით აღწერს 1804 წ. განჯაზე ციციანოვის ლაშქრობას, ასევე იმერეთში რუსების შეჭრას. ჩვენთვის, ამჯერად, განსაკუთრებით საინტერესოა უკანასკნელი მოვლენა.

1804 წლის აპრილში ციციანოვმა გადაწყვიტა იმერეთზე გაელაშქრა. ტუჩკოვი მოგვითხრობს, რომ გაზაფხულის დადგომისთანავე გენერალ ციციანოვს უბრძანებია მისთვის დისლოკაციის ადგილი შეეცვალა და სოფელ ალში დაბანაკებულიყო, იმერეთის საზღვრის ახლოს. „ამ სოფელთან ახლოს გადის საკმაოდ დიდი გზა, რომელიც მიემართება იმერეთისკენ", – დასძენს გენერალი.[59] მან სამი ბატალიონი გააერთიანა და დაიკავა პოზიციები. იქ ყოფნისას მას აცნობეს, რომ სურამში ეგერთა ოთხი ბატალიონი ჩავიდა, რამდე-

[57] Записки Сергея Алексеевича Тучкова. 1766-1808. გვ. 211.

[58] Записки Сергея Алексеевича Тучкова. 1766-1808, გვ. 212-213.

[59] Записки Сергея Алексеевича Тучкова. 1766-1808, გვ. 219.

ნიმე ხანში, ისიც შეიტყო, რომ თვით მთავარმართებელი აპირებდა იმერეთში გადასვლას. ციციანოვი გზად მიმავალი დაბინავდა სოფელ ალის მახლობლად, სადაც მას ეახლა ტუჩკოვი თავისი შტაბით. 14 აპრილს ციციანოვი მივიდა სოფელ ვახანში, რომელიც ქართლისა და იმერეთის საზღვარზე მდებარეობდა. აქედან მან საგანგებო წერილი გაუგზავნა სოლომონ II-ს და თხოვა შეხვედრა. მართლაც, ასეთი შეხვედრა შედგა 19 აპრილს ვახანის მახლობლად ელაზნაურის მინდორზე. მხარეებს შორის შეთანხმება არ შედგა. დასასრულს ციციანოვმა ასეთი მუქარითაც კი მიმართა სოლომონ II-ს, რომ სამწუხაროდ სხვა შეხვედრისას უკვე ელზე დაშნით ხელში შეიძლება შევხვდეთო. ამ უშედეგო მოლაპარაკების შემდეგ ციციანოვი სრულ კონფრონტაციაზე წავიდა და იარაღის ენით დაუწყო საუბარი სოლომონ II-ს. 20 აპრილს თავადმა ერისთავმა სოფ. ვახანის მოპირდაპირე მხარეს სოფ. სურბთა დაიკავა და აიძულა მოსახლეობა იმპერატორის ერთგულებაზე დაეფიცებინა. იმავე პერიოდში ციციანოვმა გააგზავნა მაცნე გენერალ ტუჩკოვთან და უბრძანა კორბოულისა და ბერეტისის მიმართულებით ემოძრავა. მ. რეხვიაშვილის მითითებით, „20 აპრილს, რუსეთის ჯარმა გენერალ ტუჩკოვისა და პოლკოვნიკ ერისთავის წინამძღოლობით გადალახა იმერეთის საზღვარი, დაიკავა სოფლები და ხალხს რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე ფიცის მიღება დააწყებინა".[60] ტუჩკოვი და ერისთავი სხვადასხვა მიმართულებით მოქმედებდნენ. ეს უკანასკნელი, საერთოდ, ციციანოვთან ერთად იყო. ტუჩკოვი იმერეთში პოლკოვნიკი კოზლოვსკი გააგზავნა და ასეთი დავალება მისცა: დაეფიცებინა მოსახლეობა იმპერატორ ალექსანდრე I-ს ერთგულებაზე. ტუჩკოვი მთელ ამ მოვლენებს ასე აღწერს: „სამი დღის შემდეგ მივიღე მისგან ბრძანება შემეიარაღებინა ერთი ბატალიონი... იმავდროულად მე მისთვის (ბატალიონის ხელმძღვანელისთვის) უნდა მიმეცა მიწერილობა, რომ მისი იმერეთში შესვლისთანავე ეზრუნა დაეფიცებინა მოსახლეობა რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე. წინააღმდეგობის შემთხვევაში მას სასწრაფოდ უნდა მოეხსენებინა ჩემთვის, ხოლო მე დარჩენილი ორი ბატალიონით იქ შესული ამას მათ ვაიძულებდი იარაღის ძალით. მე იქ გავაგზავნე პოლკოვნიკი კოზლოვსკი თავის ბატალიონით, რომლისგანაც მეორე დღეს მივიღე შეტყობინება, რომ ორმა დიდმა დასახლებამ ნებაყოფლობით დაიფიცეს და რომ იგი, ამასვე ელოდება სხვებისგანაც. მაგრამ იმავე დღეს მოვიდა ჩემთან შიკრიკი გენერალ ციციანოვისგან შეტყობინებით, რომ იმერეთის მეფემ ქვეშევრდომობაზე დაიფიცა და

[60] მ. რეხვიაშვილი. იმერეთი XVIII საუკუნეში. თბ. 1982, გვ. 260.

მე მეკალებოდა, უკან დამებრუნებინა ბატალიონი, რაც გავაკეთე კიდეც".[61]

რუსი გენერლის ამ მონათხრობიდან კარგად ჩანს ციციანოვის მთელი ჩანაფიქრი. მას სურდა, შეექმნა ისეთი სურათი, რომ რუსები ორი მხრიდან იწყებდნენ სამხედრო კამპანიას. იმ ძალებით, რაც ციციანოვს ჰყავდა მობილიზებული იმერეთის საზღვართან მასშტაბული სამხედრო შეტევის განხორციელება შეუძლებელი იყო, უფრო სარწმუნოა, რომ დავუშვათ ციციანოვისათვის მთავარი იყო, სოლომონი დაეთანხმებინა ელიარებინა იმპერატორის ქვეშევრდომობა, გაეფორმებინა მასთან ხელშეკრულება, სამხედრო აგრესია კი იყო ცრუ მანევრი, ლაშქრობის იმიტაცია. სამწუხაროდ სოლომონ II წამოეგო ამ ფანდს და 1804 წლის 25 აპრილს ელაზნაურში ხელი მოაწერა სათხოვარ მუხლებს, რომლის ძალითაც იმერეთი რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი ხდებოდა. ამის შემდეგ ციციანოვი დაბრუნდა ქართლში და სპარსეთზე ლაშქრობის სამზადისს შეუდგა, თუმცა თბილისისკენ მომავალს შეხვედრა ჰქონდა ტუჩკოვთან და მას იმერეთსა და სამეგრელოში რუსეთის წარმომადგენლის თანამდებობა შესთავაზა. ტუჩკოვი ამბობს, რომ ეს წინადადება მან მიიღო ციციანოვის იმერეთიდან დაბრუნების შემდეგ, თუმცა არსებობს ციციანოვის 1804 წლის 14 აპრილის მოხსენებითი ბარათი, სადაც იგი პეტერბურგში ათანხმებდა ტუჩკოვის კანდიდატურას. როგორც ჩანს, რუსეთიდან თანხმობის შემდეგ გაანდო თავისი გადაწყვეთილება ციციანოვმა ტუჩკოვს, მაგრამ ამ უკანასკნელმა ავადმყოფობის მომიზეზებით უარი თქვა შემოთავაზებაზე.

1804 წელს ტუჩკოვი მონაწილეობს ერევანზე ლაშქრობაში. ამავე პერიოდში მას გაურთულდა ურთიერთობა ციციანოვთან. ამ უკანაკნელის სიკვდილის შემდეგ კი გენერალი ტუჩკოვმა დატოვა საქართველო და პეტერბურგში გაემგზავრა.

[61] Записки Сергея Алексеевича Тучкова. 1766-1808, გვ. 220.

Jaba Samushia

SERGEI TUCHKOV'S REFERENCES ABOUT GEORGIA

Summary

"The records" of Sergei Aleksievich Tuchkov is an important source for the history of Georgia and, generally, Caucasus of the 19th century. Despite of the fact that Tuchkov's memories were published more than a century ago (Записки Сергея Алексеевича Тучкова. 1766-1808. под ред. и со вступит. ст. К. А. Военского. СПб. 1908), his notifications have not yet been fully studied in Georgian Historiography.

Sergei Tuchkov was born in 1767 in Moscow in the family of well-known engineer, general Aleksei Vasilievich Tuchkov. His mother was from very aristocratic family – the Narishkins. They had four sons: Nicholai, Sergei, Pavel and Alcksandr. Father of Sergei Tuchkov, as a military engineer, due to his job had to be frequently in many different regions of the Empire, therefore, the family was changing their places of residence. Nevertheless, Sergei received rather good education. In his youth he was keen on poetry, wrote poems. "The records" demonstrate his literary talent. Since 1788 Tuchkov is in military service. He took part in the fights against the Swedes and rebel Poles. Since 1802 General Tuchkov was sent in the Caucasus where he remained until late 1805. He performed the duties of the Civil Governor of Georgia. In 1834 he completed his military career with the rank of general-lieutant. He died in 1839 in Moscow. His "The records" cover rather big period (1766-1808), however, it should be noted that the Caucasian period of Tuchkov's biography occupies a significant place.

In early 1801 major-general Tuchkov was assigned to move to Georgia with the grenadier regiment. After receiving the order, he began the operation to pass the Caucasian mountains. After a difficult journey, passing Ananuri, Dusheti and Mtskheta, Tuchkov arrived in Tbilisi. In "The records" a separate subchapter is devoted to the charachteristics of General Ivan Lazarev.

At the beginning of 1802 General Karl von Knorring returned to Tbilisi and brought Piotr Kovalenski, as governor of Georgia. On April 12 ceremony of

oath of allegiance to the Emperor of Russia was held. The society of Tbilisi was divided according to the religion confessions. Royal family members, the nobility of Georgia and Orthodox population gathered in the cathedral of Sioni, General Knorring was with them. Armenian monophysites were in Armenian church and General Lazarev attended their oath of allegiance.

"The records" of Tuchkov describe very interestingly history of exile of the royal family to Russia. He also describes General Lazarev's death.

In 1802 Ceneral Tuchkov was appointed as the civil governor of Georgia. Although he did not have to stay in this position for a long time, however, this period was hard. At the end of the 1802 plague epidemic broke out in Georgia. Tuchkov described in details all the measures he took during the plague.

In 1804 Tuchkov participated in the campaign of Yerevan. At the same time, his relationship with Pavel Tsitsianov became complicated. After latter's death, General Tuchkov left Georgia and went to St. Petersburg.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XI
თბილისი. 2016

გიორგი სოსიაშვილი

ეპიტაფიები სოფელ დიციდან

დიცის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია მდებარეობს სოფლის სასაფლაოზე. იგი წარმოადგენს დარბაზული ტიპის, მარტივი ფორმის სწორკუთხა ნაგებობას. სამეცნიერო ლიტერატურაში დიცის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი გვიანფეოდალური პერიოდის ძეგლად იყო მიჩნეული, თუმცა ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე, ასევე შიდა ინტერიერში-სამხრეთ კედელზე IX-X საუკუნეების წარწერების აღმოჩენამ ტაძრის ისტორია შეცვალა.[1]

დიცის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის გეერდით (ჩრდილოეთით, დასავლეთით და სამხრეთით) სოფლის ახალი სასაფლაოა, ხოლო უშუალოდ ეკლესიის ირგვლივ, როგორც ჩანს, ძველი სამარხები იყო. ამას მოწმობს ტაძრის სიახლოვეს მიმოფანტული საფლავის ქვები, მათი უმეტესობა XIX საუკუნით თარიღდება. საფლავის ქვების ნაწილი ძეგლთან ახლოს, შემაღლებულ ადგილზეა. (სავარაუდოდ, აქ უფრო ძველი ფენებიც უნდა იყოს, თუმცა, XIX საუკუნეში ძველ ფენაზე სხვა საფლავები გაჩნდა). საფლავებზე მხედრულით შესრულებული ეპიტაფიებია,[2] რომელთა ნაწილი კარგად იკითხება, ხოლო ნაწილი დაზიანებულია. რამდენიმე ეპიტაფია პროფ. ი. მეგრელიძემ ამოიკითხა.[3] ი. მეგრელიძე აღწერს დიცის ღვთისმშობლის ტაძრის სამხრეთ კარიბჭესთან არსებულ საფლავის მხატვრულ ქვაზე შესრულებულ ეპიტაფიას:

„შე უწყალო(,) სოფელო(,) რა უდრო(ო)თ მიგდე მაზე მამაშორე წუთი სოფელს(,) შავს მიწაში დაგიმარხე. (სამხრ.) კარგი ვერ ვნახე(,) დამრჩა დედ(-)მამა მწუხარებითა(,) ასული ანტონა შოშიაშვილისა პელაგია(,) 22

[1] იხ. გ. სოსიაშვილი დიცში აღმოჩენილი ასომთაერული წარწერები. ჟურნ. „ქარონი". №72. თბ. 2016; გ. სოსიაშვილი. ასომთაერული წარწერები სოფელ დიციდან. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის შრომათა კრებული. № 12, გვ. 46 (სტატია იბეჭდება).

[2] ასეთი ეპიტაფიები დიცის მახლობლად არსებულ პატარა ლიახვის ხეობის სხვა სოფლების სასაფლაოებზეც გვხვდება. იხ. ი. მეგრელიძე. სიძველეები ლიახვის ხეობაში. ტ. II. თბ. 1997, გვ. 23-26.

[3] ი. მეგრელიძე. სიძველეები ლიახვის ხეობაში. ტ. II, გვ. 15.

წლისა. (ჩრდ.) გარ. 1898 წ. 8 მარიამობისა. წამკითხველო(,)შენდობას გველი".[4]

უნდა აღინიშნოს, რომ შოშიაშვილები, დიცში სხვა დოკუმენტურ წყაროებში არ გვხვდება. ი. მეგრელიძის მიერ აღწერილი საფლავის მხატვრულად დამუშავებული ქვები ტაძრის სამხრეთ-დასავლეთით არის. ი. მეგრელიძეს ტაძართან კიდევ ერთი ეპიტაფია უნახავს: მეზობელ ქვაზე სამხრეთიდან წერია: **აქა განისვენებს ანდრია ბოლა(-) შვილის მეულლე ნინა(,) შობიდ[გან] 21 წლისა (ჩრდ.) გარდავიცვალე ამა სოფლიდგან გაუხარელი(,) დამრჩა ქმარი(,) დედა(,) მამა მწუხარე(.) 1898წ."**

მკვლევარი, ამ ეპიტაფიების გარდა, სხვა, შედარებით ახალ ეპიტაფიებსაც იხსენიებს,[5] თუმცა, ისინი არ ამოუწერია. საფლავის ქვები შემორჩენილია, როგორც ტაძრის სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით (ქვები მიმოფანტულია ტაძრის მინაგები სამხრეთ კედლიდან 10-50 მმ.-ის დაშორებით), ასევე ტაძრის ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით (ჩრდილოეთ კედლიდან დაახლ. 10-20 მმ. დაშორებით) მხედრულწარწერიანი საფლავის ქვები უმთავრესად XIX საუკუნის II ნახევრით თარიღდება, ნაწილი კი XX საუკუნის დასაწყისისაა.

ტაძრის ჩრდილოეთით საფლავის ქვების დიდი ნაწილი დაფარული იყო ხავსით, ნაწილი მიწაში იყო მოქცეული. ქვების გაწმენდით სამუშაოებში მონაწილეობას იღებდნენ დიცის მკვიდრი ახალგაზრდები: ***გრიგოლ (გუგულა) ყორანაშვილი, შალვა მძინარაშვილი, ნოდარ მძინარაშვილი, გიორგი დულაძე, ოთარ მაისურაძე, ნოდარ სოსიაშვილი, ვაჟა ყორანაშვილი, რობინზონ ყორანაშვილი, რისთვისაც მათ გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ.***

---

[4] ეს სიტყვა, როგორც ჩანს, წარწერის შემსრულებელს არასწორად ამოუკეთია, ი. მეგრელიძე სიტყვის ასე წაკითხვას სქოლიოში ადასტურებს. ი. მეგრელიძე. სიძველეები ლიახვის ხეობაში. ტ. II. გვ. 15. წარწერაში მოხსენიებულ გვართან – შოშიაშვილთან დაკავშირებით მეცნიერი სქოლიოში განმარტავს, რომ „ახლა სოსიაშვილებად იწერებიან" (ი. მეგრელიძე. სიძველეები ლიახვის ხეობაში. ტ. II, გვ. 15), რაც, ჩვენი აზრით, არასწორია. სოსიაშვილები დიცში საკმაოდ ძველი დროიდან ცხოვრობდნენ. აღნიშნული გვარი – სოსიაშვილის ფორმით დიცში გვხვდება 1700 წლის საამილახვროსა და გაღმა ლიახვის ხალხის კოდისპურის გაძოსაელის დაეთარში. გ. სოსიაშვილი. დიცის ისტორია. თბ. 2010, გვ. 35; საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი (სსცა). ფ. 1448. საბ. 3602. გვარი „სოსიაშვილი" იხსენიება უფრო ადრინდელ დოკუმენტებშიც, კერძოდ, 1683 წლის საბუთში გვხვდება პატატი სოსიაშვილი (თუმცა, დოკუმენტში სოფელი მითითებული არ არის). პირთა ანოტირებული ლექსიკონი. ტ. IV. თბ. 2007, გვ. 192. 1692 წლის დოკუმენტებში იხსენიება პატატი, მახარებელი, ბერუკა და ტატია სოსიაშვილები. იქვე. ი. მეგრელიძის მიერ ღვთისმშობლის ტაძართან არსებულ საფლავის ქვის ეპიტაფიაში მართლაც შოშიაშვილი იკითხება. როგორც ჩანს, საუკუნის II ნახევარში (ეპიტაფიაში მოხსენიებული პირი წარწერის თანახმად 1898 წელს გარდაცვლილა) დიცში შოშიაშვილებიც ცხოვრობდნენ.

[5] ი. მეგრელიძე. სიძველეები ლიახვის ხეობაში. ტ. II, გვ. 15.

ტაძრის ჩრდილოეთით ერთ-ერთ საფლავის ქვაზე ვკითხულობთ:

ქვის სამხრ. „მიხეილ ხადურის ასული(,) მეულლე მაქსიმე მძინარიძისა(,) გარდავიცვალე 1910 წ(.) თიბათვის(,) აღარ დამაცალა წარწერა გრძელდება ქვის ჩრდ. მხარეს სიცოცხლე(,) უეცრათ მისწრო სიკვდილმა(,) დამრჩა 3 ობოლი(,) სიძე(,) მომიხსენე უფალო(,) ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა(,) შენდობა მიბძანეთ“(.). დიცში მძინარაშვილი გავრცელებული გვარია, (ამის შესახებ იხ. ქვემოთ), საინტერესოა, რომ ეს გვარი მძინარიძის ფორმით მხოლოდ აღნიშნულ ეპიტაფიაში გეხვდება.

იქვე, სხვა საფლავიც არის, რომლის ეპიტაფიას გარდაცვლილის გვარი არ აწერია: ქვის სამხრ. „ღვინობისთვის 23 ს(.) უძღვნი(,) დედავ(,) დამბადე საბრალო ყრმა შენაყვარ[6] შვილთა(,) ათი წლამდე ბუბუ მაწოვე(,) ტკბილათ გიყვარდი ვარდი ნორჩია(,) მიველ უმანკო(,) დედა დავტოვე მტირალი“(.) ქვის ჩრდ. „რათ აიღე შვილო ჩემზე ხელი(,) მამაშენი ჩემზე უფრო დაიწვა და დაიდაგა(.) წამკითხველნო შენდობა მიბძანეთ“(.).

აღნიშნულ ქვასთან ახლოს კიდევ ეროი ეპიტაფია ამოვიკითხეთ: საფლავის ქვის სამხრ. „შობიდგან 45 წ(.) გარდავიცვალე უშვილო...[7] ...ილის 15 დ მეულლემან ჩემან ერმონიამ დამადო წარწერა ჩრდილოეთ მხარეს გრძელდება ქვა(,) გთხომთ(,) ძმანო(,) შენდობა მიბძანეთ წ-ა(წმინდა?)“(.).

ტაძრის ჩრდილოეთ მხარეს ერთ-ერთ საფლავის ქვაზე ვკითხულობთ: „ლოდსა ამასა ქვეშე მდებარე ვარ(,) მე(,) მონა შენი უფალო(,) სიდამონ ლაფაჩი(,) გარდავიცვალე ჩყობ (1872 წელსა(,) მარიამობის დღესა“(.). აღსანიშნავია, რომ დიცში მცხოვრები ლაფაჩები ჩამოსახლებულნი არიან პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე არსებული სოფელ ჭარებიდან. XVIII საუკუნის II ნახევრის დავთარში დიცში მოხსენიებულია ლაფაჩი ზურაბა.[8]

იქვე, სხვა საფლავის ქვებია, რომელთა ეპიტაფიებიც ასეთი შინაარსისაა:

„ნიკა მარკოზოვის ძე ვანო დ(4) წლის ჩყპწსა“ (1888).

„საფლავსა ამას მდებარე დიმიტრი მარკოზაშვილი მლხინე(,)[9] აღმომკითხვ-თა (აღმომკითხველთა) შენდობა მიბოძეთ“(.).[10]

---

[6] ამ ადგილზე რამდენიმე გრაფემა გამოტოვილია.

[7] ამ ადგილზე ქვა დაზიანებულია და სიტყვები ვერ ამოიხება.

[8] ა. თაბუაშვილი. ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები (XVIII საუკუნის II ნახევარი). ცხ. 2013, გვ. 96.

[9] სავარაუდოდ უნდა იყოს „ძილხინე“.

[10] თარიღი არ აქვს, თუმცა ეს საუკუნეც XIX საუკუნის II ნახევრის უნდა იყოს. აღნიშნული წარწერა და ტაძრის სამხრეთით არსებული სეიმონ ბოლაშვილის მეუღლის მარიამის ეპიტაფია (1801) სურ. №38. ეროი ხელოსნის მიერ უნდა იყოს შესრულებული.

„მოიხსენე უფალო(,) მონა ღვთისა ალექსი დავითის ძე მარკოზაშვილი(.)“.[11]

„ჩყნდ (1894წ.) წელსა(,) თიბათვის პირველსა დღესა(,) წემკითხველნო[12] შენდობა მიბძანეთ.“

„მ(ო)იხსენე(.....)[13] საფლავსა მდებარე ვარ ვანო ლაფაჩის მეუღლე პელა და ასული გაბრიელ....“.[14]

„უფალო მოიხსენე(,) გაბრიელ მძინარაშვილის მეუღლე სოფიო ასული იოსებ ხეთაგაშვილისა(,)აღვესრულე ჩყ(ო?)[15] წელსა (187?) თებ-რ“[16] ეს გვარი „მაძინარისშვილის“ ფორმით დიცში მოხსენიებულია 1700 წელს შედგენილ სამილახვროსა და გაღმა ლიახვის ხალხის კოდისპურის გამოსაღების დავთარში.[17]

მაძინარისშვილის გვარმა, როგორც ჩანს, ფონეტიკური ცვლილება განიცადა და დღეს მძინარაშვილის ფორმით გვხვდება. საინტერესო გადმოცემაა შემონახული სოფელში აღნიშნული საგვარეულოს შესახებ, ერეკლე მეფეს ჰყავდა ერთი მსახური, რომელსაც ბადრია ერქვა. მეფეს ერთხელ ნადიმი ჰქონია და ბადრიას ჩასძინებია, რის გამოც მას მძინარა შეარქვეს და ეს გვარიც სწორედ აქედან მომდინარეობს. საინტერესოა ისიც, რომ მძინარაშვილების ერთ შტოს დიცში სწორედ „ბადრიაანთ“-ს უწოდებენ. მძინარაშვილების საგვარეულო დიცში გვხვდება 1818 წლის აღწერის მასალებში[18], ასევე, XX საუკუნის დასაწყისის საეკლესიო წიგნებში.[19] იქვე კიდევ ერთი საფლავის ქვაა.

„სულ ამაო ყოფილა წუთისოფლის ცხოვრება(,) მამიტაცა სიკვდილმა აღარ მამცა...[20] დრება(,) გთხოვთ(,) მხილველნო მიბძანოთ ცხონება(.) ვარ გაბრიელ გიგოს ძე მარკოზაშვილი“(.).[21]

ტაძრის ჩრდილოეთით სასაფლაოს ღობესთან ახლოს საფლავის ქვაზე ვკითხულობთ: ქვის სამხრ. „მომიხსენე მე უფლ[უფალო](,) ლოდსა ქვეშე მდებარე ვარ გიორგი ივანეს ძე მარკოზაშვილი(,) შ[-]ვიდგნ[შობიდგან] ვიყავ ორმ[-]ცდ-

[11] ამ ადგილზე ქვა დაზიანებულია და არ იკითხება.
[12] ამ სიტყვაში „ა“ გრაფემას ნაცვლად „ე“-ა წარმოდგენილი, რაც ამომკვეთის შეცდომა უნდა იყოს.
[13] ქვა ამ ადგილზე დაზიანებულია და წარწერის ეს ნაწილი არ იკითხება.
[14] ამ ადგილას საფლავის ქვა ატკეპილია და არ იკითხება. სავარაუდოდ, აღნიშნული საფლავიც XIX საუკუნის II ნახევრით უნდა იყოს დათარიღებული.
[15] ამ ადგილზე წარწერა დაზიანებულია, ოქმცა სავარაუდოდ „ო“ გრაფემა უნდა იყოს.
[16] უნდა იგულისხმებოდეს თებერვალი.
[32] სსცა. ფ. 1448. საბ. №3602.
[18] სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიული-ეთნოგრაფიული მუზეუმი (გიემ). 8235. №128.
[19] გ. სოსიაშვილი. დიცის ისტორია, გვ. 23.
[20] წარწერის ნაწილის ამოკითხვა ვერ მოხერხდა.
[21] წარწერას თარიღი არ აქვს.

თი[ორმოცდაათი] წლს[წლის] ვიყავ ოჯახისთვინ თავდადებული მებრ(.)[22] მე წარწერა გრძელდება ჩრდილოეთ მხარეს: და მოამაგე დამრჩა ჩემს მ[-]სახსენებლათ[მოსახსენებლად] ერთი ქალი და თვალცრემლიანი მეულლე ჩემი (,) გარდავიცვალე 1893 წ(.) მარტის დღესა (,) შენდობა მიბძანეთ"(.). აღნიშნული გვარი მარკოზისშვილის ფორმით დიცში მოხსენიებულია 1700 წელს შედგენილ საამილახვროსა და გალმა ლიახვის ხალხის კოდისპურის გამოსაღების დავთარში.[23] ასევე 1818 წლის რუსულ აღწერაში, საიდანაც ჩანს, რომ დიცის მამასახლისი მარკოზაშვილების საგვარეულოდან იყო.[24] დიცში რამდენიმე კომლი მარკოზაშვილი იხსენიება XVIII საუკუნის II ნახევრის დავთარში.[25]

მარკოზაშვილები იხსენიებიან 1405 წლის მცხეთის გუჯარში[26]. XVII საუკუნის II ნახევრის საისტორიო წყაროებში მარკოზაშვილთა საგვარეულოს რამდენიმე წარმომადგენელს ეხვდებით.[27] მარკოზაშვილი გოგინა – მოწმე ხოსიტა თუმანიშვილის მიერ მანუჩარ თუმანიშვილისათვის მიცემული ნასყიდობის წიგნისა (1660 წ.).[28] მარკოზაშვილი სეხნია – მოწმე ბასილა სულხანაშვილის მიერ ზურაბა ჯავახიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1672-1680 წწ.).[29] მარკოზისშვილი ბერი (1692 წ); მარკოზისშვილი გაბრიელი – მოწმე დათუნა ეარძიელასშვილის მიერ შოშიტა მიქელაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა, (1690 წ.).[30] მარკოზაშვილთა გვარი, როგორც აღნიშნა, უფრო ადრინდელ დოკუმენტებშიც გვხვდება. მაგ.: მარკოზიშვილი დემეტრე – 1405-1428 წწ. სეფის მწიგნობარი.[31] მარკოზიშვილი დემეტრე – დამწერი და მოწმე დავით მეფის მიერ კაკუ გუგუნავასათვის მიცემული სასისხლო სიგელისა, XV საუკუნის დამლევს[32]. მარკოზიშვილი მიქელაი – ხუნიფუს მცხოვრები, გიორგი მეფემ შესწირა ნიკორწმინდის ეკლესიას, 1581 წ.[33] XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის დოკუმენტური წყაროების მიხედვით, მარკოზაშვილები დასახლებულები იყვნენ სოფ. არდისუბანში.[34] XIX საუკუნის დასაწ-

[22] ესნდა იგულისხმებოდეს ალბათ „მებრძოლი".
[23] სსცა. ფ. 1448. საბ. №3602.
[24] გიემ. 8235. №128.
[25] ა. თაბუაშვილი. ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები, გვ. 96.
[26] ი. ახუაშვილი. ქართული გვარ-სახელები. თბ. 1991, გვ. 433.
[27] პირთა ანოტირებული ლექსიკონი. ტ. II. თბ. 2004, გვ. 66.
[28] პირთა ანოტირებული ლექსიკონი. ტ. III. გვ. 66.
[29] პირთა ანოტირებული ლექსიკონი. ტ. III. გვ. 66.
[30] პირთა ანოტირებული ლექსიკონი. ტ. III. გვ. 67.
[31] პირთა ანოტირებული ლექსიკონი. ტ. III. გვ. 67.
[32] პირთა ანოტირებული ლექსიკონი. ტ. III. გვ. 67.
[33] პირთა ანოტირებული ლექსიკონი. ტ. III. გვ. 67.
[34] პირთა ანოტირებული ლექსიკონი. ტ. III. გვ. 433.

ყისში აღნიშნული გვარი გვხდება ასევე კოდაში[35]. საქართველოს საისტორიო არქივში დაცულ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა დეპუტატების საკრებულოს მასალებში მარკოზაშვილები აღრიცხული არიან კახეთის აზნაურებად.[36]

იქვე, კიდევ რამდენიმე საფლავია: „ამ ლოდსა ქვეშე მდებარე ვარ გიორგი მარკოზაშვილის ასული მარიამი და მეულღე ესტატე გამრეკელაშვილისა(,) შობიდგან ვიყა 19 წ(.) აღვსრულდი 189 წ(.)[37] ღვინობისთვის 15-სა დღესა (,) წამკითხველნო (,) გთხომთ(,) თითო შენდობა მითხრათ(,) ეს ლოდი შემოგწირე შენმა დედა ქეთევანმა"(,).

აქვეა მცირეწლოვანი ბავშვის საფლავი, რომელზეც ასეთი ეპიტაფიაა: „შე უწყალო სიკვდილო რა უდროთ მიგდე მახე(,) ხუთი წლისა რო შევსრულდი შავს მიწაში დავიმარხე (,) ჩყპდ(1884) წელსა....სანდრო(?)".[38]

ამ საფლავიდან ოდნავ მოშორებით, დაშლილი ქვა-ძეგლის ფრაგმენტია. კვადრატული თლილი ქვები მიწაზეა მიმოფანტული. საფლავი, როგორც შემორჩენილი წარწერიდან ჩანს, ვინმე ვლადიმერ მარკოზაშვილს ეკუთვნოდა. არსებული ეპიტაფიებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასაფლაოს ამ ნაწილში მარკოზაშვილები იკრძალებოდნენ. წარწერიანი ქვა მიწაზეა, თუმცა, ეპიტაფია, სავარაუდოდ, ვერტიკალურად აღმართული ქვის შუა კვადრატის აღმოსავლეთის, დასავლეთის და სამხრეთ კედელზეა ამოტვიფრული:

„ვარ [ვ]ლადიმერ გეროს ძე მარკოზაშვილი(,) შობიდგან 25 წლისა გარდავიცვალე(,) 1914 წელსა(,) აპრილის 10 დღესა(,) მომიხსენე უფალო(,) ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა"(.). ვერ ვნახეთ ამ წარწერიანი კვადრატული ქვის ზედა ნაწილი. სავარაუდოდ, წარწერა სწორედ იქ იწყება და ასე უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი: „ამ ლოდსა ქვეშე ვარ.." დიცის სასაფლაოზე ასეთი სახის საფლავის ქვები ღვთისმშობლის ტაძრის სამხრეთითაც გვხვდება და ეპიტაფიებს სწორედ ასეთი დასაწყისი აქვთ. მარკოზაშვილების სასაფლაოს გვერდით, ღვთისმშობლის ტაძრის ჩრდილოეთით ძეძვით და ეკალ-ბარდით დაფარული ადგილია, სადაც XIX საუკუნის კიდევ რამდენიმე საფლავია, ზოგიერთი უწარწეროა. ამ ადგილის გასუფთავება და შესწავლა მომავლის საქმეა. ტაძრის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში რამდენიმე ეპიტაფია ამოვიკითხეთ.

ვერტიკალურად აღმართულ საფლავის ქვის შუა კვადრატზე (რამდენიმე კვადრატული ზომის თლილი ქვა ერთმანეთზეა დალაგებული), ასეთი წარწერაა:

---

35 პირთა ანოტირებული ლექსიკონი. ტ. III, გვ. 433.

36 სსცა. ფ. 213. საქ. №533.

37 თარიღი ბოლომდე დასრულებული არ არის.

38 ამ ადგილას წარწერა დაზიანებულია და, სავარაუდოდ, ეს სახელი უნდა ეწეროს.

(აღმოსავლეთ კედელზე) „აქ განისვენებს ანნა ზაქარიას ასული ესტატე ყორანაშვილისა(.) (სამხრეთ კედელზე) დაბად[ებიდან] 48 წ(.) გარდ[აცვალებიდან] 1918 წ(,) აპრილის 20(.). დიცში ყორანაშვილები მოხსენიებულნი არიან 1700 წელს შედგენილ საამილახვროსა და გაღმა ლიახვის ხალხის კოდისპურის გამოსაღების დავთარში[39]. ყორანაშვილების გვარი დიცში დასტურდება 1818 წლის აღწერითაც[40]. დიცის გარდა, ყორანაშვილები ცხოვრობდნენ სიღნაღის რაიონში, კერძოდ, ვაქირში[41].

იქვე, ზაქარია მინდიაშვილის საფლავია: „საფლავსა ამას შინა მდებარე ზაქარია მინდიაშვილი(,) ოცის წლისა გარდავიცვალე ამა სოფლისგან გაუბარელი(,) მხილველნო შენდობა მიბძანეთ(,) ჩყოგ(1873) მაისის იგ(13)"(.).

ტაძრის ჩრდილო-დასავლეთით, ზაქარია მინდიაშვილის საფლავის გვერდით ალექსანდრე ანდრიას ძე ყორანაშვილის ეპიტაფია ამოვიკითხეთ: „ალექსანდრე ანდრიას ძე ყორანაშვილი(,) დაიბ[ადა] 1833 წ(.) და გარდაიცვალა 1913 წ(.) შენდობა მითხარით"(.).

ამ საფლავთან ახლოს სვიმონ ყორანაშვილის მეუღლის – ელისაბედის ეპიტაფიაა: „მომიხსენე(,) მე(,) უფალო(,) ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა(,) მე ამა ლოდსა ქვეშე მდებარე მხევალი შენი(--) ელისაბედ სვიმონ ყორანაშვილის მეუღლე(,) გარდავიცვალე 1900 წ(.) მარტის 18 სა(....)წამკითხველნო შენდობას(მ ბნი წ...).[42]

იქვე, ახლოს ანანო ივანეს ასული ყორანაშვილის საფლავია: „ამა ლოდსა ქვეშე განისვენებს მხევალი მხვთისა ანანო ივანე ყორანაშვილის ასული(.) ახ უწყალო სიკვდილო(,) რა უდროოთ მიგდე მახე(,) მამაშორე ჩემს დედამამს(,)".[43] ავ[-]კარგი ვერა ვნახე(,) ვინძლო ჩემო სწორ[-]ამხანაგნო(,) მომიგონეთ მალ მალე(,) გარდავიცვალე 1915(,) თებერვლის 15 დღესა"(.).

როგორც ჩანს, ტაძრის ჩრდილო-დასავლეთით სასაფლაოს ნაწილი ყორანაშვილების საგვარეულოს ეკუთვნოდა.

აქ კიდევ არის ერთი საფლავი, თუმცა ეპიტაფია დაზიანებულია და მხოლოდ რამდენიმე სიტყვა იკითხება: „საფლავსა შინა მდებარე გიორგი გაბრიელის ძე ყორანაშვილი...[44] მიბძანეთ ჩყ...(18..)".

---

39 სსცა. ფ.1448. საბ. №3602.

40 გიემ. 8235. №128.

41 ი. შაისურაძე. ქართული გვარ-სახელები. თბ. 1990, გვ. 186.

42 წარწერაში დაზიანების გამო რამდენიმე სიტყვა ვერ იკითხება.

43 როგორც ჩანს გრაფემა „ა" გამოტოვილია წარწერის ამოშკეთის შიერ.

44 წარწერა დაზიანებულია და სრულად ვერ იკითხება, გამოტოვილ ადგილზე უნდა ეწეროს ალბათ „შენდობა".

ტაძრის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს კიდევ ერთი ეპიტაფიაა. საფლავის ქვის ჩრდილოეთ მხარეს ვკითხულობთ: „წუთისოფელში ვერ გავიხარე მხოლოდ დაბრჩა ქმარი 35(?) წ..[45] შვილი(,) ერთი ასული(,) ერთი ვაჟი(,) ვარ სოლომონ რჩეულაშვილის ასული იაგორ ბარიშვილის მეუღლე მელანია(,) შობიდან 25წ(.) შენდობა მიბძანეთ (წარწერა საფლავის ქვის სამხრეთ კედელზე გრძელდება) წუთისოფელს მამაშორე(,) დავიკარგე ვერა ვნახე(,) ამადენი შრომის გამწევი შავ მიწაში დავიმარხე(,) დამრჩა სახლი ცრემლიანი“(.) საფლავის ქვას ზედაპირზე აქვს წარწერის შესრულების თარიღი – 1913. რჩეულიშვილთა გვარი იხსენიება 1818 წლის რუსულ აღწერაში. რჩეულიშვილები აზნაურები იყვნენ. აღნიშნული გვარი იხსენიება XX საუკუნის დასაწყისის დიცის საეკლესიო დოკუმენტებში. 1915-1916 წწ. გარდაცვალებულ პირთა ნუსხაში გვხვდება დიცში მცხოვრები აზნაურის ვახტანგ რჩეულოვის ასული იულიანე.[46] შუასაუკუნეებში რჩეულიშვილები ქვეყნის სხვა კუთხეებშიც ცხოვრობდნენ. მათ შორის: სამცხეში, ქვემო ქართლში.[47] რჩეულიშვილების გვარი შეტანილია 1850 წელს რუსეთის იმპერატორის მიერ დამტკიცებულ ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა ოჯახების ნუსხაში.[48] რაც შეეხება ეპიტაფიაში მოხსენიებულ ბარიშვილების გვარს, აღნიშნული საგვარეულო დასტურდება 1818 წლის რუსული აღწერით,[49] ასევე XX საუკუნის დასაწყისის საეკლესიო დოკუმენტებით. საინტერესოა, რომ ბარიშვილების გვარი „ბარლიშვილის“ ფორმით მოხსენიებულია 1640 წელს შედგენილ დოკუმენტში. ელისე თბილელის ნებართვით იოთამ ბარლიშვილის ოჯახი დიცის მეზობელ სოფელში – თერგვისში ჩასახლებულა: „ესე წიგნი [მოგეც] მე, თბილელ ეფისკოპოზმან და ქრისტეს საფლავის მოსამსახურემან ელისე, შენ ბარლის შვილსა იოთამს და შვილთა შენთა. მოხველ და იქ, თერგისში ცოლი შეირთე და დასახლდი ჩვენის შეკითხულობითა და ნებართვით“.[50] არ არის გამორიცხული, რომ იოთამ ბარლიშვილი დიციდან ჩასახლებულიყო თერგვისში.

ტაძრის დასავლეთით დავით გიორგის ძე სოსიაშვილის საფლავია, რომლის ეპიტაფია ასეთი შინაარსისაა: „მომიხსენე(,) მე(,) უფალო(,) ოდეს მოხ-

[45] ამ ადგილზე გაურკვეველად წერია, ჩვენი ვარაუდით, უნდა ეწეროს „წლის“.
[46] გ. სოსიაშვილი. დიცის ისტორია, გვ. 31.
[47] პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. IV, გვ. 86-87.
[48] ქართლ-კახეთის თავადები და აზნაურები. ფოტოტიპიური გამოცემა ზერაბ ქეშელაშვილის რედაქციით. თბ. 2005, გვ. 275.
[49] გიემ. 8235. №128, გვ. 137.
[50] ნ. ხუციშვილი. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწათმფლობელობა საქართველოში. თბ. 2006, გვ. 126.

ვიდე სუფევითა შენითა(,) ამ ლოდსა ქვეშე განისვენებს დავით გიორგის ძე სოსიაშვილი გარდაიცვალა 8 ივლის(,) 1904 წ(.) შობიდგან 22 წ"(.)

დავით გიორგის ძე სოსიაშვილის საფლავის ზემოთ, რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით კიდევ ერთი საფლავის ქვაა, რომელიც ძლიერ არის დაზიანებული, მის ზედაპირზე მხოლოდ რამდენიმე სიტყვა იკითხება:

„....მომიხსენე მე უფალო ...სუფევითა".[51]

ტაძრის სამხრეთ-დასავლეთით გვხვდება მხატვრულად დამუშავებული საფლავის ქვა, რომელიც მიწაშია მოქცეული, იკითხება საფლავის ქვის ზედაპირზე შესრულებული წარწერა: „...ვსა[52] ამას მდებარე მარიამ [ს]ვიმონ ბოლაშვილის მეუღლე(,) წამკითხველნო შენდობა მიბძნეთ[53] ჩყა 1801 (გს?)[54] წელს მარტის პირველსა".

იქვე, ტაძრის სამხრეთით ორი ქვა-ძეგლია. ორივე მათგანი ბოლაშვილებს ეკუთვნით. ერთ-ერთ მათგანზე ვკითხულობთ: „აქ განისვენებს ივანე გლახას ძე ბოლაშვილი(,) გარდაიცვალა 1916წლ.) აგვისტოს 18 სა(,) შობიდგან 96 წლისა(,) წამკითხველნო შენდობა მიბოძეთ"(.)

ოდნავ მოშორებით ასეთივე ქვაზე სამხრეთ მხარეს ვკითხულობთ: „ამ ძეგლის ქვეშ მდებარე ნატალია ესტატე ბოლაშვილის ასული გარდაიცვალა 1907 წ(.)[55] თიბათვის 15(,) შობიდგან ოცდახუთი წლისა(,) შენდობას გთხოვთ(.)

ამავე ქვის დასავლეთ მხარეს ვკითხულობთ: „ამავე ძეგლის ქვეშ მდებარე სერგი ესტატეს ძე ბოლაშვლ[56] გარდაიცვალა 1900 წ(.) ქრისტეშობისთვის 15 სა(,) შობიდგან ოცდაერთი წ(.) შენდობას გთხ[ოვთ(.)

ქვის აღმოსავლეთ მხარეს კიდევ ერთი ეპიტაფიაა: „ამავე ძეგლის ქვეშ მდებარე ოლა ესტატე ბოლაშვილის.... .[57]

ეპიტაფიაში მოხსენიებული ესტატე ბოლაშვილის საფლავიც იქვეა, აღნიშნული ქვის დასავლეთით, რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით: „არ შეშიბრალა სიკვდილმა დაგ... ხეთა[58] შეგეხვეწე ჩემს მოკეთეებს... [ყვ]ელა ეცადნენ ვეღარ მიშველეს ჩემზედ... ვიღე ...ხელა ჩამაწვინეს შავს მიწასა სამარეს ყოფა

---

51 საეარაუდოდ უნდა ეწეროს: „მომიხსენე, მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფეითა შენითა."

52 საეარაუდოდ უნდა ეწეროს საფლავსა.

53 უნდა ეწეროს „მიბრძანეთ."

54 თარიღი და თარიღის აღმნიშვნელი გრაფემების მომდევნო ორი გრაფემა კარგად ვერ იკითხება.

55 თარიღი დაზიანებულია, თუმცა საეარაუდოდ უნდა ეწეროს 1907 წ.

56 გეარი შემოკლებით წერია, უნდა ეწეროს „ბოლაშვილი".

57 აქ ადგილზე წარწერა დაზიანებულია, ჩვენი აზრით უნდა ეწეროს მეუღლე.

58 წარწერა ზოგიერთ ადგილზე დაზიანებულია და კარგად არ იკითხება.

ძნელია თითონაც დარჩნენ მტირალნი.. ბნელ შავს მიწას ამოვცქერი... ურმულ ჩემი... ბნელა... ესტატე გლახას ძე ბოლაშვილი(,) წლისა სამოცდაერთისა — 1900 წელს(.)".[59]

იქვე, ახლოს, ესტატე ბოლაშვილის ძის გიორგის საფლავის ქვაა. ქვის სამხრეთ მხარეზე ასეთი ეპიტაფიაა: „გვიბძანეთ ვინ...საფლავი ჩემი ნებ...აღვსრულდი(,) გიორგი ესტატეს ძე ბოლაშვილი 19 წ(.) აპრილის 15(.)".[60]

საფლავის ქვის სამხრეთ-აღმოსავლეთით ქვაძეგლი დგას, რომლის სამხრეთ მხარეს თეთრ ქვაზე დაზიანებული ეპიტაფიაა: „...განისვენებს...[61] ოჯახის გიგა ბოლაშვილის მეუღლე, გარდაიცვალა 30 წლისა(,) 19...[62] აპრილის 17 სა(,) დამრჩა 4 წრილშვილი და ყმაწვილი ქმარი(,) ღმერთო მახსენებლათ მიცოცხლე ნიშნათ ღრმა სიყვარულისა(,) ეს ძეგლი დამადგა ოჯახმა."

როგორც ჩანს, სასაფლაოს ეს ნაწილი ბოლაშვილების საძვალეს წარმოადგენდა. ბოლაშვილების გვარი დიცში იხსენიება XX საუკუნის დასაწყისის ეკლესიის სარეგისტრაციო დოკუმენტებში.[63] სავარაუდოდ, ისინი უფრო ადრეც ცხოვრობდნენ დიცში. ამაზე უნდა მიგვანიშნებდეს XVIII საუკუნის ერთი საბუთი, სადაც იხსენიება დიცში არსებული ბოლას (სავარაუდოდ, ეს იყო ღიცის გარკვეული ტერიტორიის სახელწოდება) მოურავი.[64] ბოლაშვილების საგვარეულოს წევრები XX საუკუნის I მეოთხედში, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ბოლშევიკებმა განაკულაკეს და მათ საარჩევნო ხმის უფლებაც ჩამოართვეს.[65] ბოლაშვილები დიცის გარდა ცხოვრობენ, აგრეთვე, სილნაღის რაიონში.[66]

ღვთისმშობლის ტაძრის სამხრეთით შემაღლებულ ადგილზე კიდევ რამდენიმე ეპიტაფია ამოვიკითხეთ: „....მომიხსენე უფალო(,) ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა[აქა]მდებარე ლ(?) მინდიაშვილი..."[67].

„მომიხსენე მე უფალო...".[68]

იქვე, ახლოს, არსებულ საფლავზე ეპიტაფია შედარებით კარგად იკითხება: „მომიხსენე უფალო(,) ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა...[69] შინა მდე-

[59] წარწერაში ზოგიერთი სიტყვა დაზიანებულია და კარგად ვერ იკითხება.
[60] ეპიტაფია დაზიანების გამო მხოლოდ ნაწილობრივ იკითხება.
[61] წარწერა დაზიანებულია და ზოგიერთი სიტყვა ვერ იკითხება.
[62] თარიღი ბოლომდე ვერ იკითხება.
[63] გ. სოსიაშვილი. დიცის ისტორია, გვ. 32.
[64] სსცა. ფ. 1448. საბ. 201.
[65] გ. სოსიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 47.
[66] ი. მაისურაძე. ქართული გეარსახელები, გვ. 37.
[67] წარწერა დაზიანებულია და კარგად ვერ იკითხება.
[68] წარწერა ძლიერ დაზიანებულია.
[69] ამ ადგილზე წარწერა დაზიანებულია, სავარაუდოდ უნდა ეწეროს „საფლავსა".

ბარე ყარამან(?) მინდიაშვილის მეუღლე მაგდან(,) მხილველნო(,) შენდობა მიბძნეთ ჩყიდ (1864) წელსა (ალ?)...იდ..ისა“[70].

აქვე. შედარებით მცირე ზომის საფლავის ქვაზე კიდევ ერთი დაზიანებული ეპიტაფიაა. ქვის ჩრდილოეთ მხარეს ვკითხულობთ: „...წელსა ღვინობისთვის... დ... დღესა... გებრალებოდეთ ძმანო და მეგობარნო(,) შენდობა...“ წარწერა გრძელდება ქვის სამხრეთ მხარეს: „ცრემლიანი მეუღლე სალომე(,)[71] უმემკვიდროდ მივიცვალე ანდრია მინდიაშვილი“. საფლავის ქვას წარწერა ზედაპირზეც აქვს, მისი ამოკითხვა ვერ შევძელით. როგორც ჩანს, ეპიტაფია ერთი მთლიანი ტექსტია, რომელიც ქვის ზედაპირზე და მის ორივე მხარეზეა დატანილი.

ტაძრის სამხრეთით შემაღლებულ ადგილზე ორი საფლავია. ერთი მათგანი ზედაპირამდე მიწაშია მოქცეული. ქვაზე მხედრული წარწერაა: „შეიწყალე უფალო ლაზარე...[72] ასული ნინო და მეუღლე ნინია ვატიტაძისა ჩყოზ(.)“ (1877 წ.).

აღნიშნული ქვის ოდნავ მოშორებით (ჩრდილოეთ მხარეს) მხედრულწარწერიანი სხვა საფლავის ქვაც არის. ქვაზე ვკითხულობთ: „საფლავს შინა მდებარე ვარ სოლომან სოსიაშვილის ასული და გიგო მინდიაშვილის მეუღლე ნათელა (,) შენენდობა[73] მაღირსეთ.“ მიიცვალა ჩყ(?)ზ 18..7.[74]

ტაძრის სამხრეთ მხარეს დაახლოებით 40 მ. მოშორებით ჩვენი ყურადღება მიიქცია საფლავის ორმა ქვამ. ქვები ერთმანეთის გვერდით არის განლაგებული, მათ შორის დაშორება დაახლ. 1 მ.-ია. ჩრდილოეთ მხარეს არსებული ხავსით დაფარული საფლავის ქვის დიდი ნაწილი მიწაში იყო მოქცეული. საფლავის ქვის სიგრძე – 140 სმ, სიგანე თაში 36 სმ-ი, ბოლოში – 55 სმ-ი, სიმაღლე 46 სმ-ი. საფლავის ქვის ზედაპირზე ამოკვეთილია მამაკაცის გამოსახულება. მამაკაცი საერო ტანსაცმლით (ჩოხით) არის შემოსილი. ფეხზე ქუსლიანი ჩექმები აცვია, მარჯვენა ხელში ჯვარი უპყრია, ხოლო მარცხენა ხელში გაურკვეველი ნივთი. მამაკაცს თავზე ადგას ორნამენტული თაღი. რომელიც ჯვრით ბოლოვდება. საფლავის ქვაზე სამხრეთ მხარეს ორ კვადრატში მოთავსებულია მხედრული წარწერა, რომელიც საფლავის ქვაზე ამოკვეთილი მამაკაცის ვინაობას გვამცნობს. წარწერაში ვკითხულობთ: „ა(მ)ა[75] მდებარე

[70] ამ ადგილზე გაურკვეველად წერია.
[71] სავარაუდოდ უნდა ეწეროს: „დაშრია“.
[72] ამ ადგილზე ქვა ატკეპილია და გვარი არ იკითხება
[73] აქ წარწერის ამომკვეთის შეცდომა უნდა იყოს, „შენდობის“ ნაცვლად წერია „შენენდობა“.
[74] ამ ადგილზე საფლავის ქვა ატკეპილია და თარიღის აღმნიშვნელი ერთი ციფრა მაინც არ იკითხება.
[75] ამ ადგილზე ქვა დაზიანებულია, თუმცა ძალიან ჰგავს „მ“-გრაფემას.

ვრ[ვარ] შიო მინდიაშვილი შობიდგნ[შობიდგან] ვზ(.)(67).

ჩვენი აზრით, მამაკაცი საერო პირია. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს მისი საერო ტანსაცმლით გამოსახვა. ქვის მოცულობა, გამორჩეულ ადგილზე არსებობა და მხატვრული გაფორმება გვავარაუდებინებს, რომ საფლავის ქვაზე გამოსახული შიო მინდიაშვილი გამოჩენილი საერო პიროვნება იყო. შიო მინდიაშვილს, როგორც ჩანს, გარკვეული დამსახურება ჰქონდა დიცის ღვთისმშობლის ეკლესიის წინაშეც. სწორედ ამიტომ გამოსახეს ის ჯვრით ხელში. მას თავზე ორნამენტიანი თაღი ადგას, არ არის გამორიცხული, რომ მან დიცის ღვთისმშობლის ეკლესია აღადგინა. დიცში მინდიაშვილები XVIII საუკუნის I მეოთხედში იხსენიებიან. 1721 წლის ნასყიდობის წიგნიდან ჩანს, რომ პაატა ფავნელიშვილმა ზაალ ერისთვისშვილს დიცში მამული მიყიდა. დოკუმენტში ვკითხულობთ: „კიდევ მოგყიდე დიცის მინდორში ხოდაბუნი, ბოლას მოურავს ზაზას მიწამდი, თავს მინდიაშვილის მიწამდი, აქათ ძეძვამდი გზამდი.“[76] XVIII საუკუნის II ნახევრის ლიახვის ხეობის მოსახლეობის აღწერის დავთრების მიხედვით დიცში რამდენიმე კომლი მინდიაშვილი იხსენიება, მათ შორის: მინდიაშვილი მამუკა, მინდიაშვილი პეტრე, მინდიაშვილი ბერი, მინდიაშვილი მახარე.[77] მინდიაშვილები იხსენიებიან XIX საუკუნის I მეოთხედში რუსულ აღწერებშიც. დიცში მცხოვრები მინდიაშვილები ქსნის ერისთავებს: სოლომონსა და ივანეს ეკუთვნოდნენ.[78] ძალზე საინტერესოა, რომ ზემოთ წარმოდგენილი ეპიტაფიიდან ცნობილი შიო მინდიაშვილი იხსენიება დიცის ღვთისმშობლის ეკლესიის სარეგისტრაციო წიგნში, სადაც 1916 წელს დაბადებულთა ნუსხაა მოცემული.[79] ამ ნუსხაში იხსენიება ვინმე ანა (მისი მშობლები იყვნენ: ივანე ანდრიას ძე და ოლღა მიხეილის ასული, დოკუმენტში მათი გვარი არ წერია), ახალშობილი ანას ნათლიად დასახელებულია შიო მინდიაშვილის ქვრივი – ევა სოლომონის ასული.[80] თუ დიცის

[76] სსცა. ფ. №1448. საბ. 201.

[77] ა. თაბუაშვილი. ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები, გე. 96.

[78] გიემ. ფ. 8235. №128; გ. სოსიაშვილი. დიცის ისტორია, გე. 15-20.

[79] აღსანიშნავია, რომ დიცში დაბადებულთა და გარდაცვალებულთა რეგისტრაცია დიცის ღვთისმშობლის ეკლესიის სარეგისტრაციო წიგნში ხდებოდა. არსებობს ამ მასალების ელ. ვერსია, რომელიც „დიცის ისტორიაზე“ მუშაობისას გადმოგვცა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს გორის სამსახურის სელსაძღვანელმა ზაზა მინდიაშვილმა, რისთვისაც გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ. იხ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს გორის სამსახურის არქივი, დიცის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის სარეგისტრაციო დავთრები, ელ. ვერსია, 26724.

[80] გ. სოსიაშვილი. დიცის ისტორია, გე. 27.

ღვთისმშობლის ეკლესიის სარეგისტრაციო წიგნში ნახსენებ შიო მინდიაშვილს და ჩვენ მიერ აღწერილ საფლავის ქვის წარწერაში მოხსენიებულ შიო მინდიაშვილს გავაიგივებთ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული პიროვნება XIX საუკუნის II ნახევარში მოღვაწეობდა და მას რაღაც სამოხელეო თანამდებობა ეკავა. 1818 წლის რუსული აღწერის მიხედვით დიცს მამასახლისიც ჰყავდა.[81] არ არის გამორიცხული, რომ შიო მინდიაშვილი სოფლის მამასახლისი (ან უფრო დიდი თანამდებობის პირი) ყოფილიყო, რომელსაც დიცის ღვთისმშობლის ეკლესიის წინაშე დიდი ღვაწლი მიუძღოდა. რა დამსახურება უნდა ჰქონოდა დიცის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის წინაშე შიო მინდიაშვილს? 1903 წელს, ჟურნ. „კვალის" ფურცლებზე დაბეჭდილი კ. ნოდიას კორესპონდენციიდან ირკვევა, რომ დიცში ეკლესია ახალი ამოქმედებული იყო. მანამდე დიცის მრევლი ტირძნისის ეკლესიაში დადიოდა.[82]

სინოდის გადაწყვეტილებით, დიცში ეკლესია ამოქმედდა და მოძღვარიც გამოიგზავნა.[83] 1903 წელს გაზ. „ივერიას" ფურცლებზე გამოქვეყნებული კორესპონდენციიდან ირკვევა, რომ დიცის ეკლესიისთვის წმ. სინოდს მღვდელი 1886 წელს დაუნიშნავს.[84] როგორც ჩანს, დიცის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი გარკვეული პერიოდი XIX საუკუნის II ნახევარში დაკეტილი იყო, შეიძლება, ტაძარი აღდგენას საჭიროებდა და, შესაძლებელია, სწორედ ამ საქმეში გამოიჩინა თავი საფლავის ქვის წარწერაში მოხსენიებულმა შიო მინდიაშვილმა. მამაკაცის მარჯვენა ხელში გამოსახული ჯვარი, ასევე მის თავზე ამოკვეთილი ორნამენტჩახატული თაღი, რომელიც ასევე ჯვრით ბოლოვდება,

---

[81] იხ. გიემ. ფ. 8235. №128; გ. სოსიაშვილი. დიცის ისტორია, გვ. 18.

[82] აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი ანონიმური რუსული წყაროს თანახმად ტირძნისის ეკლესიას (არ არის დაკონკრეტებული რომელ ეკლესიაზეა საუბარი, თუმცა, ჩვენი აზრით, ეს უნდა იყოს 1830 წელს დაარსებული სულხანიშვილის) მიერ აგებული ტაძარი) XIX საუკუნის ბოლოს ეგზარქოსი ვლადიმირი ესტუმრა, რომელმაც ქართლის ეკლესიები დაათვალიერა. ეგზარქოსს ტირძნისში დიდი ზეიმით დახვდნენ. ტირძნისში 1875 წელს ერთკლასიანი საეკლესიო სკოლა დაარსდა, რომელიც 1896 წელს ორკლასიან სასწავლებლად გადაკეთდა. აქ არსებობდა სოფლის მეურნეობის განყოფილებაც. სასწავლებელთან შექმნილი იყო მისწავლეთა სიმღერის გუნდი (ხორი), რომელსაც სათავეში უდგა გ. სეხნიეი (სეხნიაშვილი). ი. დ. სულხანიშვილმა ეგზარქოსი სადილზე მიიწვია. Обозрение Карталинских церквей Высокопреосвященнейшим Владимиром экзархом Грузии, გვ. 21-22. წყაროში მოხსენიებულია საეკლესიო მამასახლისი (Церковный староста) გიორგი სამადაშვილი (იქვე, გვ. 21). არ არ არის გამორიცხული, რომ შიო მინდიაშვილს ასეთი თანამდებობა ჰქონდა დიცში.

[83] ჟურნ. „კვალი", 1903, 7 ივლისი, №23, გვ. 379-380; გ. სოსიაშვილი. დიცის ისტორია, გვ. 121.

[84] გ. სოსიაშვილი. დიცის ისტორია. გვ. 123.

ჩვენი აზრით, სწორედ ამაზე უნდა მიანიშნებდეს. როგორც აღვნიშნეთ, აღნიშნული საფლავის გვერდით (მარჯვენა მხარეს) დაახლოებით ასეთივე ზომის ქვაა, რომლის ზედაპირზე ჯვარია გამოსახული. საფლავის ზედაპირზე მხედრული წარწერაა, რომელიც დაზიანებულია და ძნელად იკითხება. საფლავი, ჩვენი აზრით, შიო მინდიაშვილის მეუღლეს უნდა ეკუთვნოდეს, რომელიც დიცის ღვთისმშობლის სარეგისტრაციო წიგნში მოხსენიებული ევა სოლომონის ასულია.

წარწერის ფრაგმენტი ასე იკითხება: „მოიხ(...)[85] მდებარე ვარ ღთის(?) მე(...) ე(..).

აღნიშნული საფლავების გვერდით კიდევ ერთი ქვაა, რომელიც დაზიანებულია. საფლავის ქვაზე ანაფორიანი მამაკაცია გამოსახული, რომელსაც ხელები გულზე აქვს დაკრეფილი. მამაკაცის თავზე ჯვარია ამოკვეთილი. ქვის სამხრეთ კიდელზე დაზიანებული მხედრული წარწერაა: „ამა ლოდსა ქვეშე მდებარე... ამ ადგილზე საფლავის ქვა გადატეხილია და წარწერა წყდება. ქვის ჩრდილოეთ კიდელზე წარწერა გატეხილი ადგილიდან გრძელდება. „...ძე(?) ლადიმერ 1885 წ". ეპიტაფიაში მოხსენიებული პიროვნება სასულიერო პირი უნდა იყოს, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ის ანაფორით არის გამოსახული ქვაზე. აღნიშნული საფლავების გვერდით, დასავლეთ მხარეს კიდევ ერთი ეპიტაფია ამოვიკითხეთ: „აქ მდებარე ვარ მარიამ როხე(?)მინდიაშვილის მეუღლე და ასული გიორგი ოქროპირიძისა(,) აღვსრულდი 15 სა(,) დეკემბერს 1903 წ(.) მხილველნო შენდობა(...)".[86]

ტაძრის სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით კიდევ რამდენიმე საფლავის ქვაა, სადაც დაზიანებული წარწერებია.

„(....)ვარ მდებარე ივანე მინდიაშვილის ძე ვასილი".[87]

„(...)რა უდროოდ მიგდე მახე(...) წარწერა გრძელდება ქვის სამხრეთ მხარეს (...)ნეთ ვინც საფლავი ჩემი ნახეთ მიხვეილ გ(ი)რის(?) ძე ლაფაჩი".[88]

ტაძრის სამხრეთ-დასავლეთით კიდევ ერთი საფლავის ქვაა, რომელიც სონა სოლოს ასულ მეშვილდიშვილს ეკუთვნის: ქვის სამხრეო მხარეს ვკითხულობთ: „მომიხსენე(,) მე(,) უფალო(,) ვარ სონა სოლო მეშვილდიშვილის ასული(,) წარწერა ჩრდილოეთ მხარეს გრძელდება: სიმონ ლაფაჩის მეუღლე(,) დაიბადა 1894 წ(.) გარდაიცვალა 1929(.)".

---

[85] ამ ადგილზე ქვის ზედაპირი გადაცვეთილია. სავარაუდოდ უნდა ეწეროს „მოიხსენე".

[86] შემდეგი სიტყვა ატკეპილია, სავარაუდოდ, უნდა ყოფილიყო „მიბძანეთ".

[87] წარწერის დასაწყისი არ კითხება.

[88] საფლავის ქვის ზედაპირზე არსებული წარწერა დაზიანებულია.

ტაძრის სამხრეთით საფლავის ქვაზე, დაზიანებული ეპიტაფიაა, რომლის ნაწილობრივი ამოკითხვა შევძელით: „აქ განისვენებს ვალენტ(?)გაბოს(?)ასული“.

ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სასაფლაოს ღობესთან კიდევ რამდენიმე საფლავია. აქედან ერთი უწარწეროა. მეორე საფლავის ქვა უწარწერო ლოდის სამხრეთით, რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით ხის ქვეშ არის მოქცეული. წარწერა, როგორც ჩანს, ქვის ზედაპირზე იყო დატანილი. შემორჩენილია მხოლოდ რამდენიმე სიტყვა: „მომიხსენე(...)მე უფალო(...)“ წარწერის გაგრძელების კვალი ქვის ზედაპირზე ჩანს, თუმცა მისი ამოკითხვა ვერ მოხერხდა.

აღნიშნული ქვის სამხრეთით არსებულ საფლავზე ასეთი ეპიტაფია ამოვიკითხეთ: „ჩყ [ვზ?] (1867) წელსა, მარიამობის კ (20)დღესა(,) ხორველით გარდავიცვალე ოცი წლის(,) შენდობა გვიბძანეთ“. ქოლერა, ხალხური ვერსიით ხორველა, XIX საუკუნეში დიცში სიკვდილიანობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო. სოფლის მცხოვრებთა გადმოცემით „ხორველით“ გარდაცვლილი ადამიანები სოფლის აღმოსავლეთით ე.წ. „გორეებთან“ იყვნენ დაკრძალულნი. ამ დაავადების არსებობას ამტკიცებს დიცში მცხოვრებ მძინარაშვილთა ერთ განშტოებაში შემორჩენილი მეტსახელი „ხორველაანი“. როგორც ჩანს, აღნიშნულ გვარში ქოლერა მძვინვარებდა და ამიტომაც შემორჩათ ეს მეტსახელი.

ტაძრის სამხრეთით ერთი შედარებით მომცრო ზომის ქვა-ძეგლია. შუა ნაწილში მას თეთრი ფერის ქვა აქვს ჩაშენებული. აღმოსავლეთ მხარეს წარწერის კვალი ჩანს. დაზიანებულ წარწერაში ირჩევა გვარი „ვატიტაძე“.

ტაძრის სამხრეთით კიდევ ერთი ეპიტაფიაა. მხედრული წარწერა საფლავის ქვის ზედაპირზე დაზიანებულია: „მომიხსენე უფალო მზევალი შენი თალია(?) (ივა?)ნე მძინარაშვილის მე(...).[89]

დიცის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის ჩრდილო-დასავლეთით, მიწით და ჯაგნარით დაფარულ ადგილზე, სავარაუდოდ, კიდევ არის საფლავის ძველი ქვები, რომელთა შესწავლა ვფიქრობთ, რომ მომავლის საქმეა.

დიცის წარწერებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ის ფაქტი, რომ დიდი და პატარა ლიახვის ხეობის სოფლებში არსებულ სიძველეებსა და წარწერებზე ქართველ მეცნიერებს საოკუპაციო ხაზის გამო ხელი აღარ მიუწვდებათ. ქართული კულტურის ბევრი უნიკალური ძეგლი, საქართველოს ისტორიის ცოცხალი მოწმე და მატიანე ე. წ. გამყოფი ხაზის მიღმა მოექცა. სოფელი დიცი სწორედ გამყოფ ხაზთან მდებარეობს. აღნიშნული წარწერები, ვფიქრობთ, მრავლისმეტყველია, რაც ნათლად გვიდასტურებს პატარა ლიახვის ხეობის ამ არეალში ქართველთა ცხოვრების უწყვეტობას, მათ რელიგიურ-კულტურულ საქმიანობას.

[89] სავარაუდოდ უნდა ეწეროს მეუღლე.

Giorgi Sosiashvili

EPITAPHS FROM THE VILLAGE DITSI

Summary

There are old burials around Saint Mary the Virgin church in the Ditsi village (Eastern Georgia). This fact is attested by the headstones which are arranged nearby the cathedral and are dated back to the 19th century. It is possible to read the Mkhedruli inscriptions on the headstones, however, much of the inscriptions are damaged. We think that the Ditsi inscriptions are of great importance due to the fact that the scientists do not have access to the cultural heritage in the villages of Patara and Didi Liakhvi gorges because of their occupation. Village Ditsi is located near the occupational line. The inscriptions clearly demonstrate the continuity of life of the Georgians in Patara Liakhvi gorge and their religious-cultural activities.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XI
თბილისი. 2016

დიმიტრი შველიძე

არჩილ ჯორჯაძე ქართველი ერის წარმოშობის შესახებ

XX საუკუნის დასაწყისში, ქართულ პრესაში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემა ეროვნული საკითხი იყო. ნებისმიერი მეტ-ნაკლებად თვალსაჩინო პოლიტიკური თუ საზოგადო მოღვაწე, კულტურისა თუ მეცნიერების წარმომადგენელი თავს მოვალედ თვლიდა საკუთარი პოზიცია დაეფიქსირებინა ეროვნული უფლებების, ღირებულებების, თავისუფლების, ენის, ტერიტორიის თუ მეზობელ ერებთან ურთიერთობების შესახებ. ყალიბდებოდა ეროვნული საკითხისადმი სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკურ-ბოლშევიკური), სოციალისტ-ფედერალისტური, ესერული, ეროვნულ-დემოკრატიული თუ ანარქისტული პარტიების მიდგომები და ა. შ.

იმხანად რამდენიმე საინტერესო წიგნიც გამოქვეყნდა ეროვნულ თემატიკაზე: მიხაკო წერეთლის „ერი და კაცობრიობა“ (1910 წ), ნოე ჟორდანიას „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“ (1908 წ), აკაკი ჩხენკელის „კაცობრიობა თუ ერი?“ (1912), აგრეთვე, ს. ფირცხალავას, გრ. რობაქიძის, თ. ღლონტის, ივ. გომართელის, ვ. ჩერქეზიშვილის, ზ. ავალიშვილის, ირ. წერეთლის, ი. სტალინის, ვლ. დარჩიაშვილის, სპ. კედიას და სხვა მრავალთა სტატიები.

ქართველი ერის წარმოშობის დროის საკითხი არ ყოფილა აქტუალური XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი საზოგადოებისთვის. ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი და მაოი მიმდევრები ბევრს წერდნენ საჭირბოროტო ეროვნულ პრობლემებზე, მაგრამ ის, რომ ქართველი ერი ძველ საუკუნეთა ეპოქაში წარმოიქმნა, მათთვის ეჭვს არ იწვევდა. ილიას ტექსტებში, პუბლიცისტიკასა თუ მხატვრულ ნაწარმოებებში ყოველთვის საუბარი იყო ქაროველი ერის თვითცნობიერების, ეროვნული თვითშეგნების აღდგენის საჭიროებაზე, როგორც ძველად არსებული რეალობის კვლავ აღორძინების აუცილებლობაზე და არა – არარსებულის შექმნაზე.

ქართველი ერის წარმოშობის დროისა და გარემოებების პრობლემა მას

შემდეგ გახდა აქტუალური, რაც მარქსისტებმა დაიწყეს ერების და, მათ შორის, ქართველი ერის კაპიტალიზმის ეპოქაში წარმოქმნა-ჩამოყალიბების მტკიცება. გერმანული და ევროპული სოციალ-დემოკრატიის ლიდერი კარლ კაუცკი წერდა: „კაპიტალს სჭირდება ფართო საშინაო ბაზარი და სრულიად დაუბრკოლებელი ურთიერთობები; ამასთან, მას ესაჭიროება გაცილებით თავისუფალი წვდომა მსოფლიო ბაზართან, რომელიც მისთვის უფრო უზრუნველყოფილი იქნება ძლიერი სახელმწიფოს პირობებში, რომელსაც ის მიეკუთვნება. ყველაზე ძლიერი სახელმწიფო ნაციონალური სახელმწიფოა, რომელშიც აღმოფხვრილია ნაციონალური მტრობა. ნაციონალურ სახელმწიფოში, ასევე, ნაკლები წინააღმდეგობანია საშინაო ურთიერთობებშიც. ენობრივი განსხვავება, არანაკლებად საბაჟო საზღვრებზე, ხელს უშლის ურთიერთობებს. აქედან გამომდინარე, ბურჟუაზიის ინტერესებშია, ერთის მხრივ, შეამჭიდროვოს ერთი ერის ყველა ნაწილები, ხოლო, მეორე მხრივ, თავს მოაჯიოს სახელმწიფოში ყველა დანარჩენ ეროვნებებს საკუთარი ეროვნული ენა“.[1] აქედან გამომდინარე, ნაციები წარმოიქმნენ და ჩამოყალიბდნენ კაპიტალიზმის ეპოქაში და მათ ფუნდამენტურ კომპონენტებს ენასთან, კულტურასთან, საერთო წარსულთან და ა. შ. შეადგენდა ყველაზე მთავარი — ეკონომიკური ფაქტორი.' ასეთი იყო მარქსიზმის ლოგიკა — კაუცკის ენით და ის საერთო მასაზრდოებელი წყარო გახლდათ როგორც ევროპული, ისე რუსეთისა და ქართველი სოციალ-დემოკრატიისათვის.

მარქსისტული ფორმულა არ გაიზიარეს ეროვნულმა ძალებმა და ინტელიგენციამ. მარქსისტულ კონცეფციას დაუპირისპირდა არჩილ ჯორჯაძე. ის ცდილობდა დაესაბუთებინა, რომ ერების წარმოშობა მოხდა არა ბურჟუაზიული სისტემის, არამედ საერთოდ — სახელმწიფოს წარმოქმნის ხანაში. ამავე დროს, ეროვნებათა წარმოშობა არ უკავშირდებოდა მხოლოდ ბურჟუაზიული რევოლუციების ხანას. ერების ჩასახვის პროცესი დაიწყო იმ შორეულ ეპოქაში, როცა პირველყოფილი თემების ადათებს თანდათან ცვლიდა სახელმწიფოებრივი სტრუქტურები და ისეთი კომპონენტი, როგორიცაა — კანონი. „ეროვნება ისახება და ჩნდება სწორეთ იმ ხანაში, როდესაც საზოგადოება საგვარეულო წესს თავს აღწევს და როდესაც მყარდება და მკვიდრდება სახელმწიფო“, წერდა ჯორჯაძე 1907 წელს გამოქვეყნებულ, წერილების სერიაში.[2]

[1] К. Каутский. Кризис в Австрии. კრებ.: «Очередные проблемы Социализма». СПб. 1906, გვ. 286.

[2] ა. ჯორჯაძე. მასალები ეროვნების წარმოშობის ისტორიის შესასწავლად. სოციოლოგიური საუბარი. გაზ. „ისარი“. 1907. კრებ.: „სამშობლო და მამულიშვილობა“. თბ. 1990, გვ. 7.

ამ ზოგადი დასკვნის შემდეგ ჯორჯაძე ისტორიული მაგალითებისა და წყაროების დამოწმების გზით ასაბუთებს, რომ შუა საუკუნეების ქართული ფეოდალური სამეფოს მიერ სხვადასხვა პერიოდში შემუშავებული კანონები თანდათანობით ცვლიდა შემორჩენილ გვაროვნულ ადათებს, ხან იმეორებდა მათ, ხან ცვლიდა და ავითარებდა. ამ თეზისის დამადასტურებელ ისტორიულ მაგალითად ჯორჯაძეს მოჰყავდა გიორგი ბრწყინვალის მიერ საქართველოს მოაში შემოღებული სამეფო კანონები, რომლებსაც იქაური ადათები უნდა შეეცვალა და ცენტრალური ხელისუფლებისათვის დაემორჩილებინა მხარე. ავტორს სათანადო ციტირებაც მოჰყავდა გიორგი V-ის „ძეგლის დადებიდან“: ჩვენ მეფეთა მეფე გიორგიმ, შვილმა დიდებულ მეფეთა მეფის დიმიტრისა, შევადგინეთ ეს კანონი მაშინ, როდესაც მთიულთა საზღვრებში შევედითო.

არჩილ ჯორჯაძის დასკვნა ასეთია: მეფეთა კანონების შემოღება-გავრცელების მიზანი იყო ძველი ადათების დარღვევა-გაუქმება და საერთო-სახელმწიფოებრივი ცენტრალიზებული ნორმების დამკვიდრება, ანუ როგორც წერს: „დარღვევა ადათისა, საგვარეულო წესისა, შეერთება თემებისა და ამასთან დამონება ერთის წოდებისა მეორისაგან და საბოლოოდ ყველა წოდების დამონება მეფის მიერ“. ამას მოჰყვება ჩვენთვის საინტერესო, ზემოთქმულიდან გამომდინარე დასკვნაც: „მართალია, ეს უკანასკნელი პროცესი არ დამთავრდა საქართველოს ძველ ისტორიაში, მეფეებმა საბოლოოდ ვერ სძლიეს ფეოდალთა ურჩობა. ამიტომ არც ტომთა შეერთება დამთავრდა, არც ჩამოყალიბებული ფორმები მიეცა ქართულ ეროვნებას“[3].

ადათისა და კანონის ურთიერთობის განმარტების შემდეგ პუბლიცისტი განიხილავს გვარისა და სახელმწიფოს ურთიერთობას და მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს წარმოშობისთანავე ემხობა გვარი, ანუ „პირვანდელი კომუნიზმი“, ხოლო ამ მოვლენების განვითარებისთანავე „ქვეყნად იშვა ახალი მოვლენა — ეროვნება. სანამ გვარი ძალაში იყო, ერს ადგილი არ ჰქონდა. გაჩნდა სახელმწიფო, იბადება ერიც“. მოკლედ, სახელმწიფოს წარმოქმნა და ერის დაბადება ერთდროული მოვლენაა ჯორჯაძისთვის და არა მარტო მისთვის.

არჩილ ჯორჯაძე ეროვნული საკითხის ერთ-ერთი პირველი მკვლევარი და თეორეტიკოსი იყო ქართულ რეალობაში. მისი მსჯელობა გვარისა და პირველყოფილი საზოგადოების ევოლუციის შესახებ ემყარებოდა ცნობილი ამერიკელი ეთნოგრაფის ლუის მორგანის აღმოჩენებს და დასკვნებს. მორგანის ნააზრევი გვარის ევოლუციის შესახებ მას აინტერესებდა, როგორც ერ-

[3] ა. ჯორჯაძე. მასალები ეროვნების წარმოშობის ისტორიის შესასწავლად, გვ. 17.

ოვნებათა ჩასახვის ხანა. როგორც ცნობილია, მორგანმა შეისწავლა რა ირო-კეზების ტომის ევოლუციის კანონზომიერებები, მის მაგალითზე შესაძლებელი გახადა ბერძნული გვარის ევოლუციის ეტაპების დადგენა. ამ შემთხვევაში ქართველი სოციალისტ-ფედერალისტების ლიდერისთვის ის იყო საყურადღებო, რომ იროკეზებმა „შეაერთეს ერთ ენაზე მოსაუბრე ტომები განსაზღვრულ ფედერაციაში; ეს იყო ტომების კავშირი და ეს იყო აგრეთვე ეროვნების წარმოშობის დასაწყისი“[4].

მივყვეთ, როგორც მაშინდელი ჟანდარმერიის ერთ საქმეში იყო მოხსენიებული არჩილ ჯორჯაძე – „ქართული ნაციონალიზმის იდეოლოგის“ – მსჯელობის ხაზს: იროკეზების კავშირი სუთი ტომისაგან შედგებოდა (სენეკა, კაიუგა, ონონდაგა, ონეიდა და მოგაუკ). კავშირის ხუთივე წევრი ტომი შინაურ საქმეებში სრულიად დამოუკიდებელნი იყვნენ. კავშირის სათავეში იდგა საბჭო, რომელიც გვარების ორმოცდაათი მამასახლისისაგან (ზახემისაგან) შედგებოდა, როგორც უმაღლესი ინსტანცია. გადაწყვეტილების მისაღებად ორმოცდაათივე წევრის თანხმობა იყო საჭირო.

ამის შემდეგ ქართველი პუბლიცისტი მორგანის მიერ ბერძნული გვარის ნიშან-თვისებათა გარჩევით ინტერესდება, რადგან იროკეზულ-ბერძნული გვარების ევოლუცია დაახლოებით ანალოგიური კანონზომირებების საფუძველზე მიმდინარეობდა. ისე როგორც იროკეზებში, არც ბერძნულ გვარში არსებობდა კერძო საკუთრება. ჰომეროსის ეპოქაში ბერძნულმა გვარმა, უფრო სწორად, გვაროვნულმა თანასწორობამ რღვევა დაიწყო. ბუნებრივია, ამ შემთხვევაშიც ფედერალისტების პარტიის იდეოლოგს ეროვნების წარმოქმნის საკითხი აინტერესებდა. „ჩვენთვის აქ საინტერესოა საკითხის ამნაირად დაყენება, რადგან ამ გზით ეროვნების წარმოშობის პროცესს შესაფერი ნათელი ეფინება“.

გვარის რღვევას არაერთი მიზეზი ჰქონდა, მაგრამ უმთავრესი ის იყო, რომ ძლიერი გვარები სუსტებს იმორჩილებდნენ, იარაღის ძალით იპყრობდნენ და საზღერებს იფართოვებდნენ. სოლონის რეფორმების პერიოდში სახლები და მიწა კერძო პირთა ხელში აღმოჩნდა, კერძო საკუთრება გაჩნდა, გვაროვნული თანასწორობა მდიდართა და ღარიბთა კლასების გაჩენით დამთავრდა. მჭონებელთა კლასი ცდილობდა, უკვე კანონებით გაემაგრებინა თავისი უპირატესი მდგომარეობა და, აი, ქრისტეს დაბადებამდე 509 წელს, კლისთენემ ადმინისტრაციული და სხვა სახის რეფორმები განახორციელა, რისი საერთო შედეგიც ათენის სახელმწიფო-რესპუბლიკის, ანუ „დამთავრებული პოლიტი-

[4] ა. ჯორჯაძე. მასალები ეროვნების წარმოშობის ისტორიის შესასწავლად. გვ. 23.

კური სხეულის" წარმოქმნა იყო. მას უკვე გააჩნდა სახელმწიფოებრივი ძალაუფლების აღმსრულებელი სტრუქტურები: სენატი, ეკლეზია (საერო კრება), არეოპაგი (სამსჯავრო), არმია, ფლოტი თავისი სარდლებით და სხვ. „ერთი სიტყვით, ათინელებმა ააგეს თავისი საზოგადოებრივი წყობილება ტერიტორიასა და საკუთრებაზე, ნაცვლად პიროვნებაზე დამყარებული გვაროვნული წყობილებისა."

მსგავსი პროცესები განვითარდა რომშიც. სახელმწიფომ ახალი ელემენტები შემოიტანა, რომლებმაც დაარღვიეს გვაროვნული თანასწორობა და მისი ადგილი კლასებმა დაიკავეს, ხოლო კლასების ურთიერთობა „ქონებრივ უთანასწორობაზე დამყარდა". ისევე როგორც ათენის რესპუბლიკა კლისთენემ ტერიტორიულ ერთეულებად – დემებად, ანუ თემებად დაყო, რომლებმაც შემდგომში ათენის ათი ოლქი შეადგინეს, რომიც ოთხ ოლქად დაიყო. მათში მცხოვრებლები თავიანთი ქონებით იყვნენ მიწერილნი. სახელმწიფომ ახალი ელემენტები დაამკვიდრა ათენშიც და რომშიც – ესენი იყო ტერიტორიული დაყოფა და საკუთრება, რომელიც კანონებით იყო განმტკიცებული.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან ჯორჯაძემ მთავარი დასკვნა გააკეთა: „კანონი შეიქმნა სოციალური უთანასწორობისა და პოლიტიკური ღამონების მცველად, ხოლო ამასთან კანონი და მთელი სისტემა ნაძალადევ დაწესებულებათა, გახდა მთავარ იარაღად ეროვნების წარმოშობისა და განვითარებისა და სწორედ ამ საგნის განხილვას უნდა შეეუდგეთ ამჟამად"[5].

ავტორი განსახილველ საგანზე მსჯელობის გაგრძელებას ოითქოს ამავე წერილების სერიაში აპირებდა, მაგრამ ასე არ მოხდა. 1907 წელს, როცა ჯორჯაძის წერილები იბეჭდებოდა, რუსეთსა და საქართველოში პირველი დემოკრატიული რევოლუცია დამარცხდა და მიმდინარეობდა ე. წ. „რევოლუციის ლიკვიდაციის" პროცესი. პატრიოტულ და რევოლუციურ გაზეთებს მეფის ხელისუფლება ზედიზედ ხურავდა. 1906 წელს შეწყდა სოციალისტ-ფედერალისტების ცენტრალური ორგანოს „ცნობის ფურცლის" გამოცემა. მალე დაიხურა მის მაგიერ გამომავალი გაზეთი „მეგობარი". 1908 წლის დასაწყისში მისი ბედი გაიზიარა „გაზეთმა „ისარმაც", რომელშიც ჩვენი ავტორის ზემოგანხილული წერილების სერია ქვეყნდებოდა. გაზეთი თბილისის გენერალგუბერნატორის განკარგულებით დახურეს. ამ თუ სხვა მიზეზის გამო არჩილ ჯორჯაძემ შეპირებული „ამ საგნის განხილვა" მალე ვეღარ შეძლო და ეს მხოლოდ „ისრის" ნაცვლად გამოსული ახალი გაზეთის „ამირანის" ფურ-

[5] ა. ჯორჯაძე. მასალები ეროვნების წარმოშობის ისტორიის შესასწავლად, გვ. 30.

ცლებზე მოახერხა. გაზეთი „ამირანი", რომელიც, ისევე როგორც მისი წინამორბედი „ისარი", ქართველი სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის ცენტრალური ორგანო გახლდათ, 1908 წლის მარტიდან გამოვიდა. „ამირანის" ფურცლებზე გაზეთის ცხრა ნომერში დაიბეჭდა არჩილ ჯორჯაძის წერილების სერია „სამშობლო და მამულიშვილობა (ეროვნული პრობლემა საქართველოში)". ამ სერიაში ავტორის ხუთი ვრცელი წერილი გამოქვეყნდა, რომელნიც სხვადასხვა თემატიკას განეკუთვნებოდა. ჩვენთვის საინტერესოა სერიის პირველი წერილი, რომლის სახელწოდებაც თავად განგვიმარტავს მის შინაარსს: „ქართველი ეროვნების წარმოშობის და განვითარების ისტორიის მიმოხილვა". თავდაპირველად ჩვენი ავტორი იმეორებს ადრე გამოთქმულ თეზისს, რომ სახელმწიფოს წარმოქმნას მჭიდრო კავშირი აქვს ეროვნების წარმოშობასთან. მას შემდეგ, რაც გვაროვნული თანასწორობა დაირღვა, სოციალურ ჯგუფთა შორის მიმდინარეობდა ბრძოლა – ერთმა ჯგუფმა (უმცირესობამ) ძალით დაიმორჩილა მეორე სოციალური ჯგუფი (უმრავლესობა) და თავისი ბატონობის შესანარჩუნებლად შექმნა „ძალმომრეობითი ორგანიზაცია" – სახელმწიფო. ჯორჯაძეს მოჰყავს პოლონური წარმოშობის ცნობილი სოციოლოგის ლუდვიგ გუმპლოვიჩის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, გაბატონებულ უმცირესობას უფრო ხშირად წარმოადგენდა გარედან მოსული სხვა „ეთნიური" ჯგუფი. „ეროი ეთნიური ჯგუფი სხვა ეთნიკურ ჯგუფს იმორნებდა". გუმპლოვიჩის განმარტებით, სახელმწიფო წარმოსდგა არა მარტო სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთა შეტაკების წყალობით, არამედ სხვადასხვა ეთნიურ ჯგუფთა ბრძოლისაგანაც[6].

თუმცა ჩვენი ავტორი არ იზიარებს გუმპლოვიჩის აღნიშნულ მოსაზრებას, რომ „ეთნიური ელემენტი" ქმნიდა სახელმწიფოს სხვა ჯგუფზე გაბატონების შედეგად. ის ფიქრობს, რომ ორივე შემთხვევას ჰქონდა ადგილი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა გარემოებათა წყალობით. სახელმწიფო იქმნებოდა ერთ გვარში თუ ტომთა გაერთიანებაშიც და სხვა ეთნიკურ ჯგუფთა ურთიერთდაპირისპირების შემთხვევაშიც. „ამიტომ – წერს ჯორჯაძე – ჩვენ უფრო ვეკედლებით იმ მოსაზრებას, რომ სახელმწიფო ნაყოფია უმცირესობის მიერ უმრავლესობის დაპყრობისა, ხოლო ეგ უმცირესობა ყოველთვის არ განირჩეოდა ეთნიურად უმრავლესობისაგან".[7] ამის შემდეგ არჩილ ჯორჯაძე უშუალოდ ქართულ სინამდვილეში, ისტორიულ წარსულში ეძებს თავისი თეზისის დასაბუთებას. ის ისტორიკოსი არაა და აღიარებს, რომ ეს საკითხი

[6] ა. ჯორჯაძე. მასალები ეროვნების წარმოშობის ისტორიის შესასწავლად, გვ. 34.
[7] ა. ჯორჯაძე. მასალები ეროვნების წარმოშობის ისტორიის შესასწავლად, გვ. 34.

ჯერჯერობით არაა შესწავლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში. „პროფესორი ჯავახიშვილი გვპირდება ერთ-ერთ თავის ნაწერში ამ საგანს – ქართული თვითშემეცნების ისტორიას შევიმუშავებ და გამოვცემო. მოვუცადოთ სპეციალისტის გამოკვლევას, რომელშიაც, იმედია, ბევრ მასალას ვიპოვნით იმ აზრის განმარტებისათვის, რომელსაც ჩვენ ამ წერილებში გაკვრით ვეხებით, სახელდობრ იმას, რომ ქართულ ეროვნების შემეცნება და ქართულ სახელმწიფოებრივობის შემეცნება არა მარტო ვიწროდ არიან დაკავშირებულნი ერთი მეორესთან, არამედ ერთიმეორესთან ფაქტიურად და ლოღიკურად შეისისხლხორცებულნი არიან. ქართულმა სახელმწიფომ შეჰქმნა ქართული ეროვნება და ეროვნული შემეცნება. ეს შემეცნება ძლიერი იყო ქართულ სახელმწიფოს ძლიერების ხანაში, ხოლო სუსტი ამ სახელმწიფოს დასუსტების დროს. მეტსაც ვიტყვით, ჩვენი ეროვნული თვითშემეცნება ძალადობით იყო შექმნილი სწორედ ისე, როგორც ჩვენი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია“.[8] კი მაგრამ, რატომ არის დარწმუნებული ჩვენი ავტორი, რომ მის დასკვნებს ივანე ჯავახიშვილი დაეთანხმება? ან მის მოსაზრებებს ივანე ჯავახიშვილის შემდგომი გამოკვლევები დაადასტურებს? არჩილ ჯორჯაძე და ივანე ჯავახიშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტში დამეგობრდნენ, მიწერ-მოწერა ჰქონდათ ერთმანეთთან, ხშირად უზიარებდნენ და, ძირითადად, იზიარებდნენ კიდეც ერთმანეთის მოსაზრებებს. ჩვენ, რა თქმა უნდა, საქართველოს ისტორიას ვგულისხმობთ და არა პოლიტიკურ-იდეოლოგიურ საკითხებს. როდესაც ივანე ჯავახიშვილმა 1905 წელს გამოსცა თავისი ცნობილი ნაშრომი: „ძველი საქართველოს და ძველი სომხეთის სახელმწიფო წყობილება“, არჩილ ჯორჯაძე რეცენზიით გამოეხმაურა წიგნს და მაღალი შეფასება მისცა მას. ეს წიგნი ჯერ პეტერბურგში გამოიცა რუსულ ენაზე, ხოლო 1919 წელს ქართულად, თბილისში. თავად ივანე ჯავახიშვილი დიდად აფასებდა არჩილ ჯორჯაძის დაკვირვებებს საქართველოს ისტორიისა და ეროვნული პრობლემის შესწავლის სფეროში. იგი 1911 წელს არჩილ ჯორჯაძის თხზულებათა პირველი ტომის გამოცემის გამო წერდა კიდეც ავტორს: „დიდად მოხარული ვარ, რომ თქვენი თხზულებები ცალკე წიგნად გამოვიდა და იმედია, შემდეგშიც გამოვა. იმიტომ, რომ თქვენ ეხებით ისეთს საყურადღებო და საგულისხმო საკითხებს, რომლის გათვალისწინება და ცოდნა ყოველი ქართველისათვის არის საჭირო და სახელმძღვანელოდ ეჭნება თანამედროვე საზოგადოება“.[9]

[8] ა. ჯორჯაძე. მასალები ეროვნების წარმოშობის ისტორიის შესასწავლად, გვ. 35.
[9] ციტირებულია ლ. ნანიტაშვილის წიგნიდან: „საქართველოს რაინდი. არჩილ ჯორჯაძე“. თბ. 1990. გვ. 14.

ჩანს, რომ დიდი ქართველი ისტორიკოსი სრულიად იზიარებდა არჩილ ჯორჯაძის მოსაზრებებს ქართველი ერის წარმოშობის გარემოებების შესახებ. კვლავ დაეუბრუნდეთ ჯორჯაძის წერილს, რომელშიც იგი ჯერ თავის მოსაზრებას გამოთქვამს და მერე გვპირდება, რომ ამ მოსაზრების დასასაბუთებლად მიმართავს ისტორიულ ფაქტებს. საქართველოს ისტორიის ძველი ხანის კვლევის პროცესში ავტორი ეყრდნობა და არაერთხელ იმოწმებს ივანე ჯავახიშვილის ნაშრომს: „საქართველოს მეფე და მისი უფლებრივი ისტორია“, რომელიც 1905 წელს გამოქვეყნდა თბილისში. მოკლედ გადმოვცემთ არჩილ ჯორჯაძის მიერ განვითარებულ მსჯელობას.

ძველ დროში ქართველები რამდენიმე ტომობრივ ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი. გარკვეულ პერიოდში ისინი ცალკეულ სამეფოებს წარმოადგენდნენ ან თვითმმართველ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ერთეულებს ქმნიდნენ. ავტორი გულისხმობს VIII-X საუკუნეებში არსებულ ქართულ სამეფო-სამთავროებს. ამ პერიოდში ცნობილია, რომ რომელიმე ძლიერი მეფე თავის სამფლობელოს შემოუერთებდა ხოლმე მის მიერ დამორჩილებულ-დაპყრობილ სამეფო-სამთავროს. პირველად ქართველთა და აფხაზთა სამეფოები შეერთდა და, შესაბამისად, ბაგრატ მეფე იწოდა „მეფეთ მეფედ აფხაზთა და ქართველთა“. ამის შემდეგ ბაგრატმა კახეთისა და ჰერეთის სამეფოები „რბევით“ და ბრძოლებით დაიპყრო და შემოუერთა თავის სახელმწიფოს. ახლა ის იწოდებოდა: „მეფეთა მეფედ აფხაზთა, ქართველთა, კახთა და რანისა“.

ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ქართველთა მეფე რბევით და დაპყრობით ქმნიდა თავის სახელმწიფოს და „მასთან ერთად ეროვნებას“. ჯორჯაძე იმოწმებს ივანე ჯავახიშვილს და მისი ნაშრომიდან მოჰყავს ეპიზოდი: ამ მიზნისათვის, ბაგრატ მეფე არც „ვერაგობას და სისასტიკეს“ ერიდებოდაო. მან თავისი მამიდაშვილების, კლარჯეთის მფლობელთა საბრძანებლის ხელში ჩაგდებისათვის მასპინძლობისა და სტუმართმოყვარების მოვალეობაც კი დაივიწყა, კლარჯი ხელმწიფეები სუმბატი და გურგენი დაატყვევა, ციხეში გამოკეტა, რაც მათი სიკვდილით დამთავრდა.

ეს ცნობილი ფაქტები არჩილ ჯორჯაძეს თავისი კონცეფციის დასასაბუთებლად სჭირდება – რომ სახელმწიფოს შექმნასთან ერთად და სხვადასხვა ქართველი „ტომების“, ჯგუფების გაერთიანებისთან პარალელურად იქმნებოდა „ქართული ეროვნება“. ამ მოვლენის ევოლუცია ჯორჯაძის დასაბუთებით ამგვარად გამოიყურებოდა: „დაპყრობის, დამორჩილების და გაერთიანების პროცესის დროს ადამიანთა ფსიხიკაში განსაზღვრული ცვლილება ხდება

ხოლმე. დაპყრობილი ხალხი სანგრძლივი დამორჩილების გამო ან ივიწყებს ხოლმე თავის დამოუკიდებლობას და დამორჩილებას ნორმალურ მოვლენად სთვლის, ან კიდევ დამორჩილებას იწყნარებს იმიტომ, რომ ახალ პირობებში იგი უფრო უზრუნველყოფილია გარეშე მტრებისაგან და გაერთიანებული ცხოვრება მას უპირატესობას აძლევს. ხოლო გაერთიანების უპირატესობის შეგნება უფრო იმ ტომთა შორის ჩნდება და იზრდება, რომელნიც ეთნოგრაფიულ და სარწმუნოებრივ ერთგვარობას წარმოადგენენ. პირისპირ დაყენებული ერთ ენაზე მოსაუბრე და ერთ სალოცავის მლოცავი ერთნაირი ჯგუფები თანდათან ითვისებენ ნათესაობის შეგნებას. და ეს ნათესაობის შეგნება დასაწყისია ხოლმე ეროვნული თვითშემეცნებისა".[10]

„ქართული ნაციონალიზმის იდეოლოგმა" ეროვნული თვითშემეცნების ევოლუციის სურათი არა მარტო წარმოადგინა, არამედ ისტორიული ფაქტებით დაადასტურა. ქართული სახელმწიფო თანდათან ამტკიცებდა საერთო-ქართულ თვითშეგნებას, ისევე როგორც განამტკიცებდა ძალმომრებით ინსტიტუტებს, მათ შორის ბატონყმობასაც, ბატონის წინაშე ყმის მორჩილებასაც, რომელიც თითქოს ღვთის ნება იყო. ამგვარ, სოციალური უთანასწორობის პარალელურად ვითარდებოდა ქართული მოდგმის ცალკეულ ჯგუფთა შორის ნათესაობის, ერთიანობის, ეროვნული თვითშეგნების გრძნობაც.

ძველ საქართველოში საერთო-ქართულმა თვითშეგნებამ მწვერვალს XII-XIII საუკუნეებში მიაღწია და ამ აზრის განსამტკიცებლად ჯორჯაძე კლავ ივანე ჯავახიშვილის ავტორიტეტს იმოწმებს, ვრცელი ამონაწერიც მოჰყავს ისტორიკოსის ნაშრომიდან „კულტურის ისტორია საქართველოში", რომელიც გაზეთ „ისარში" გამოქვეყნდა.

ისტორიკოსი წერს და ჩვენც ვრცლად მოვიყვანთ ამონარიდს ივანე ჯავახიშვილის ზემოაღნიშნული ნაშრომიდან: „ამ ხანაში საქართველოს ყველა კუთხის მკვიდრნი ისე მჭიდროდ იყვნენ შეკავშირებულნი, ისე იყვნენ გამსჭვალულნი საერთოდ საქართველოს გადიდების სურვილით, რომ ხსენება არც-კი იყო არავითარ იმერლობა-ამერლობისა და სხვა ამის მსგავს რისამე, რომელიც ჩვენდა სამარცხვინოდ დღესაც სავსებით არ გამქრალა... სინას მთაზე მოიპოვება ქართული ლოცვანი, სადაც სწერია შემდეგი კვერექსი: „საქართველოს სამეფოს გაძლიერებისათვის, საზღვრების განმტკიცებისათვის, ერისთავთა დაწყნარებისათვის უფლისა მიმართ ვილოცოთ"... შემდეგ ივანე ჯავახიშვილი განაგრძობს: „ამ ხანაში ქართველების სამშობლოს სიყვარულმა

[10] ა. ჯორჯაძე. მასალები ეროვნების წარმოშობის ისტორიის შესასწავლად. გვ. 37.

და პატრიოტობამ თითქმის წრეს გადააჭარბა; ...ამნაირად, უცხოელებთან შეტაკებამ ქართველების ეროვნული გრძნობა გამოაღვიძა, მჭიდროდ შეაერთა და თვით შემეცნება უმაღლეს წერტილამდე აიყვანაო",[11] დასძენს ჩვენი ისტორიკოსიო, წერს არჩილ ჯორჯაძე. რა თქმა უნდა, ქართველი ეროვნების ჩამოყალიბება, სახელმწიფოს მხრიდან მხოლოდ ძალმომრეობის გზით არ მიმდინარეობდა. „ქართულ სამეფოს ეროვნების შექმნის პროცესში ხელს უწყობდა – ენა, მწერლობა, ეკლესია, აღებ-მიცემობა" და სხვა ფაქტორებიც. ქართველი თეორეტიკოსის დასკვნითი აზრით, „ძალით და დაპყრობების გზით იქმნებოდა ქართული სახელმწიფო, ისევე როგორც სხვა სახელმწიფოები და, ამავდროულად, ამავე სახელმწიფომ გააერთა განცალკევებულად მცხოვრები ქართველთა ტომნი. ქართული ეროვნება პირმშო შვილად ხდებოდა ქართულ სახელმწიფოებრიობისა".[12]

არჩილ ჯორჯაძის წერილების სერიას და კონცეფციას ხმაურის გარეშე არ ჩაუვლია. მას გამოეხმაურა „ქართველი სოციალ-დემოკრატიის დალაილამა", როგორც ჯორჯაძე უწოდებდა ნოე ჟორდანიას. უკანასკნელი ამტკიცებდა, რომ ადრეულ ხანაში საქართველოში არც აღებ-მიცემობა იყო განვითარებული და არც ქალაქები არსებობდა. ამ მიზეზთა გამო, დაასკვნიდა სოციალ-დემოკრატების ლიდერი, საქართველოში ვერ შემუშავდა ეროვნული შემეცნება და ვერც ის ნიადაგი შემუშავდა, რომელზედაც ნაციონალური მოძრაობა იწყებაო. ჟორდანია ეროვნულ თვითშეგნებას, ეროვნებას და ერს გულისხმობდა, რომლებსაც გასული საუკუნის დასაწყისში ერთნაირი აზრით ხმარობდნენ.

ჟორდანიას გამოხმაურებამ დასაბამი დაუდო ქართველი სოციალისტ-ფედერალისტებისა და სოციალ-დემოკრატების ლიდერთა რამდენიმე, წლიან პოლემიკას, რომელსაც სულგანაბული ადევნებდა ქართველი საზოგადოება თვალყურს. ბევრ სამართლიან დებულებასთან ერთად ჟორდანიასა და მის თანაპარტიელთა პოზიციას ახასიათებდა საკუთარი ქვეყნისა და ხალხის ისტორიის ობიექტური ხედვის უქონლობა და ხშირ შემთხვევაში მის მიმართ ნიჰილიზმამდე მისული დამოკიდებულება.

ეს იყო დრო, როდესაც კოსმოპოლიტიზმი ინტერნაციონალიზმის სამოსით იყო შემოსილი. ეს იყო ამავე დროს ეროვნული და არაეროვნული იდეოლოგიების ერთ-ერთი პირველი ყველაზე მძაფრი შეჯახება საქართველოში.

[11] იანე ჯავახიშვილი. „კულტურის ისტორია საქართველო'ში". გაზეთი „ისარი". 1907. №139. ციტირებულია ა. ჯორჯაძის სტატიაში. მასალები ეროვნების წარმოშობის ისტორიის შესასწავლად, გვ. 45.

[12] ა. ჯორჯაძე. მასალები ეროვნების წარმოშობის ისტორიის შესასწავლად, გვ. 36.

ამ უცნაურმა მოვლენამ, რომელმაც საქართველოს მომავალ ცხოვრებაში არაერთხელ იჩინა თავი სხვადასხვა სახით – მენშევიზმის, ბოლშევიზმის, საბჭოთა ინტერნაციონალიზმის, ფსევდოლიბერალიზმისა თუ სხვა „იზმების“ სახით, დღემდე გრძელდება. ამიტომაცაა აქტუალური არჩილ ჯორჯაძის 1908 წელს დაწერილი ნიჰილისტური „იზმების“ ზოგადი შეფასება, რომელიც ყველა დროისათვის არის მისასადაგებელი – 1900-იანი წლებიდან დღემდე, რის გამოც ამ შემოხვევაშიც ვრცელ ამონარიდს მოვიყვანთ: სოციალ-დემოკრატებისთვისო, წერს ჯორჯაძე, „საქართველო ზულუ-ბუშმენთა ქვეყანას მიაგავს, სადაც ხალხი მოუხარშავ ხორცსა სჭამს და ტანზე საცმელს არ იკარებს. ამ ბედკრულ ველურებს მეთვრამეტე საუკუნეში დიდი ბედნიერება ეწვიათ, მოვიდა დიდებული განათლებული, კულტურით ძლიერი რუსეთი, მფარველობა გაუწია ველურებს. ჭამა-სმა ასწავლა, ტანისამოსსაც მიაჩვია, ფრაკ სერთუკებში გამოაწყო ბუშმენები; პირში სიგარა მისცა, თვალს ბინოკლი გაუკეთა, ხუჭუჭიან თმებზედაც მაღალი ცილინდრი ჩამოაცო. და აი, დადის დღეს ამ ტანისამოსში გამოწყობილი ზულუ-ქართველი ქუთაისის ბულვარზე და ტფილისის პროსპექტზე და სტკბება გარეშე მტრებისაგან უზრუნველყოფილ მაძღარ სიცოცხლით!“[13]. მაგრამ ეს სხვა თემაა. შევაჯამოთ:

არჩილ ჯორჯაძე, ალბათ, პირველთაგანი მოღვაწე იყო, რომელმაც ქართველი ერის წარმოშობის ევოლუცია კონცეპტუალურად დაასაბუთა. მისი დასკვნით, საქართველოში სახელმწიფოს შექმნასთან ერთად, მის პარალელურად და მისგანვე გამომდინარე, დაიწყო ქართველი ერის ჩასახვის პროცესი. ერის ფორმირება ძლიერ იმპულსს იძენდა მაშინ, როდესაც ქართული სახელმწიფო ძლიერდებოდა და ეროვნული შემეცნება, ის, რასაც დღეს ეროვნულ იდენტობას უწოდებენ, სუსტდებოდა, როცა სუსტდებოდა სახელმწიფო. ძველ ხანაში ქართულმა ეროვნულმა თვითშეგნებამ, ერთიანობისა და ურთიერთსოლიდარობის გრძნობამ უმაღლეს მწვერვალს მიაღწია X-დან XII-XIII საუკუნეებში, ბაგრატ მესამიდან დავითისა და თამარის ეპოქაში. ჩამოყალიბდა ქართველი ეროვნება, ანუ ერი, როგორც ქართული სახელმწიფოს ძლიერების „პირმშო“ და შედეგი. ასეთი იყო „ქართული ნაციონალიზმის იდეოლოგის“ და გამოჩენილი მოაზროვნის არჩილ ჯორჯაძის დასკვნა.

---

[13] ა. ჯორჯაძე. შესაფერი ნიადაგი ეროვნული მოძრაობისათვის. კრებ.: „საბჭოთა და მამული'შვილობა“. გვ. 78.

Dimitri Shvelidze

ARCHIL JORJADZE ABOUT THE ORIGIN OF GEORGIAN NATION

Summary

At the beginning of the 20th century debates were underway in Georgia about the origin of Georgian nation. Social-democrats claimed that Georgian nation was formed during the establishment of capitalism in Georgia, in the second half of the 19th century. The famous politician Archil Jorjadze substantiated that the formation of Georgian nation began in the ancient times, while creation of statehood in Georgia. Formation of nation took place in the period of unification of Georgia, in the 12th-13th centuries.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XI
თბილისი. 2016

Фархад Джаббаров

О деятельности князя И. Г. Амилахвари на посту бакинского генерал-губернатора (февраль-июнь 1905 г.)

В феврале 1905 г. в Баку произошли армяно-азербайджанские столкновения, которые привели к многочисленным жертвам. Вызванные рядом социально-экономических противоречий между двумя народами, а также обострением отношений между правительством Российской империи и армянской церковью (в связи с попытками правящих кругов секуляризировать имущества церкви), эти столкновения вскрыли многочисленные недостатки в политике России в регионе, в системе управления, показали неподготовленность властей к кризисным ситуациям. Неэффективные действия губернской администрации по предотвращению межнациональной резни, слабость бакинской полиции, несогласованность действий гражданского и военного начальства привели не только к падению авторитета власти, но и породили в обществе слухи о том, что армяно-азербайджанский конфликт был развязан самим правительством для отвлечения внимания населения от революции.

Для поднятия престижа власти, а также расследования причин февральской резни правительством был предпринят ряд мер. В их числе можно назвать восстановление наместничества на Кавказе, назначение сенаторской ревизии для выяснения причин событий. Наряду с этими мерами, инициированными Петербургом, соответствующие шаги были предприняты и высшей кавказской администрацией. В частности, 12 февраля 1905 г. и.о. главноначальствующего гражданской частью на Кавказе генерал-лейтенант Я. Д. Малама направил генерал-адъютанту И. Г. Амилахвари письмо следующего содержания: «В целях окончательного успокоения населения гор. Баку и прекращения возникшей там между армянами и мусульманами взаимной вражды, выразившейся в целом ряде кровавых столкновений, а также для расследования причин этого явления и обстоятельств, которыми она сопровождалась, я признал нужным командировать Ваше Сиятельство в г. Баку, для исполнения сего поручения, имея ввиду

Ваше служебное положение при Главной Кавказской власти и Вашу полную осведомленность с характером и бытом местного населения. Вместе с сим мною предложено бакинскому губернатору, а равно и начальникам отдельных частей прочих ведомств, оказывать Вам полное содействие и предоставлять в Ваше распоряжение все необходимые материалы и данные для всестороннего и скорейшего выполнения возложенного на Вас поручения».[1] Как видно, в письме содержались два важнейших поручения – умиротворение населения и расследование причин резни. Несомненно, что возложение этой миссии на И. Амилахвари обуславливалось не только его служебным положением и знанием местных традиций, как указывалось в письме, но и свидетельствовало о высоком доверии к профессионализму и личным качествам генерала.

Иван Гивич Амилахвари (Амилахори) родился в 1829 г., происходил из старинного грузинского княжеского рода. Как и многие представители грузинских дворянских фамилий, он служил в русской армии, расквартированной на Кавказе. Принимал участие в Кавказской, Крымской войнах, русско-турецкой войне 1877-1878 гг., где за проявленную доблесть был награжден рядом орденов и медалей. Боевая служба настолько выдвинула князя И. Амилахвари из рядов сверстников, что в 1864 г., на 12-м году службы в офицерских чинах, он был произведен в полковники и в октябре того же года назначен командиром 44-го Нижегородского драгунского полка (до августа 1873 г.). В 1873 г. произведен в генерал-майоры с назначением состоять при Кавказской армии, а в 1874 г. зачислен в свиту императора. С 1893 по 1897 гг. - командир Кавказского армейского корпуса. В 1896 г. был произведен в генералы от кавалерии, а в 1901 г. – в генерал-адъютанты.[2]

Князь И. Амилахвари слыл на Кавказе храбрым офицером, человеком высоких моральных качеств и был почитаем кавказскими народами. Доверие к авторитету генерала проявилось, в частности, тогда, когда он в 1886 г., за короткое время, мирными средствами сумел успокоить население и положить конец беспорядкам в Чечне. Волнения в Чечне были вызваны слухами о том, что всеобщая воинская повинность впредь будет распространяться и на горцев. Чеченцы, с колыбели не расставшиеся с оружием, категорически не желали служить России и были готовы под-

[1] Государственный исторический архив Азербайджанской Республики (далее: ГИА АР): ф. 484. оп. 3. д. 4, л. 5

[2] В. И. Федорченко. Императорский дом. Выдающиеся сановники: Энциклопедия биографий: в 2 т. Красноярск, Москва. 2003. Т. 1. , с. 50 Электронный ресурс. Режим доступа: https://books.google.com/books/.../Императорский_дом_(Дата обращения 09.05.2016).

нять восстание. Для нормализации обстановки в Чечню был отправлен князь И. Амилахвари. Более 35 лет прослуживший на Кавказе, постоянно участвовавший в боевых действиях с горцами и хорошо изучивший их нравы, он смог без применения оружия успокоить чеченцев. «Добрым кунаком пришел он в Чечню и одним своим нравственным влиянием восстановил тишину и спокойствие» - докладывало кавказское начальство императору. Александр III наградил генерала орденом Белого Орла.[3]

Черты характера и нравственные качества князя И. Амилахвари ярко описаны в воспоминаниях бывшего бакинского полицмейстера П. П. Шубинского: «Это был тип, теперь совершенно выродившийся, боевого кавказского генерала, проведшего большую часть жизни в походах и военных экспедициях. Не получив почти никакого научного образования, князь был обязан всем, чего достиг в жизни, своему выдающемуся природному уму и своим высоким нравственным качествам. Один из преданнейших на Кавказе царских слуг, глубоко религиозный человек, образцовый семьянин, храбрый, прямой, энергичный и решительный, несмотря на свои семьдесят восемь лет, обладавший громадным запасом здравого смысла, приветливый со всеми, кого он знал, скромный в своей частной жизни, но чрезвычайно щедрый, когда этого требовали, по его мнению, достоинство и интересы службы, превосходно изучивший Кавказ за свою долголетнюю жизнь, чрезвычайно популярный в обществе и в кавказских войсках, князь был именно таким человеком, который в ту минуту был нужен в Баку. Он жил в то время на покое в своем обширном горийском имении, занимаясь хозяйством, но живо следил и интересовался всем происходящим на белом свете».[4]

Перечисленные факты дают полное представление о том, почему именно князь И. Амилахвари в 1905 г. был командирован в Баку. Эта новость была положительно воспринята в обществе, подтверждением чего, в частности, служила телеграмма, отправленная князю от иреванского городского головы И. Мелик-Агамалова. В ней были такие слова: «Поездка Ваша в Баку встретила в эриванском обществе всеобщее сочувствие. Высокие качества Вашего Сиятельства служат нам лучшим залогом, что миссия, принятая Вами на себя, прольет свет на истинное положение дела».[5]

14 февраля И. Амилахвари прибыл в Баку. Вместе с ним из Тифлиса приехали шейхульислам А. А. Ахундзаде, муфтий Г. Э. Гаибов, представи-

[3] А. Куликов, В. Рунов. Все Кавказские войны России. Самая полная энциклопедия. Москва. 2013. с. 79. Электронный ресурс. Режим доступа: http://loveread.ec/read_book.php?id=47722&p=79 (Дата обращения 09.05.2016)

[4] П. П. Шубинский. Убийство князя М. А. Накашидзе (из воспоминаний очевидца). «Исторический вестник». Т. XXXV. Февраль. 1914. с. 554-555.

[5] ГИА АР: ф. 484, оп. 3, д. 4, л. 6.

тели армянского католикоса – епископы Ананий и Юсик,[6] в задачу которых входило воздействовать на свои паствы для внесения успокоения в городе.

Находясь в Баку, И. Амилахвари получил 18 февраля телеграмму от Я. Маламы, в которой сообщалось, что император Николай II своим указом объявил город Баку и Бакинскую губернию на военном положении, предоставив главноначальствующему право избрать лицо, на которое будут возложены обязанности временного генерал-губернатора. «Остановив выбор свой на Вас, прошу немедленно вступить в управление», - такими словами заканчивалась телеграмма Я. Маламы.[7] Назначение И. Амилахвари временным генерал-губернатором[8] стало еще одним подтверждением высокого авторитета князя и доверия, оказанного ему правительством.

В тот же день Я. Малама отправил И. Амилахвари еще одну телеграмму, в которой просил распорядиться приостановить деятельность всех следственных комиссий, возникших в Баку для расследования февральской резни.[9] Подобные общественные комиссии, действовавшие без всяких законных оснований, преследовали вполне конкретную цель – доказать причастность властей к организации резни. К тому же, подобные комиссии состояли в основном из лиц, не принадлежащих к числу юристов, и оппозиционно настроенных к правительству. Их деятельность, естественно, не способствовала умиротворению, к чему была призвана миссия князя И. Амилахвари.

Исходя из данного поручения, И. Амилахвари намеревался собственной властью образовать следственную комиссию и пригласить в нее представителей губернской и городской администрации, председателя и прокурора Бакинского окружного суда, а также представителей общественности.[10] Комиссия провела всего одно заседание, которое носило совещательный характер. Причиной непродолжительной деятельности комиссии, вероятно, стало назначение 2 марта 1905 г., согласно Высочайшему повелению, сенаторской ревизии города Баку и Бакинской губернии. В задачу ревизии, порученной сенатору А. М. Кузминскому, входило выяснение истинных причин событий 6-9 февраля и тщательное расследование всех явлений политического, административного, экономического, национального и религиозного характера, которые могли вызвать резню.

[6] ГИА АР: ф. 389, оп. 7, д. 827, л. 16.
[7] ГИА АР: ф. 484, оп. 3, д. 4, л. 7.
[8] Так как военное положение вводилось как временная, чрезвычайная мера, должность, которую занял И. Амилахвари, официально называлась «временный генерал-губернатор города Баку и Бакинской губернии».
[9] ГИА АР: ф. 484, оп. 3, д. 4, л. 12.
[10] ГИА АР: ф. 1, оп. 2, д. 1, л. 12.

Первым шагом князя И. Амилахвари на посту генерал-губернатора стало обращение к населению с призывом к миру. В нем содержался призыв к благоразумию и спокойствию, восстановлению мирного течения жизни. И. Амилахвари выражал уверенность, что уважаемые и влиятельные в обществе лица придут к нему на помощь, своим примером и влиянием будут способствовать к принуждению остальной части населения к порядку. В обращении содержалось и предупреждение о том, что малейшая попытка нарушить порядок будет немедленно подавлена.[11]

Твердую руку нового руководителя общество почувствовало сразу. 22 февраля генерал-губернатор издал свой первый приказ, объявив всем учреждениям, должностным лицам, населению о введении военного положения и предложив во всех случаях, установленных законом, входить к нему с соответствующими представлениями и в необходимых случаях исправливать его распоряжения.[12] 28 февраля И. Амилахвари издал обязательное постановление, согласно которому, без особого разрешения генерал-губернатора запрещалось: ношение любого оружия (кроме лиц, состоящих на военной и полицейской службе), содержание складов оружия, боевых припасов и взрывчатых веществ, торговля ими. Под запрет попадали всякие сходки и собрания, направленные против государственного порядка и общественного спокойствия. Все служащие в типографиях, литографиях и т.п. заведениях должны были непременно иметь свидетельства о благонадежности. Воспрещалось ходить по домам с какими бы то ни было подписками и производить всякие денежные сборы, кем бы и с какой бы целью таковые сборы и подписки не принимались, за исключением лишь тех случаев, когда на это дано прямое разрешение подлежащей власти, или когда право сборов предусмотрено уставами благотворительных и иных учреждений. Нарушившие пункты данного постановления подвергались заключению в тюрьмы или крепости на срок до 3 месяцев или штрафу до 3 тысяч рублей.[13]

Редакторам всех выходивших газет было предписано все материалы, до их присылки на цензуру, представлять генерал-губернатору для получения от него разрешения.[14] Следует заметить, что князь И. Амилахвари придавал большое значение роли прессы, особенно в умиротворении общества. Этим объясняется его решение в мае 1905 г. о запрете выпуска газеты «Бакинские известия», возбуждавшей население своими статьями.[15]

[11] ГИА АР: ф. 484, оп. 3, д. 4, л. 20.
[12] ГИА АР: ф. 484, оп. 3, д. 4, л. 19.
[13] ГИА АР: ф. 484, оп. 3, д. 4, лл. 50-53.
[14] Газ. «Каспий», 20 февраля 1905 г., № 28, с. 1.
[15] Газ. «Каспий», 18 мая 1905 г., № 91, с. 1.

Стремление восстановить, как можно быстрее, мир было главной задачей генерал-губернатора, поэтому в его деятельности, наряду с жесткими мерами, неизменно присутствовали и политические способы. Эту способность И. Амилахвари воздействовать на людей словом и авторитетом отмечали современники: «...князь Иван Гивич старался везде, где мог, влиять на людей мерами нравственного воздействия, успокоить и обезоружить их, не обостряя еще больше отношений и не подливая масла в без того ярко горевший пожар. Этот взгляд на дело, систематически проводимый в жизнь, имел самые благотворные последствия. Мне трудно было бы перечислить многочисленные примеры, когда князь силой своего нравственного воздействия на людей обезоруживал их, успокаивал и обращал на путь истины самых крайних и беспокойных, почти совершенно потерянных субъектов...».[16]

Серьезное внимание уделял генерал-губернатор вопросу увеличения численности войск в Баку. Несмотря на прекращение резни, достичь полноценного мира так и не удавалось, в связи с чем возникала необходимость сосредоточения в городе усиленного воинского контингента. Состав Бакинского гарнизона был усилен до 8 тыс. человек, которых по приказу генерал-губернатора расположили в разных частях города, сделав почти невозможным проявление каких бы то ни было новых уличных беспорядков.[17] По просьбе И. Амилахвари, в марте 1905 г. из Тифлиса в Баку были командированы еще один взвод Кавказской гренадерской артиллерийской бригады и 2-й Хоперский полк.[18] Факт присылки по просьбе князя дополнительных сил представляет интерес с той точки зрения, что изначально высшая кавказская администрация намеревалась сократить численность войск в Баку. Так, 13 февраля 1905 г., т.е. через 4 дня после окончания резни, Я. Малама в письме И. Амилахвари просил его в время поездки в Баку «определить степень необходимости нахождения ныне там всего количества командированных войск или продолжительность такового пребывания и, наконец, с какого времени возможно было бы начать отправлять войска в свои штаб-квартиры».[19] Такая мера выглядела бы не только необдуманной, но и чревата была серьезными последствиями, ибо, несмотря на прекращение резни, мир еще оставался довольно хрупким. В этой связи к несомненной заслуге И. Амилахвари следует отнести не толь-

[16] П. П. Шубинский. Убийство князя М. А. Накашидзе, с. 555.
[17] П. П. Шубинский. Убийство князя М. А. Накашидзе, с. 554.
[18] ГИА АР: ф. 484, оп. 3, д. 4, л. 101.
[19] ГИА АР: ф. 484, оп. 3, д. 4, л. 3.

ко инициативу не выводить войска из Баку, но и усилить их дополнительными резервами.

Как уже было сказано, одной из главных задач генерал-губернатора И. Амилахвари было выяснение причин армяно-азербайджанской резни в Баку и, как вытекающее из этого, – оценка деятельности местных властей по ее предотвращению. Последнее было особенно важным, ибо в прессе, на различных собраниях, митингах беспрерывно муссировались слухи о том, что якобы бакинский губернатор М. Накашидзе, чины городской полиции сознательно допустили избиение армян азербайджанцами, раздавая накануне мусульманам оружие, а во время резни безучастно отнеслись к фактам убийств армян, поджогов и грабежей их домов. Забегая вперед, скажу, что следствие по делу о февральской резне не выявило ни одного факта, доказывающего подобные огульные обвинения. Единственной виной, вмененной властям, было бездействие, промедление и несвоевременное принятие необходимых мер, что совершенно исключало обвинение в подготовке и осуществлении резни. Однако до того, как следствие пришло к такому заключению, версия о «правительственном следе» была довольна популярна в определенных общественных кругах, обрастая с каждым днем все новыми подробностями и «фактами» о злонамеренности властей поссорить два народа. Поэтому 25 февраля 1905 г. И. Амилахвари отправил командиру 262 полка полковнику М. Вальтеру и начальнику Бакинского гарнизона адмиралу В. Балю письма, в которых просил представить ему рапорты о действиях войск во время резни, а также сведения о требованиях, обращенных к ним гражданскими властями и исполнении таковых требований.[20] Эти сведения были необходимы генерал-губернатору не только для личного ознакомления с ситуацией, но и для доклада в Тифлис, ибо 26 февраля от Я. Маламы пришло уведомление, что он просит, в связи с отсутствием от бакинского губернатора М. Накашидзе подробного доклада о февральских событиях, распорядиться доставить в непродолжительное время обстоятельные сведения о резне.[21]

Доклады, представленные после писем И. Амилахвари, полковником М. Вальтером, адмиралом В. Балем и губернатором М. Накашидзе, выявили наличие разногласий между гражданскими властями и командованием расквартированных в Баку воинских сил во время резни. Эти разногласия воспрепятствовали слаженности их действий против убийц и грабителей. В частности, выяснилось, что в первый день резни, 6 февраля, на совеща-

[20] ГИА АР: ф. 484. оп. 1. д. 13. лл. 11-12.
[21] ГИА АР: ф. 484. оп. 3. д. 4. л. 54.

нии губернатор, ввиду малочисленности имеющихся в городе войск, предложил раздробить войска на небольшие отряды и распределить их по отдельным улицам. На это предложение начальники воинских частей возразили, что малочисленные отряды могут быть легко перебиты, что при дроблении не будет резерва и т.д. 7 февраля, когда армяно-азербайджанские столкновения разгорелись с еще большей силой, М. Накашидзе просил командира Сальянского полка полковника М. Вальтера и начальника Бакинского гарнизона адмирала В. Баля немедленно вывести все силы, имевшиеся в их распоряжении, для прекращения резни. Оба военных отказались это сделать, мотивировав свой отказ заботой об отдыхе солдат (!). На угрозу губернатора, что он будет докладывать высшему начальству об отказе в помощи и содействии, адмирал В. Баль просил М. Накашидзе изложить свое требование письменно.[22] Хотя М. Накашидзе в своем докладе говорил о том, что он отправил просимое требование в письменном виде, но, как видно из материалов следствия, войска использовались либо в недостаточном количестве, либо несвоевременно, что в итоге оборачивалось неспособностью положить конец хаосу в городе.

Доклады губернатора М. Накашидзе и военных начальников, а также знакомство И. Амилахвари с ситуацией в городе, его личный опыт по многолетней службе на Кавказе создали у князя довольно четкое представление о причинах резни. По его мнению, главным катализатором нестабильности являлись революционные организации, среди которых особую роль он отводил армянским партиям «Дашнакцутюн» и «Гнчак». Именно эти две партии с конца XIX в. развернули широкую деятельность по претворению в жизнь идеи создания автономии за счет земель Османской империи и территорий на Южном Кавказе, заселенных азербайджанцами и грузинами. С этой целью дашнаки и гнчакисты, при поддержке армяно-григорианской церкви развернули широкомасштабную кампанию за автономию в т.н. «Турецкой Армении». Тогда уже российскими властями был зафиксирован ряд характерных случаев, показывающих, что армянская пропаганда на Кавказе постепенно выходит за рамки «солидарности с национально-освободительным движением» турецких армян и начинает сочетаться со скрытой борьбой против российской администрации. В середине 90-х гг. XIX в. в антитурецком движении армян произошли знаковые события – осенью 1895-зимой 1896 гг. они подняли беспорядки в Зейтуне и Ване, совершив серию террористических актов как против осман-

[22] ГИА АР: ф. 484, оп. 3, д. 4, л. 115 об.

ской администрации, так и против мирного мусульманского населения. Это вызвало ответную реакцию турецких властей. После подавления беспорядков в Россию, в частности, на Кавказ хлынули тысячи армянских беженцев, среди которых было множество повстанцев и боевиков, что создало дополнительные проблемы для российских властей. Действия армян и, прежде всего, вызывающее, явно враждебное поведение армянской церкви после событий 1895-1896 гг. произвели на российские власти давно ожидаемый эффект, когда, проще говоря, терпеть уже было нельзя. Требовалось принятие кардинальных мер как для обуздания сепаратизма армян, так и ограничения всевластия григорианской церкви, фактически превратившейся в очаг неповиновения властям и оплот антиправительственной деятельности. С этой целью в конце XIX – начале XX вв. правительство Российской империи пошло на радикальные меры по изъятию армянских школ из ведения григорианской церкви и конфискации имущества последней. Эти меры повлекли за собой обострение отношений между армянами и властью, сопровождаясь серией массовых беспорядков и терактов со стороны гнчакистов и дашнаков, и стали в ряду важных причин армяно-азербайджанской резни, которая, с одной стороны, была направлена против азербайджанцев, а с другой, нацелена на расшатывание позиций российских власти на Кавказе.

Князь И. Амилахвари в силу своей служебной деятельности на высоких должностях в Тифлисе, естественно, был в курсе всего этого, и поэтому у него не возникало сомнений в истинной подоплеке кровавых преступлений на Кавказе. Вот что он писал в телеграмме от 15 апреля 1905 г. товарищу министра внутренних дел генерал-майору К. Н. Рыдзевскому: «Причина всех беспорядков здесь – в деятельности революционных комитетов. Главнейшую роль играют армянские комитеты, пользующиеся сочувствием, даже поддержкой громадного большинства армян, отличающиеся дерзостью действий».[23]

Одним из самых тяжелых эпизодов в период деятельности И. Амилахвари на посту генерал-губернатора стало убийство террористами бакинского губернатора князя М. Накашидзе, которого И. Амилахвари знал лично по многолетней службе на Кавказе. Оклеветанный, обвиненный в провоцировании февральской резни, князь был убит 11 мая 1905 г. П. Шубинский так описывал последствие этого чудовищного теракта на И. Амилахвари: «Трагическая смерть князя Накашидзе сильно повлияла на престарелого князя Ивана Гивича. Он заметно похудел, осунулся и начал хво-

[23] ГИА АР: ф. 484, оп. 3, д. 4, л. 167.

рать. Тяжелое его настросние усилилось еще известием о цусимском поражении нашего флота, на который он возлагал большие надежды, горячо интересуясь исходом кампании...».[24]

Тяжелые месяцы работы на посту генерал-губернатора, нравственные потрясения, беспокойство за семью, оставшуюся в Гори, побудили И. Амилахвари просить наместника об отставке. В начале июня 1905 г. эта просьба была удовлетворена, князь уехал из Баку в родной Гори. Там он скончался в августе месяце, на 77 году жизни.

Новым временным генерал-губернатором Баку и Бакинской губернии был назначен генерал-лейтенант Семен Фадеев, остававшийся на этом посту до конца 1906 г., когда генерал-губернаторство было упразднено, а вместо него учреждено Бакинское градоначальство.

В целом, деятельность князя И. Амилахвари на посту временного генерал-губернатора Баку и Бакинской губернии можно охарактеризовать как результативную. Он справился с возложенной на него миссией по умиротворению враждующих сторон. Доказательством этого служит тот факт, что во время исполнения им своей должности в Баку ни разу не произошли армяно-азербайджанские столкновения. Князь, используя имеющиеся у него ресурсы – как репрессивные, так и административные, а также благодаря своему высокому авторитету в обществе, умело вел борьбу со всеми попытками дестабилизировать ситуацию и спровоцировать новый виток кровопролития. Немало способствовал И. Амилахвари и ходу расследования по делу об армяно-азербайджанской резне, что входило в число возложенных на него полномочий. Опыт деятельности князя И. Амилахвари еще раз доказал, что выбор его кандидатуры на ответственный пост в столь сложное для Баку время был верным и оправдал себя.

[24] П. П. Шубинский. Убийство князя М. А. Накашидзе, с. 577.

Farhad Djabbarov

ABOUT THE ACTIVITY OF PRINCE I. G. AMILAKHVARI AS A GOVERNOR-GENERAL OF BAKU (FEBRUARY-JUNE 1905)

Summary

Prince I. G. Amilakhvari from the ancient Georgian noble family was appointed the governor-general of Baku and Baku province. Related to the Armenian-Azerbaijani massacre committed in February 1905 the situation in the city was very confusing. Activity of I. Amilakhvari to stabilize the situation in Baku and to prevent forthcoming conflict is considered in the article. It informs that governor-general fought against all the efforts which could destabilize the situation He prevented new bloody slaughter.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XI
თბილისი. 2016

თენგიზ სიმაშვილი

გიორგი გურჯიევი საქართველოში (1906 წელი)

ცნობილი მისტიკოსის და ფილოსოფოსის, გიორგი ივანეს ძე გურჯიევის, 1906 წელს საქართველოში ცხოვრების და „მოღვაწეობის" დასადასტურებლად მინდა წარმოგიდგინოთ შესაბამისი საარქივო დოკუმენტები და მასალა.

1906 წლის 26 იანვარს ამიერკავკასიის რკინიგზის ჟანდარმთა საპოლიციო სამმართველოს გორის განყოფილების უფროსი, თბილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს შემდეგი შინაარსის წერილს უგზავნის:

„ამა წლის 14 იანვარს ჩემს მიერ გამოგზავნილი დეპეშის დამატებით გაცნობებთ, რომ დაბა მიხაილოვოში (ჩაშური – თ. ს.) ასაფეთქებელი ყუმბარების დამზადებაში იმხილებიან სტუდენტი გიორგი გურჯიევი, კომპანია ზინგერის აგენტი ნიკოლოზ სიხარულიძე და სტუდენტი ვლადიმერ ბილიანოვი. მათგან პირველი ორი შესაძლებელია გურიაში გაიქცნენ, ხოლო მესამე კი ცხოვრობს სადღაც თბილისში.

დამატება: გურჯიევის წერილი კოვნოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორის სახელზე, ასევე გურჯიევის სახელზე გამოგზავნილი თანენცვაიგის წერილი ვარშავიდან[1] კონვერტი დიმიტრი გურჯიევის სახელზე ქალაქ ნიკოლაევში".[2] (დოკ. 1)

ამავე საარქივო საქმეში მოთავსებულია სხვა საიდუმლო წერილი, რომელსაც თბილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი უგზავნის ჭუთაისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს: *„ამა წლის 14 იანვარს დაბა მიხაილოვოში აღმოჩნდა ასაფეთქებელი ყუმბარების ფაბრიკაცია. ყუმბარების დამზადებაში, რისთვისაც იტყობინება გორის განყოფილების უფროსი, ეჭვმიტა-*

[1] გიორგი გურჯიევს გარკვეული კავშირები გააჩნდა პოლონეთთან – მისი მეუღლე იულია (ჯულია) ისტროვსკაიაც წარმოშობით პოლონელი აზნაურის ასული იყო.

[2] გიორგი გურჯიევს ჰყავდა ორი და, ასევე, უმცროსი ძმა, დიმიტრი გურჯიევი, იხ.: საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი (სსცა). ფონდი 153. აღწერა 1. საქმე 761, გვ. 51. იხ. დოკ. 1.

ნილები არიან სტუდენტი გიორგი გურჯიევი, კომპანია ზინგერის აგენტი ნიკოლოზ სიხარულიძე და სტუდენტი ვლადიმერ ბილანოვი. მათგან პირველი ორი, ალბათ, გაიქცნენ გურიაში, ხოლო მესამე – გურიაში. გაცნობებთ, რათა გამოარკვიოთ ეს პიროვნებები და მათი საცხოვრებელი ადგილი".[3]

ამ წერილს მეორე გვერდზე მოსდევს თბილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის საიდუმლო წერილი თბილისის პოლიცმეისტერისადმი, სადაც იგი სტუდენტ ვლადიმერ ბილანოვის დაპატიმრებას ითხოვს, *რომელიც „ეჭვიმტანილია 14 იანვარს დაბა მიხაილოვოში ასფეთქებული ყუმბარების ფაბრიკაციაში".*[4]

საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ მეფის ხელისუფლების ძალისმიერი სტრუქტურების წარმომადგენლები ყურადღებით ეკიდებოდნენ ამ საქმეს. 1906 წლის 2 ივნისს, ქუთაისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსი თბილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს სწერდა: *„გაცნობებთ, რომ სტუდენტი გურჯიევი და კომპანია „ნადეჟდას" აგენტი ნიკოლოზ სიხარულიძე ჩემს ქვემდებარე სამეთვალყურეო რაიონში საცხოვრებლად ალმოჩენილი არ არიან".*[5]

ჩემს უკვე გამოქვეყნებულ ერთ-ერთ კვლევაში გამოვთქვი მოსაზრება, რომ შესაძლებელია, სწორედ ზემოდასახელებული პირი ვლადიმერ (ვალერიან) ბილანოვია (ბილანიშვილი) დასახელებული 1905 წლის შემოდგომაზე სომეხთათრების შეტაკების აცილების მიზნით სოციალ-დემოკრატების ორიენ ფრთის (მენშევიკები და ბოლშევიკები) წარმომადგენლებით დაკომპლექტებული შეიარაღებული რაზმების ერთ-ერთ წევრად ალექსანდრე (საშა) ობოლაძესთან, ილიკო იმერლიშვილთან, გიგლა ბერბიჭაშვილთან და სხვებთან ერთად.[6]

რაც შეეხება ნიკოლოზ სიხარულიძეს, მასზე საკმაოდ საინტერესო ინფორმაციები მოიძიე. პირველ რიგში, აღვნიშნავ, რომ, როგორც ირკვევა, იგი 1904-1921 წლებში სოციალ-დემოკრატიული პარტიის აქტიური წევრი ყოფილა. საქართველოს საისტორიო არქივში დაცული ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით, რომელზეც ნიკოლოზ სიხარულიძის ფოტოცაა დატანილი, ის 1905 წლის 24 სექტემბერს პოლკოვნიკ ალფტანის განკარგულებით რევოლუციური მოღვაწეობისათვის გამო ოლონეცკის გუბერნიაში იქნა გასახლებული.[7]

[3] სსცა. ფ. 153. აღწერა 1. საქმე 761. გვ. 56.
[4] სსცა. ფ. 153. აღწერა 1. საქმე 761. გვ. 57.
[5] სსცა. ფ. 153. აღწერა 1. საქმე 761. გვ. 119.
[6] თ. სიმაშვილი. იოსებ ჯუღაშვილისა (სტალინი) და „ნიჟარაძის" იგივეობის შესახებ. თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. IX. თბ. 2015.
[7] სსცა. ფ. 84. აღწერა 3. საქმე 488. გვ. 157.

გარდა ამისა, მოვიძიე კომპანია „ზინგერის“ 1906 წლის ხელფასის გაცემის უწყისები, სადაც თანამშრომლების ჩამონათვალში ნიკოლოზ ივანეს ძე სიხარულიძე დაბა მიხაილოვოში ამ კომპანიის აგენტადაა (საქონლის გამსაღებელი – თ. ს.) დასახლებული.[8] ასევე, არსებობს ფოტომასალა, სადაც ნიკოლოზ სიხარულიძე 1910 და 1920-იან წლებში სხვადასხვა პირებთან ერთადაა გადაღებული. ერთ-ერთი ფოტოდან კი ირკვევა, რომ იგი საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში, 1918-1921 წლებში, ხაშურში გვარდიის თავმჯდომარე ყოფილა.

რაც შეეხება გიორგი გურჯიევს, მის კვალს ავლაბრის არალეგალურ სტამბასთან მიეყავართ! როგორც ირკვევა, იგი 1906 წლის მარტ-აპრილში ხაშურში „მოღვაწეობის“ დასრულების შემდეგ ასაფეთქებელი ნივთიერებების დამზადებას, ქალაქში ბარიკადული ბრძოლების წარმოებას, ტერორისტებისათვის საჭირო სხვა „სასარგებლო ჩვევებს“ ცნობილი „ავლაბრის არალეგალური სტამბის“ სამყოფელის ზემოთ განთავსებულ საცხოვრებელ სახლში ბოლშევიკებისა და მენშევიკების ექვსკაციან ჯგუფს ასწავლიდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ე.წ. პარტიული არქივის ფონდებში დაცულ ერთ-ერთ საქმეში ვკითხულობთ, რომ „ავლაბრის არალეგალურ სტამბაში 7 კაციან ჯგუფში შედიოდა სამი ბოლშევიკი: მიხო ბოჭორიშვილი (ბოჭორიძე), ნინა ალაჯოვა, ნუშიკ ზავარიანი და სამი მენშევიკი: სილვესტერ ჯიბლაძე, კალისტრატე გოგუა, კოწია ჩიჩუა, რომლებმაც დაიწყეს მუშაობა 1906 წლის იანვარში ასაფეთქებელი ნივთიერებების დასამზადებლად ვიღაც გურჯიევის ხელმძღვანელობით“.[9]

„ავლაბრის არალეგალური სტამბის“ საქმის რამდენიმე მონაწილის მოგონებაში, რომლებიც დროის სხვადასხვა შუალედში გამოქვეყნდა 1920-1940-იან წლებში, საკმაოდ საინტერესო მასალებია თავმოყრილი გიორგი გურჯიევის საქართველოში „მოღვაწეობის“ შესასწავლად.

ჟურნალ „რევოლუციის მატეანეს“ 1923 წლის №4 „დ. ნინოწმინდელის“ ფსევდონიმით დაბეჭდილ დავით როსტომაშვილის მოგონებაში სათაურით „ვინ გასცა კავკასიის სოციალ-დემოკრატიის დიდი სტამბა თფილისში“ საკმაოდ საინტერესო ინფორმაციაა თავმოყრილი ჩვენი კვლევის საგანთან დაკავშირებით. ავტორი, რომელიც ავლაბრის არალეგალური სტამბის განთავსების ადგილზე მდებარე სახლის ოფიციალური მფლობელი იყო, იგონებს, რომ 1906

[8] საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი. ფონდი 190. აღწერა 1. საქმე 6, გვ. 2-4.

[9] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი). ფონდი 8. აღწერა 2. ნაწილი I. საქმე 2, გვ. 58.

წლის აპრილის დასაწყისში მისთვის მიხა ბოჭორიშვილს უთხოვია „სტამბის თავზე ცარიელი ოთახები... რადგან ერთი საუკეთესო მასწავლებელია მოსული, უსაქმოდაა და გვინდა ასაფეთქებელი მასალის მომზადება ვისწავლითო“.[10]

დავით როსტომაშვილის სიტყვებით, იგი „მასწავლებლის“ პიროვნებით დაინტერესებულა და საუბრიდან მეორე დღეს, დილით მისულა ზემონახსენებ საცხოვრებელ სახლში, სადაც დახვედრია მიხა ბოჭორიშვილი (ბოჭორიძე), კოწია ჩაჩავა, ბაბე (მიხა ბოჭორიშვილის დეიდა – თ. ს.) და ორი ახალგაზრდა ქალი, რომლებსაც, მისი თქმით, იმ დროს არ იცნობდა. დაგვიანებით მოსულა „მასწავლებელი“ – *„ერთი შუა ტანის ძალზე შავი კაცი, რომელსაც სახე გაკაჟსულივით ულაპლაპებდა. მას ორი ახალგაზრდა ქალი ჭიშკართან მიეგება... მასწავლებელი მათ მეტად მხიარულათ შეხვდა. იგი სომხურად გამეცაკარაკა. ქალები ყოველ სიტყვაზე პასუხს არ აძლევდნენ, აქედან დავასკვენი რომ ქალებმა კილიკიური სომხური ენა არ იცოდნენ... მასწავლებელში ეჭვი შემეპარა და ჩემდა უნებურად ვთქვი: „ბაჩაგოლაა“. ვინც არ იცის „ბაჩაგოლა“ რა ხალხია და რას აკეთებენ, ხელს ჩაიჭნევს, მაგრამ ჩემთვის, როგორც მათი კარგად მცნობისთვის, აშკარა იყო თუ რისთვის დაიარებოდა ეს კაცი აქ, თუ იგი მართლა „ბაჩაგოლა“ იყო“*.[11]

დავით როსტომაშვილს თავისი ეჭვი გაუნდვია მიხა ბოჭორიშვილის დეიდისთვის, რომელსაც სწყენია – *„მიხა გამოცდილია ამ საქმეში და ამ შეცდომას არ დაუშვებსო“*.[12] რამდენიმე დღეში კი მასთან მისულა მიხა ბოჭორიშვილი და უცნობებია, რომ სტამბას *„ჯაშუშები შემოერტყნენ“* და *საქმე ცუდადაო“*.[13] ამას კი მალე სტამბის აღმოჩენა და მათი დაპატიმრება მოჰყვა.

დავით როსტომაშვილის სიტყვებით, მას ციხეში მიხა ბოჭორიშვილისათვის უკითხავს, თუ *„ვინ იყო და რა კაცი მათი ყოფილი მასწავლებელი. განსვენებულმა გადმომცა შემდეგი: მასწავლებელი იყო გვარად გურჯიევი, ოსმალელი სომეხი, ოსმალეთიდან გამოქცეული და იავკა ჰქონდა სურამიდან (თუ ხაშურიდან კარგად არ მახსოვს)“*.[14]

იგი აქვე აღნიშნავს, რომ ციხეში ყოფნისას მას, ასევე, უკითხავს კოლა

---

[10] რეეოლ'უციის მატეანე. №4. 1923 წელი. გვ. 123. აღნიშნულ სტატიაში დაწერილებით არ შეეხება აელაბრის არალეგალური სტამბის დაარსებისა და „ჩავარდნის“ პერიპეტიებს, რადგან ის საკმაოდ ვრცელი მასალის ანალიზს მოითხოვს.

[11] რეეოლ'უციის მატეანე. №4. 1923 წელი. გვ. 123-124. „ხაჩაგოლა“ – აფერისტი, მატყუარა იმ პერიოდის სლენგის მიხედვით. აქვე მადლიერება მინდა გამოვხატო მკელეარ ირაკლი ხვადაგიანის მისამართით, რომელმაც გაამაცნო ამ სიტყვის შინაარსი.

[12] რეეოლ'უციის მატეანე. №4. 1923 წელი, გვ. 125.

[13] რეეოლ'უციის მატეანე. №4. 1923 წელი, გვ. 125.

[14] რეეოლ'უციის მატეანე. №4. 1923 წელი, გვ. 125.

სიხარულიძისათვის გურჯიევის შესახებ: *„მათი ორგანიზაციიდან ხომ არ ჰქონდა „იავკა"? მან მითხრა შემდეგი: გურჯიევმა სამი ათასი მანეთი დაგვტყეპა, ალგებრა ბომბების მომზადების სწავლა, მაგრამ არაფერი გვასწავლა, მას ვცემეთ და გამოვაგდეთო"*.[15] ამრიგად, დავით როსტომაშვილის მოგონება გარკვეულწილად ადასტურებს ზემომოყვანილი საარქივო დოკუმენტების შინაარსს.

საინტერესოა, რომ დავით როსტომაშვილის სიტყვებით, გურჯიევი, ასევე, ყოფილა იმ დროს საკმაოდ ძლიერი და გავლენიანი, სომხური ნაციონალისტური პარტიის „დაშნაკცუტუნის" წევრების გამცემი: *„ციხეში სომხებთან კაი განწყობა მქონდა და ერთხელ ერთ განჯელ სომეხს ვკითხე: გურჯიევის შესახებ თუ იცი რამე-მეთქი. მან მწარედ ამოიოხრა და სთქვა: „სწორედ მაგ გურჯიევმა ოც კაცს ციხეში თავი ამოგვაყოფინაო"*.

დავით როსტომაშვილი თვლიდა, რომ „გურჯიევი იყო მთავრობის საგანგებო პროვოკატორი და ეძებდა იმ სამას სამოც ბომბს, რომლებიც სულხანოვის სახლში ინახებოდა".[16]

დავით როსტომაშვილის მიერ დასახელებული იმ დროს მისთვის უცნობი „ორი ახლგაზრდა ქალის" – ნინა ალაჯოვას და ნუშიკ ზავარიანის – ავტორობით ჟურნალ „რევოლუციის მატიანის" 1925 წლის № 2 (12)-ში დაბეჭდილ მოგონებაში სათაურით „შორეული წარსულიდან" ვკითხულობთ:

„1906 წლის იანვრის შუა რიცხვებში სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თფილისის გაერთიანებულმა კომიტეტმა გამოყო რამოდენიმე ამხანაგისგან შემდგარი ჯგუფი, რომელსაც უნდა შეესწავლა პარტიზანული გამოსვლების მეთოდები (ქუჩებში ბარიკადების საშუალებით ბრძოლა და სხვ.) აგრეთვე უნდა შეესწავლა ასაფეთქებელი ნივთიერებების დამზადება (ყუმბარები, ფუგასები) და სხვა. ეს საქმე მინდობილი ჰქონდა რამოდენიმე ამხანაგს, რომელთაგან სამი ბოლშევიკური ფრაქციიდან იყო (მიხო ბოჭორიძე, ნუშიკ ზავარიანი, ნინა ალაჯოვა), სამიც მენშევიკური ფრაქციიდან (სილიბისტრო ჯიბლაძე, კალისტრატე გოგუა და კოწია ჩაჩავა). ბოლშევიკები და მენშევიკები მაშინ ერთ ორგანიზაციაში მუშაობდნენ".[17]

ამ ჩვენთვის სრულიად უცნობი საქმის შესასწავლად ჩვენ მოვიწვიეთ სპეცი-ინჟინერი (ბერძენი), რომელსაც გამცნობი ამხ. ჯიბლაძის გადმოცემით, *„დიდი სამსახური გაეწია ჩვენი ორგანიზაციისათვის მიხაილოვოში, როცა იქ*

[15] რევოლუციის მატიანე. №4. 1923 წელი, გვ. 125.
[16] რევოლუციის მატიანე. №4. 1923 წელი, გვ. 126.
[17] საინტერესოა, რომ საბჭოთა პერიოდში გიორგი გურჯიევს მენშევიკადაც ასახელებდნენ. იხ.: «Заря Востока». 20. 08. 1937.

შეფის ყაზახებმა რევოლუციური გამოსვლები ჩაახრჩეს“.[18]

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის ე.წ. პარტიულ ფონდებში დაცულია საარქივო საქმე სათაურით „ნინა ალაჯოვას ავტობიოგრაფია და მოგონებები 1902-1918“.[19] მასში ვკითხულობთ:

„ნინა ალაჯოვა 1904 წელს შეყვანილ იქნა კომუნისტების კავკასიის კავშირში და მუშაობდა კავშირის ტექნიკურ მდივნად 1906 წლამდე, ახლოს იყო სტალინთან და მიხა ცხაკაიასთან. 1906 წელს, როდესაც ბოლშევიკების მიერ გამოყოფილ იქნა ჯგუფი პარტიზანული ომის მეთოდების, ასაფეთქებელი ყუმბარების დამზადების შესასწავლად, ნინა ალაჯოვა გახდა მისი წევრი. ჯგუფში „სპეცის“ ხელმძღვანელობით ნინა ალაჯოვა მუშაობდა ბაბე ბოჭორიძესთან, მიხა ბოჭორიძესთან და სხვებთან ერთად“.[20]

საბჭოთა პერიოდში ავლაბრის სტამბის შესახებ საკმაოდ ბევრი იწერებოდა. საინტერესოა, რომ „რევოლუციის მატეანეს“ 1927 წლის №1 (16) ნომერში დავით როსტომაშვილს კვლავ დაუბეჭდავს ზემომოყვანილი, 1923 წელს დაბეჭდილი მოგონებისგან გარკვეულწილად განსხვავებული შინაარსის მოგონება სათაურით „ავლაბრის სტამბის აღმოჩენა მთავრობის მიერ“.[21]

მასში იგი რამდენჯერმე ახსენებს გურჯიევს და კვლავ, ოღნავ განსხვავებული რაკურსით ჰყვება „მასწავლებელთან“ თავის შეხვედრას. წერს, რომ დაგვიანებით მისულ გურჯიევს საუბარი გაუბამს ახალგაზრდა ქალებისათვის და აქ უკვე ახსენებს მათ გვარებს – ალაჯოვა და ზავარიანი.[22] მისი სიტყვებით, მასწავლებელი მათ სომხურ კილიკიურ კილოზე ელაპარაკებოდა და „იყო საშუალო ტანის, შავთვალწარბა, სახე გაუქსილ ტყავივით ულაპლაპებდა, შორიდან ზანგს წააგავდა, ევროპულად და მოხდენილად ეცვა, ქალებთან ლაპარაკის დროს სულ იღიმებოდა... მასწავლებელი მე წარმომიდგა ვიღაც დონ-ჟუანად...“.[23]

ამ მეორე მოგონებაში დავით როსტომაშვილი ასე გადმოგვცემს ნიკოლოზ სიხარულიძესთან საუბრის შინაარსს: „ციხეში კოლია სიხარულიძე მოიყვანეს, მან სტამბის ჩავარდნის მიზეზი მკითხა და როცა გურჯიევის სახელი გაიგონა, რა გადმომცა: ხაშურში მაგ გურჯიევმა სამი ათასი მანეთი დაგვტყუა და

18 რევოლუციის მატეანე. №2 (12). 1925 წელი, გვ. 135.

19 შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი). ფონდი 93. აღწერა 2. საქმე 13.

20 შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი). ფონდი 93. აღწერა 2. საქმე 13, გვ. 21.

21 რევოლუციის მატეანე. №1 (16). 1927 წელი, გვ. 123.

22 1923 წელს დაბეჭდილ მოგონებაში საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მე არც მაშინ, არც ახლა არ ვიცი იმ ქალების ვინაობაო.

23 რევოლუციის მატეანე. № 4. 1923 წელი, გვ. 132.

გვითხრა, ასაფეთქებელ ნივთიერებათა დამზადებას გასწავლითო. რამდენიმე კვირა ვიმეცადინეთ, ბოლოს ვთხოვეთ, მოეხდინა გამოცდა. გაეცდით მინდორში, მასწავლებელიც თან წავიყვანეთ. გადავაგდეთ ერთი – არ გასკდა, მეორე, მესამე... ამხანაგები გურჯიევზე მეტად გაწყრნენ. ერთმა ამხანაგმა საცემრადაც კი იწია, გურჯიევი ამის შემდეგ აღარ გვინახავს".[24] დაკვირვებული მკითხველი იოლად შენიშნავს 1923 და 1927 წელს დავით როსტომაშვილის მიერ დაწერილ მოგონებების შინაარსში სხვაობებს, მაგრამ იგი საქმის არსს არ ცვლის.

ასევე, მინდა გაგაცნოთ დავით როსტომაშვილის მიერ „მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის" დირექტორის სახელზე 1942 წელს გაგზავნილი ერთგვერდიანი წერილის მცირე ამონარიდი. წერილი ავლაბრის არალეგალური სტამბის შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაციების სისწორეს ეხება და მასში როსტომაშვილი სტამბის განთავსების ადგილზე მდებარე შენობაში ასაფეთქებელი ყუმბარების შემსწავლელი ჯგუფის გამცემად კვლავ გურჯიევს ასახელებს (დოკ. 2).[25]

აღვნიშნავ, რომ საქართველოს ისტორიული არქივის ფონდებში მოიძიე რამდენიმე საქმე, რომლებიც ეხება ავლაბრის არალეგალური სტამბის აღმოჩენის ხელისუფლების ორგანოების მიერ. მათ შორისაა მეფის საიდუმლო (პოლიტიკური) პოლიციის თბილისის „ოხრანკის" განყოფილების ე.წ. გარე მეთვალყურეობის აგენტების – ფილერების – ანგარიშები სტამბასთან კავშირში მყოფ სხვადასხვა პირებისა და, მათ შორის, გიორგი გურჯიევის შესახებ.

ამრიგად, ზემომოყვანილი მასალები დანამდვილებით ადასტურებენ 1906 წლის დასაწყისში გიორგი გურჯიევის საქართველოში ყოფნას, რაც არაა ასახული დღემდე გამოქვეყნებულ მის ბიოგრაფიებში.

P.S.

რაც შეეხება გიორგი გურჯიევის მეფის საიდუმლო პოლიციის აგენტად ყოფნას, რაზეც თავის დღემდე გამოუქვეყნებელ სტატიებში ისტორიკოსი ალექსანდრე კოჭლავაშვილი წერდა,[26] ასევე, მასალებს, 1919-1920 წლებში თბილისში გურჯიევის ყოფნისა და „მოღვაწეობის" შესახებ და საკითხს იყო თუ არა გიორგი ივანეს ძე გურჯიევი 1920-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურის „საიდუმლო თანამშრომელი" – მათზე ჩემს მოსაზრებებს შემდგომ კვლევებში შემოგთავაზებთ.

---

[24] რევოლუციის მატეანე. № 4. 1923 წელი, გვ. 139.

[25] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (ყოფილი პარტიული ორგანოები სარქივი). ფონდი 8. აღწერა 2. ნაწილი 2, გვ. 246.

[26] მინდა აღვნიშნო, რომ იგი გარკვეულწილად იცნობდა ზემომოყვანილ მასალებს, ისუბრა ამ და სხვა საკითხებზე ჩვენი შეხვედრებები განსხვავდება.

დოკუმენტები:

1.

НАЧАЛЬНИКЪ
ГОРІЙСКАГО
ОТДѢЛЕНІЯ
ЖАНДАРМСКАГО ПОЛИЦЕЙСКАГО
УПРАВЛЕНІЯ
ЗАКАВКАЗСКИХЪ
желѣзныхъ дорогъ

«26» Января 1906 г.
№ [illegible]

г. Тифлисъ.

Секретно

Въ дополненіе телеграммы моей отъ 14 сего Января, донесу, что по негласнымъ свѣдѣніямъ бывшій въ прошломъ 1905 году членъ Тифлисскаго Комитета Р.С.Д.Р.П. Георгій Гургуліевъ, имѣющій [illegible] и извѣстный подъ кличкой Гурули, а также Зекерія Оглы Сулхаджиевъ и служащій Тифлисскаго Трамвая Вахтанговъ изъ конца прошлаго года отправились въ Турцію, а именно Гургуліевъ изъ г. Тифлиса.

Предполагаю: Гургуліевъ къ пребыванію Тифлисскаго Полицейскаго Начальника, такъ какъ изъ его квартиры Тифлисскій Жандармскій Начальникъ и [illegible] Тифлисскаго Губернскаго Жандармскаго Начальника

2.

Tengiz Simashvili

GIORGI GURDJIEV IN GEORGIA (1906)

Archival material confirms that the famous mystique and philosopher, Giorgi Gurdjiev lived in Georgia in 1906. He had connections with the Georgian revolutionists. It is attested that in January of 1906 he lived in Khashuri (town in East Georgia). Moreover, he trained the activists of the Social-Democratic Party to produce the explosive material.

Also, in March-April of 1906 Giorgi Gurdjiev shared his knowledge of making explosive material, urban warfare and other "useful advises" to the Bolsheviks and group of six Mensheviks in the building of "Avlabari Illegal Printing House" in Tbilisi.

Those material confirms unknown activity of Giorgi Gurdjiev in Georgia in the beginning of 1906.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XI
თბილისი. 2016

საერთაშორისო პრეზენტაცია

Николай Джавахишвили

Страницы из истории взаимоотношений грузин с карачаевцами и балкарцами (с XIX века до середины XX века)*

Грузино-северокавказские отношения восходят корнями к глубокой древности. На протяжении многих веков отношения между народами Кавказа развивались с различной интенсивностью. Грузинские цари и владетельные князья всегда придавали большое военно-политическое значение тесным связям с горцами, проживающими по ту сторону Кавказского хребта. Поэтому они старались поддерживать с северокавказскими народами (в том числе карачаевцами и балкарцами) добрососедские, дружественные отношения.

В очерке представлено несколько эпизодов из истории взаимоотношений грузин с карачаевцами и балкарцами. Хронологические рамки очерка охватывают период с начала XIX века – до середины XX века. Очерк состоит из трёх частей.

1) Из истории династических браков (XIX в.)

За углублением дружественных связей грузинских царств и княжеств с народами Северного Кавказа последовали династические браки, которые были довольно распространенным явлением. Княжны из знатных северокавказских родов часто выходили замуж за грузинских царей и владетельных князей. Такое объединение служило надежным основанием для укрепления военно-политического союза между правящими кругами этих

* მოხსენება წაკითხულ იქნა მოსკოვში, რუსეთის ფედერაციის მეცნიერებათა აკადემიაში გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე: „ყარაჩაელ-ბალყარელი ხალხების ეთნოგენეზი, ისტორია, ენა და კულტურა“ (2014 წლის 23-29 ნოემბერი). კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ: რუსეთის ფედერაციის მეცნიერებათა აკადემიის ნ. მიკლუხო-მაკლაის სახელობის ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტი, უ. ალიევის სახელობის ყარაჩაი-ჩერქეზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი და კუმანიტარულ კვლევათა ყარაჩაულ-ბალყარული სამეცნიერო ცენტრი.

народов. Одновременно эти факты свидетельствуют и о большом уважении, которое эти народы питали друг к другу.[1]

Довольно часто династические браки случались между представителями владетельного княжеского рода Сванетии (по-грузински – Сванети) – Дадешкелиани (тот же Дадишкелиани) и отдельных карачаевских и балкарских княжеских родов. Подобные браки продолжались до XX века.

Расположенная на южных склонах Большого Кавказа историческая область в северо-западной Грузии – Сванетия – всегда являлось надёжным хранилищем культурных ценностей Грузии. С XVIII века западной частью Верхней (Ингурской) Сванетии правила династия владетельных князей Дадешкелиани. В 1833 году главы двух линий дома Дадешкелиани заключили с Россией договор о протекторате. Высочайшим повелением 26 декабря 1833 года князья – правители двух частей Сванетии – Татархан (тот же Николай) и Циох (тот же Михаил) Дадешкелиани были утверждены в наследственном достоинстве князей Российской империи.

Наместник императора на Кавказе, генерал-фельдмаршал Александр Иванович Барятинский (1815-1879) докладывал военному министру Российской империи: «Как ни незначительна сама по себе Сванетия, но по центральному положению ея между Кабардой, Кара-чаем, Цебельдой и Самурзаканью – племенами, хотя покорными, но полудикими – и по близости Сванетии к неприязненным нам горцам, всякое волнение в ней могло бы быть для нас весьма опасно. Не только при открыто враждебном к нам отношении, но даже при отношении сомнительном, Сванетия, по малодоступности своей, легко могла бы сделаться притоном для всех соседних абреков и совершенно изменила бы положение наше на всей западной половине Закавказья. Необходимо было вполне и окончательно разъяснить отношение к нам князей Дадишкелиани и, в случае непослушания их, не теряя времени, силою принудить к повиновению».[2]

Вышеупомянутый князь Николай Дадешкелиани (скончался в 1849 году), владетель общин Бечо, Эцеры и Цхумари, был женат на дочери карачаевского князя – Тамаре Ваховой.

---

[1] В. Багратиони. История Грузии. В книге: «Картлис Цховреба» (История Грузии). Подготовил к изданию по всем основным рукописям С. Каухчишвили. Т. IV. Тб. 1973; Т. Боцвадзе. Из истории грузино-кабардинских отношений (XVI-XVIII вв.), Тб. 1963; З. Анчабадзе, Т. Боцвадзе, Г. Тогошвили, М. Цинцадзе. Очерки истории горских народов Кавказа. Т. I, Тб. 1969; Н. Джавахишвили. Очерки из истории взаимоотношений грузинского и адыгских народов. Тб. 2005 *(на грузинском языке)*.

[2] Акты, собранные Кавказской Археографической комиссией. Архив Главного управления наместника Кавказского (под редакцией А. Берже). Т. XII. Тифлис, 1904, с. 369 *(на русском языке)*.

Николай Дадешкелиани был потомком владетельных князей – Карги-Отара, который правил в середине XVIII века, и Баба-Циоха, который скончался в 1812 году.

У князя Николая Дадешкелиани и Тамары Ваховой было три сына – Отар, Джансуг (тот же Леван), Мосостри – и одна дочь (имя неизвестно), которая вышла замуж за карачаевского князя Девлет-Гирея Крымшамхалова.

Старший сын Николая и Тамары – Отар Дадешкелиани (скончался в 1854 году) был женат на дочери балкарского князя Урусбиева – Минат. У них родились четыре сына – Леван (1829-1889), Ислам, Бекирби (Бекирбей), Циох и дочь – Даумхан (1855-1899), та же Елена.[3]

Как вспоминали современники, князь Отар Дадешкелиани «отличался необычно высоким ростом, красотой и храбростью».[4]

Следует отметить, что Отар Дадешкелиани, будучи по рождению христианином, женился на мусульманке и принял ислам, воспитав всех своих сыновей в магометанстве. По этой причине русские власти сочли необходимым устранить его потомство от управления Сванетией (учитывая опасность дальнейшего распространения там ислама). Его детям было даже запрещено носить фамилию Дадешкелиани и приказано именоваться князьями "Отаровыми". Они были удалены из Сванетии.[5]

17 августа 1857 года генерал-фельдмаршал А. Барятинский докладывал военному министру Российской империи: «По смыслу Всемилостивейше пожалованных грамот, в 1833 году, князьям Циоху (Михаилу) и Татархану (Николаю) Дадишкелиани и удостоенных Высочайшаго утверждения просительных пунктов этих князей, при сем в копии прилагаемых, Княженская Сванетия состоит из двух владений (во владении дома Циоха состояла часть, называемая Чубехеви; во владении Татархана – Эцери и Бечо), которыя должны оставаться в потомстве двух названных князей по первородству в нисходящей линии... Татархана имение его должно было бы перейти в целости к старшему сыну Отару; но вопреки просительным пунктам оно было разделено между обоими сыновьями: Отаром и Джамсухом. Ныне оно должно быть снова соединено в одно целое: но так как старший из двух сыновей Татархана, рожденный в христианстве, после брака своего с мусульманкой принял магометанскую веру, в ней воспитал

[3] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды Российской империи. Т. IV. Князья Царства Грузинского. Под редакцией С. Думина и Ю. Чиковани. Москва, 1998, с. 86-88 *(на русском языке)*.

[4] М. Дадиани. Письма. дневники, Тб. 2011, с. 278 *(на грузинском языке)*.

[5] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды Российской империи. Т. IV, с. 86-88.

всех сыновей своих и умер в магометанстве, то, для воспрепятствования исламизму водвориться в Сванетии, я признал необходимым всех членов этого семейства удалить из Сванетии и даже воспретить им именоваться князьями Дадишкелиани, а назваться князями Отаровыми; всё же имение кн. Татархана передать в род внука его, старшего сына Джамсуха, кн. Тенгиза, исповедующего православную веру; но, вместе с тем, обязать этого князя обеспечить князей Отаровых или единовременною уплатою известной суммы, или ежегодною выдачею части доходов».[6]

30 апреля 1859 года генерал-фельдмаршал А. Барятинский докладывал военному министру Российской империи: «Кн. Михаил Джамсухов Дадишкелиани есть родной брат Тенгиза, вступившаго в укрепление Эцери и Бечо, а Бекир-бей Отаров, хотя и исповедует мусульманскую веру, вследствие чего, по Высочайшему повелению, изъясненному в отзыве № 9285, лишен права на владение наследством деда его, кн. Татархана и фамилии кн. Дадишкелиани и назван кн. Отаровым, но всегда оставался нам преданным и, несмотря на смуты, бывшия в Сванетии, досель не замечен ни в чем, что бы могло быть поставлено ему в укоризну».[7]

Детям Отара Дадешкелиани какое-то время пришлось пожить на родине матери, в имении своего дяди (брата матери) балкарского князя Исмаила Урусбиева, пользующегося большим уважением на всем северо-западном Кавказе.

В воспоминаниях внука Отара Дадешкелиани, который в то же время являлся и внуком сестры Исмаила, читаем: «Тот, кто читал книгу профессора Ковалевского «Путешествие по Кавказу», непременно вспомнит упомянутого в ней Исмаила Урусбиева, человека всеми уважаемого и известного в той действительности. В книге автором многое было использовано из рассказанных Исмаилом кавказских легенд и древностях. Моя мама была племянницей Исмаила и выросла в его доме».[8]

Ислам Отарович Дадешкелиани женился на дочери карачаевского князя Дудова, а его брат Бекирби взял в жены Минат, дочь карачаевского князя Крымшамхалова.

Единственный сын Ислама Дадешкелиани – Джансуг (1855-1940) был женат на дочери балкарского князя Урусбиева – Мисирхан (1872-1952).

Внучка Николая Дадешкелиани и Тамары Ваховой – Салдахан (Салдатхан) Джансуговна (Левановна) Дадешкелиани (родилась в 1850 году) вышла замуж за балкарского князя Адингера Урусбиева.

[6] Акты, собранные Кавказской Археографической комиссией. Т. XII. с. 371.
[7] Акты, собранные Кавказской Археографической комиссией. Т. XII. с. 373.
[8] М. Дадиани. Письма, дневники, с. 279.

Несмотря на то, что потомки Отара Дадешкелиани с конца XIX века уже были христианами и заключали браки тоже с христианами, среди них всё же превалировали мусульманские имена: Ислам, Бекирби, Мурзакан, Мухаммед, Кемлиат, Шамиль, Омар, Юсуп, Фатьма, Лейла, Дигорхан, Мадина и т. д.[9]

Как видим, браки между представителями одного из грузинских княжеских родов – Дадешкелиани и знатных карачаевских и балкарских родов были широко распространены вплоть до XX века.

Своей сутью это были политические браки, служившие прочной основой союза между правящими кругами грузинского и карачаево-балкарского народов, одновременно свидетельствуя о их взаимоуважении.

2) Из истории взаимоотношений грузин с карачаевцами и балкарцами (начало XX века)

В родстве с родом Урусбиевых были не только представители рода Дадешкелиани, но и близких к последнему княжеских родов.

В частности, дочь Отара Дадешкелиани и Минат Урусбиевой – Даумхан (Елена) Отаровна Дадешкелиани (1855-1899) в 1873 году вышла замуж за князя Константина Георгиевича Дадиани (1852-1903) – потомка (в четвёртом поколении) владетельного князя Мегрелии – Отии Бежановича Дадиани, который правил в 1728-1757 годах.[10]

Их старший сын Мушни (Иван) Константинович Дадиани (1874-1924) вспоминал: «Отцу очень нравилась мама. Мама же, будучи ярой мусульманкой, наотрез отказывалась выйти замуж за христианина. Отцу понадобилось немало усилий, чтобы склонить к этому браку родственников Даумхан. В конце концов и мама покорилась воле своей матери – Минат Урусбиевой – и приняла христианство, после чего её препроводили к жениху во дворец Чкадуаши».[11]

Мушни Дадиани служил в Нижегородском драгунском полку и слыл смелым офицером. Он стал членом социалист-федералистской партии и с начала революции 1905 года примкнул к грузинским политическим силам, вовлеченным в революцию. В период репрессий, начавшихся с целью подавления революции, Мушни был вынужден скрываться в Карачае, у родственников своей матери. В дневнике Мушни Дадиани сохранились интересные сведения о взаимоотношениях грузин с карачаевцами и балкарца-

[9] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды Российской империи, с. 89-90.
[10] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды Российской империи, с. 64-65.
[11] М. Дадиани. Письма, дневники, с. 279-280.

ми в начале XX века, а также о быте и обычаях карачаевцев и балкарцев, их гостеприимстве.

Интересно, что вместе с Мушни Дадиани путешествовал его друг Спиридон Кедия (1884-1948), который впоследствии стал лидером Национал-демократической партии и известным представителем грузинской эмиграции.

В 1924 году, после подавления известного антибольшевистского восстания в Грузии, Мушни вместе со своим младшим братом Отаром (тот же Давид, 1892-1924) был расстрелян большевиками.[12]

Свою поездку в Карачаево-Балкарии к своим родственникам Мушни вспоминал следующим образом: «13 марта 1906 года, по старому стилю... из селения Бечо... направились я и Спиридон Кедия в метель и вьюгу к Шихре... перешли мост через Баксан и прибыли в село Тегенкала, в дом Элмурза Хакилара (16 марта). Он был молочным братом моей матери и воспитателем моего младшего брата Отара. Постучались в дверь. Спрашивают:

– Ким-дур?

– Конак, конак, – ответил я.

Откылась дверь и навстречу вышла няня Отара старая Сули. Я едва стоял на ногах... Дальше ничего не помню. Как потом сказали, оказывается, я упал. Проснулся я от сильной боли и жжения в ноге... она была стерта до трещин на коже. Лечила меня няня Отара недели две и вылечила наконец. Спросила:

– Что стряслось? В такую зиму зачем пришел? Что за нужда заставила?

– Пришёл из Исису (т. е. из Кисловодска), _ ответил я.

– С такими-то ногами? О, гяур, – шутя сказала няня, – лжешь, юлишь, ты – бунтовщик, изменил урусскому фадишаху.

– Ну, няня, Отар олм, сен, менм, келаген бирадамга антма, нечудесун башна саакс *(Поклянись Отаром, что никому не скажешь о моем приезде, это очень опасно для меня)*...

Мы оставались там до моего окончательного выздоровления. И Спиридон невольно привык к той жизни... Уж очень они заботились о нас... Представьте, что старый Михай из Сванетии сам сопроводил нас до Баксана к двоюродному брату моей матери – Наврузу Урусбиеву, который был студентом Московского университета. Он очень уважил нас, устроив в прекрасной гостинице, при которой была богатая библиотека с книгами на русском, французском, немецком языках, а также журналы и газеты 1904-1905 годов...

[12] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды Российской империи, с. 64-66.

Спиридон признался мне, что хочет вернуться в Кутаиси, а потом – в Европу для продолжения учебы... 19 апреля мы простились с ним прослезившись».[13]

Проводив Спиридона Кедия, Мушни Дадиани простился с Наврузом Урусбиевым и уехал в Теберду.

В воспоминаниях Мушни Дадиани читаем: «Я поехал к Кубанскому округу, в Большой Карачай к Исмаилу Крым Шамхалу, жившему в селении Теберда. Навруз послал со мной верного человека, дал хорошего коня и мы отправились через село Кардук к Бал-Баши... Ехали горными тропами всю ночь. К рассвету подъехали к палатке одного пастуха. Здесь мы передохнули, накормили лошадей, поспали. Около полудня нас разбудил хозяин... Угостил нас вкуснейшим обедом из жаренной баранины... Пообедав, мы пустились в путь. Наконец мы добрались до одного богатого пастуха, у которого было до десяти тысяч голов баранов, не считая табуна лошадей и стада коров. Он щедро угостил нас, зарезал огромного барана, накормил вкусным лицмаром, пили бузу, сра, айран. Этот карачаевец из рода Хаджиларов оказался сыном няни моей матери. Он очень обрадовался, узнав, что я сын Даумхан, и обнял меня. На следующее утро, прознав о моей нужде, он умолял меня остаться с ним. Но я отказался... Мы простились и направились к селению Карт-Джюрт».[14]

Таким образом, в дневнике князя Мушни (Ивана) Константиновича Дадиани (1874-1924) сохранились интересные сведения о взаимоотношениях грузин с карачаевцами и балкарцами в начале XX века, а также о быте и обычаях карачаевцев и балкарцев, их гостеприимстве.

3) Из истории взаимоотношений грузин с карачаевцами и балкарцами (40-50-ые годы XX века)

В период второй мировой войны по решению правительства СССР карачаевцы и балкарцы массово были сосланы в Центральную Азию.

Грузинская политическая эмиграция, которая всегда поддерживала тесный союз с северокавказскими народами,[15] сердечно сочувствовала жес-

[13] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды Российской империи, с. 287-290.
[14] М. Дадиани. Письма, дневники, с. 291-292.
[15] Н. Джавахишвили. Борьба за свободу Кавказа (Из истории военно-политического сотрудничества грузин и северокавказцев в первой половине XX века), Тб. 2005. с. 70-131; Н. Джавахишвили. Из истории сотрудничества кавказских политических эмигрантов (в период с 1921-го до начала 1940-х гг.). Журнал социально-политических и экономических исследований «Кавказ и глобализация». Т. 3. Выпуск 4. Швеция, 2009, с. 169-176 *(на русском языке)*.

токо наказанным свободолюбивым горцам.[16]

Известный представитель грузинской политической эмиграции, национал-демократ Александр Цомаиа (1907-1957) в своей статье «Геноцид», опубликованной на английском языке в журнале «The Voice of Free Georgia», издаваемом в Нью-Йорке, отмечал: «В чем обвинили северокавказцев? В том, что их часть взяла оружие для освобождения собственной Родины. Разве не так же поступили тысячи русских? Разве не Власов и другие генералы руководили Российской Освободительной Армией? Разве весь русский народ был уничтожен по обвинению «в измене»? Конечно нет! Власова наказали смертью, но никто не тронул русского населения.

Москва выбрала два направления действия: первое – для русских, а второе – для нерусских народов... Это преступление Москва заранее поставила целью, которая ясна для всех кавказцев.

Мы должны помнить, что на Кавказе коммунизм насаждали силой оружия и, естественно, кавказцы сопротивлялись этому, как могли. После совегизации ни в одном уголке СССР не было такого сопротивления, как на Кавказе... В течение 20 лет Россия упорно пыталась заставить кавказцев отказаться от собственной индивидуальности, а когда убедилась, что достигнуть этого невозможно, решила принять радикальные коммунистические меры. Вторая мировая война дала великолепный шанс для осуществления такого плана.

Мы знаем, что русский народ, который так же страдает от коммунизма, не должен быть обвинен в этом. Мы не собираемся это делать. Мы уважаем все народы и знаем, что кремлевских криминалов не интересует мнение русского народа. Но беда в том, что сходство политики по отношению к кавказским народам старого царизма и советского правительства явно налицо».[17]

Свою статью А. Цомаиа завершает на оптимистической ноте. Он уверенно отмечает: «Эпоха колониализма закончилась. Будущее принадлежит свободному народу. Прогресс истории нельзя остановить на грани СССР! И это в нас вселяет уверенность в том, что Кавказ вновь восстановится и будет независимым!».[18]

После переселения карачаевцев в Центральную Азию южная часть Карачая была передана Грузинской ССР. Город Микоян-Шахар был пере-

[16] А. Цомаиа. Избранные произведения. Подготовил к изданию Г. Шарадзе. Тб. 2000, с. 254-262 *(на грузинском языке)*.

[17] A. Tsomaia. Genocide. Magazine «The Voice of Free Georgia». New-York, 1954. № 5, pp. 4-5 *(на английском языке)*.

[18] A. Tsomaia. Genocide, p. 6.

именован в Клухори. В этом регионе поселили грузин с приграничных районов, в частности переселенные из Сванетии поселились в окрестностях Эльбруса, у истоков реки Кубань, а из Рачи – в ущелье Теберды.

Известный грузинский советский партийный и государственный деятель Кандид Чарквиани (1906-1994), который руководил ЦК Компартии Грузии в 1938-1952 годах, в своих воспоминаниях отмечает: «Меня отнюдь не радовала передача части территорий карачаевцев, балкарцев, чеченцев и ингушей Грузии. Я внутренне никак не мог примириться с тем, что из-за ста, или пусть даже тысячи изменников эти народы согнали с мест и выслали в далекий Казахстан. Присоединение этих «пепелищ» к Грузии мы считали неоправданным, но ничего с этим не могли поделать: такова была воля власти и мы должны были подчиниться. Руководство Грузии не просило этих земель и с ним заранее не согласовывался этот вопрос. Таким образом, наша совесть была чиста».[19]

В числе переселенных в Клухори грузин был уроженец высокогорного села Геби в Верхней Раче Дмитрий Лобжанидзе, который впоследствии издал мемуары «Грузины в Клухори».[20]

В вышеупомянутой книге читаем: «Одна часть жителей Геби, вместе с моей семьей, ветреной весной 1944 года покинула родные места, пересекла необозримые степи Северного Кавказа и поселилась в одном из красивейших мест Кавказских гор, в долине у слияния бурных рек – Кубани и Теберды, в селении Мзиса Клухорского района. Там мы жили и работали несколько лет, но потом были вынуждены покинуть уже насиженные места. Однако сладкие воспоминания о тех годах мы пронесли через всю нашу жизнь».[21]

Местные власти советовали переселиться в Клухори малоземельному населению Сванетии и Рачи: «Поезжайте, осмотритесь. Если понравится место и удовлетворят условия жизни – оставайтесь и живите. Если же нет – ваши здешние дома никуда не убегут, возвращайтесь и живите, как жили».[22]

Д. Лобжанидзе вспоминает: «И сейчас у меня перед глазами готовая к отъезду, взбудораженная как растревоженный улей деревня. Некоторые семьи разделились надвое: часть оставалась, а другая покидала вотчину и отправлялась в неизвестное... Одним словом, забот хватало и уезжающим, и остающимся, о чем красноречиво свидетельствовали хмурые лица...

[19] К. Чарквиани. Пережитое и осмысленное. Тб. 2004, с. 499-500 *(на грузинском языке)*.
[20] Д. Лобжанидзе. Грузины в Клухори, Тб. 2005 *(на грузинском языке)*.
[21] Д. Лобжанидзе. Грузины в Клухори, с. 20.
[22] Д. Лобжанидзе. Грузины в Клухори, с. 47.

Стоял апрель... К полудню отъезжающие в Клухори, подтвердившие свое согласие подписью, уже были размещены на машинах. По прибытии в Кутаиси их сразу посадили в грузовые вагоны... А поутру, проснувшись, мы увидели как наш поезд разрезал безграничное пространство бескрайних степей... Правда, наше переселение в Клухори называлось плановым и добровольным, однако подписавший свое согласие уже не мог отказаться от отъезда на чужбину».[23]

Первый поток грузинских переселенцев поселился на 11 сельбицах. Через несколько лет появилось новое село – Бари, в котором обосновались грузины, переселившиеся из Северной Осетии, в частности из Беслана.

Отметим, что небольшой части карачаевцев удалось избежать высылки в Казахстан. Некоторые из них нашли убежище в лесах... Оставшиеся на родине карачаевцы поддерживали с грузинами добрососедские отношения. О них вспоминает проживающий в селении Мзиса (бывшая Нижняя Теберда) все тот же Д. Лобжанидзе: «На территории района было всего несколько таких семей. В Мзиса их было не более десяти. Они жили на разных участках села и, добровольно запертые в своих усадьбах, не выходили за ворота. Понятно, что страх перед выселением в них все еще гнездился...

Когда лед недоверия между нами окончательно растаял и они убедились, что общение с нами не принесёт им никакого вреда, возникло взаимодоверие. Однако, когда речь заходила о выселении, они упорно нас убеждали, что они не карачаевцы, а переселенцы из Дагестана, потому и избежали выселения. Как видно, осторожничали...

Впрочем, им нечего было бояться – грузин по своей природе не доносчик. Мы никогда не обсуждали с ними, насколько справедливо было то, что их не сослали в Среднюю Азию, как многих их собратьев. Со временем они поняли это и совместное проживание в одном селе, необходимость вместе трудиться и делать общее дело нас настолько сблизило, что, вопреки разному вероисповеданию, появились смешанные семьи. Кроме того, поскольку в селе не было других школ, карачаевцы отдавали своих детей в грузинскую школу, где они обучались вместе с нашими детьми. В Мзиса функционировала только одна восьмилетняя школа и по ее окончании дети карачаевцев свободно владели грузинским языком. Надо отметить также, что дети из грузинских семей, проживающие бок о бок с карачаевцами и ежедневно общающиеся со своими сверстниками, прекрасно овладели карачаевским языком. И я не помню случая, чтобы в течение

[23] Д. Лобжанидзе. Грузины в Клухори, с. 48-53.

тринадцати лет, прожитых нами в Клухори, грузины дали бы повод для размолвок между нами и карачаевцами».[24]

Марсель Лобжанидзе, по происхождению из рачинского села Геби, вспоминает одно событие из своего детства, проведенного в селе Мзиса: «Однажды вечером я и мои сверстницы направлялись на ферму... Тогда мы работали на колхозной ферме – кто дояркой, а кто пастушком. Спустилась ночь, когда мы в лесу заметили костёр, вокруг которого сидели и ужинали пять или шесть человек. Поначалу мы испугались, так как ходили слухи о разбойниках, окопавшихся в лесах. Мы было уже собрались податься назад, но нас успокоила бывшая с нами девочка-карачаевка. Она была из той семьи, которая выдавала себя за дагестанцев...Таких семей, утверждавших, что правительство их не сослало потому, что они лезгины, в нашем селе было семь или восемь.

Сидящие у костра тоже заметили нас, подозвали, успокоили... Оказалось, что ссылке в Среднюю Азию они предпочли уйти в лесa, где и жили с тех пор. Среди них был и Хамит – наш односельчанин, старший сын Али Буты, семья которого жила недалеко от сельской мельницы и кузницы. Наши семьи дружили, именно благодаря общению с ними я выучился карачаевскому языку. Два года назад Хамит был призван в армию на обязательную службу, но по дороге сбежал и присоединился к «лесным братьям», боясь наказания. Завидя нас, он очень обрадовался...

Когда мы уходили, они просили нас никому ничего не говорить о них во избежание неприятностей, просили, если возможно, принести тайком... айран, т. к. уже давно не пробовали... Мы выполнили их просьбу... Впоследствии Хамит часто вспоминал об этом с благодарностью».[25]

Думаем, достойно внимания следующее заключение Дмитрия Лобжанидзе: «Оценивая те взаимоотношения между грузинами и карачаевцами с высоты сегодняшнего дня, я все более убеждаюсь в том, что при обоюдном желании народов можно легко уладить без оружия даже самые сложные проблемы. Между людьми нет никаких проблем. Трудности создают лишь политиканы своим безрассудством».[26]

В 1954 году по решению правительства СССР Клухорский район был возвращен в состав Российской федерации. Грузинское население проживало там до 1957, т. е. до возвращения на родную землю карачаевцев и балкарцев. Город Клухори был переименован в Карачаевск.

[24] Д. Лобжанидзе. Грузины в Клухори, с. 91-93.
[25] Д. Лобжанидзе. Грузины в Клухори, с. 86-88.
[26] Д. Лобжанидзе. Грузины в Клухори, с. 95.

Этнолог Леван Пруидзе пишет: «Переселенные в Клухори грузины оказались в тяжелейшем положении, но каждый человек, каждая семья проявили столько предусмотрительности, такта и ума, что с возвратившимися карачаевцами не случилось даже просто словесной перепалки. Их приняли с истинно грузинской сердечностью и любовью, великодушно уступили им ухоженные дома и усадьбы, продукты питания...

Ничего, кроме личных вещей, грузины не взяли с собой уезжая на родину. Примечательно, что переселенные из Сванетии своих покойников хоронили в родном регионе, а переселенным из Рачи, из-за более далёкого расстояния, это не удавалось. Но по возвращении в Грузию рачинцы увезли своих покойников и захоронили в родной земле. Не было ни одного конфликта. Грузины достойно вернулись на родину».[27]

Таким образом, после массового переселения карачаевцев и балкарцев в Центральную Азию по решению правительства СССР южная часть Карачая была передана Грузинской ССР. Город Микоян-Шахар был переименован в Клухори. В этом регионе поселили грузин с приграничных районов, в частности, переселенные из Сванетии поселились в окрестностях Эльбруса, у истоков реки Кубань, а переселенные из Рачи – в ущелье Теберды.

Клухорские грузины поддерживали дружеские отношения с той малой частью карачаевцев, которым удалось остаться на родине. Грузины жили в Клухори до 1957 года, когда опять-таки по решению правительства СССР карачаевцы и балкарцы массово были возвращены на родную землю. Грузины тепло приняли их, оставили им ухоженные дома и поместья, а сами вернулись на родину.

[27] Л. Пруидзе. Предисловие. В книге: Д. Лобжанидзе. Грузины в Клухори. Тб. 2005, с. 9 *(на грузинском языке)*.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XI
თბილისი. 2016

საერთაშორისო პრეზენტაცია

Teimuraz Papaskiri

Russian Policy towards Georgia since 1991*

On December 8, 1991 Boris Yeltsin, Vladimir Kravchuk and Stanislav Shushkevitch, the Russian, Ukrainian, and Byelorussian leaders, signed the Belavezha Accords, which marked the end of the USSR. Before the end of the year the Soviet Union was officially dissolved and all the remaining Soviet Republics (since the Soviet Union recognized the independence of the Baltic States in September 1991, there number was 12 at the moment) became independent. Georgia, which declared the restoration of her independence on April 9, 1991, prior to any of other remaining Soviet republic, was among them.

Georgia was meeting independence in a very difficult situation. There already was conflict in the so-called South Ossetia, where the Soviet government was supporting the Ossetians against the Georgians. The tension between the government and opposition, which began in September 1991, transformed into the armed conflict on December 22, 1991. To the present day it is difficult to find out how actively was the Soviet KGB involved in the confrontation between the government and opposition but there are numerous signs that the Soviet government was helping both sides at least at the different stages of the conflict, if not simultaneously. The flight of President Zviad Gamsakhurdia first to Armenia (January 6, 1992) and then to Chechnya, did not end the conflict and the civil unrest continued in the different parts of Georgia, especially, in Samegrelo and Abkhazia. The supporters of President Gamsakhurdia were especially strong in both regions. Although the new government was able to take control over both regions in February 1992, the confrontation continued and numerous attacks on the trains and kidnappings resulted in the decision to move more troops to Abkhazia (August 14, 1992) in order to restore the control over the railway tracks. The illegal "Abkhazian Guard" started the fire and this

* This paper was presented at the Warsaw East European Conference 2016: "Belavezha. 25 Years Later: States. Nations. Borders," held in Warsaw on July 18-21, 2016.

marked the beginning of the hostilities in Abkhazia. The insurgents were immediately helped by the Russian troops, which were still located in Abkhazia. It is impossible to determine at the present whether Boris Yeltsin, the President of the Russian Federation, had anything to do with this, since it is probable that he had no effective control over the Russian army at that moment. It seems that army actually obeyed the Russian Vice-President Alexander Rutskoy, who was the General of the aviation. The latter was supporting the Abkhazs from the beginning. As a result, during the 1992-1993 war in Abkhazia, the Russian troops were actively participating in the hostilities on the insurgent side. The Russian planes bombed the Georgian positions and their artillery was shelling civilian targets in Sokhumi. Since the Abkhazs were sure that the Russian troops would back them, they broke every cease-fire. On September 16, 1993 they broke another agreement and launched an offensive on Sokhumi. It coincided with the attacks of President Gamsakhurdia's supporters on the cities loyal to the new government in other parts of the Western Georgia. Although the hostilities between pro-Gamsakhurdia and pro-Shevardnadze troops were stopped and both parties agreed to unite their efforts against common enemy, it proved to be just a temporary phenomenon. On September 24, Zviad Gamsakhurdia returned to Zugdidi (Samegrelo) and this practically ended the common efforts. As a result, the Abkhazs, backed by the mercenaries from the North Caucasus and the Russian army, which at that moment openly supported Rutskoy in the confrontation that started in Moscow between Yeltsin and his opposition, seized Sokhumi and established their control over the most part of Akhazia. Although there are no official documents as yet to prove the involvement of the Russian government (at least, of Vice-President and other members of government and Russian Duma, who supported him) in Gamsakhurdia's return to Western Georgia, but there can be little doubts that the whole operation was planned by them.

In October of 1993 Yeltsin crashed his opposition, but the situation in Georgia did not change much. The territorial issues became the main problem in the Russian-Georgian relations. Yeltsin, who formally always supported the territorial integrity of Georgia, nevertheless, did not take any effective steps to ensure it. Officially, Russia declared the blockade of Abkhazia, but it was formal and ineffective. The most part of IDPs were not able to return to their homes and those ones who had it done, were doing it on their own risk. As a result, Yeltsin's attitude can be called as dubious and indecisive. One of the best examples of it is the situation with the Russian bases. On September 15, 1995 the agreement between Georgia and Russia was signed, according which the

Russian bases in Georgia were legalized for at least 25 years after the ratification of the document. Nevertheless, both sides have never ratified the document. The reason was the precondition, which was put forward by the Georgian side: before the ratification of the document by the parliament of Georgia, the Russians had to guarantee the restoration of the effective Georgian control over the Gali district in Abkhazia (this was considered as gesture, which would assure the Georgian side that the effective control over the other parts of Abkhazia would be established in time). Nevertheless, the precondition was never met. For several years the Russian side could not decide whether the game was worth the candles. In 1997 it looked like the Russians at last decided to give up the Gali district, but suddenly they changed their mind and Yevgeny Primakov, then the Minister of Foreign Affairs of Russian Federation, brought Vladislav Ardzinba to Tbilisi on August 14, 1997. The talks ended without result and after them there was no active Russian support of Georgian cause in Gali district. In 1998 there was a brief renewal of the conflict in Gali district, but the Russian "Peacekeepers" made nothing to defend the Georgian population, which had to leave their houses for the second time in five years.

The transfer of power in Russia, which happened at the end of 1999, marked the beginning of the new era in the Russian-Georgian relations. President Vladimir Putin started to lift officially the blockade of Abkhazia. It is highly probable that it was the September 11, 2001 terrorist attacks on the USA that determined his future policy towards the former Soviet republics in common and to Georgia in particularly. The Russian President figured out that as the U.S. ally in the "War on Terror," he could change the official attitude towards the conflicts in Georgia. He became much more aggressive after the Revolution of Roses in Georgia and the Orange Revolution in Ukraine, since he was afraid that the popular demonstrations could oust him from power too. Therefore, he switched to the open support to the separatist forces in Georgia. He was not able to save Aslan Abashidze, the leader of Adjarian Autonomous Republic in May 2004, but decided to help the so-called "South Ossetian" leader Eduard Kokoity in July 2004. The reason was his fear that the new goal declared by the Georgian government seeking the membership in NATO and European Union as its top priority, would mean that the Russian ruling circles had lost control over the Caucasus.

It was a great blow for the Kremlin elite both for the political and economic reasons. The prospect of Georgia's entry into NATO became the greatest menace for the Russian ruling circles because, from their point of view, it

means the end of their desire to restore the Soviet empire. With Georgia in NATO there would be no chance of using the military forces in South Caucasus. The two other South Caucasian states – Armenia and Azerbaijan – would also be lost. Moreover, for the Russian government Georgia's membership in NATO means the beginning of the new phase of the national liberation movement in the South Caucasus, which can even result in Russia's break-up. At the same time it will be meaning the loss of the commanding control on the energy supply sources for the Russian elite, since the oil or gas pipelines, which are already operating or will be built on the Georgian territory will be out of their range. The latter will result in the loss of the Russian influence not only in the Caucasus, but in the Central Asia too. The building of the new type of state in Georgia conducted by the new Georgian leadership was considered as a great menace by the Russian governing circles, because it would show that even in the post-Soviet space there can be built a state without the so-called "thieves-in-law", the state, where the police and bureaucracy stopped being corrupted. Therefore, the Russian government needed to change the Georgian government. Taking the control over Georgia would mean the end of NATO expansion, since neither Azerbaijan, nor Armenia would ever after question the Russian legacy in Caucasia. It would solve all the economic issues, since the control of the territory would mean the control of new pipelines, if anyone decided to build them here. It would show all other post-Soviet states that it was still Russia, which controlled everything in the post-Soviet space. The punishment of Saakashvili would be also a great lesson for those leaders, who did not obey the orders from Moscow. At first, the Russians tried to use economic blockade of Georgia, but this step eventually led to the diversification of Georgian economy and the improvement of quality of Georgian products. The expulsion of several thousands of Georgian citizens from Russia following the so-called "spy scandal" also did not help much. Then it was decided to finance the anti-government movement in Georgia. This time the Russian governing circles came close to the fulfilment of their plans. Along with all their successes, the Georgian government had made several mistakes, which caused irritation in the certain circles of the Georgian society and resulted in big manifestations in Tbilisi. Although most people never knew that Badri Patarkatsishvili, the main conductor of the events, was playing the Russian game, it still caused the political crisis and Russia nearly got its objective. Despite this, the snap presidential and parliamentary elections ended with victory of Mikheil Saakashvili and National Movement and the only way for Russians to overthrow the Georgian government was the

military involvement. The timing was also appropriate. At Bucharest summit (April 2008), the NATO leadership, following the demand of France and Germany, refused to give Georgia MAP (Military Accession Plan), which considers an eventual membership in NATO. After it, the Russian military aggression against Georgia was just a matter of time, and the time came in August 2008. Vladimir Putin, using the non-existent "Kosovo Precedent," openly invaded Georgia and after the brief war recognized the "independence" of Abkhazia and so-called "South Ossetia."

The 2012 parliamentary elections in Georgia proved that Mikheil Saakashvili was not the problem in the Georgian-Russian relations. The government of Prime Minister Bidzina Ivanishvili officially declared that it would change to the better the relations with Russia and stop the "provocative rhetorics" towards the Russian government. The rhetoric has changed but the political relations did not improve and even worsened. The Russian government started to fence off the occupied territories and kidnap the Georgian citizens. Hundreds of acres of previously not-occupied Georgian territory were fenced off beginning from 2013. This process continues to the present. The Russians even started to kill the Georgian citizens at the territory, which is controlled by the official Tbilisi. In overall, despite the restoration of trade between two states, the political situation remains unstable and no effort from the Georgian government can change it. Despite the numerous meetings between the special representatives Zurab Abashidze and Grigory Karasin, there is no progress in political situation. While the Russian attitude towards Georgia remains the same and the Russian government recognizes the "independence" of Abkhazia and so-called "South Ossetia" there will be no chance of the restoration of normal political relations between Russia and Georgia.

Summarizing the situation, it can be said the following: The problem is not in the Georgian attitude towards Russia, it is in the Russian attitude towards Georgia. There is practically no difference in the Russian attitude towards the Georgian leaders. Russian government did not like neither Zviad Gamsakhurdia, nor Eduard Shevardnadze. There is no difference in Putin's policy either towards Mikheil Saakashvili's or Georgian Dream governments. The problem is that the Russian government still considers Georgia as the part of her empire. The problem for the Russian government is independent Georgia, not her course or her leaders.

დაიბეჭდა თსუ გამომცემლობის სტამბაში

0179 თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 14
14 Ilia Tchavtchavadze Avenue, Tbilisi 0179
www.press.tsu.edu.ge